სიღნაღი

კონსოლიდირებული წლიური ანგარიში

2024

სარჩევი

3 **მიმოხილვა**

3 ძირითადი მაჩვენებლები
4 „სილქნეტის“ გუნდის მესიჯი
5 „სილქნეტის“ განვითარება
6 ჩვენი პროდუქტები და სერვისები

8 **სტრატეგიული ანგარიში**

8 „სილქნეტი“ – ინოვატორი სწრაფად განვითარებად ინდუსტრიაში
10 ბაზრის მიმოხილვა
20 ფინანსური შედეგები
28 ქსელი და ინფრასტრუქტურა
32 რისკის მართვა

35 **მდგრადი განვითარების ანგარიში**

44 **კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**

72 **განმარტებები**

ძირითადი მაჩვენებლები

მიმოხილვა

აბონენტთა რაოდენობა[1]

მობილური	ფიქსირებული ინტერნეტი	Pay TV
2.0 მილიონი	**360 ათასი**	**264 ათასი**

თანამშრომელთა რაოდენობა[1]

2,050

მაღაზიების რაოდენობა[1]

48

4G/LTE მოსახლეობის დაფარვა[1]

99%

საბაზისო სადგურების რაოდენობა[1]

~1,400 Macro, ~500 Micro

ოპტიკით დაფარული ბინები[1]

77%

ბოჭკოვანი მაგისტრალური ქსელის სიგრძე[1]

4,000+ km

შემოსავალი (2024)

582 მილიონი ლარი
საქართველოს მშპ-ის **0.6%**

EBITDA[2] -ს მარჟა (2024)

64%

სულ აქტივები[1]

874 მილიონი ლარი

რეიტინგები

საკრედიტო რეიტინგი –
Moody's B1/სტაბილური;
Fitch B+/სტაბილური
ESG რისკის რეიტინგი –
Sustainalytics 20.8

[1] 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
[2] EBITDA წინამდებარე წლიურ ანგარიშში ნიშნავს კორექტირებულ EBITDA-ს აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით. განმარტებისა და დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ 2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნა 12 (საქმიანობის ალტერნატიული მაჩვენებლები).

„სილქნეტის“ გუნდის მესიჯი

შედეგები

2024 წელს „სილქნეტის” ძლიერი ფინანსური შედეგები მდგრად ორგანულ ზრდას ასახავს.

2024 წელს ჩვენი შემოსავალი გაიზარდა 8%-ით წ/წ, რაც სრულად ორგანულია და უმეტესად განპირობებულია როგორც მობილური, ისე ფიქსირებული სეგმენტების საშუალო საბონენტო ბაზის, ასევე მობილური დატას მოხმარების ზრდით.

შემოსავლების მდგრადმა ზრდამ, ეფექტურად მართვადი საოპერაციო ხარჯების ფონზე, რომლებიც 2024 წელს შედარებით ნაკლები ტემპით, 6%-ით წ/წ გაიზარდა, განაპირობა EBITDAaL-ის 10%-იანი წ/წ ზრდა, რამაც კიდევ უფრო გააუმჯობესა ჩვენი ფინანსური პოზიცია და ფულადი სახსრების გენერირების მაჩვენებელი.

გრძელვადიანი ზრდისა და მომსახურების ხარისხის უზრუნველსაყოფად ვაგრძელებთ ქსელსა და ინფრასტრუქტურაში ინვესტირებას. 2024 წელს კაპიტალური ინვესტიციები მიმართული იყო FTTH ქსელის გაფართოების მიმართულებით, ძირითადად – ურბანულ ტერიტორიებზე, ხოლო მობილურის შემთხვევაში – 4G ქსელის განვითარებაზე და ნაკლებად მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებში დაფარვის გაუმჯობესებაზე. 2024 წელს კაპიტალურმა დანახარჯებმა შემოსავლის 14% შეადგინა, რაც ჩვენი საშუალოვადიანი სამიზნე მაჩვენებლის, 18-20%-ის, ფარგლებშია.

EBITDAaL-ის მნიშვნელოვანმა ზრდამ, კაპიტალური დანახარჯების ნორმალიზებულ დონესთან ერთად, 2024 წელს წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადების 12%-იანი ზრდა განაპირობა და წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადების მარჟამ სოლიდური, 47% შეადგინა.

2024 წელს ძლიერი ფინანსური შედეგებისა და ადგილობრივი ვალუტის სტაბილურობის ფონზე ლევერიჯის კომფორტული დონე შევინარჩუნეთ 1.1X EBITDA-ს ფარგლებში. აღნიშნულის მიღწევა შევძელით გაზრდილი დივიდენდის დისტრიბუციების მიუხედავად, რაც, თავისთავად, კომპანიის სოლიდური ფულადი ნაკადების გენერირების შედეგად გახდა შესაძლებელი. 2024 წელს დივიდენდის სახით 171 მილიონი ლარი გადავიხადეთ.

სატელეკომუნიკაციო სექტორი

ჩვენმა ძლიერმა საბაზრო პოზიციამ, მდგრად ქსელთან და ინფრასტრუქტურასთან ერთად, რასაც თან ერთვის სერვისების წარმატებული დიფერენციაცია, საშუალება მოგვცა, 2024 წელს ძირითად კონკურენტებზე მაღალი ზრდა გვეჩვენებინა მთავარ სეგმენტებში:

მობილურ სეგმენტში ჩვენი შემოსავლის ზრდა მცირედით მაღალი იყო მთლიან ბაზართან შედარებით და 11% წ/წ შეადგინა, რაც, ძირითადად, მობილური დატას მოხმარების ბაზარზე ყველაზე მაღალმა ზრდამ განაპირობა – 23% წ/წ „სილქნეტის“ ზრდა და 19% წ/წ მთლიანი ბაზრის ზრდა. ჩვენი შედეგები კიდევ უფრო შთამბეჭდავია ახალი ბაზრის მოზიდვის მიმართულებით – მობილური აბონენტების ნეტო ნამატის (თვიური საშუალო მონაცემებით დათვლილი) 70% „სილქნეტს“ ეკუთვნის. შედეგად, ჩვენი საბონენტო და შემოსავლის ბაზრის წილი 1.0%-ით და 0.3%-ით გაიზარდა, შესაბამისად.

ფიქსირებულ სეგმენტშიც ჩვენი შემოსავლის ზრდა მთავარ ტექნოლოგიებში დანარჩენ ბაზართან შედარებით მაღალი იყო, 8% წ/წ ზრდა FTTH-ში და 6% წ/წ ზრდა IPTV-ში. ეს, ძირითადად, ჩვენი საბონენტო ბაზის შთამბეჭდავმა ზრდამ განაპირობა – 2024 წელს ბაზრის ნეტო ნამატის 50% და 48% „სილქნეტს“ ეკუთვნის FTTH-სა და IPTV-ში, შესაბამისად. შედეგად, ჩვენი საბონენტო ბაზრის წილი FTTH-სა და IPTV-ში 0.7%-ით და 0.5%-ით გაიზარდა, შესაბამისად.

ეკონომიკური გარემო

ჩვენს საოპერაციო შედეგებს ხელი მდგრადმა ეკონომიკურმა ზრდამ და ადგილობრივი ვალუტის სტაბილურობამ შეუწყო. რეალური მშპ 2024 წელს 9.4%-ით გაიზარდა, 2021, 2022 და 2023 წლებში 10.6%, 11.0% და 7.8% ზრდის შემდეგ. ლარის სტაბილურობისთვის ხელშემწყობი ფაქტორებია სხვადასხვა წყაროებიდან, ძირითადად – ექსპორტის, გზავნილებისა და ტურიზმის გზით უცხოური ვალუტის მნიშვნელოვანი შემოდინებები და საერთაშორისო რეზერვების სოლიდური დონე. ინფლაცია 2024 წლის განმავლობაში ცენტრალური ბანკის სამიზნე მაჩვენებლის ფარგლებში იყო სამომხმარებლო ფასების ინდექსის 1.1% საშუალო ზრდით.

მარეგულირებელი გარემო

2024 წლის აგვისტოში მარეგულირებელმა კომისიამ 5G-ის სიხშირულ რესურსთან დაკავშირებით ახალი საჯარო საკონსულტაციო პროცესი დაიინიცირა, მას შემდეგ, რაც 5G-ის პირველი აუქციონი 2023 წლის აგვისტოში ჩატარდა, რომელშიც ქვეყნის სამი მობილური ოპერატორიდან მხოლოდ „სელფიმ“ მიიღო მონაწილეობა და იყიდა 5G-ის ლიცენზია. მარეგულირებელმა სიხშირეების ღირებულების კალკულაციის მეთოდი შეცვალა და სიხშირეების ფასი მნიშვნელოვნად გაზარდა. ამ ცვლილების მიზეზების ახსნა მარეგულირებელმა ვერ მოახერხა. „სილქნეტმა“ კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა. აღნიშნულ აუქციონში „მაგთიკომმა“ მიიღო მონაწილეობა და იყიდა 5G-ის ლიცენზია. 2024 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში „მაგთიკომმა“ 5G საქართველოს დიდი ქალაქების უმეტესობაში გაუშვა.

„სილქნეტმა“ არსებული სიხშირული რესურსის გამოყენებით 5G სერვისი პირველმა გაუშვა საქართველოში 2023 წლის დეკემბერში. კონკურენციის შესანარჩუნებლად და სრული მასშტაბით 5G ქსელის განვითარების ხელშესაწყობად, კომისიას 5G სიხშირული რესურსის აუქციონის დაინიცირების თაობაზე მივმართეთ. აუქციონი გაიმართა 2025 წლის ივნისის ბოლოს, „სილქნეტმა“ მონაწილეობა მიიღო აუქციონში და იყიდა სიხშირული ლიცენზიები – 2X5.0 მეგაჰერცი 700 მეგაჰერცის დიაპაზონში და 50.0 მეგაჰერცი 3500 მეგაჰერცის დიაპაზონში ჯამში 49 მილიონ ლარად.

ამას გარდა, მარეგულირებელმა 2024 წელს ორი პროდუქტის ბაზრის კვლევა ჩაატარა ექსპერტების დახმარებით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში: 1. ფიქსირებული ქსელით მომსახურების ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზარი; 2. მობილური ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზარი.

2024 წლის აგვისტოში მარეგულირებელმა გამოაქვეყნა საბოლოო გადაწყვეტილება და „მაგთიკომი” მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების (SMP) მქონე ერთპიროვნულ სუბიექტად დაასახელა ზემოხსენებულ ბაზრებში და გარკვეული ვალდებულებები დააკისრა.

საბითუმო დაშვების აღნიშნული რეგულაციების დაწესებასთან ერთად, მარეგულირებელმა გააუქმა თავისი წინა გადაწყვეტილებები, რომლებიც „სილქნეტს“ (სხვა ოპერატორებთან ერთად) ერთდროული SMP-ის მფლობელებად აღიარებდა.

„მაგთიკომმა“ ზემოთ აღნიშნული ორივე ბაზრისთვის შეთავაზების დოკუმენტები გამოაქვეყნა, რომლებსაც თან ერთვის ორივე მხარის შენიშვნა – „მაგთიკომი“ შენიშნავს, რომ დაწესებულ რეგულაციებს არ ეთანხმება, ხოლო კომისია შენიშნავს, რომ დოკუმენტი არ არის საბოლოო და შესაძლოა, ცვლილებების განხორციელება გახდეს საჭირო.

„ORANGE”-თან სტრატეგიული ალიანსი

„სილქნეტის“ ORANGE Alliance პროგრამის ფარგლებში სტრატეგიული პარტნიორობა, რომელიც ძალაშია 2024 წლის ივნისიდან, განკუთვნილია იმისთვის, რომ „Orange”-ის ფართო ექსპერტიზისა და ინოვაციური გადაწყვეტების გამოყენებით განვავითაროთ ჩვენი შესაძლებლობები B2C, B2B და ICT სექტორებში.

Orange Alliance პროგრამა ავითარებს პარტნიორობას „Orange”-სა და პროგრამის მონაწილე სხვა სატელეკომუნიკაციო ოპერატორებს შორის.

პარტნიორობის ფარგლებში, „სილქნეტი“ შემდეგი სამი ძირითადი მიმართულებით იხეირებს: ექსპერტიზა და „know-how” – „სილქნეტს“ ექნება წვდომა „Orange”-ის ცოდნასა და გამოცდილებაზე ტელეკომუნიკაციების და ICT სექტორებში: B2B ICT სერვისები – ალიანსის ერთ-ერთი პირველი ფოკუსი იქნება B2C ICT სერვისების განვითარება, რაც საქართველოში ციფრულ ტრანსფორმაციას შეუწყობს ხელს; ინოვაციური გადაწყვეტები და პლატფორმები – „სილქნეტს“ ექნება წვდომა B2C პროდუქტებსა და სერვისებში „Orange”-ის ფართო პორტფოლიოზე, მათ შორის, მის პლატფორმებსა და აპლიკაციებზე.

კორპორაციული მართვა, ESG და CSR

2024 წელს გავაგრძელეთ ჩვენი ESG პრაქტიკების გაუმჯობესებაზე მუშაობა – ამ მიმართულებით ჩვენი მცდელობები მოცემულია „მდგრადი განვითარების ანგარიშში“, ხოლო ძირითადი მოვლენები ქვემოთ არის აღწერილი:

გავაგრძელეთ საერთაშორისო საუკეთესო გარემოსდაცვითი პრაქტიკის დანერგვა, ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემების გაძლიერება, კიდევ უფრო გავაძლიერეთ პერსონალური მონაცემების დაცვის სისტემური მიდგომები და გავაგრძელეთ ადამიანური კაპიტალის განვითარებასა და მხარდაჭერაზე ზრუნვა.

მდგრადი განვითარების მიმართულებით ჩვენი წვლილის შეტანის მიზნით ასევე გავაგრძელეთ გრძელვადიანი CSR პროექტების მხარდაჭერა, რომელიც მოიცავს წინანდლის პროექტს, საქართველოს სათხილამურო ფედერაციის სპონსორობას, დაჭრილ მებრძოლთა ფონდისა და „National Geographic Georgia“-ს მხარდაჭერას.

2025 წელს Sustaynalitics-მა “სილქნეტის” ESG რეიტინგი 25.8-დან 21.1-მდე გაუმჯობესა, რომელიც 2025 წლის შუალედური შეფასების დროს კიდევ შემცირდა 20.8-მდე.

„სილქნეტის“ განვითარება

„სილქნეტი“ დაარსდა 2009 წელს და შემდგომ „საქართველოს გაერთიანებული ტელეკომის“, „აჭარატელეკომისა“ და „ვანექსის“ აქტივები კომპანიის სააქციო კაპიტალში იქნა შეტანილი. ტრადიციული ოპერატორებისგან სპილენძის მოძველებული ქსელის მემკვიდრეობით მიღების შემდეგ, „სილქნეტმა“ აქტიურად დაიწყო ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალებისა და დაშვების ქსელების გაშლა და მისი წვდომის ახალ გეოგრაფიულ რეგიონებზე გაფართოება. ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების, ფიქსირებული ინტერნეტისა და PAY TV მომსახურების სფეროში წამყვანი პოზიციის შენარჩუნების ფონზე, 2018 წელს ბაზარზე მეორე უდიდესი მობილური მომსახურების პროვაიდერის – „ჯეოსელის“ სტრატეგიული შეძენის შედეგად, ჩვენ სრულფასოვანი კონვერგენტული ოპერატორი გავხდით.

2009
„სილქნეტი“ დაარსდა სს „გაერთიანებული ტელეკომის“, შპს „აჭარა ტელეკომის“ და შპს „ვანექსის“-ის მიერ

2010
FTTH მომსახურების შეთავაზების დაწყება

2011
„Novus“-ის შეძენა (სატელევიზიო მაუწყებლობის უფლებები)

2012
„NG Georgia“-ს დაარსება (ჟურნალი „National Geographic“)

2013

2014
„WiMax Georgia“ -ს შეძენა (ფიქსირებული უსადენო ფართოზოლოვანი კავშირი)

„GMN“-ის 85%-იანი წილის შეძენა (pay TV არხები)

„ქარვას“ 51%-იანი წილის შეძენა (პროგრამული უზრუნველყოფა, საოპერაციო და ტექნიკური მხარდაჭერა IPTV-სთვის

2015
გაფორმდა ხელშეკრულება „სერვის ნეტთან“ საკაბელო ქსელის ტექნიკური მხარდაჭერის, ახალი აბონენტების შეერთების და ქსელის გაფართოების მიმართულებით

„Vtel Georgia“ -სთანშერწყმა (ფიქსირებული უსადენო ფართოზოლოვანი კავშირი)

2016
„GMN“ -ის დარჩენილი 15%-იანი წილის შეძენა-გაერთიანება

2017
სილქნეტის 2017 წლის ობლიგაციების გამოშვება
საჯარო ლარის ობლიგაციის გამოშვება

2018
„ჯეოსელის“ ყიდვა (მობილური)
„Global TV group“-ის ყიდვა

2019
ევროობლიგაციების გამოშვება და ყველა საბანკო სესხის რეფინანსირება

აქციონერის სესხის ნაწილობრივი გადაკონვერტირება კაპიტალში

Euronews Georgia-ს ფრენჩაიზის ყიდვა და „შპს სილქ მედიას“-ს დაარსება

2020
ევროობლიგაციებთან დაკავშირებული დეპოზიტარული ხელწერილის გამოშვება

2021
IT ტრანსფორმაციის პროექტის დასრულება

2022
ევროობლიგაციების გამოშვება და ყველა არსებული სასესხო ინსტრუმენტის რეფინანსირება

2023
საქართველოში პირველი 5G ქსელის დანერგვა

2024
“Orange”-სა და „სილქნეტს” შორის სტრატეგიული ალიანსის დაწყება

ჩვენი **პროდუქტები და სერვისები**



ჩვენ მომხმარებლებს პროდუქციისა და სერვისების ფართო სპექტრს ვთავაზობთ.

მობილური მომსახურება

#2 35%-იანი ბაზრის წილით[1]

#1 მობილურ ინტერნეტში **36%** -იანი ბაზრის წილით[1]

შემოსავლის 54%

ჩვენ მომხმარებლებს ვთავაზობთ ხმოვან და მობილური ინტერნეტის მომსახურებას, რისთვისაც გამოყენებულია 2G, 3G, 4G/LTE და gigabit-LTE ტექნოლოგიები.

B2C

ჩვენი B2C აბონენტები სხვადასხვა ხმოვანი, SMS და ინტერნეტკავშირის მომსახურების მისაღებად (საერთაშორისო ზარებისა და როუმინგის ჩათვლით), ძირითადად, წინასწარ გადახდილ პაკეტებსა და „pay-as-you-go“ სატარიფო გეგმებს იყენებენ.

B2B

ჩვენ ვემსახურებით სხვადასხვა სამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ასევე დიდ, საშუალო და მცირე საწარმოებს. სამთავრობო და საზოგადოებრივი ხელშეკრულებები, როგორც წესი, ფორმდება ყოველწლიური ტენდერების საფუძველზე, ხოლო ურთიერთობები სხვადასხვა საწარმოსთან განსხვავებულია. ტარიფები, როგორც წესი, ინდივიდუალურია და თითოეულ კლიენტზეა მორგებული, თუმცა მცირე საწარმოები, ჩვეულებრივ, სტანდარტულ ტარიფს იღებენ.

ფიქსირებული ინტერნეტი

#2 31%-იანი ბაზრის წილით[1]

შემოსავლის 24%

ჩვენ მომხმარებლებს ვთავაზობთ ინტერნეტთან კავშირის ტექნოლოგიურად განვითარებულ მომსახურებას სახლებისთვის, ბიზნესებისა და სხვა ორგანიზაციებისთვის, ასევე დამატებით მომსახურებას B2B კლიენტებისთვის.

B2C

ჩვენი B2C ფიქსირებული ინტერნეტის მომსახურება იყენებს FTTH, DSL და LTE ტექნოლოგიებს, რაც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, აირჩიონ სატარიფო გეგმა ინტერნეტის სიჩქარის საჭიროებისა და, ასევე, მათ რეგიონში კავშირის შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

უკანასკნელ წლებში ფიქსირებულ ინტერნეტზე მოთხოვნა გაიზარდა. „სილქნეტის“ ფიქსირებული ინტერნეტის შეთავაზებების უმეტესობა მოიცავს ულიმიტო ინტერნეტს, ტარიფის განფასება კი ეყრდნობა ინტერნეტის სიჩქარესა და პაკეტში არსებულ დაკავშირებულ სერვისებს.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტი არის ჩვენი ყველაზე მაღალი სიჩქარის მქონე შეთავაზება, რომელიც ხელმისაწვდომია FTTH ქსელის ინფრასტრუქტურის კავშირის მქონე რეგიონებში. ის მომხმარებლებს სთავაზობს გადმოტვირთვის 150 მბ/წმ-მდე სიჩქარეს, ულიმიტო ინტერნეტით.

ჩვენ მომხმარებლებს ვთავაზობთ DSL ინტერნეტის პაკეტებს DSL ქსელის ინფრასტრუქტურის კავშირის მქონე რეგიონებში.

LTE ინტერნეტმომსახურების შეთავაზება 2014 წლის დეკემბერში დავიწყეთ, მისი მობილური კავშირის მიზნით გამოყენების გარდა, მაღალხარისხიანი ფიქსირებული ინტერნეტკავშირის მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, ისეთ რეგიონებში, სადაც არ არის სადენიანი ქსელები, ან სადაც სადენიანი ქსელების განთავსება ხარჯების კუთხით ეფექტური არ არის.

B2B

B2B მომხმარებლებისთვის გლობალური მომსახურების ჩვენს ასორტიმენტში შედის ხმოვანი მომსახურება, ინტერნეტისა და დაკავშირების მომსახურებები, მათ შორის: ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება, VOIP, E1, PRI, ADSL, LTE, ISDN, ფიქსირებული ინტერნეტი, სპეციალური წვდომა ინტერნეტზე (Dedicated Internet Access), IP MPLS, Ethernet და ეროვნული საიჯარო ხაზი (national lease line) (მათ შორის, ეროვნული საიჯარო ხაზი Inmarsat-ზე). B2B ფიქსირებული ინტერნეტის სეგმენტში ბაზრის წილით ლიდერები ვართ როგორც აბონენტების, ასევე შემოსავლების მიხედვით.

[1] ეყრდნობა 2024 წლის 31 დეკემბრისთვის აბონენტების რაოდენობას; Pay TV ბაზრის წილი არ მოიცავს ინტერნეტტელევიზიის (სტრიმინგის) აპლიკაციის აბონენტებს.



Pay TV

#2 35%-იანი ბაზრის წილით[1]

შემოსავლის 10%

ჩვენ მომხმარებლებს ვთავაზობთ სატელევიზიო პროგრამების სხვადასხვა პაკეტს, ჩვენი IPTV ციფრული შეთავაზებების, Silk TV-სა და უსადენო ტელევიზიის – Global TV-ის მეშვეობით. Global TV-ი ემსახურება აბონენტებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ აქვთ წვდომა IPTV ტექნოლოგიაზე.

ჩვენ ვართ ერთადერთი სატელეკომუნიკაციო პროვაიდერი საქართველოში, რომელმაც შექმნა საკუთარი IPTV პლატფორმა, და მიგვაჩნია, რომ ეს პლატფორმა საქართველოში საუკეთესოა.

ჩვენი შესაძლებლობა, შევთავაზოთ ჩვენს მომხმარებლებს პრემიუმ და ექსკლუზიური სპორტული კონტენტი, ისტორიულად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ახალი აბონენტების მოზიდვის კუთხით (იხილეთ „IPTV კონტენტის თვითღირებულება“).

ჩვენი ვიდეოკონტენტის მიწოდება ხორციელდება უფასო და ფასიანი არხების საშუალებით, რომლებიც ჩვენს სატელევიზიო პაკეტებში შედის. პაკეტები ასევე მოიცავს ჩვენს საკუთარ არხებს, რომლებზეც ხდება კონტენტის აგრეგაცია და მცირე დოზით კონტენტის წარმოება.

Silk Go აპლიკაცია და ვებგვერდი (www.silkgo.ge ან www.silktv.ge) მომხმარებელს საშუალებას აძლევს, უყუროს შერჩეულ სატელევიზიო პროგრამებს ნებისმიერი მობილური მოწყობილობის საშუალებით, რომელსაც ინტერნეტთან წვდომა გააჩნია.

Silk TV Go შეთავაზება მოიცავს ტელევიზორის ყურების შესაძლებლობას მრავალ ეკრანზე, ინტერაქტიული ფუნქციებით, მათ შორის, „catch-up TV“-ით (ეთერში გასული გადაცემების ხელახლა ყურება). ამჟამად Silk TV Go მოიცავს როგორც საკუთარ, ასევე პოპულარულ ქართულ და საერთაშორისო არხებს.

myvideo.ge, ლიდერი ქართული ვიდეო სტრიმინგ პლატფორმა, რომელიც 2023 წელს ვიყიდეთ, მომხმარებლებს სთავაზობს უფასო და ფასიან არხებს.

IPTV გადაცემები მომხმარებლებს სთავაზობს მრავალფეროვან კონტენტს, მათ შორის: სპორტს, ფილმებს, საბავშვო და სხვა პროგრამებს. მომსახურება ხელმისაწვდომია FTTH და DSL აბონენტებისთვის, თუმცა მხოლოდ FTTH აბონენტებს შეუძლიათ რამდენიმე ტელევიზორის დაკავშირება და მაღალი ხარისხის არხების მიღება.

NPVR-ზე დაფუძნებული IPTV მომსახურების ძირითადი მახასიათებლები მოიცავს catch-up TV-ს, VOD მომსახურებას, ელექტრონული პროგრამების სახელმძღვანელოს, არხებისთვის პოზიციების მინიჭებისა და სხვა მახასიათებლებს, დამატებითი ღირებულების შემქმნელი მომსახურებების ჩათვლით.

ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება

#1 55% -იანი ბაზრის წილით[1]

შემოსავლის 2%

ჩვენ B2C და B2B მომხმარებლებს სრულ ფიქსირებულ მომსახურებას ვთავაზობთ. მომსახურება მოიცავს ეროვნულ და საერთაშორისო ზარებს. ფიქსირებული სატელეფონო მომსახურებიდან ჩვენი შემოსავლის დიდი წილი უკავშირდება ჩვენს საქმიანობას საერთო სარგებლობის სატელეფონო ქსელის („PSTN“) სფეროში.

B2C და B2B მომხმარებლებს ფიქსირებულ სატელეფონო მომსახურებას ვთავაზობთ ორი ძირითადი ტექნოლოგიით:

- PSTN – სპილენძის ხაზებზე;
- VOIP – ოპტიკურ-ბოჭკოვან ქსელზე და LTE-მომსახურება.

სხვა სატელეკომუნიკაციო ოპერატორების მსგავსად, ბოლო წლების განმავლობაში ჩვენთანაც ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების მუდმივი კლება ფიქსირდება. აღნიშნული კლება, ძირითადად, ფიქსირებული ხაზის ტელეფონების მობილური ტელეფონებით ჩანაცვლების შედეგია.

საბითუმო (ოპერატორების) მომსახურება

შემოსავლის 9%

ჩვენი საბითუმო მომსახურება, ძირითადად, შედგება ფიქსირებული ურთიერთჩართვის მომსახურებისა და ინტერნეტმომსახურებისგან, რომლებიც ეროვნულ და საერთაშორისო ოპერატორებს მიეწოდება, და მოიცავს: ადგილობრივი და საერთაშორისო ზარების განხორციელებას, ტრანზიტს, საბითუმო SMS-ის განხორციელებას, ინტერნეტგადაყიდვას, აღჭურვილობის იჯარით გაცემასა და ფულის შეგროვებას.

სხვა ფიქსირებული მომსახურება

შემოსავლის 1%

სხვა ფიქსირებული მომსახურება მოიცავს სამაუწყებლო მოსაკრებელს; მათ ვიღებთ სხვა ოპერატორებისგან, რომლებიც „სილქნეტის“ არხებს გადასცემენ; ასევე სარეკლამო შემოსავალს, ჩვენს არხებსა და სტრიმინგ სერვისებზე რეკლამის განთავსების სანაცვლოდ.

[1] ეყრდნობა 2024 წლის 31 დეკემბრისთვის აბონენტების რაოდენობას; Pay TV ბაზრის წილი არ მოიცავს ინტერნეტტელევიზიის (სტრიმინგის) აპლიკაციის აბონენტებს.

სტრატეგიული ანგარიში

„სილქნეტის“ ინოვატორი სწრაფად განვითარებად ინდუსტრიაში

ჩვენ ვოპერირებთ სწრაფად განვითარებად ინდუსტრიაში, კავშირისა და ციფრულობის მიმართულებით მზარდი ტენდენციებით, და გამოწვევებით სავსე მარეგულირებელ და ეკონომიკურ გარემოში. მომხმარებლებისთვის განვითარებული და ინოვაციური შეთავაზებების მიწოდების გზით ვცდილობთ მათი მომსახურების გაუმჯობესებას, რაც ეფუძნება ძლიერ სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურას, გაუმჯობესებულ ციფრულ არხებსა და სერვისებს და მეტად მორგებული სერვისების შეთავაზებას.

კავშირის მიმართ მზარდი მოთხოვნა

მომხმარებელთა ქცევა მუდმივად ცვალებადია და, რაც დრო გადის, მეტი კავშირის მოთხოვნა შეინიშნება როგორც გლობალურად, ასევე საქართველოში. ამ პროცესში დიდ როლს ასრულებს სატელეკომუნიკაციო სექტორი და გვჯერა, რომ „სილქნეტს“ ძლიერი პოზიცია აქვს იმისთვის, რათა ბაზრის ამ ტენდენციებიდან სარგებელი მივიღოთ.

მაშინ, როდესაც მობილურის პენეტრაცია საქართველოში, ისევე როგორც ევროპის უმეტეს ქვეყნებში, მაღალია, მობილური დატას პენეტრაციის ზრდის პოტენციალი, სმარტფონების პენეტრაციისა და მობილური დატას მზარდი მოხმარების ფონზე, ჯერ კიდევ დიდია. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მობილური ინტერნეტის პენეტრაციის მაჩვენებელი საქართველოში 70%-ს შეადგენდა, ხოლო „სილქნეტის“ – 73%-ს. გვჯერა, რომ მობილური მომსახურებების ბაზარზე მაღალი ხარისხის პროვაიდერის ადგილი გვიჭირავს და, საქართველოში სმარტფონების დანერგვასა და მობილური დატას პენეტრაციის გაზრდაზე აქცენტის გაკეთებით, ამ მდგომარეობის გამოყენებას ვისახავთ მიზნად. „ჯეოსელის“ ყიდვის შემდეგ მნიშვნელოვანი ინვესტიციები განვახორციელეთ მობილურ ქსელში და 4G/LTE მოსახლეობის დაფარვა 99%-მდე გავზარდეთ, ასევე. ჩვენ პირველებმა დავნერგეთ gigabit-LTE ტექნოლოგია საქართველოს მთავარ ქალაქებში. 2023 წლის დეკემბერში საქართველოში პირველებმა დავნერგეთ 5G ტექნოლოგია არსებული სიხშირული რესურსის გამოყენებით და სერვისი თბილისის ცენტრში ავამოქმედეთ. ჩვენი მიდგომაა, მობილურ ქსელში გავაგრძელოთ ინვესტირება საჭიროების მიხედვით, რაც ეხმიანება მობილურ დატასთან დაკავშირებული სერვისების მიმართ მზარდი მოთხოვნის ბაზარზე არსებულ ტენდენციას. სრული მასშტაბით 5G ქსელის განვითარების ხელშესაწყობად, კომისიას 5G სიხშირული რესურსის აუქციონის დაინიცირების თაობაზე მივმართეთ. აუქციონი გაიმართა 2025 წლის ივნისის ბოლოს, „სილქნეტმა“ მონაწილეობა მიიღო აუქციონში და იყიდა სიხშირული ლიცენზიები – 2x5.0 მეგაჰერცი 700 მეგაჰერცის დიაპაზონში და 50.0 მეგაჰერცი 3500 მეგაჰერცის დიაპაზონში ჯამში 49 მილიონ ლარად.

მომავალში სატელეკომუნიკაციო ბაზარზე მოთხოვნას საქართველოში მზარდი ეკონომიკა და მზარდი ურბანიზაცია განაპირობებს. ჩვენ ვაპირებთ, გავაგრძელოთ ოპტიკური ქსელის გაფართოება და გავზარდოთ პენეტრაცია ქალაქებში. ვინაიდან სპილენძის ქსელის პენეტრაცია შედარებით მცირე ქალაქებში, ძირითადად, დაბალია, ჩვენი მოლოდინით, ოპტიკური ქსელის გაფართოება გაზრდის სერვისის ხარისხს და მოგვცემს საშუალებას, გავზარდოთ როგორც ფიქსირებული ინტერნეტის აბონენტების რაოდენობა, ასევე გავყიდოთ IPTV და მობილური სერვისები.

გლობალური ტენდენციები გაციფრულების მიმართულებით

კავშირის მიმართულებით მზარდი მოთხოვნის გარდა, ბაზრის ტენდენციები უფრო მეტად არის მიმართული ციფრული გადაწყვეტებისკენ, და ჩვენ ამ მიმართულებით განვითარებას ვისახავთ მიზნად.

ისტორიულად, ჩვენ ვთავაზობდით ცალკეული თვითმომსახურების აპლიკაციებს და ვებგვერდებს ფიქსირებული და მობილური მომსახურებებისთვის. IT ტრანსფორმაციის დასრულების შემდეგ ჩვენ შევიმუშავეთ ახალი და კონვერგენტული ვებგვერდი და კონვერგენტული თვითმომსახურების აპლიკაცია, რათა ჩვენს B2C აბონენტებს უფრო მოქნილი სერვისი შევთავაზოთ. B2C აბონენტებისთვის განკუთვნილ თვითმომსახურების აპლიკაციებში მომხმარებლების ჩართულობა მნიშვნელოვნად იზრდება. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში აქტიური მომხმარებლების რაოდენობა 6-ჯერ გაიზარდა (2024 წლის დეკემბერში 425 ათასი, 2022 წლის იანვარში 69 ათასთან შედარებით). B2B აბონენტებისთვის განკუთვნილი თვითმომსახურების გადაწყვეტა განვითარების ფაზაშია. 2024 წელს ჩვენს ვებგვერდზე დაახლოებით 1.6 მილიონი სესია დაფიქსირდა. ამას გარდა, ჩვენ მომხმარებლებს კონტაქტის წერტილებად ვთავაზობთ სოციალურ მედიას (Facebook-ზე 500 ათასზე მეტი გამომწერი გვყავს), ასევე. გვაქვს ელექტრონული ხელმოწერა, e-SIM-ი, რაც დამატებით აუმჯობესებს ჩვენი სერვისების მიწოდების ციფრულ გზებს.

ჩვენ პირველები ვიყავით საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე ციფრული კონტენტის მიწოდების მიმართულებით აპლიკაციებისა და ვებგვერდების საშუალებით, როგორებიცაა Silk Go და silktv.ge. myvideo.ge, ლიდერი ქართული ვიდეო სტრიმინგ პლატფორმა, რომელიც 2023 წელს ვიყიდეთ, საქართველოში უნიკალურია დივერსიფიცირებული, მომხმარებლის მიერ შექმნილი კონტენტით, ასევე უფასო და ფასიანი არხებით. ჩვენ ვაპირებთ, შემდგომშიც განვავითაროთ ციფრული აპლიკაციები აბონენტების კმაყოფილების გაზრდისა და კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად. ასეთი აპლიკაციები შეიძლება მოიცავდეს ვიდეოკონტენტის გაუმჯობესებულ მიწოდებას, მუსიკას და სათამაშო პლატფორმებს.

კონკურენცია


ჩვენ, „მაგთიკომთან“ ერთად, საქართველოში ორი კონვერგენტული სატელეკომუნიკაციო ოპერატორიდან ერთ-ერთი ვართ, ხოლო „სელფი“ მობილური ოპერატორია. ბაზარზე ასევე რამდენიმე შედარებით საშუალო ზომის და მცირე ფიქსირებული ოპერატორია. გვჯერა, რომ ჩვენი ლიდერული პოზიცია ბაზრის საკვანძო სეგმენტებში, ხარისხიანი სააბონენტო ბაზა, მომხმარებლებთან მაღალი დონის ინტერაქცია და ძლიერი ქსელი და IT ინფრასტრუქტურა მყარ პოზიციაში გვაყენებს, და საშუალებას გვაძლევს, ვიყოთ ლიდერი საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე.

ჩვენ ვართ ბაზრის ლიდერები მობილური ინტერნეტის აბონენტების მიხედვით: ასევე ვართ ბაზრის ლიდერები ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების სეგმენტში და ვართ მეორე IPTV, ფიქსირებული ინტერნეტისა და მობილურის ოპერატორი აბონენტების რაოდენობის მიხედვით. როგორც კონვერგენტულ სატელეკომუნიკაციო ოპერატორს, რომელსაც ძირითადი მომსახურებების სეგმენტებში წამყვანი პოზიციები უკავია, საშუალება გვეძლევა, მივიღოთ სარგებელი გლობალურ სატელეკომუნიკაციო ბაზრებზე არსებული ტენდენციებიდან: ეს უკანასკნელი, დიდი ალბათობით, დაინერგება საქართველოში შერეული და კომბინირებული პროდუქტების შეთავაზების მიმართულებით, რომელმაც უნდა მოიცვას ფიქსირებული ინტერნეტი, pay TV, ფიქსირებული სატელეფონო და მობილური მომსახურება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შერეული პაკეტების ჯვარედინი გაყიდვით შემოსავლების ზრდის მნიშვნელოვანი საშუალება ჩნდება, რაც მიღწევადია ჩვენი ქსელის, ციფრული აპლიკაციებისა და პრემიუმკონტენტის საშუალებით პროდუქტების დიფერენციაციის გზით.

გრძელვადიანი ხელშეკრულებების არარსებობის გამო, საქართველოს ბაზარზე აბონენტებისთვის შესვლისა და გასვლის დაბალი ბარიერებია, რაც პაკეტურ შეთავაზებას მომხმარებელთა ბაზის ძირითად მაჩვენებლად აქცევს. გვჯერა, რომ პაკეტური შეთავაზებების მაღალი მაჩვენებლები მომხმარებელთა ბაზის მაღალ ხარისხზე მიუთითებს და მომხმარებელთა ბრუნვის შემცირებას იწვევს. ფიქსირებულ სერვისებში პაკეტური შეთავაზებების მაღალი მაჩვენებელი გვაქვს: მაგალითად, ჩვენი B2C FTTH აბონენტების 79% ასევე ჩვენი IPTV სერვისით სარგებლობს. გვჯერა, რომ მობილური აბონენტების მიერ პაკეტების შეძენის ტენდენციაა. მაგალითად, საშუალოდ, ჩვენი აბონენტების 90% 2024 წელს

მობილური დატას პაკეტებს ყიდულობდა, ასევე დატა პენეტრაცია 2024 წლის ბოლოს მობილური აბონენტების 73% იყო.

ინტერაქციის მაჩვენებელი კომპანიასა და ჩვენს მომხმარებლებს შორის მაღალია ჩვენი 48 მაღაზიისა და 15 საცალო ჯიხურის, ქოლცენტრების, ვებგვერდისა და სოციალური მედიის მეშვეობით. არხების გაციფრულებასთან ერთად, ასევე, ვზრდით ფიზიკური კონტაქტის წერტილებს მაღალტრაფიკიან არეალებში. 2024 წელს ჩვენმა ქოლცენტრებმა დაახლოებით 330 ათას ზარს უპასუხეს თვეში, ხოლო ლოდინის საშუალო დრო, რაც ჩვენთვის მომხმარებლებთან ინტერაქციის ხარისხის მნიშვნელოვანი საზომია და ვცდილობთ, დაბალ დონეზე შევინარჩუნოთ, 2024 წელს 37 წამი იყო. ჩვენს Facebook გვერდს 500 ათასზე მეტი გამომწერი ჰყავს და 2024 წელს ჩვენს ვებგვერდზე დაახლოებით 1.6 მილიონი სესია დაფიქსირდა. ჩვენ ასევე გვაქვს 780 გარე საცალო ვაჭრობის წერტილი მესამე მხარეების დილერების საშუალებით, „სილქნეტის“ 32 აგენტი თბილისსა და რეგიონებში და გამავალი ზარების ცენტრის 5 ოპერატორი. ჩვენ მიერ გამოყენებული ძირითადი არხები შემდეგ მთავარ მიზნებს ემსახურება:



გვჯერა, რომ გვაქვს ძლიერი და მდგრადი ინფრასტრუქტურა. ჩვენ ვართ ერთადერთი ოპერატორი საქართველოში, რომელმაც დანერგა gigabit-LTE ტექნოლოგია, რაც დავაინსტალირეთ 519 საიტზე ძირითად ქალაქებში (ჩვენი მაკროსაიტების 37%-ზე საქართველოს მასშტაბით). გვაქვს ფართო სიხშირული რესურსი, 233 მეგაჰერცი სხვადასხვა დიაპაზონში. გვაქვს ფართო ოპტიკური ქსელი საქართველოში (4,000 კილომეტრზე მეტი). გვაქვს ძირითადი ქსელი, რომელიც თბილისს აკავშირებს სხვა ძირითად ქალაქებთან: ასევე, გვაქვს ყველაზე მეტი სასაზღვრო გადაკვეთა საქართველოში, რამაც მომწოდებლების დივერსიფიცირების საშუალება მოგვცა. (იხილეთ „ქსელი და ინფრასტრუქტურა“).

მიწოდების ქსელსა და მომხმარებელთა მომსახურებაში ლიდერობის შედეგად, „სილქნეტი“ ძლიერი ბრენდია საქართველოში. ჩვენ ვაპირებთ, კიდევ უფრო განვავითაროთ ჩვენი ბრენდები, რათა ავსახოთ ჩვენი ტექნოლოგიური წინსვლა.

გამოწვევადი მარეგულირებელი გარემო

ჩვენ მუდმივად ვაკვირდებით მარეგულირებელ გარემოს და მარეგულირებელთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან აქტიური და კონსტრუქციული კომუნიკაცია გვაქვს.

წინა წლებში ჩვენი ჩართულობა მარეგულირებელთან კონსულტაციებში წარმატებული აღმოჩნდა როგორც საცალო ფასების რეგულაციის მიმართულებით, რომელიც მარეგულირებელმა გააუქმა, ასევე ex ante MVNO რეგულაციის მიმართულებით, რომელიც მარეგულირებელმა რამდენჯერმე გადაავადა.

2024 წლიდან მოყოლებული, აქტიურად ვიყავით ჩართული კონსულტაციებში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

2024 წლის აგვისტოში მარეგულირებელმა კომისიამ 5G-ის სიხშირულ რესურსთან დაკავშირებით ახალი საჯარო საკონსულტაციო პროცესი დააინიცირა, მას შემდეგ რაც 5G-ის პირველი აუქციონი 2023 წლის აგვისტოში ჩატარდა, რომელშიც ქვეყნის სამი მობილური ოპერატორიდან მხოლოდ „სელფიმ“ მიიღო მონაწილეობა და იყიდა 5G-ის ლიცენზია. მარეგულირებელმა სიხშირეების ღირებულების კალკულაციის მეთოდი შეცვალა და მათი ფასი მნიშვნელოვნად გაზარდა. ამ ცვლილების მიზეზების ახსნა მარეგულირებელმა ვერ მოახერხა. „სილქნეტმა“ კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა. აღნიშნულ აუქციონში „მაგთიკომმა“ მიიღო მონაწილეობა და იყიდა 5G-ის ლიცენზია. 2024 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში „მაგთიკომმა“ 5G საქართველოს დიდი ქალაქების უმეტესობაში გაუშვა.

„სილქნეტმა“ არსებული სიხშირული რესურსის გამოყენებით 5G სერვისი პირველმა გაუშვა საქართველოში 2023 წლის დეკემბერში. კონკურენციის შესანარჩუნებლად და სრული მასშტაბით 5G ქსელის განვითარების ხელშესაწყობად, კომისიას 5G სიხშირული რესურსის აუქციონის დაინიცირების თაობაზე მივმართეთ. აუქციონი გაიმართა 2025 წლის ივნისის ბოლოს, „სილქნეტმა“ მონაწილეობა მიიღო აუქციონში და იყიდა სიხშირული ლიცენზიები – 2x5.0 მეგაჰერცი 700 მეგაჰერცის დიაპაზონში და 50.0 მეგაჰერცი 3500 მეგაჰერცის დიაპაზონში ჯამში 49 მილიონ ლარად.

ამას გარდა, მარეგულირებელმა 2024 წელს ექსპერტების დახმარებით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ორი პროდუქტის ბაზრის კვლევა ჩაატარა: 1. ფიქსირებული ქსელით მომსახურების ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზარი: 2. მობილური ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზარი.

2024 წლის აგვისტოში მარეგულირებელმა საბოლოო გადაწყვეტილება გამოაქვეყნა, „მაგთიკომი” ზემოხსენებულ ბაზრებში მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების (SMP) მქონე ერთპიროვნულ სუბიექტად დაასახელა და გარკვეული ვალდებულებები დააკისრა.

საბითუმო დაშვების აღნიშნული რეგულაციების დაწესებასთან ერთად, მარეგულირებელმა გააუქმა თავისი წინა გადაწყვეტილებები, რომლებიც „სილქნეტს“ (სხვა ოპერატორებთან ერთად) ერთდროული SMP-ის მფლობელებად აღიარებდა.

„მაგთიკომმა“ ზემოთ აღნიშნული ორივე ბაზრისთვის შეთავაზების დოკუმენტები გამოაქვეყნა, რომლებსაც თან ერთვის ორივე მხარის შენიშვნა – „მაგთიკომი“ შენიშნავს, რომ დაწესებულ რეგულაციებს არ ეთანხმება, ხოლო კომისია შენიშნავს, რომ დოკუმენტი არ არის საბოლოო და შესაძლოა, საჭირო გახდეს ცვლილებების განხორციელება.

უფრო მეტი დეტალისთვის იხილეთ „მარეგულირებელი გარემო“

გეოპოლიტიკური დაძაბულობის ფონზე გაზრდილი გაურკვევლობა

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, COVID-19-ისა და უკრაინის ომის ფონზე არსებულმა ეკონომიკურმა არასტაბილურობამ გავლენა ყველა სფეროზე მოახდინა და ბევრი გაურკვევლობა გამოიწვია.

კომპანია ისტორიულად სტაბილურ საოპერაციო ზრდას აჩვენებს. 2018-2024 წლების პერიოდში, ეკონომიკური არასტაბილურობის მიუხედავად, EBITDA-ს CAGR-მა 12% შეადგინა (2018 წელი დათვლილია „ჯეოსელის“ სრული წლის ეფექტის გათვალისწინებით). ჩვენმა დაბალანსებულმა და დისციპლინირებულმა გაფართოების პოლიტიკამ საშუალება მოგვცა, ძლიერი ინფრასტრუქტურული ქსელი შეგვენარჩუნებინა და გაგვევითარებინა. გვჯერა, რომ ძლიერი ფინანსური პოზიციითა და რისკების ფრთხილი მართვით შეგვიძლია, დავაკვირდეთ კონკურენტულ გარემოს, ეკონომიკური რყევების პერიოდში ვიყოთ მდგრადი და ვისარგებლოთ საქართველოში არსებული ახალი შესაძლებლობებით. (მეტი დეტალისთვის იხილეთ „ფინანსური შედეგები“)

სპეციფიკური უნარების თანამშრომლების საჭიროება

სატელეკომუნიკაციო ინდუსტრიაში დიდი მოთხოვნაა გამოცდილ და მცოდნე პერსონალზე და სამუშაო ბაზარზე მზარდია კონკურენცია ნიჭიერი კადრების მოზიდვის მხრივ.

ძლიერი კადრების წარმატებული აყვანისა და არსებული თანამშრომლების შენარჩუნების მიზნით ვცდილობთ, უნარების განვითარება წავახალისოთ, შევქმნათ კონკურენტული და მასტიმულირებელი სამუშაო გარემო, ადგილი, სადაც წახალისებულია მრავალფეროვნება, თანასწორობისა და ინკლუზიურობის კულტურა, ადამიანის უფლებები და ეთიკა.

გვჯერა, რომ კომპანიას ჰყავს ძლიერი და სტაბილური სამეთვალყურეო საბჭო და აღმასრულებელი გუნდი, საქართველოში მუშაობის დიდი გამოცდილებით. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსა და მმართველი გუნდის თითოეული წევრი საქართველოში სატელეკომუნიკაციო სექტორის ღრმა ცოდნას ფლობს და წამყვან სატელეკომუნიკაციო დაწესებულებებში მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება გააჩნია (იხილეთ „სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ბიოგრაფიები“ და „მმართველი გუნდის წევრების ბიოგრაფიები“).

გვჯერა, რომ ჩვენი მმართველი გუნდის შემადგენლობა გვაძლევს საშუალებას, ინფრასტრუქტურაში გაწეული არსებითი ინვესტიციების ფონზე, წარმატებით მივაღწიოთ ზრდის მიზნებს და გავაუმჯობესოთ საოპერაციო მაჩვენებლები. კომპანიის ხელმძღვანელობას სატელეკომუნიკაციო ინდუსტრიაში მუშაობის საშუალოდ თერთმეტწლიანი გამოცდილება აქვს. ჩვენ მუდმივად ვცდილობთ, გავაძლიეროთ მმართველობითი გუნდი და მოვიზიდოთ მრავალფეროვანი გამოცდილების მქონე ადამიანები, განსაკუთრებით, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სფეროში.

იხილეთ „მდგრადი განვითარების ანგარიში“.

ბაზრის მიმოხილვა

საქართველოს მოკლე მიმოხილვა

ჩვენ საქმიანობას, ძირითადად, საქართველოში ვაწარმოებთ და, შესაბამისად, ჩვენი საქმიანობის, ზრდისა და განვითარების შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, და მომავალშიც ექნება. საქართველოს ეკონომიკურ ფაქტორებს, მათ შორის, მარჯვენა მხარეს მოცემულ ცხრილში წარმოდგენილ ფაქტორებს

Key data


ფართობი		**69,700** კვ.კმ.
მოსახლეობა	მილიონი. 01.01.2025 მდგომარეობით	**3.7**
ნომინალური მშპ[1]	2024, მილიარდი ლარი	**91.9**
ნომინალური მშპ[1]	2024, მილიარდი აშშ დოლარი	**33.8**
ნომინალური მშპ-ის ზრდა[1]	2024	**13.6%**
რეალური მშპ-ის ზრდა[1]	2024	**9.4%**
ინფლაცია	2024-ის საშუალო	**1.1%**
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები როგორც მშპ-ის %[1]	31.12.2024	**4.6%**
უმუშევრობის დონე	2024	**13.9%**
სახელმწიფო ვალი როგორც მშპ-ის %[1]	31.12.2024	**36.1%**
ქვეყნის რეიტინგი	S&P 2025 წლის თებერვალი / Moody's 2024 წლის მარტი / Fitch 2024 წლის დეკემბერი	**BB/Ba2/BB**

წყარო: კომისია, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
[1] 2024 წინასწარი მონაცემები

მიმზიდველი გარემო
ბიზნესის წარმოებისთვის


გრაფიკი 1 — 2020 წლის რეიტინგი

ბიზნესის წარმოების სიმარტივე




გრაფიკი 2 — 2025 წლის რეიტინგი

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი




გრაფიკი 3 — 2024 წლის რეიტინგი

გლობალური კორუფციის ბარომეტრი



ბიზნესმეძრთამეობის რისკი



წყარო: საერთაშორისო გამჭვირვალობა, Heritage Foundation-ი, მსოფლიო ბანკი, Trace International-ი

საქართველო ბოლო ათწლეულის განმავლობაში ეკონომიკურად უსწრებდა რეგიონში არსებულ ქვეყნებს. 2024 წელს რეალური მშპ 9.4%-ით გაიზარდა და 1.1%-იანი საშუალო ინფლაცია დაფიქსირდა.

საქართველო ბიზნესის წარმოებისთვის მიმზიდველ გარემოს წარმოადგენს, რასაც აღიარებული მაღალი რეიტინგები მოწმობს.

მნიშვნელოვანი დემოგრაფიული ცვლილებები მოხდა საქართველოში უკანასკნელი ორი დეკადის განმავლობაში. „საქსტატის“ მიხედვით, სოფლად დასახლებების მოსახლეობა 2000 წლიდან 2024 წლამდე 23%-ით შემცირდა. 2024 წლის ბოლოსთვის მოსახლეობის დაახლოებით 62% – ქალაქებში, ხოლო 35% თბილისში ცხოვრობდა. ურბანიზაციის მაჩვენებლით საქართველო ევროკავშირის ქვეყნებს ჩამორჩება, თუმცა მომავალში მოსალოდნელია ამ სხვაობის შემცირება.

ურბანიზაციის ტენდენციის შედეგად, ქალაქებში, განსაკუთრებით _ თბილისსა და ბათუმში, შინამეურნეობების რაოდენობა გაიზარდა. ამავდროულად, შინამეურნეობის საშუალო ზომა წლების განმავლობაში მცირდებოდა.

გარდა ამისა, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 38% 30 წელს ქვემოთაა. ახალგაზრდების დიდი წილი მოსახლეობაში, თაობების ცვლასთან ერთად, მოსალოდნელია, რომ გაზრდის მოთხოვნას სატელეკომუნიკაციო პროდუქტებზე, განსაკუთრებით, მობილურ ინტერნეტზე, და გააძლიერებს სექტორის სამომავლო შესაძლებლობებს.

აღნიშნულ ტენდენციებზე ჩვენი სტრატეგიული რეაგირება გამოიხატება ფოკუსირებაში ქსელის განვითარებაზე ურბანულ რაიონებში და ოპორტუნისტულ მიდგომაში ნაკლებად მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში. ჩვენ განვახორციელეთ, და მოსალოდნელია, რომ მომავალშიც გავაგრძელებთ ინვესტიციებს ქსელის გაფართოებაში, უმეტესად, ურბანულ ზონებში, რათა დავაკმაყოფილოთ მზარდი მოთხოვნა ჩვენს მომსახურებაზე, განსაკუთრებით, ფიქსირებულ ინტერნეტზე, მობილურ ინტერნეტსა და pay TV მომსახურებაზე.




სატელეკომუნიკაციო სექტორის მიმოხილვა


2024 წელს სატელეკომუნიკაციო შემოსავლები 8%-ით წ/წ გაიზარდა, რაც გამოწვეულია ორგანული ზრდით _ მობილური ინტერნეტის საშუალო მოხმარების ზრდა და გაზრდილი საშუალო სააბონენტო ბაზა როგორც მობილურ, ასევე ფიქსირებულ სეგმენტებში.

გრაფიკი 5

სატელეკომუნიკაციო სექტორის საცალო შემოსავალი

მილიონი ლარი







გრაფიკი 6

მობილური სერვისების აბონენტების რაოდენობა[1]

მილიონი






გრაფიკი 7

ფიქსირებული სერვისების აბონენტების რაოდენობა[1]

მილიონი





[1]პერიოდის ბოლო

საქართველოს სატელეკომუნიკაციო სექტორის აბონენტთა ბაზა 2020-2024 წლების პერიოდში გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ მობილური სეგმენტის ბაზარზე უკვე მრავალი წელია, პენეტრაცია მაღალ ნიშნულზეა, აბონენტების ზრდის პოტენციალი მაინც არსებობს, რაც, ძირითადად, ქვეყანაში ეკონომიკურ აქტივობაზეა მიბმული: ასევე, მასზე მოქმედებს თაობათა ცვლა, რადგან მობილურის პენეტრაცია ახალგაზრდებში უფრო მაღალია. ფიქსირებული ინტერნეტისა და pay TV აბონენტების რაოდენობა 20%-ით წ/წ და 11%-ით წ/წ გაიზარდა, შესაბამისად, ხოლო ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტები 2020-2024 წლების პერიოდში 32%-ით წ/წ შემცირდა, რაც შესაბამისობაშია ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ბიზნესის გლობალურ კლებად ტენდენციასთან.

გაზრდილი მობილური, ფიქსირებული ინტერნეტის და pay TV-ს შემოსავლების შედეგად, სატელეკომუნიკაციო სექტორის შემოსავალმა 2024 წელს 1,453 მილიონი ლარი შეადგინა, რაც საქართველოს მშპ-ის 1.6%-ია (2020 წელს 916 მილიონ ლართან შედარებით, საქართველოს მშპ-ის 1.8%).

მობილური სეგმენტი შემოსავლის ყველაზე მნიშვნელოვან წყაროდ რჩება და 2024 წელს მთლიანი სატელეკომუნიკაციო სექტორის შემოსავლების 59% შეადგინა. საქართველოს სატელეკომუნიკაციო სექტორის ბაზარზე წარმოდგენილია სამი ძირითადი ოპერატორი, რომელთაგან „სილქნეტი“ და „მაგთიკომი“ – კონვერგენტული, ხოლო „სელფი“ მხოლოდ მობილური ოპერატორია.


მობილური

საქართველოში SIM ბარათების პენეტრაცია საკმაოდ მაღალი, 152%-ია, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ევროპული ქვეყნების უმეტესობას. ამ მოვლენის მთავარი მიზეზები – ქვეყანაში საკმაოდ მაღალი B2B SIM ბარათების პენეტრაცია და მულტი-SIM-ის მფლობელობის პრაქტიკაა.

გრაფიკი 8

მობილური სერვისების აბონენტების ევოლუცია

'000






გრაფიკი 9

მობილური სერვისების საცალო შემოსავლების ევოლუცია

მილიონი ლარი






2024 წელს მობილური სერვისების აბონენტების ზრდა, ძირითადად, გაზრდილ ეკონომიკურ და ტურიზმის აქტივობას უკავშირდება. მობილური შემოსავლის 10% წ/წ ზრდა გამოწვეულია მობილური ინტერნეტის მოხმარების ზრდისა და გაზრდილი ეკონომიკური და შემომავალი ტურიზმის აქტივობის შედეგად აბონენტების ზრდის შედეგად. 2024 წელს დანარჩენ ორ მობილურ ოპერატორზე მეტად გავიზარდეთ – „სილქნეტის“ შემოსავალი 11%-ით წ/წ გაიზარდა, ხოლო 176 ათასი წმინდა საბაბონენტო ნამატიდან (3% წ/წ ზრდა) 65% „სილქნეტს“ ეკუთვნოდა. 2020-2024 წლებში მობილური შემოსავლების ზრდას, ძირითადად, მობილური ინტერნეტის გაზრდილი მოხმარება განაპირობებდა.

გრაფიკი 10

მობილური ინტერნეტის პენეტრაცია საქართველოში

%




წყარო: კომისია

მობილური ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა. მობილური ინტერნეტის პენეტრაცია, 2020 წლის 58%-თან შედარებით, 2024 წელს 70%-მდე გაიზარდა, რაც ევროპულ ქვეყნებთან შედარებით ჯერ კიდევ დაბალია. თაობათა ცვლილების გათვალისწინებით, ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა კვლავ მოსალოდნელია.

გრაფიკი 11

საშუალო მობილური ინტერნეტის ტრაფიკი მომხმარებელზე

გბ/თვეში




წყარო: კომისია, Ericsson mobility visualizer

გრაფიკი 12

მობილური ინტერნეტის ტრაფიკი

'000 TB



წყარო: კომისია


ბოლო წლებში მობილური ინტერნეტის ტრაფიკის ზრდის მიუხედავად, საქართველოში მობილური ინტერნეტის საშუალო მოხმარება, რომელიც 2024 წელს ერთ მომხმარებელზე შეადგენს 14.0 გბ/თვეში, დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკასთან შედარებით დაბალია და ამ მიმართულებით ზრდის პოტენციალი კვლავ არსებობს.

2024 წელს „სილქნეტის“ მობილური ინტერნეტის ტრაფიკი 23%-ით წ/წ გაიზარდა, ხოლო საქართველოში მთლიანი ბაზარი – 19%-ით წ/წ.

გრაფიკი 13

მობილური B2C ARPU-ს ევოლუცია

ლარი




წყარო: კომისია

„სილქნეტის“ და „მაგთიკომის“ B2C ARPU-ები მნიშვნელოვნად აღემატება „სელფის“ B2C ARPU-ს. „სელფის“ B2C ARPU 2024 წელს 24%-ით წ/წ გაიზარდა, რაც, ძირითადად, ტარიფების კორექტირების შედეგია. „სილქნეტმა“ და „მაგთიკომმა“ ტარიფების მნიშვნელოვანი კორექტირებები 2022 წლის განმავლობაში განახორციელეს, როდესაც „სელფიმ“ ეს მხოლოდ მცირე მასშტაბებით გააკეთა.

გრაფიკი 14

მობილური ხმოვანი ტრაფიკი

მილიონი წუთი




წყარო: კომისია

2024 წელს მობილური ხმოვანი ტრაფიკის შემცირება, ძირითადად, მობილური ხმოვანი სერვისის მობილური ინტერნეტის სერვისით ჩანაცვლებით არის განპირობებული, რაც თანხვედრაშია გლობალურ ტენდენციებთან.

გრაფიკი 15


მობილური სერვისების ბაზრის წილის განაწილება საცალო შემოსავლების მიხედვით 2024 წელს



წყარო: კომისია

გრაფიკი 16

მობილური სერვისების ბაზრის წილის განაწილება აბონენტების მიხედვით 2024 წლის ბოლოს



წყარო: კომისია


2024 წელს ბაზარზე მეტად გავიზარდეთ, რამაც ბაზრის წილის მცირე ზრდა გამოიწვია. ჩვენი სააბონენტო და შემოსავლის ბაზრის წილები 1.0 და 0.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, შესაბამისად.

ფიქსირებული ინტერნეტი

გრაფიკი 17

ფიქსირებული ინტერნეტის აბონენტების ევოლუცია[1]

'000



წყარო: კომისია


ფიქსირებული ინტერნეტის აბონენტების რაოდენობა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სატელეკომუნიკაციო სექტორის სეგმენტებს შორის ყველაზე სწრაფად, 4.6%-იანი CAGR-ით, გაიზარდა და 2024 წელს საქართველოს შინამეურნეობების 97%-ს მიაღწია. მიუხედავად მაღალი პენეტრაციისა (ოფიციალური მაჩვენებელი, რომელიც 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგებს ეფუძნება, სავარაუდოდ, რეალურ მაჩვენებელზე დაბალია), ურბანიზაციისა და შინამეურნეობების საშუალო ზომის შემცირების შედეგად, მომავალ წლებში აბონენტების რაოდენობის ზრდას კვლავ ველოდებით.

[1] თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, გორი, თელავი, ფოთი, ხაშური, ქობულეთი და ზუგდიდი

გრაფიკი 18

ფიქსირებული ინტერნეტის შემოსავლების ევოლუცია

მილიონი ლარი




წყარო: კომისია

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „სილქნეტი“ და „მაგთიკომი“ ერთად, ფიქსირებული ინტერნეტის ბაზრის წილის დაახლოებით 80%-ს ფლობენ, აბონენტების რაოდენობის მიხედვით.

გრაფიკი 19


ფიქსირებული ინტერნეტის ბაზრის წილის განაწილება შემოსავლების მიხედვით 2024 წელს



წყარო: კომისია

გრაფიკი 20

მობილური სერვისების ბაზრის წილის განაწილება აბონენტების მიხედვით 2024 წლის ბოლოს




წყარო: კომისია

2024 წელს „სილქნეტს“ აბონენტების ნეტო აყვანებში ყველაზე დიდი წილი ჰქონდა – ბაზრის 52% FTTH-ში და ბაზრის 73% B2C FTTH სეგმენტში საქართველოში ათ ყველაზე დიდ ქალაქში[1], სადაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში „სილქნეტის“ სააბონენტო ბაზრის წილი იზრდება.

გრაფიკი 21

B2C FTTH აბონენტების რაოდენობის ნაზარდი 10 უდიდეს ქალაქში[1]


'000



წყარო: კომისია

გრაფიკი 22

B2C FTTH აბონენტების რაოდენობა 10 უდიდეს ქალაქში[1]



წყარო: კომისია


წყარო: კომისია

ქსელის გაფართოების მიმართ ჩვენი მიდგომა რჩება შერჩევითი: ნაკლებად მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებში ქსელის განვითარებით ბაზრის წილის ზრდა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს.

B2B სეგმენტში ჩვენ ბაზრის ლიდერი ვართ როგორც შემოსავლით, ასევე აბონენტების რაოდენობით.

გრაფიკი 23


ფიქსირებული ინტერნეტის B2C ARPU-ს ევოლუცია



წყარო: კომისია

გრაფიკი 24

ფიქსირებული ინტერნეტის აბონენტების ევოლუცია ტექნოლოგიების მიხედვით



წყარო: კომისია


ჩვენი სააბონენტო ბაზა ფიქსირებული ინტერნეტის სეგმენტში ზრდადია. FTTH მომხმარებელთა რიცხვი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. „სილქნეტის“ DSL აბონენტების უმრავლესობა ჩანაცვლებულია FTTH ტექნოლოგიით და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მხოლოდ 10 ათასი DSL აბონენტია დარჩენილი.

2019 წლიდან ჩვენ მოვიპოვეთ ქვეყნის ელექტროქსელზე წვდომა ოპტიკური ქსელის განლაგებისთვის, რამაც შესაძლებლობა მოგვცა, ამ მიმართულებით კონკურენტების უპირატესობა გაგვებათილებინა. ჩვენ მივაღწიეთ წინსვლას ქსელის გაფართოების მიმართულებით შინაგან საქმეთა სამინისტროსთან (შსს) დადებული კონტრაქტით.

ჩვენი FTTH აბონენტების უმეტესობა იყენებს „2-play“ შეთავაზებებს, ძირითადად, IPTV-ს (იხილეთ „ჩვენი მომხმარებლები“). „სილქნეტს“ B2C FTTH სეგმენტში ფიქსირებული ინტერნეტისა და ტელევიზიის პაკეტური შეთავაზებების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ბაზარზე – 79% 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „მაგთიკომის“ 70%-თან შედარებით.

გრაფიკი 25

B2C FTTH სეგმენტში ფიქსირებული ინტერნეტისა და ტელევიზიის პაკეტური შეთავაზებების მაჩვენებელი[1]




წყარო: კომისია

PAY TV

Pay TV-ის აბონენტების პენეტრაციამ 2024 წელს შინამეურნეობის 68%-ს მიაღწია.

გრაფიკი 26


PAY TV-ის აბონენტების ევოლუცია



წყარო: კომისია

გრაფიკი 27

PAY TV-ის შემოსავლების ევოლუცია




წყარო: კომისია

IPTV-ზე მოთხოვნა სულ უფრო იზრდება და ის რჩება ყველაზე პოპულარულ ტექნოლოგიად საქართველოში. IPTV ტექნოლოგიაში 2024 წლის ბოლოს სააბონენტო ბაზრის 38%-იანი წილი გვეჭირა.

[1] თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, გორი, თელავი, ფოთი, ხაშური, ქობულეთი და ზუგდიდი

გრაფიკი 28


PAY TV-ის ბაზრის წილის განაწილება აბონენტების მიხედვით 2024 წლის ბოლოს



წყარო: კომისია

გრაფიკი 29

PAY TV-ის ბაზრის წილის განაწილება შემოსავლების მიხედვით 2024 წელს



წყარო: კომისია


2024 წლის ბოლოს pay TV-ის სააბონენტო ბაზრის წილი 35%-ია, ხოლო ფიქსირებულ ინტერნეტში – 31%. აღნიშნული სხვაობა, ისტორიულად, ბაზარზე უნიკალური კონტენტისა და წარმატებული პაკეტური შეთავაზებების შედეგია. ბოლო პერიოდში სპორტული კონტენტის სხვა კომპანიებთან გაზიარების მიუხედავად, ჩვენი ახლანდელი პორტფელი ბაზარზე კვლავ კონკურენტულია. ასევე, ვცდილობთ ჩვენი მომხმარებლებისთვის კონტენტის მიწოდების შეთავაზებების გაფართოებას. ჩვენ მომხმარებლებს video-on-demand (VOD) და სტრიმინგის სერვისებს ვთავაზობთ, აგრეთვე, სატელევიზიო არხებს.

საოპერაციო გარემო კვლავ გამოწვევად რჩება არალეგალური კონტენტის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, ძირითადად – საერთაშორისო წყაროების საშუალებით. ამ კუთხით, ბაზარზე შეინიშნება რამდენიმე წამახალისებელი გარემოება. გარკვეულ უცხოურ ვებგვერდებზე წვდომა დაიბლოკა და კონტენტის უმეტესი ნაწილი, რომელსაც მომხმარებლებს ჩვენი „VOD“ და სტრიმინგის სერვისების საშუალებით ვთავაზობთ, ამოღებულია ზოგიერთი პოპულარული ქართული ვებგვერდიდან. სამომავლო ცვლილებებმა რეგულაციების კუთხით, საქართველოს ევროკავშირში ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, შესაძლოა, ამ პროცესს კიდევ უფრო შეუწყოს ხელი.

გრაფიკი 30

PAY TV-ის ARPU-ს ევოლუცია

ლარი



წყარო: კომისია

ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება


მობილური სერვისებით ჩანაცვლების შედეგად, ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების სეგმენტში უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში 5.7%-იანი უარყოფითი CAGR-ი დაფიქსირდა. შემოსავლის ზრდა ფიქსირებული ინტერნეტის, pay TV-ისა და მობილურის სეგმენტებში აკომპენსირებს ამ შემცირებას.

ჩვენ ვართ ბაზრის ლიდერები როგორც აბონენტთა რაოდენობის, ასევე შემოსავლების მიხედვით. ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების საერთო რაოდენობამ საქართველოში 2024 წლის ბოლოს დაახლოებით 0.3 მილიონი შეადგინა.

გრაფიკი 31

ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების საცალო შემოსავლების ევოლუცია

მილიონი ლარი



წყარო: კომისია



მარეგულირებელი გარემო

საქართველოს სატელეკომუნიკაციო სექტორში საქმიანობა სხვადასხვა კანონითა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის („კომისია“) მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტებით რეგულირდება. კომისია არის დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო, რომელიც არეგულირებს როგორც ელექტრონული კომუნიკაციების, ისე მაუწყებლობის სფეროებს. მარეგულირებულ გარემოსთან დაკავშირებული უკანასკნელი მოვლენები ქვემოთ არის განხილული.

5G

საქართველოში პირველი 5G აუქციონები 2023 წლის აგვისტოში ჩატარდა საჯარო კონსულტაციების შედეგად, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, არ მიგვეღო მონაწილეობა აუქციონებში, ვინაიდან მარეგულირებელმა ვერ დააკმაყოფილა ჩვენი ძირითადი მოთხოვნები. ქვეყნის სამი მობილური ქსელის ოპერატორიდან მხოლოდ „სელფიმ“ (ყოფილი „ვიონი საქართველო“) მიიღო მონაწილეობა აუქციონში და შეიძინა 5G სიხშირული რესურსი.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, „სილქნეტმა“ შეძლო, გამხდარიყო პირველი ოპერატორი, რომელმაც 2023 წლის დეკემბერში საქართველოში ხელმისაწვდომი გახადა 5G მომსახურება, მის სარგებლობაში არსებული რადიოსიხშირული რესურსის გამოყენებით.

2024 წლის აგვისტოში კომისიამ მეორე საჯარო საკონსულტაციო პროცესი დაიწყო 5G აუქციონებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ 2023 წლის აუქციონის შედეგად ვერ განხორციელდა სიხშირული რესურსის უდიდესი ნაწილის გაცემა, კომისიამ ლიცენზიების საფასური მნიშვნელოვნად გაზარდა. ფასის ზრდა, ძირითადად, განპირობებული იყო სიხშირული რესურსის შეფასების მეთოდოლოგიის ცვლილებით, კერძოდ, რესურსის საფასურის დაანგარიშებისას გამოყენებული ბიზნესმოდელირების მეთოდოლოგიის ცვლილებით „ბენჩმარკინგის“ მეთოდოლოგიით. კომისიამ ვერ დაასაბუთა და/ან განმარტა, რაში მდგომარეობდა სიხშირული რესურსის საფასურის გაანგარიშების მეთოდოლოგიის ცვლილების და, შედეგად, ლიცენზიების საწყისი საფასურის ზრდის საფუძველი. მიუხედავად აღნიშნულისა, „მაგთიკომმა“ მონაწილეობა მიიღო აუქციონებში, შეიძინა 5G სიხშირული რესურსი და 2024 წლის მეოთხე კვარტალში 5G სერვისი საქართველოს დიდი ქალაქების უმეტესობაში გაუშვა.

საქართველოში სრულმასშტაბიანი 5G მომსახურების დანერგვის მიზნით, 2025 წლის მარტში „სილქნეტმა“ კომისიას 5G სიხშირული აუქციონის გამოცხადების მოთხოვნით მიმართა. აუქციონი გაიმართა 2025 წლის ივნისის ბოლოს, „სილქნეტმა“ მონაწილეობა მიიღო აუქციონში და იყიდა სიხშირული ლიცენზიები – 2x5.0 მეგაჰერცი 700 მეგაჰერცის დიაპაზონში და 50.0 მეგაჰერცი 3500 მეგაჰერცის დიაპაზონში ჯამში 49 მილიონ ლარად.

საბითუმო ბაზრების რეგულირება და საცალო ბაზრების დერეგულაცია

2023-2024 წლებში კომისიამ, ევროკავშირის დაფინანსებული პროექტის ფარგლებში დაქირავებული ევროპელი ექსპერტების დახმარებით, ჩაატარა ბაზრის კვლევა და შეაფასა შემდეგი ორი მომსახურების ბაზარი:

1. ფიქსირებული ქსელით მომსახურების ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების საბითუმო ბაზარი;

2. მობილური ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზარი.

2024 წლის აგვისტოში კომისიამ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება და „მაგთიკომი“ განსაზღვრა ერთპიროვნულად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორად ორივე ზემოთ მოცემულ ბაზარზე. „მაგთიკომს“ დაეკისრა კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების სრული სპექტრი, სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულების ჩათვლით.

საბითუმო დაშვების ბაზრების დარეგულირებასთან ერთად, კომისიამ ძალადაკარგულად ცნო მის მიერ წინა პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებები, რომლითაც „სილქნეტი“, სხვა ოპერატორ(ებ)თან ერთად, ცნობილი იყო ერთობლივად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირად.

„მაგთიკომმა“ ზემოთ აღნიშნული ორივე ბაზრისთვის შეთავაზების დოკუმენტები გამოაქვეყნა, რომლებსაც თან ერთვის ორივე მხარის შენიშვნა – „მაგთიკომი“ შენიშნავს, რომ დაწესებულ რეგულაციებს არ ეთანხმება, ხოლო კომისია შენიშნავს, რომ დოკუმენტი არ არის საბოლოო და შესაძლოა, საჭირო გახდეს ცვლილებების განხორციელება.

2025 წლის განმავლობაში კომისია გეგმავს, შემდეგი ბაზრების კვლევა-ანალიზი ჩაატაროს:

- პასიურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების საბითუმო ბაზარი;
- მაღალი ხარისხის ფართოზოლოვანი მომსახურების საცალო ბაზარი;
- საბითუმო IP ტრანზიტის ბაზარი;
- საბითუმო ზარის წამოწყებისა და დასრულების ბაზრები.



მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონი

2025 წლის აპრილში საქართველოს პარლამენტმა მიიღო „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებები. კანონის ამჟამინდელი რედაქცია კრძალავს მაუწყებლის მიერ სოციალური რეკლამის განთავსების სანაცვლოდ პირდაპირი ან არაპირდაპირი დაფინანსების მიღებას. კანონი ასევე კრძალავს მაუწყებლის მიერ დაფინანსების მიღებას „უცხოური ძალისგან“, გარდა კომერციული რეკლამისა, ტელეშოპინგისა, სპონსორობისა და პროგრამაში პროდუქტის (საქონლის/მომსახურების) განთავსებისა. ამასთანავე, აკრძალულია უცხოური ძალის მიერ მაუწყებლის მომსახურების შესყიდვა (გარდა კომერციული რეკლამისა და პროგრამაში პროდუქტის (საქონლის/მომსახურების) განთავსებისა) ან/და პროგრამის მომზადების ან/და ეთერში გადაცემის პირდაპირი ან ირიბი დაფინანსება ან/და თანადაფინანსება.

შეცვლილი კანონი ახალ რეგულირებას გვთავაზობს პიროვნების პირადი ცხოვრებისა ან/და იურიდიული პირების საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების წესთან დაკავშირებით. კანონი ასევე აწესრიგებს მაუწყებლის მიერ ფარული მეთოდის გამოყენებით ინფორმაციის მოპოვება–გადაცემის, შეიარაღებული დაპირისპირების, უბედური შემთხვევის ან/და საგანგებო ვითარების გაშუქების საკითხებს.

ცვლილებების ძალით გაფართოვდა იმ საკითხთა ნუსხა, რომლებიც არ არის მიკუთვნებული მაუწყებლების თვითრეგულირების ორგანოების ერთპიროვნულ კომპეტენციას. შესაბამისად, თუ მაუწყებელი არღვევს გარკვეულ ეთიკურ ნორმებს ან პროფესიულ სტანდარტებს, რომლებიც უკავშირდება სიზუსტეს, სამართლიანობასა და მიუკერძოებლობას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ფარული მეთოდების გამოყენებით ინფორმაციის მოპოვებასა და გადაცემას, სიძულვილის ენას, შეიარაღებული კონფლიქტის, უბედური შემთხვევის ან საგანგებო სიტუაციების გაშუქებასთან დაკავშირებულ საკითხებს, აღნიშნული დაექვემდებარება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მხრიდან განხილვასა და გადაწყვეტას, რაც, მათ შორის, მოიაზრებს მაუწყებლების დასანქცირების უფლებამოსილებას კანონმდებლობის შესაბამისად.

მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე, კომისიამ 2024 წლის ივნისში მიიღო ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებელთა ქცევის კოდექსი და გამოძახებით აუდიო–ვიზუალური მედიამომსახურების მიმწოდებელთა ქცევის კოდექსი.

ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებელთა ქცევის კოდექსი განსაზღვრავს ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიწოდების კრიტერიუმებს, ასევე მომსახურების მიმწოდებელთა უფლებებს და მოვალეობებს. კოდექსი ავალდებულებს ვიდეოგაზიარების პლატ–ფორმის მომსახურების მიმწოდებელს, მიიღოს ზომები ისეთ ვიდეორგოლთან ან პროგრამასთან მიმართებით, რომელმაც შესაძლებელია ზიანი მიაყენოს არასრულწლოვანის ფიზიკურ, გონებრივ ან მორალურ განვითარებას, ან რომელიც შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, ან შეიცავს სიძულვილის ენას და ახდენს პირის სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციას.

გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიმწოდებელთა ქცევის კოდექსი მომსახურების მიმწოდებლისთვის ადგენს არსებითად იმავე მოთხოვნებს, რომლებიც დადგენილია მაუწყებლის მიმართ მაუწყებლობის შესახებ კანონითა და მაუწყებელთა ქცევის კოდექსით.

ორივე კოდექსი ამოქმედდა 2025 წლის პირველი იანვრიდან.

საქართველოს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ

2021 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა 2012 წელს მიღებულ საქართველოს კანონში ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ. ცვლილე–ბების მიზანია მონაცემთა უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების გაძლიერება როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. საქართველოს კანონი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ არასრულად, თუმცა გარკვეულ ნაწილებში ეხმიანება ISO სტანდარტებს ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

პირველი ეტაპით განსაზღვრული საკანონმდებ–ლო ვალდებულებების შესასრულებლად კომპა–ნიებს განესაზღვრათ ვადა 2025 წლის 30 დეკემ–ბრამდე, ხოლო მეორე ფაზისთვის დამატებით გათვალისწინებულია ერთწლიანი პერიოდი.

სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ რეგულაციები

2023 წლის ივნისში გამოქვეყნდა საქართველოს კანონი სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ. კანონი სრულად 2024 წლის ივლისში ამოქმედდა, თუმცა ინფრასტრუქტურასთან ექსკლუზიურად დაშვების აკრძალვა და ავტორიზებული პირე–ბისთვის ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან დაშვების ვალდებულება (მანამდე შეთანხმებული ექსკლუ–ზიურობის პირობის არსებობის მიუხედავად), ძალაში შევიდა კანონის გამოქვეყნებისთანავე.

კანონის მიზანია ხელი შეუწყოს ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარებას სატელეკომუნი–კაციო ინფრასტრუქტურასა და ფიზიკურ ინფრა–სტრუქტურასთან დაშვების გზით.

კანონი ეფუძნება ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2014/61/EU დირექტივას მაღალსიჩქარიანი ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების დანერგვის ხარჯის შემცირებასთან და–კავშირებული ზომების თაობაზე, რომელიც მიღებუ–ლია 2014 წლის 15 მაისს.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია არის კანონის იმპლემენტაციასა და აღსრულებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ უფლებამოსილების გათვალისწინებით, 2024 წელს კომისიამ მიიღო კანონქვემდებარე ნორმა–ტიული აქტები, რომლებიც, მათ შორის, ადგენს სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურასა და სატელეკომუნიკაციო მიზნისთვის გამოყენებად ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან წვდომის საკით–ხებს ავტორიზებული პირებისთვის (ტელეკომ ოპერატორებისთვის). წვდომის საფასურის გამოან–გარიშების მეთოდოლოგიას, განსაზღვრავს ინსტრუქ–ციებს, საინფორმაციო პლატფორმის ოპერირებისა და ადმინისტრირებისთვის. მას მერე, რაც საინფორ–მაციო პლატფორმა ოპერაციულად გაიმართება (ეს კი მხარეთა მხრიდან მოთხოვნილი ინფორმაციის პლატფორმაზე განთავსების შესაძლებლობას გულისხმობს), ის შეასრულებს ისეთი საინფორმაციო ჰაბის ფუნქციას, რომელშიც განთავსდება სატელე–კომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკო–მუნიკაციო მიზნისთვის გამოყენებადი ინფრასტრუქ–ტურის რაოდენობის, ლოკაციის, ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმაცია. ამასთან, ხელმისაწვდომი იქნება ინფორმაცია საზოგადოებრივი დანიშნულების სამშენებლო სამუშაოების შესახებ. ჰაბი ასევე ხელს შეუწყობს უკეთეს კოორდინაციას ყველა ჩართულ პირს (ავტორიზებული პირები/ინფრასტრუქტურის ოპერა–ტორები/ადმინისტრაციული ორგანოები) შორის.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმა–ტიული აქტები

2023 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს ახალი კანონი, რომელიც ძალაში 2024 წლის 1 მარტიდან შევიდა. კანონი ევროკავშირის მონაცემთა დაცვის რეგულაციის (GDPR) მიხედვით შემუშავდა და, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნით, ყოვლისმომცველ და მკაცრ მოთხოვნებს ითვალისწინებს. ძირითადი სამართლებრივი ცვლილებები, რომლებიც ძალაში 2024 წლის 1 მარტიდან შევიდა, მოიცავს შემდეგ საკითხებს:

პირდაპირ მარკეტინგთან დაკავშირებული შეზღუდვები: ახალი კანონის თანახმად, პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების მიზნით მონაცემთა დამუშავება მონაცემთა სუბიექტის თანხმობას საჭიროებს. აღნიშნული მოთხოვნა სიახლეს წარმოადგენს, რადგან მანამდე მოქმედი კანონი იძლეოდა საშუალებას, მონაცემთა სუბიექტის გარკვეული მონაცემები პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავებულიყო თანხმობის გარეშე, თუ მონაცემები კანონიერი გზით იყო მოპოვებული.

პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების მოთხოვნები: ახალი კანონი ითვალისწინებს უსაფრთხოების გამკაცრებულ მოთხოვნებს მონა–ცემებზე არაავტორიზებული წვდომისაგან დაცვისა და მონაცემებთან დაკავშირებული ინციდენტების თავიდან არიდების მიზნით. კანონით ასევე გათვალისწინებულია ვალდებულება პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული ინციდენტების აღრიცხვის და, ზოგიერთ შემთხვევაში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ან მონაცემთა სუბიექტების ინციდენტის თაობაზე ინფორმირების შესახებ.

მონაცემთა თანადამუშავება: პერსონალურ მონა–ცემთა დაცვის შესახებ ახალი კანონი ითვალისწი–ნებს მონაცემთა თანადამუშავების ცნებას, რასაც არ ითვალისწინებს მოქმედი კანონი.

გაზრდილი სანქციები: პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ახალი კანონი ითვალისწინებს გაზრდილ ჯარიმებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მოთხოვნების დარღვევისათვის.

სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნა საქართველოს ფარგლებს გარეთ რეგის–ტრირებული დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ: უცხოური კომპანიები, რომლებიც ამუშავებენ პერსონალურ მონაცემებს ტექნიკური საშუალებებით საქართველოს ტერიტორიაზე, ვალდებულნი არიან, დანიშნონ ქვეყანაში სპეციალური წარმომადგენელი, რომელიც აკონტროლებს მონაცემთა დაცვის საკითხებს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავში–რებული საქმიანობის დაწყებამდე.

გარდა ამისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ახალი კანონით ხდება მონაცემთა დაცვის ოფიცრის, როგორც ზედამხედველი ორგანოს, შემოღება, რომელიც თავის მხრივ შეაფასებს კომპანიის საქმიანობის შესაბამისობას მონაცემთა დაცვის რეგულაციებთან.

კანონის მიღების შემდეგ საქართველოს პერ–სონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა მიიღო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც მიზნად ისახავს კანონის გარკვეული მოთხოვნების

სათანადო შესრულებას. აღნიშნული ნორმატიული აქტები ადგენს კრიტერიუმებს/მოთხოვნებს: ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი ინციდენტის განსაზღვრისა და აღნიშნული ინციდენტის შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის შეტყობინების წესის შესახებ: პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების (DPIA) შესრულების წესის შესახებ: პერსონალური მონაცემების სხვა სახელმწიფოსა ან/და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემაზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ნებართვის გაცემის შესახებ და პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის შესახებ.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა ასევე გამოსცა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების განახლებული ნუსხა.

საქართველოს კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ახალი კანონის მიღებასთან ერთად, საქართველოს პარლამენტმა ასევე მიიღო ცვლილებები საქართველოს კანონში ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ, რომელიც ძალაში 2024 წლის 1 მარტს შევიდა. ცვლილებები ადგენს ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიის მიერ მონაცემთა დამუშავების, მათ შორის, შენახვის მაქსიმალურ ვადებს, რომელთა ამოწურვის შემდგომაც კომპანია ვალდებულია, გაანადგუროს პერსონალური მონაცემები.

ცვლილების მიზანია, უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვა. ვინაიდან ამ მომენტისათვის ძალაშია მსგავსი შინაარსის საკანონმდებლო რეგულირება, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ კანონმდებლობის ცვლილებამ გავლენა იქონიოს კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაზე.

უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი

2025 წლის პირველ აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი (შემდგომში: „FARA" ან/და „კანონი"), რომელიც მეტწილად ეფუძნება აშშ-ს აქტს უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის თაობაზე.

FARA-ს საფუძველზე, 2025 წლის 31 მაისიდან უცხოური პრინციპალის ზოგიერთი აგენტი ვალდებული იქნება, გაიაროს აგენტად რეგისტრაცია სსიპ ანტიკორუფციულ ბიუროში, წარადგინოს არაერთი დოკუმენტი/ინფორმაცია აგენტისა და უცხოური პრინციპალის თაობაზე, ასევე, ბიუროს წარუდგინოს აგენტის მიერ უცხოური პრინციპალის ინტერესების სასარგებლოდ გავრცელებული საინფორმაციო მასალის ეგზემპლარები და მოახდინოს ამ საინფორმაციო მასალის სათანადოდ ნიშანდება. აგენტი ასევე ვალდებულია, აგენტად ყოფნის მთელი პერიოდის მანძილზე, აგრეთვე, ამ სტატუსის დაკარგვიდან, სულ მცირე, 3 წლის განმავლობაში შეინახოს დოკუმენტები და ჩანაწერები, რომლებიც მის საქმიანობას უკავშირდება.

FARA-ს მიზნებისათვის უცხოური პრინციპალი არის უცხო ქვეყნის ხელისუფლება ან უცხოური პოლიტიკური პარტია, უცხოეთის მოქალაქე ან უცხო ქვეყანაში დაფუძნებული პირი. საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში დაფუძნებული პირი შესაძლოა იყოს უცხოური პრინციპალი, თუ მისი მუდმივი საცხოვრებელი ან საქმიანობის ძირითადი ადგილი არ არის საქართველო. აგენტი არის პირი, რომელიც უცხოური პრინციპალის სასარგებლოდ საქართველოში ახორციელებს პოლიტიკურ საქმიანობას, არის მისი მრჩეველი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში, სარეკლამო აგენტი ან საინფორმაციო სამსახურის თანამშრომელი, უცხოური პრინციპალის სასარგებლოდ აგროვებს ან გასცემს ფულს, ან წარმოადგენს უცხოური პრინციპალის ინტერესებს საქართველოს ხელისუფლების წინაშე და ა.შ.

გამონაკლისის სახით, აგენტი თავისუფლდება რეგისტრირებისა და ანტიკორუფციული ბიუროსათვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებისაგან, თუ ის არის დიპლომატიური და საკონსულო თანამდებობის პირი, ახორციელებს კერძო და არაპოლიტიკურ საქმიანობას, უცხოურ პრინციპალთან კეთილსინდისიერი ვაჭრობის განსავითარებლად ან საქმიანობას, რომელიც უპირატესად არ ემსახურება უცხო ქვეყნის ინტერესებს, ახორციელებს ჰუმანიტარულ საქმიანობას და სხვ.

FARA-ს დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს პირის დაჯარიმება, ან განსაკუთრებულ შემთხვევებში, პირის თავისუფლების აღკვეთა 5 წლამდე.

მოსალოდნელი განვითარებები

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა საკანონმდებლო აქტებზე, ელექტრონული კომუნიკაციებისა სფეროში არსებული რეგულაციების ევროკავშირში მოქმედ დირექტივებთან ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად, რაც გათვალისწინებულია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით.

დაგეგმილი ცვლილებები მოიცავს ლიცენზირება-ავტორიზაციასთან, რადიოსიხშირული რესურსის მართვასთან, როუმინგულ და უნივერსალური მომსახურების ვალდებულებებთან დაკავშირებულ რეგულაციებს.



ფინანსური შედეგები

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

მილიონი ლარი	2022	2023	2024	წ/წ 24-23
შემოსავალი	**473.0**	**536.4**	**582.0**	**8%**
კომერციული შემოსავალი	428.2	487.9	530.1	**9%**
შემოსავალი ოპერატორებისგან	44.9	48.6	51.9	**7%**
EBITDA	**284.1**	**337.9**	**369.9**	**9%**
EBITDA-ს მარჟა %	60.1%	63.0%	63.6%	
EBITDAaL	**270.4**	**324.4**	**357.3**	**10%**
EBITDAaL-ს მარჟა %	57.2%	60.5%	61.4%	
კაპიტალური დანახარჯები[1]	**83.9**	**77.5**	**81.5**	
კაპიტალური დანახარჯები/შემოსავალი %	17.7%	14.4%	14.0%	
წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადები	**186.5**	**247.0**	**275.8**	**11%**
წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადების მარჟა %	39.4%	46.0%	47.4%	

2024 წელს შემოსავლების 8% წ/წ ზრდა, ძირითადად, კომერციული შემოსავლის 9% წ/წ ზრდამ განაპირობა, რაც ორგანული ფაქტორების, ძირითადად, მობილური დატა მოხმარების და მობილური და ფიქსირებული აბონენტების საშუალო რაოდენობის ზრდის შედეგია.

შემოსავლის სოლიდურ ორგანულ ზრდასთან ერთად, საოპერაციო ხარჯების ზრდა შემოსავლების ზრდას ოდნავ ჩამორჩა და 7%-ით წ/წ, გაიზარდა, რისი ძირითადი მიზეზი ხელფასებისა და სარგებლის 13%-იანი წ/წ ზრდაა, ძირითადად, 2021 და 2022 წლების ინფლაციის ეფექტის 2023 და 2024 წლებში გავრცელებით გამოწვეული. შედეგად, EBITDAaL 2024 წელს 10%-ით წ/წ გაიზარდა.

ქსელსა და ინფრასტრუქტურაში ინვესტიცია 2024 წელსაც გავაგრძელეთ, გავაფართოეთ FTTH ქსელის დაფარვა, ასევე, გავაუმჯობესეთ 4G ქსელი. შედეგად, კაპიტალურმა დანახარჯებმა 81.5 მილიონი ლარი, შემოსავლების 14%, შეადგინა.

გაზრდილი EBITDAaL-ის და კაპიტალური დანახარჯების ნორმალიზებული დონის შედეგად, 2024 წელს წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადები 11%-ით წ/წ გაიზარდა, რაც ასევე სოლიდურ, 47%-იან წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადების მარჟაში გამოიხატა (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „ფულადი ნაკადები და ლიკვიდობის მართვა“, ქვემოთ, ამავე სექციაში).

საკრედიტო რეიტინგი

ქართულ ფინანსურ ბაზრებზე რამდენიმე ტრანზაქციის შემდგომ (განხილულია ლევერიჯის სექციაში), 2019 წლის აპრილში გამოვუშვით 200 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ევრიობლიგაციები, პირველი კორპორაციული (არაფინანსური ინსტიტუტი და არასუვერენულთან დაკავშირებული) გამოშვება საქართველოდან, რომელსაც მოჰყვა 300 მილიონი აშშ დოლარის ევრიობლიგაციების გამოშვება 2022 წლის იანვარში, საიდანაც 50 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ევრიობლიგაციები მყისიერად გამოვისყიდეთ. ტრანზაქციიდან მიღებული თანხით, არსებული 200 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ევრიობლიგაციები და 34 მილიონი ლარის ობლიგაციები გამოვისყიდეთ.

ჩვენ საკრედიტო რეიტინგი გვაქვს 2016 წლიდან. რეიტინგის უკანასკნელი განახლებები მოცემულია ქვედა ცხრილში:

	Moody's	Fitch
გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი	B1 (იან 24)	B+ (იან 25)
სესხის რეიტინგი	B1 (იან 24)	BB- (იან 25)
პროგნოზი	სტაბილური	სტაბილური

მოგება-ზარალის ანგარიშგება (დარეკლასიფიცირებული)


მილიონი ლარი	2022	2023	2024	წ/წ 24-23
შემოსავალი:	**473.0**	**536.4**	**582.0**	**8%**
კომერციული შემოსავალი	428.1	487.9	530.1	9%
ოპერატორებისგან მიღებული შემოსავალი	44.9	48.6	51.9	7%
ხარჯები:	**(188.8)**	**(198.5)**	**(212.1)**	**7%**
ხელფასები და სარგებლები	(68.5)	(75.0)	(84.7)	13%
სხვა ხარჯები	(21.2)	(21.6)	(23.9)	11%
შეძენილი მომსახურება	(41.6)	(41.6)	(41.0)	-1%
ინფრასტრუქტურული სიმძლავრის იჯარა, IRU და საიჯარო ხარჯები	(6.5)	(6.7)	(7.7)	14%
ურთიერთჩართვის საფასური და როუმინგის ხარჯი	(17.1)	(17.0)	(16.7)	-2%
ქსელის მართვისა და ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯები	(18.1)	(18.5)	(20.3)	10%
IPTV კონტენტის თვითღირებულება	(9.3)	(8.8)	(9.4)	6%
რეკლამა და მარკეტინგი	(5.4)	(7.2)	(6.6)	-9%
სიმბარათების, სასაუბრო ბარათებისა და სხვა გაყიდვის ხარჯები	(1.2)	(2.1)	(1.8)	-12%
EBITDA	**284.1**	**337.9**	**369.9**	**9%**
ცვეთა და ამორტიზაცია	(119.5)	(118.7)	(114.8)	-1%
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	9.8	6.7	5.3	-21%
კორექტირებები	(7.0)	(30.0)	(12.4)	58%
ფინანსური შემოსავალი	4.8	12.1	17.2	41%
ფინანსური ხარჯი	(116.0)	(54.1)	(57.9)	7%
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული სხვა ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ცვლილება	(3.9)	-	-	
უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული წმინდა შემოსულობა	82.5	0.4	(13.0)	
წმინდა ფინანსური ხარჯი	**(32.6)**	**(41.6)**	**(53.7)**	
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე	**134.9**	**154.4**	**194.2**	
მოგების გადასახადი	(0.3)	(0.3)	(0.2)	
პერიოდის წმინდა მოგება/(ზარალი)	**134.5**	**154.1**	**194.0**	

შემოსავალი

შემოსავლები შედგება ორი ძირითადი წყაროსგან: კომერციული შემოსავალი, რომელიც შეადგენს მთლიანი შემოსავლის 91%-ს, და საბითუმო (ოპერატორებისგან მიღებული) შემოსავალი, რომელიც შეადგენს მთლიანი შემოსავლის 9%-ს. კომერციული შემოსავალი გენერირდება უშუალოდ B2B და B2C აბონენტებისგან, ხოლო საბითუმო შემოსავალი გენერირდება სხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ტელეკომებისგან. სრული შემოსავლის ჩაშლა წარმოდგენილია ქვედა გრაფიკებზე:


გრაფიკი 32

2024 შემოსავლის ჩაშლა



გრაფიკი 33

2024 კომერციული შემოსავლის ჩაშლა



მილიონი ლარი	2022	2023	2024	წ/წ 24-23
კომერციული შემოსავალი	**428.1**	**487.9**	**530.1**	**9%**
მობილური გამავალი ზარი	109.6	113.4	117.5	4%
მობილური ინტერნეტი	120.4	149.3	173.4	16%
ფიქსირებული ინტერნეტი	114.4	132.6	142.3	7%
Pay TV	50.6	55.9	58.2	4%
ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება	12.7	11.4	10.6	-7%
შემოსავალი სხვა სერვისებიდან	20.4	25.3	28.1	11%
ოპერატორებისგან მიღებული შემოსავალი	**44.9**	**48.6**	**51.9**	**7%**
ურთიერთჩართვის მომსახურება	25.9	25.3	23.5	-7%
ინფრასტრუქტურის სიმძლავრის იჯარის მომსახურება	9.7	11.6	14.2	22%
შემოსავალი როუმინგიდან	6.5	9.0	11.2	24%
საბითუმო ინტერნეტი	2.8	2.7	3.0	11%
სულ შემოსავალი	**473.0**	**536.4**	**582.0**	**8%**

კომერციული შემოსავალი 2024 წელს 9%-ით წ/წ გაიზარდა, რაც, ძირითადად, მობილური დატას მოხმარების ზრდამ და ორივე, მობილურ და ფიქსირებულ, სეგმენტში გაზრდილმა საშუალო საბონენტო ბაზამ განაპირობა.

მობილური

მობილური სეგმენტის ძირითადი სერვისებია მობილური ინტერნეტი და მობილური გამავალი ზარი. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მობილური ინტერნეტი იყო და უახლოეს მომავალში იქნება მობილური სეგმენტის ზრდის მთავარი მამოძრავებელი.

მობილური ინტერნეტის შემოსავლის მნიშვნელოვანი ზრდა გამოწვეულია მოხმარების ზრდით, რაც თანხვედრაშია რეგიონულ შესადარის კომპანიებთან. 2024 წელს მობილური დატა ტრაფიკი გაიზარდა 23%-ით წ/წ, ხოლო ერთ აბონენტზე თვიური მობილური დატას მოხმარება გაიზარდა 15%-ით წ/წ, 11.6 გიგაბაიტიდან 13.4 გიგაბაიტამდე. მობილური დატას პენეტრაციამ 2024 წელს 72%-ს მიაღწია. მიუხედავად ამისა, ორივე, ერთ აბონენტზე საშუალო მობილური დატას მოხმარება და მობილური ინტერნეტის პენეტრაცია ჯერ კიდევ ნაკლებია რეგიონულ შესადარის კომპანიებთან. თუმცა ეს განსხვავება მცირდება და მოსალოდნელია, რომ კიდევ უფრო შემცირდება თაობათა ცვლისა და მობილური ინტერნეტის მოხმარების ზრდის შედეგად. საქართველოში მოსახლეობა კვლავ დიდწილად დამოკიდებულია მობილურ ხმოვან სერვისებზე.

მობილური სეგმენტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „სატელეკომუნიკაციო სექტორის მიმოხილვა".

ფიქსირებული

ფიქსირებული სეგმენტის ძირითადი სერვისებია ფიქსირებული ინტერნეტი და pay TV, რომლებიც ზრდის მთავარი მამოძრავებელია. ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება კი თანდათან იკლებს ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მობილური ხმოვანი მომსახურების ჩანაცვლების შედეგად, რომელიც გლობალურ ტენდენციებს შეესაბამება. 2024 წელს ფიქსირებული ინტერნეტის და pay TV შემოსავლების ზრდა ოპტიკური ქსელის განვითარების შედეგად საბონენტო ბაზის ზრდამ განაპირობა.

ფიქსირებული სეგმენტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „სატელეკომუნიკაციო სექტორის მიმოხილვა".

შემოსავალი სხვა სერვისებიდან

შემოსავალი სხვა სერვისებიდან, ძირითადად, მოიცავს SMS-დან მიღებულ შემოსავალს, ტელეფონებისა და აქსესუარების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს, ინფრასტრუქტურის სიმძლავრის იჯარის მომსახურებას, ასევე სამაუწყებლო მოსაკრებელს – მას ვიღებთ სხვა ოპერატორებისგან, რომლებიც „სილქნეტის" არხებს გადასცემენ.

2024 წელს შემოსავალი სხვა სერვისებიდან 11%-ით წ/წ გაიზარდა, რაც ძირითადად განაპირობა შემოსავლების ზრდამ რეკლამასა და სამაუწყებლო მოსაკრებელში, ასევე ინფრასტრუქტურის სიმძლავრის იჯარების გაზრდილმა მოცულობამ.


ოპერატორებისგან მიღებული შემოსავალი

ოპერატორისგან მიღებულ შემოსავალში ყველაზე დიდ ნაწილს აგენერირებს ურთიერთჩართვის მომსახურება, რომელიც არის სხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ოპერატორებისგან მიღებული საკომისიოები „სილქნეტის" ქსელში ხმოვანი, SMS და Bulk SMS-ის დასრულებისთვის. 2024 წელს ოპერატორებისგან მიღებული შემოსავლის ზრდა, ძირითადად, ინფრასტრუქტურის სიმძლავრის იჯარების გაზრდილმა მოცულობამ და უცხოელი ვიზიტორების როუმინგიდან მიღებულმა შემოსავლებმა განაპირობა, რომელიც, თავის მხრივ, საქართველოში შემომავალი ტურიზმის აქტივობის ზრდამ გამოიწვია.

საოპერაციო ხარჯები


გრაფიკი 34

საოპერაციო ხარჯების[1] დინამიკა 2022-2024



გრაფიკი 35

საოპერაციო ხარჯების[1] ჩაშლა 2024



[1] არ მოიცავს არაგანმეორებით ხარჯებს: აუდიტირებულ რიცხვებთან რეკონსილაცია იხილეთ ამ სექციის ბოლოში.

კომპანიის საოპერაციო ხარჯების უმეტესობა ფიქსირებულია მოკლე ვადაში და პირდაპირ არ არის დაკავშირებული საბონენტო ბაზის ცვლილებასთან. საოპერაციო ხარჯების ნაწილი უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული (დეტალური მსჯელობა მოცემულია „საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობის" სექციაში, ქვემოთ). საოპერაციო ხარჯების ცვლილებების ძირითადი მიზეზები ქვემოთ არის აღწერილი.

ხელფასები და სარგებელი

2024 წლის ბოლოსთვის ჩვენი თანამშრომლების რაოდენობამ 2,050 ადამიანი შეადგინა, რითიც საქართველოში 20 უმსხვილეს დამსაქმებელში შევდივართ.

ხელფასები და სარგებელი ყველაზე დიდი კატეგორიაა ჩვენს საოპერაციო ხარჯებში. 2024 წელს ხელფასებისა და სარგებლის ზრდა, ძირითადად, 2021 და 2022 წლების ინფლაციის ეფექტის 2023 წლის მეორე ნახევრიდან ასახვამ განაპირობა.

ურთიერთჩართვის საფასური

ურთიერთჩართვა არის რეგულირებული სეგმენტი ოპერატორებს შორის შეთანხმებული ტარიფებით სხვა ოპერატორის ქსელში ხმოვანი, SMS და Bulk SMS-ის დასრულებისთვის და მოიცავს ადგილობრივ და საერთაშორისო ტრანზაქციებს.

ხმოვანი მომსახურების მობილური ინტერნეტის სერვისით ჩანაცვლების შედეგად, ურთიერთჩართვის შემოსავალი და ხარჯი წლიდან წლამდე მცირდება. 2024 წელს ურთიერთჩართვის ხარჯში შემცირება ნაწილობრივ როუმინგის ხარჯმა დააკომპენსირა, რაც გამავალი ტურიზმის აქტივობის ზრდამ განაპირობა: შედეგად, ასევე გაიზარდა ჩვენი აბონენტებისგან გამავალი ტურიზმიდან მიღებული როუმინგის შემოსავალი.


მილიონი ლარი	2022	2023	2024	ყ/ყ 24-23
შემოსავალი ურთიერთჩართვიდან	25.9	25.3	23.5	-7%
ურთიერთჩართვის ხარჯი	16.0	15.8	15.7	0%
წმინდა ურთიერთჩართვა	**9.8**	**9.5**	**7.8**	**-18%**

PAY TV კონტენტის თვითღირებულება


IPTV კონტენტის ლიცენზიების დაახლოებით 60%, ისინი, რომლებიც გრძელვადიანია და კომპანიას უფლებებს ანიჭებს, კაპიტალიზირდება, როგორც არამატერიალური აქტივი. დანარჩენი მოგება-ზარალში აღიარდება ხარჯად.

2024 წლის IPTV კონტენტის თვითღირებულების (კაპიტალური დანახარჯები+საოპერაციო ხარჯები) ჩაშლა ქვედა გრაფიკებზეა მოცემული:

გრაფიკი 36
ჩაშლა კონტენტის ტიპის მიხედვით



გრაფიკი 37
ჩაშლა კატეგორიის მიხედვით



[1] „სილქნეტის" არხებზე მაუწყებლობით გადაცემული

2024 წელს IPTV კონტენტის თვითღირებულების 6%-იანი წ/წ ზრდა, ძირითადად, იმ ცვლადი ხარჯების ზრდამ გამოიწვია , რომლებიც ჩვენი აბონენტებისგან მიღებულ შემოსავალზეა მიბმული.

შეძენილი მომსახურება

შეძენილ მომსახურებაში ყველაზე დიდ კატეგორიას წარმოადგენს კომუნალური ხარჯები, ქსელის ტექნიკური მხარდაჭერა, IT ინფრასტრუქტურის , IP და IP არხის იჯარის ხარჯები. 2024 წელს ელექტროენერგიის ტარიფების შემცირების შედეგად შემცირებული კომუნალური ხარჯები ნაწილობრივ ტექნიკური მხარდაჭერისა და IP და IP არხის იჯარის ზრდამ დააკომპენსირა, რაც, ძირითადად, ჩვენი ქსელის გაფართოებასა და ორივე, მობილურ და ფიქსირებულ, სეგმენტში სააბონენტო ბაზის ზრდასთან არის დაკავშირებული. შედეგად, შეძენილი მომსახურება 1%-ით წ/წ შემცირდა.

ინფრასტრუქტურული სიმძლავრის იჯარა, IRU და საიჯარო ხარჯები

იჯარების ძირითადი ნაწილი, მათ შორის, მობილური საიტების იჯარა, აკმაყოფილებს ფასს 16-ის კრიტერიუმს, აღირიცხება აქტივის გამოყენების უფლებად და ამორტიზირდება. იჯარები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ფასს 16-ის კრიტერიუმს, აღირიცხებიან იჯარის ხარჯად, საოპერაციო იჯარის პუნქტში.

2024 წელს ინფრასტრუქტურის სიმძლავრის იჯარის, IRU და საიჯარო ხარჯების 14% წ/წ ზრდა, ძირითადად, სადისტრიბუციო არხების წერტილების გაზრდასთან არის დაკავშირებული.

ქსელის მართვისა და ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯები

ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ინფრასტრუქტურის ხარისხზე ზრუნვაა: შესაბამისად, ყოველდღიურ რეჟიმში ვუწევთ მონიტორინგს ჩვენს ინფრასტრუქტურას და, საჭიროებისამებრ, გავწევთ შესაბამის ხარჯებს. ქსელის მართვისა და მოვლის ხარჯები მოიცავს მომსახურების ხარჯს, რომელიც გვაქვს აუთსორსზე გატანილი, და ასევე მოვლა-პატრონობაზე გაწეული მასალების დანახარჯს.

2024 წელს ქსელის მართვისა და ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯების 10% წ/წ ზრდა, ძირითადად, კომპანიის ქსელის გაფართოებასთან არის დაკავშირებული.

რეკლამა და მარკეტინგი

„სილქნეტს" ძლიერი ბრენდი გააჩნია და, რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯების გაწევით, სატელეკომუნიკაციო ბაზარზე სწორედ ჩვენს ლიდერობას ვუსვამთ ხაზს, აგრეთვე, პოპულარიზაციას ვუწევთ ჩვენს პროდუქტებსა და სერვისებს.

2024 წელს სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯების შემცირება, ძირითადად, დაკავშირებულია 2023 წელს ბაკურიანში ჩატარებული, FIS Freestyle Ski and Snowboarding World Championships-ის ერთჯერად სპონსორობასთან.

სიმბარათების, სასაუბრო ბარათებისა და სხვა გაყიდვის ხარჯები

საოპერაციო ხარჯების ეს კატეგორია, ძირითადად, გაყიდული ტელეფონებისა და აქსესუარების, ასევე სიმბარათების ხარჯს მოიცავს.

2024 წელს სიმბარათების, სასაუბრო ბარათებისა და სხვა გაყიდვის ხარჯების კლება, ძირითადად, ხარჯების ოპტიმიზაციის შედეგია, გაყიდვების აქტივობა 2024 წელს კვლავ გაიზარდა. 2023 წლიდან მოყოლებული, პოსტპანდემიურმა აღდგენითმა ეტაპმა და სადისტრიბუციო ქსელში არხების რაოდენობის ზრდამ ტელეფონებისა და აქსესუარების, ასევე სიმბარათების გაყიდვის ზრდა განაპირობა.

სხვა ხარჯები

2024 წელს სხვა ხარჯების 11%-იანი წ/წ ზრდა, ძირითადად, რეგულირების საფასურის მატებამ, რაც, უმეტესად, კომერციული შემოსავლის ზრდაზეა მიბმული, და დაცვის მომსახურების ხარჯის მატებამ გამოიწვია.


EBITDA და EBITDAaL

შემოსავლების 8%-ით წ/წ, ხოლო საოპერაციო ხარჯების 7%-ით წ/წ ზრდის შედეგად, EBITDA და EBITDAaL, შესაბამისად, 9%-ით წ/წ და 10%-ით წ/წ გაიზარდა.

გრაფიკი 38

EBITDAaL-ის ევოლუცია

მილიონი ლარი



კორექტირებები

EBITDA და EBITDAaL-ის დაანგარიშების დროს არ ხდება იმ ხარჯების გათვალისწინება, რომლებიც წარმოადგენს ერთჯერადს, არაძირითადს და არასაოპერაციოს. კონკრეტული ერთეულების დეტალური განსაზღვრისათვის გთხოვთ, იხილოთ ფინანსური ინფორმაციის განსაზღვრებისა და წყაროს სექცია, რომელიც მოცემულია ქვემოთ.

მილიონი ლარი	2022	2023	2024
ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ზარალი	0.8	1.4	(0.9)
უმოძრაო მარაგების, ძირითადი საშუალებებისა და სხვა გრძელვადიანი აქტივების ჩამოწერა	0.7	0.6	1.2
პროფესიული მომსახურების საფასური, ერთჯერადი საკონსულტაციო ხარჯები*	3.8	13.3	7.2
ქველმოქმედება	1.4	1.4	1.7
ბონუსები	1.5	–	–
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ერთჯერადი სარგებელი**	–	17.3	3.5
სხვა შემოსავალი	(1.2)	(4.0)	(0.1)
სულ კორექტირებები	**7.0**	**30.0**	**12.6**

* პროფესიული მომსახურების საფასური, ერთჯერადი საკონსულტაციო ხარჯები, ძირითადად, შედგება ერთჯერადი საკონსულტაციო მომსახურებისგან, რომელიც კომპანიის გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას უკავშირდება.

** იხილეთ 2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 24-ე შენიშვნა.

წმინდა ფინანსური ხარჯები

მილიონი ლარი	2022	2023	2024
ფინანსური შემოსავალი	(4.8)	(12.1)	(17.2)
ფინანსური ხარჯი	116.0	54.1	57.9
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების წმინდა ცვლილება	3.9	–	–
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი/(შემოსულობა)	(82.5)	(0.4)	13.0
წმინდა ფინანსური ხარჯები	**32.6**	**41.6**	**53.7**

ფინანსური შემოსავალი

ფინანსური შემოსავალი, ძირითადად, წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალს, რომელიც ერიცხება ჩვენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, განთავსებულს მიმდინარე და ვადიან დეპოზიტებზე. ჩვენ ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს ვინახავთ უცხოურ ვალუტაში, რომელიც წარმოდგენილია აშშ დოლარისა და ევროს დეპოზიტების სახით. ლიკვიდობის ნაწილის ინვესტირებას ასევე ვახორციელებთ აშშ დოლარში დენომინირებულ ინსტრუმენტებში. 2024 წელს გაზრდილი ფინანსური შემოსავალი აშშ დოლარში დენომინირებულ ინსტრუმენტებზე მიმზიდველმა უკუგებამ და გაზრდილმა საშუალო ლიკვიდობამ განაპირობა.

ფინანსური ხარჯი

2022 წლის იანვარში გამოვუშვით 300 მილიონი აშშ დოლარის 8.375%-იანი ევრობლიგაციები, რომლითაც მოვახდინეთ 200 მილიონი აშშ დოლარის 11%-იანი ევრობლიგაციებისა და ლოკალური ობლიგაციების (წარმოდგენილი ლარში) რეფინანსირება.

2022 წლის განმავლობაში 300 მილიონი აშშ დოლარის ევრობლიგაციებიდან გამოვისყიდეთ 100 მილიონი აშშ დოლარი. 2024 წელს, 2023 წელთან შედარებით, მაღალი ფინანსური ხარჯი, ძირითადად, ლარის აშშ დოლართან შედარებით გაუფასურების შედეგია, ხოლო 2022 წელს ფინანსური ხარჯი მოიცავს ევრობლიგაციების რეფინანსირებასთან დაკავშირებულ ერთჯერად ხარჯებს.

სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების წმინდა ცვლილება


სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების წმინდა ცვლილება დაკავშირებულია კროს ვალუტის ჰეჯინგთან, რომელიც გავაუქმეთ 2022 წლის მარტში.

საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა

ჩვენი ფინანსური მაჩვენებლები დამოკიდებულია უცხოური ვალუტის ცვლილებაზე. ნაღდი ფულის კაპიტალური დანახარჯების 73% და საოპერაციო ხარჯების 24% წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში, ხოლო აშშ დოლარსა და ევროში დენომინირებულია შემოსავლების მხოლოდ 4%. სესხები და კრედიტები სრულიად დენომინირებულია აშშ დოლარში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

გრაფიკი 39

უცხოურ ვალუტაზე დამოკიდებულება 2024



უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კაპიტალური დანახარჯები, ძირითადად, არის საერთაშორისო მომწოდებლებისგან, როგორებიცაა Ericsson-ი, Huawei, Juniper-ი, ZTE და ა.შ. შეძენილი აღჭურვილობა. რაც შეეხება საოპერაციო ხარჯებს, ძირითადი ხარჯები, რაც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, არის ტექნიკური მხარდაჭერა და IPTV კონტენტის თვითღირებულება. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული შემოსავლის უმეტესობა გენერირდება ოპერატორებისგან მიღებული შემოსავლებით.


სავალუტო რისკის შესამცირებლად სხვადასხვა მიდგომას ვიყენებთ.

ლიკვიდობის უმეტეს ნაწილს უცხოურ ვალუტაში ვინახავთ. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 179 მილიონი ლარის ჯამური ლიკვიდობიდან 143 მილიონი ლარი (ან 80%) უცხოურ ვალუტაში, ძირითადად – აშშ დოლარში, იყო დენომინირებული, რისი ნაწილი აშშ დოლარში დენომინირებულ ინსტრუმენტებში იყო დაინვესტირებული.

ამას გარდა, ჩვენი საოპერაციო ხარჯების, კაპიტალური დანახარჯების და ევრობლიგაციების კუპონის ოქტომბერი 2024 – დეკემბერი 2025 პერიოდში სავარაუდო უცხოური ვალუტის გადინებების დასაჰეჯირებლად, ლოკალურ ბანკებთან ფორვარდული შეთანხმებები დავდეთ. ინსტრუმენტების ხარჯები 4%-დან 5%-ის ფარგლებში მერყეობს.

გრაფიკი 40 (ოქტ 2024 – დეკ 2025)

დაჰეჯილი უცხოური ვალუტის რისკი



სავალუტო რისკის შემსუბუქებისთვის, ასევე, შემდეგ ინტრუმენტებს ვიყენებთ: შეგვიძლია ვმართოთ კაპიტალური დანახარჯები, რაც გულისხმობს დისკრეციული კაპიტალური დანახარჯების განაწილებას წლებზე. აგრეთვე, ვიყენებთ ფასების კორექტირების შესაძლებლობას. მარეგულირებლის მიერ საცალო ფასების რეგულირების მოხსნის შემდეგ ჩვენ გვაქვს მოქნილობა ფასების კორექტირების საკითხში. 2022 წელში უკვე რამდენჯერმე დავაკორექტირეთ საცალო ფასები.

დაუჰეჯირებელ პოზიციაზე ლარის 10% გაუფასურების სენსიტიურობა წარმოდგენილია ქვედა ცხრილში:


მილიონი ლარი	ჰეჯირების გარეშე	ჰეჯირებით
შემოსავალი	2	–
საოპერაციო ხარჯები	(4)	–
EBITDAaL	**(2)**	–
კაპიტალური დანახარჯები	(7)	–
OpFCF	**(9)**	–
წმინდა ფინანსური ხარჯები	(4)	–
FCF	**(13)**	–
წმინდა მოგება	**(41)**	**(41)**
ლევერიჯი (x)	**0.15**	**0.15**

ლარი 2023 და 2024 წლების განმავლობაში მეტ-ნაკლებად სტაბილური იყო, რაშიც როლი ექსპორტიდან, გზავნილებიდან და ტურიზმიდან მიღებულმა უცხოური ვალუტის შემოდინებებმა შეასრულა. სავალუტო ბაზარზე მოკლევადიან რყევებს აზღვევს სოლიდური საერთაშორისო რეზერვები, რაც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4.4 მილიარდი იყო.

ქვედა გრაფიკში მოცემულია ლარის გაცვლითი კურსის ევოლუცია უცხოური ვალუტების მიმართ:

გრაფიკი 41

ლარის გაცვლითი კურსი უცხოური ვალუტების მიმართ



ლარის აშშ დოლართან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2.69-დან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2.81-მდე გაუფასურებამ 2024 წელს 13 მილიონი ლარის საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი განაპირობა. 2022 წელს, ლარის აშშ დოლართან მიმართებით გამყარებამ საკურსო სხვაობით მიღებული მნიშვნელოვანი, 83 მილიონი ლარის, შემოსულობა განაპირობა.

მოგების გადასახადი

ამჟამად საქართველოში მოგების გადასახადი, ფაქტობრივად, არ არსებობს. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მოგების გადასახადის შესახებ კანონი (ცნობილი, როგორც მოგების გადასახადის ესტონური მოდელი) მიიღო, რის მიხედვითაც, მოგება მხოლოდ იმ შემთხვევაში იბეგრება, თუ ის ფიზიკურ ან საქართველოს არარეზიდენტ პირზე ნაწილდება. კანონი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან. 2019 წლის 19 აპრილიდან „სილქნეტის“ პირდაპირი მშობელი კომპანია არის ადგილობრივი ჰპს „სილქნეტ ჰოლდინგი“.

დარეკლასიფიცირებული მოგება-ზარალის ანგარიშგების რეკონსილაცია აუდიტირებულ კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებასთან

მილიონი ლარი	2022 ფასს მოგება-ზარალი	2022 კორექტირებები	2022 დარეკლასიფიცირებული მოგება-ზარალი	2023 ფასს მოგება-ზარალი	2023 კორექტირებები	2023 დარეკლასიფიცირებული მოგება-ზარალი	2024 ფასს მოგება-ზარალი	2024 კორექტირებები	2024 დარეკლასიფიცირებული მოგება-ზარალი
შემოსავალი:	**473.0**	**–**	**473.0**	**536.4**	**–**	**536.4**	**582.0**	**–**	**582.0**
კომერციული შემოსავალი	428.1	–	428.1	487.9		487.9	530.1		530.1
ოპერატორისგან მიღებული შემოსავალი	44.9	–	44.9	48.6		48.6	51.9		51.9
ხარჯები:	**(195.9)**	**7.0**	**(188.8)**	**(228.5)**	**30.0**	**(198.5)**	**(224.5)**	**12.4**	**(212.1)**
ხელფასი და სარგებელი	(69.9)	1.5	(68.5)	(92.3)	17.3	(75.0)	(88.2)	3.5	(84.7)
სხვა ხარჯები	(22.9)	1.7	(21.2)	(21.0)	(0.6)	(21.6)	(25.5)	1.6	(23.9)
შეძენილი მომსახურება	(45.4)	3.8	(41.6)	(54.9)	13.3	(41.6)	(48.3)	7.2	(41.0)
ინფრასტრუქტურული სიმძლავრის იჯარა, IRU და საიჯარო ხარჯები	(6.5)		(6.5)	(6.7)		(6.7)	(7.7)		(7.7)
ურთიერთჩართვის საფასური და როუმინგის ხარჯი	(17.1)		(17.1)	(17.0)		(17.0)	(16.7)		(16.7)
ქსელის მართვისა და ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯები	(18.1)		(18.1)	(18.5)		(18.5)	(20.3)		(20.3)
IPTV კონტენტის თვითღირებულება	(9.3)		(9.3)	(8.8)		(8.8)	(9.4)		(9.4)
რეკლამა და მარკეტინგი	(5.4)		(5.4)	(7.2)		(7.2)	(6.6)		(6.6)
სიმბარათების, სასაუბრო ბარათებისა და სხვა გაყიდვის ხარჯები	(1.2)		(1.2)	(2.1)		(2.1)	(1.8)		(1.8)
EBITDA	**277.1**	**7.0**	**284.1**	**307.9**	**30.0**	**337.9**	**357.4**	**12.4**	**369.9**
ცვეთა და ამორტიზაცია	(119.5)	–	(119.5)	(118.7)	–	(118.7)	(114.8)	–	(114.8)
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	9.8	–	9.8	6.7	–	6.7	5.3	–	5.3
კორექტირებები	–	(7.0)	(7.0)	–	(30.0)	(30.0)	–	(12.4)	(12.4)
ფინანსური შემოსავალი	4.8	–	4.8	12.1	–	12.1	17.2	–	17.2
ფინანსური ხარჯი	(116.0)	–	(116.0)	(54.1)	–	(54.1)	(57.9)	–	(57.9)
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული სხვა ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ცვლილება	(3.9)	–	(3.9)	–	–	–	–	–	–
უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული წმინდა ზარალი	82.5	–	82.5	0.4	–	0.4	(13.0)	–	(13.0)
წმინდა ფინანსური ხარჯი	**(32.6)**	**–**	**(32.6)**	**(41.6)**	**–**	**(41.6)**	**(53.7)**	**–**	**(53.7)**
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე	**134.9**	**–**	**134.9**	**154.4**	**–**	**154.4**	**194.2**	**–**	**194.2**
მოგების გადასახადი	(0.3)	–	(0.3)	(0.3)	–	(0.3)	(0.2)	–	(0.2)
პერიოდის წმინდა მოგება/(ზარალი)	**134.5**	**–**	**134.5**	**154.1**	**–**	**154.1**	**194.0**	**–**	**194.0**

შემოკლებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მილიონი ლარი	31 დეკ 22	31 დეკ 23	31 დეკ 24
მთლიანი აქტივები	820.1	858.8	874.0
მთლიანი ვალდებულებები	734.4	747.2	739.4
მთლიანი კაპიტალი	85.7	111.6	134.6
ფიქსირებული აქტივები	622.1	597.3	585.3
ბრუტო ვალი	552.1	550.8	573.2
ფულადი სახსრები	84.9	144.6	160.8
წმინდა სესხი	467.2	406.2	412.4

კაპიტალური დანახარჯები

კაპიტალური დანახარჯები, შინაარსის მიხედვით, ოთხ ძირითად პუნქტად არის გაყოფილი: 1) ქსელის მიმდინარე მოვლა-შენახვა; 2) pay TV უფლებები და ლიცენზიები, რაც კაპიტალიზირდება; 3) ფიქსირებული ინტერნეტისა და pay TV-ის აბონენტების აყვანასთან დაკავშირებული კაპიტალური დანახარჯები, რომლებიც, თავის მხრივ, სააბონენტო მოწყობილობებისა და მისი ინსტალაციისთვის გაწეული ინვესტიციებია (სააბონენტო მოწყობილობებს ჩვენ ვფლობთ და მათი გამოყენება აბონენტებისთვის უფასოა); და 4) ქსელის გაფართოება და გაუმჯობესება.

გლობალური ტექნოლოგიური ტენდენციებისა და ჩვენი მომხმარებლების ქცევის ცვლილების კვალდაკვალ მუდმივად ვახორციელებთ ინვესტიციებს ჩვენი ქსელის გაფართოებასა და გაუმჯობესებაში: შესაბამისად, განვითარების კაპიტალურ დანახარჯებს მთლიან კაპიტალურ დანახარჯებში ყველაზე დიდი წილი უკავია, თუმცა უკანასკნელ წლებში მისი წილი შედარებით შემცირებულია, „ჯეოსელის“ შეძენის შემდეგ განხორციელებული მობილური ქსელის მოდერნიზაციის პროგრამის კაპიტალურად ინტენსიური ნაწილის დასრულების შემდეგ.

მობილურ და ფიქსირებულ სეგმენტებში განხილული კაპიტალური დანახარჯები განგრძობითი ხასიათისაა და არ მოიცავს სატელეკომუნიკაციო ლიცენზიებს. სატელეკომუნიკაციო ლიცენზიებთან და ერთჯერად კაპიტალურ დანახარჯებთან დაკავშირებული მსჯელობა მოცემულია ამავე სექციაში.

მობილური


2024 წელს მობილური სეგმენტის განვითარებისთვის გაწეული კაპიტალური დანახარჯები, ძირითადად, მოიცავს ნაკლებად მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში დაფარვის და 4G გამტარუნარიანობის გაუმჯობესებას.

ფიქსირებული

ფიქსირებული სეგმენტის მიმართულებით განვითარების კაპიტალური დანახარჯები, ძირითადად, მოიცავს FTTH ქსელის გაფართოებასთან დაკავშირებულ ინვესტიციებს. კომპანიის FTTH ქსელი საქართველოს შინამეურნეობების 77%-ს ფარავს. FTTH ქსელის განვითარების მიმართულებით, უმეტესად, ურბანულ დასახლებებზე ვკონცენტრირდებით, რათა ჩვენი სერვისების მიმართ გაზრდილ მოთხოვნას მოვემსახუროთ, ხოლო ნაკლებად მჭიდრო, სასოფლო დასახლებების მიმართ გვაქვს შერჩევითი მიდგომა.


გრაფიკი 42

მობილური კაპიტალური დანახარჯების ჩაშლა 2024



გრაფიკი 43

ფიქსირებული კაპიტალური დანახარჯების ჩაშლა 2024



სატელეკომუნიკაციო ლიცენზიები და ერთჯერადი კაპიტალური დანახარჯები

2022–2024 წლების პერიოდში სატელეკომუნიკაციო ლიცენზიებთან დაკავშირებული კაპიტალური დანახარჯები მოიცავს ნუმერაციის რესურსის შეძენას და თითოეული ამ პერიოდის განმავლობაში ის დაახლოებით 1 მილიონი ლარია. 2023 წელს ასევე განვაახლეთ სარელეო სიხშირული ლიცენზია 1 მილიონი ლარის ღირებულების კაპიტალური დაანახარჯით.

ერთჯერადი კაპიტალური დანახარჯები მოიცავს IT ტრანსფორმაციის საბოლოო ნაწილს 1 მილიონ ლარის ღირებულებით 2022 წელს და „ევრონიუსის“ საოპერაციო ლიცენზიას 2 მილიონი ლარის ღებულებით 2024 წელს.

კაპიტალური დანახარჯების ევოლუცია


მილიონი ლარი	2022	2023	2024
კაპიტალური დანახარჯები[1]	**83.9**	**77.5**	**81.5**
მობილური სერვისები	35.7	23.0	28.9
ფიქსირებული სერვისები	33.5	29.9	34.2
მაუწყებლობის უფლებები და ლიცენზიები	10.5	19.1	6.9
სხვა	4.2	5.6	11.6
კაპიტალური დანახარჯები/შემოსავალი %	**18%**	**14%**	**14%**

ფულადი სახსრები და ეკვივალენტები და სადეპოზიტო სერტიფიკატები

ფულადი სახსრების უმეტეს ნაწილს უცხოურ ვალუტაში ვინახავთ, რომელიც ნაწილობრივ აზღვევს ღია სავალუტო პოზიციას ჩვენს სესხზე და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ხარჯებზე (სავალუტო პოზიციის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ „საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა“). ფულადი სახსრები ნაწილობრივ განთავსებულია ადგილობრივ ბანკებში მიმდინარე და ვადიან დეპოზიტებზე, ნაწილობრივ კი ინვესტირებულია აშშ დოლარში დენომინირებულ ინსტრუმენტებში.

გრაფიკი 44

ფულადი სახსრებისა და ეკვივალენტების და სადეპოზიტო სერთიფიკატების ჩაშლა



მეტი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ „ფულადი სახსრებისა და ლიკვიდობის მართვის“ სექცია.

ფინანსური დავალიანება

2022 წლის 31 იანვარს გამოვუშვით 300 მილიონი აშშ დოლარის 8.375%-იანი ევრაობლიგაციები, 2027 წლამდე ვადით და მოვახდინეთ იმ მომენტისთვის არსებული ყველა სასესხო ინსტრუმენტის რეფინანსირება. 300 მილიონი აშშ დოლარის გამოშვებიდან 50 მილიონი აშშ დოლარის ევრაობლიგაციები მყისიერად გამოვისყიდეთ, დამატებით 50 მილიონი აშშ დოლარის ევრაობლიგაციების გამოსყიდვა განხორციელდა ღია ბაზარზე 2022 წლის განმავლობაში. 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ევრაობლიგაციების დავალიანება 200 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. გამოსყიდული ობლიგაციები არ გაუქმებულა და „სილქნეტის“ მფლობელობაშია.

ევრაობლიგაციების მიხედვით, „სილქნეტს“ რამდენიმე შეზღუდვა აქვს. ძირითადი შეზღუდვები შემდეგია: 1) კონსოლიდირებული ლევერიჯის კოეფიციენტი (წმინდა სესხი/ EBITDA) 3.5x-ის ქვემოთ (ე.წ. incurrence პირობით); 2) დივიდენდის გადახდის შესაძლებლობა მაქსიმუმ წლიური წმინდა მოგების 50%-მდე (გარკვეული გამონაკლისებით) – ეს შეზღუდვა აქტიური იყო 2024 წლის ივნისამდე. 2024 წლის ივნისში დავასრულეთ ე.წ. თანხმობაზე შუამდგომლობის (consent solicitation) პროცესი და

დაწესდა ფინანსურ დავალიანებებზე დაფუძნებული შეზღუდვა, რის მიხედვით, კომპანიას შეუძლია შეზღუდული გადახდების უზრუნველყოფა მანამ, სანამ ლევერიჯის კოეფიციენტი (წმინდა სესხი/EBITDA) 1.75x-ს არ მიაღწევს: 3) კუპონის გადახდის უზრუნველსაყოფად „სილქნეტი“ ვალდებულია, შეინარჩუნოს ფულადი სახსრების ბალანსი მინიმუმ 20 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით ან 24 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტი ოდენობით ლარში.

ინსტრუმენტი, მილიონი ლარი	31 დეკ 22	31 დეკ 23	31 დეკ 24
ევრობონდი გაცია 2022	552.1	550.8	573.2
„სილქნეტის“ 2017 წლის ობლიგაცია	–	–	–
„სილქნეტის“ არასაჯარო ობლიგაცია	–	–	–
ბრუტო სესხი	**552.1**	**550.8**	**573.2**
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები[1]	(84.9)	(144.6)	(160.8)
წმინდა სესხი	**467.2**	**406.2**	**412.4**
ლევერიჯი (წმინდა სესხი/EBITDA)	**1.64**	**1.20**	**1.12**


ძლიერი შედეგებისა და სოლიდური რაოდენობით ნაღდი ფულის გენერირების შედეგად, ლევერიჯის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად შემცირდა და კომფორტულ დონეზე ქვემოთ ჩამოვიდა.

კაპიტალი და დივიდენდის განაწილება

კაპიტალმა და გაუნაწილებელმა მოგებამ დადებით ნიშნულს მიაღწია 2022 წელს და 2023 წლის პირველ ნახევარში, შესაბამისად, ძლიერი საოპერაციო შედეგებისა და ლარის აშშ დოლართან მიმართებაში გამყარების შემდეგ დოლარში დენომინირებული სესხების გადაფასების გამო დაგენერირებული მნიშვნელოვანი სავალუტო მოგების შედეგად. უფრო ადრე, 2020 წელს, ლარის კურსის გაუფასურებამ დოლართან მიმართებაში გამოიწვია მნიშვნელოვანი სავალუტო ზარალი სწორედ დოლარში დენომინირებული სესხების გადაფასების გამო.

გრაფიკი 45

კაპიტალი



8 მილიონი ლარის დამატებით გადახდილი კაპიტალი დაახლოებით „სილქნეტის“ აქციების 6.6%-ის ქოლოფციონს ეხებოდა, რომელიც „სილქნეტის“ დედა კომპანიამ („სილქნეტი ჰოლდინგი“) „თიბისი ბანკის“ სასარგებლოდ გამოსცა, როგორც „ჯეოსელის“ შესყიდვაზე მიღებული დაფინანსების ნაწილი. ქოლოფციონი 2023 წელს თავდაპირველად „სილქნეტი ჰოლდინგმა“ იყიდა „თიბისი ბანკისგან“, ხოლო 2023 წლის ივნისში ოფციონის მფლობელისგან დამატებითი ქმედების გარეშე გაუვიდა ვადა. შედეგად, 8 მილიონი ლარის დამატებით გადახდილი კაპიტალი 30 ივნისის მდგომარეობით რეკლასიფიცირდა გაუნაწილებელ მოგებაში.

გაუმჯობესებულმა საოპერაციო შედეგებმა და ნაღდი ფულის გენერირებამ საშუალება მოგვცა, ქართული კანონმდებლობისა და ევრობონდიგაციების შეზღუდვების შესაბამისობით, მნიშვნელოვანი ოდენობის დივიდენდები გაგვეცა, ძირითადად, 2023 და 2024 წელს. 2024 წელს 171 მილიონი ლარის დივიდენდი გავეცით.

2022 წლიდან მეწარმეთა ახალი კანონი შევიდა ძალაში, რის მიხედვით, დივიდენდის გაცემა მაქსიმუმ გაუნაწილებელი მოგების ოდენობით არის შესაძლებელი. 2024 წლის ივნისამდე ევრობონდიგაციების შეზღუდვები 2022 წლიდან კუმულატიური წმინდა მოგების 50%-ის დივიდენდად გაცემის საშუალებას იძლეოდა. 2024 წლის ივნისში დავასრულეთ ე.წ. თანხმობაზე შუამდგომლობის (consent solicitation) პროცესი და დაწესდა ფინანსურ დავალიანებებზე დაფუძნებული შეზღუდვა, რის მიხედვითაც, კომპანიას შეუძლია შეზღუდული გადახდების გაკეთება მანამ, სანამ ლევერიჯის კოეფიციენტი (წმინდა სესხი/EBITDA) არ მიაღწევს 1.75x-ს.

გრაფიკი 46

დივიდენდის გაცემა და ბაზა (ქეშის მიხედვით)

მილიონი ლარი




ფულადი სახსრები და ლიკვიდობის მართვა

ფულადი სახსრების გენერირების გაუმჯობესებას ხელი ძლიერმა საოპერაციო შედეგებმა და დანორმალიზებულმა კაპიტალურმა დანახარჯებმა შეუწყო, რაც 2024 წელს 47%-იან წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადების მარჟაშია გამოხატული. წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადების ევოლუცია, რომელიც დათვლილია როგორც EBITDAaL-ს გამოკლებული კაპიტალური დანახარჯები, წარმოდგენილია ქვედა გრაფიკზე:

გრაფიკი 47

წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადების ევოლუცია

მილიონი ლარი




2018 წელს „ჯეოსელის“ შეძენის შემდეგ შემოსავლებისა და EBITDAaL-ის სოლიდურმა ზრდამ საშუალება მოგვცა, კაპიტალური დანახარჯები, ძირითადად, კომპანიაში გენერირებული ფულადი სახსრებით დაგვეფინანსებინა. 300 მილიონი აშშ დოლარის ევრობონდიგაციების გამოშვებიდან 50 მილიონი აშშ დოლარის ევრობონდიგაციები მყისიერად გამოვისყიდეთ, დამატებით 50 მილიონი აშშ დოლარის ევრობონდიგაციების გამოსყიდვა 2022 წლის განმავლობაში მოხდა. მუდმივი სოლიდური საოპერაციო შედეგების მაჩვენებლები საშუალებას გვაძლევს, განვახორციელოთ დივიდენდის გაცემა. 2022-2024 წლების პერიოდში, ევრობონდიგაციებისა და ქართული კანონმდებლობის შეზღუდვების შესაბამისად, მნიშვნელოვანი ოდენობის დივიდენდები გავეცით, რაც აღწერილია სექციაში „კაპიტალი და დივიდენდის განაწილება“.

ვინაიდან ჩვენი საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების ნაწილი – აშშ დოლარსა და ევროში, ხოლო სესხი აშშ დოლარშია დენომინირებული, ჩვენი ფინანსური შედეგები და ფულადი ნაკადების გენერირება, გარკვეულწილად, ლარის სტაბილურობაზეა დამოკიდებული. აღნიშნული რისკის სამართავად, ფულადი სახსრების პოზიციის უმეტეს ნაწილს უცხოურ ვალუტაში ვინახავთ, რაც ასევე ლიკვიდობის ბუფერის ფუნქციასაც ასრულებს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 143 მილიონი ლარი (ჯამური ლიკვიდობის 80%) ინვესტირებული იყო უცხოური ვალუტის მიმდინარე დეპოზიტებში ან აშშ დოლარში დენომინირებულ ინსტრუმენტებში.

გრაფიკი 48

ჯამური ლიკვიდობა 2024 წლის 31 დეკემბრისთვის – 179 მილიონი ლარი



ამას გარდა, ჩვენი საოპერაციო ხარჯების, კაპიტალური დანახარჯებისა და ევროობლიგაციების კუპონის ოქტომბერი 2024 – დეკემბერი 2025 პერიოდში სავარაუდო უცხოური ვალუტის გადინებების დასაჰეჯირებლად, ლოკალურ ბანკებთან ფორვარდული შეთანხმებები დავდეთ.

2024 წელს ასევე სოლიდური საინვესტიციო შედეგი დავაფიქსირეთ, რასაც, ძირითადად, უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ინსტრუმენტებზე მიმზიდველმა უკუგებამ შეუწყო ხელი.

გრაფიკი 49

ფინანსური ინსტრუმენტების უკუგება 2024 წელს

ფინანსური შემოსავალი	პორტფელზე უკუგება
~12მლნ ლარი	~6.6%

დეტალებისთვის იხილეთ კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

განმარტებები და ფინანსური ინფორმაციის წყაროები

2022, 2023 და 2024 წლების რიცხვები ეყრდნობა აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

დარეკლასიფიცირებული მოგება-ზარალის ანგარიშგება მომზადებულია „სილქნეტის“ მიერ, ეყრდნობა აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ითვალისწინებს კორექტირებებს. დარეკლასიფიცირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებისა და აუდიტირებული მოგება-ზარალის ანგარიშგების რეკონსილაცია მოცემულია ზემოთ.

· EBITDA ამ ანგარიშში არის იგივე, რაც adjusted EBITDA აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში და გამოითვლება წმინდა მოგება/ზარალის დაკორექტირებით. წმინდა მოგება/ზარალი დაკორექტირებულია შემდეგი მუხლებით:

· ფინანსური ხარჯები და ფინანსური შემოსავალი;

· მოგების გადასახადი და ნებისმიერი სხვა, დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებული გადასახადები;

· გრძელვადიანი აქტივების ცვეთა, ამორტიზაცია, გადაფასება, გაუფასურება (ზარალი/აღდგენა);

· გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული წმინდა შემოსავალი/(ზარალი), შემოსავალი/(ზარალი) ჰეჯირების ინსტრუმენტებზე, სავალუტო ფორვარდ ხელშეკრულებებისა და ნებისმიერი სხვა შემოსავლის/(ზარალის) ჩათვლით, რომლებიც მიკუთვნებადია უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებაზე;

· კორექტირებები, ქვემოთ განმარტებულის შესაბამისად.

კორექტირებები მათი ზომის, ხასიათისა და გავრცელების მიხედვით დგინდება. კორექტირებებია: ა) გრძელვადიანი აქტივებისა და ნებისმიერი სხვა არაფულადი ერთეულების ჩამოწერასთან ან გაყიდვასთან დაკავშირებული შემოსავალი ან ზარალი; ბ) ერთჯერადი, არაძირითადი და არასაოპერაციო შემოსავალი ან ხარჯები, რომლებიც არსებითია მათი ხასიათის ან ზომის მიხედვით (მაგალითად, სავაჭრო ამონაგები ბიზნესშეძენაზე, ბიზნესის შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები, სახსრების შეგროვებასა და კომპანიის ფასიანი ქაღალდების ლისტინგთან დაკავშირებული ხარჯები, გაცემული სესხის ჩამოწერა, ერთჯერადი პროფესიული საფასური, და ა.შ.).

EBITDAaL დათვლილია, როგორც EBITDA-ს გამოკლებული საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი და გამოკლებული „right-of-use“ აქტივების ამორტიზაცია.

გარკვეული რიცხვები მოცემულ ანგარიშში არის დაუმრგვალებელი, ერთი და იგივე მონაცემი სხვადასხვა ცხრილში შესაძლოა, მცირედით განსხვავდებოდეს და ნაჩვენები ჯამები შესაძლოა, მცირედით განსხვავდებოდეს მისი შემადგენლების მათემატიკური ჯამისგან.



ქსელი და ინფრასტრუქტურა

ჩვენი ქსელის ინფრასტრუქტურა არის ინტეგრირებული, საქართველოს მასშტაბით ფართო დაფარვით. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 4G/LTE ქსელი – ქვეყნის მოსახლეობის 99%-ს, ხოლო FTTH ქსელი ქვეყნის შინამეურნეობების 77%-ს ფარავდა. ჩვენს ქსელს აქვს მინიმუმ ერთი გადაკვეთა საქართველოს თითოეულ მეზობელთან. ჩვენი ქსელის ინფრასტრუქტურა აბონენტებისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდებაში ფუნდამენტურ როლს ასრულებს.

საყრდენი ინფრასტრუქტურა

ჩვენი ამჟამინდელი ფიქსირებული საყრდენი ინფრასტრუქტურა მრავალწლიანი ინვესტიციების შედეგია. საყრდენი ქსელი ფიქსირებული და მობილური სერვისებისთვის საკმარის გამტარუნარიანობას, დაფარვასა და მდგრადობას უზრუნველყოფს. ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს ოპტიკური საყრდენი ქსელის ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი. ძირითადი ქალაქები და სოფლები ოპტიკურ-ბოჭკოვანი სისტემის საშუალებით არის დაკავშირებული, ხოლო შედარებით მცირე დასახლებული პუნქტებისთვის გამოიყენება მიკროტალღური რადიო-სარელეო შეერთებები.

სატრანსპორტო ქსელი

DWDM ქსელი

DWDM ქსელი წარმოადგენს საყრდენს როგორც ფიქსირებული, ისე მობილური ქსელისათვის, აკავშირებს რა ერთმანეთთან საქართველოს დიდ ქალაქებს. იგი ასევე გამოიყენება მეზობელ ქვეყნებთან ტრანსსასაზღვრო კავშირისა და საერთაშორისო ტრაფიკის გადაცემისთვის.

2022 წელს „სილქნეტმა“ დაასრულა DWDM ქსელის მოდერნიზაცია, რის შედეგადაც მისი გამტარუნარიანობა გაორმაგდა, საგრძნობლად გაუმჯობესდა მისი მდგრადობა, ასევე მიღწეულ იქნა კონვერგენცია ფიქსირებულ და მობილურ სატრანსპორტო ქსელებს შორის.

IP MPLS სატრანსპორტო ქსელი


„სილქნეტის“ ფიქსირებული IP/MPLS სატრანსპორტო ქსელი ამჟამად აგებულია Juniper-ის როუტერებისა და კომუტატორების საფუძველზე. IP/MPLS ქსელი გამოიყენება ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის, IPTV, VoIP და მობილური მომსახურების მისაწოდებლად ჩვენი B2C და B2B აბონენტებისათვის.

2020 წელს კომპანიამ მოახდინა ფიქსირებული IP/MPLS ქსელის მოდერნიზება, რის შედეგადაც „სილქნეტის“ მონაცემთა გადაცემის ქსელის თითოეული მაგისტრალური კვანძი განახლდა Juniper-ის ახალი, თანამედროვე ტიპის აპარატურით. ქსელის მდგრადობის და საიმედოობის მიზნით IP/MPLS ქსელის თითქმის ყველა კომპონენტი რეზერვირებულია მინიმუმ ორი ალტერნატიული შეერთებით (იქ. სადაც ფიზიკური ოპტიკური ტოპოლოგია იძლეოდა შესაძლებლობას). განახლებული ქსელის ჯამური გამტარობა დაახლოებით 2.5-ჯერ – 1.4 ტბ/წმ-მდე გაიზარდა. 2023 წელს ჩატარდა მობილური IP სატრანსპორტო ქსელის ფართომასშტაბიანი მოდერნიზაცია, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქსელის მდგრადობა და რამდენიმეჯერ გაიზარდა ქსელის გამტარუნარიანობა. ეს გვაძლევს იმის გარანტიას, რომ ქსელი წარმატებით გაუმკლავდება მობილური ინტერნეტის სწრაფად მზარდ მოხმარებას მომდევნო წლებში. 2024 წელს განხორციელდა დარჩენილი რეგიონული IP ქსელის მოდერნიზაცია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სხვადასხვა კვანძის მიმდინარე ტიპი, რაოდენობა და ადგილმდებარეობა ჩვენს ფიქსირებულ და მობილურ IP/MPLS ქსელში:

კვანძის ტიპი	ადგილმდებარეობა
ფიქსირებული IP/MPLS ბირთვი	თბილისი, ქუთაისი და ბათუმი
IP/MPLS PE (provider edge) როუტერების განაწილება	თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ხაშური, რუსთავი
ფიქსირებული IP/MPLS აგრეგაციის სადგურები	ყველა ძირითადი სადგური (ჯამში 69 სადგური – აქედან 24 – თბილისში)
ფიქსირებული IPTV სათავო სადგური	თბილისი
ფიქსირებული CGNAT	თბილისი
სასაზღვრო როუტერები	თბილისი, სოფია, ფრანკფურტი
მობილური IP/MPLS საყრდენი კვანძი	თბილისი, ქუთაისი, ბათუმი (ძირითადი სასერვეროები)
მობილური IP/MPLS აგრეგაცია	განლაგებულია მობილური კავშირის ქსელის ძირითად სადგურებზე, სადაც თავს იყრის რამდენიმე რეგიონული სადგურიდან შემომავალი ოპტიკური შეერთებები
მობილური IP/MPLS სადგურის როუტერები	განლაგებულია მობილური ქსელის ყველა სადგურზე, რომლებიც ტრანსმისიულად დაერთებულია ოპტიკური კავშირის მეშვეობით.

ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაში წარმოდგენილია არსებული საერთაშორისო კავშირები:



ჩვენ ვიყენებთ Google-ს, Facebook-ს, Akamai-ს, Gcore-ს, CGN77-ს და Netflix-ის ქეშ (Cache) სერვერებს რამდენიმე ადგილმდებარეობაზე, საერთაშორისო ტრაფიკის ოპტიმიზაციის მიზნით, ასევე – პოპულარული ინტერნეტსერვისებისთვის საუკეთესო ხარისხისა და მომხმარებლის კმაყოფილების უზრუნველსაყოფად. „ქეშ სერვერების“ გამოყენება ასევე გვიმცირებს საერთაშორისო ტრაფიკის ხარჯს.

რადიოსარელეო ტრანსმისიის ქსელი

კომპანიის მიერ ფიქსირებული მომსახურების გაწევა სულ უფრო მეტად ხდება ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალის საშუალებით. თუმცა ზოგიერთ პატარა დასახლებაში, სადაც გეოგრაფიული შეზღუდვები ან ეკონომიკური მდგომარეობა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კავშირის გამოყენების საშუალებას არ იძლევა, კომპანია ტრანსმისიის უზრუნველსაყოფად კვლავაც რადიოსარელეო შეერთებებს იყენებს.

წინა წლებში მობილური ქსელის საბაზო სადგურები და

კვანძები, ძირითადად, რადიოსარელეო ტრანსმისიის ქსელის საშუალებით იყო ურთიერთდაკავშირებული: თუმცა უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო მეტი სადგურის ჩართვა მოხერხდა ოპტიკურ-ბოჭკოვანი შეერთებების საშუალებით, რამაც უზრუნველყო უფრო მაღალი გამტარუნარიანობა მზარდი ტრაფიკის დასაკმაყოფილებლად. ამჟამად სადგურების დაახლოებით 54% (მიკროსადგურების ჩათვლით) ჩართულია ოპტიკურ-ბოჭკოვანი შეერთებების მეშვეობით, ხოლო დანარჩენი სადგურებისათვის კომპანია კვლავაც მხოლოდ რადიოსარელეო ტრანსმისიის ქსელს იყენებს. ქვეყნის მასშტაბით ეტაპობრივად მიმდინარეობს რადიოსარელეო ქსელის მოდერნიზაციისა და განვითარების პროექტი, რომლის მიზანიცაა მობილური სატრანსპორტო ქსელის გამტარუნარიანობის, მდგრადობისა და სტაბილურობის გაზრდა. ამას გარდა, რადიო-სარელეო ქსელის განსაკუთრებით დატვირთულ მონაკვეთებზე აქტიურად ვიყენებთ E-band-ში 10 გბ/წმ მაღალი ტევადობის მქონე მიკროტალღურ შეერთებებს, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გადატვირთულ ტრანსმისიულ შეერთებებში საჭირო გამტარუნარიანობის უზრუნველსაყოფად.


ფიქსირებული (ხმოვანი) კომუტაციის ძირითადი ქსელი

ჩვენი ფიქსირებული ხმოვანი წვდომის ქსელი ორი ძირითადი პროგრამული კომუტატორისგან შედგება, რომელიც დატვირთვის დაბალანსების რეჟიმში მუშაობს. ჩვენი ხმოვანი აბონენტების უმრავლესობას შემდეგი თაობის ქსელი („NGN") ემსახურება, ხოლო დანარჩენი აბონენტები ტექნოლოგიაზე მიგრირების პროცესში არიან. ორივე პროგრამული კომუტატორი ეროვნული და საერთაშორისო ზარებისთვის გამოი-ყენება.

ფიქსირებული დაშვების ქსელი (DSL, FTTH)

კომპანია აბონენტებს FBB და IPTV მომსახურებას აწვდის შემდეგი ტექნოლოგიების საშუალებით: DSL, FTTH, GPON და წერტილოვანი P2P კავშირებით. 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ქსელი ემსახურება დაახლოებით 8 ათას – DSL, 348 ათას – FTTH, 3 ათას – ფიქსირებულ LTE, 257 ათას – IPTV და 27 ათას – VoIP აბონენტს. კომპანიის DSL მომსახურება მოძველებულ სპილენძის ხაზებზე, მათი ხარისხის გამო, შეზღუდულია. შესაბამისად, კომპანიას შეუძლია, თავის DSL აბონენტებს შეზღუდული გამტარუნარიანობა შესთავაზოს, ხოლო კომპანიის IPTV მომსახურება თითო ხაზზე ერთი „სეთ-თოფ ბოქსით" შემოიფარგლება და აბონენტებს HD არხებს არ სთავაზობს. მეორე მხრივ, FTTH აბონენტებს შეუძლიათ მიიღონ 150 მბ/წმ-მდე ინტერნეტის სიჩქარე, რაც დამოკიდებულია მათ სატარიფო გეგმაზე, და თითოეულ ხაზზე რამდენიმე „სეთ-თოფ ბოქსის" გამოყენების საშუალება აქვთ.

ქვემოთ მოცემულ რუკაზე აღნიშნულია FTTH სერვისების მომხმარებელთა საერთო რაოდენობა ჩვენი ქსელის ტოპ 10 ქალაქისთვის:



უსადენო მობილური ქსელი

კომპანია სთავაზობს აბონენტებს მობილური უსადენო მომსახურების ფართო სპექტრს საქართველოში როგორც სატელეფონო, ისე ინტერნეტმომსახურების მხრივ.

ქვემოთ მოცემულია მობილური ქსელის ძირითადი სტრუქტურული სეგმენტები:

- რადიოდაშვების ქსელი Radio Access Network („RAN"), რომელიც მოიცავს:
  - საბაზო მიმღებ-გადამცემ სადგურებს BTS (2G) / Node B-ს (3G) / eNode B-ს (4G) / gNode B-ს (5G);
  - საბაზო სადგურების კონტროლერებს BSC-ს (2G) / რადიოქსელის კონტროლერებს RNC-ს (3G).
- კომუტაციის ძირითადი ქსელი, რომელიც მოიცავს:
  - ხმოვანი კომუტაციის ძირითად ქსელს – Circuit Switched Core-ს („CS") (მათ შორის, MSC-ს და MGW-ს);
  - პაკეტური კომუტაციის ძირითად ქსელს – PS Core/EPC-ს (მათ შორის, SGSN/MME-ს, GGSN/EPG-ს). გაზრდილი მობილური ტრაფიკის მხარდასაჭერად დავნერგეთ ახალი ვირტუალური EPG პლატფორმა, 100 გბ/წმ საერთო გამტარუნარიანობით;
  - აბონენტების მონაცემთა ბაზას – Home Location Register 2G/3G („HLR") / Home Subscriber Server 4G-ს („HSS") (მოვახდინეთ HLR და HSS კვანძების მოდერნიზაცია უნიფიცირებული, მდგრადი UDC პლატფორმით).

Ericsson-ი არის კომუტაციის ძირითადი ქსელის, ისევე როგორც RAN ინფრასტრუქტურის, მომწოდებელი თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო Huawei არის RAN ინფრასტრუქტურის მომწოდებელი დასავლეთ საქართველოში.

მობილური რადიოდაშვების ქსელი

2024 წლის დეკემბრის მონაცემებით, „სილქნეტი" უზრუნველყოფდა ქვეყნის მობილური ქსელით დაფარვას 1,876 ფიზიკური წვდომის წერტილის მეშვეობით: ქსელი მოიცავს 1,395 მაკროსადგურსა და 481 მიკროსადგურს.

2018 წლის მარტში, „ჯეოსელის" შეძენის შემდეგ, კომპანია მობილური ქსელის მოდერნიზაციის მასშტაბური პროგრამის განხორციელებას შეუდგა. „სილქნეტმა" მასობრივად დაიწყო 800/900 MHz დიაპაზონის გამოყენება LTE ტექნოლოგიაში დაფარვის ჩამორჩენის კომპენსაციისთვის კონკურენ-ტებთან, რომლებიც უკვე იყენებდნენ 800 MHz-ს, ასევე, გაუმჯობესებული დაფარვისა და შენობებში შეღწევის უზრუნველსაყოფად. არსებული სიხშირული დიაპაზონებიდან საჭირო სიხშირული რესურსის გამოთავისუფლების (ე.წ. „რეფარმინგის") შედეგად განხორციელდა 5G ტექნოლოგიის დანერგვა თბილისის ცენტრალურ უბნებში. ამრიგად, „სილქნეტი" გახდა პირველი ოპერატორი საქართველოში, რომელმაც 2023 წლის დეკემბერში წარმატებით დანერგა 5G ტექნოლოგია.

„სილქნეტის" მოდერნიზაციის პროგრამის ძირითადი ასპექტები:

- სიხშირული ლიცენზიები:
  - 2x5 მჰც-იანი რადიოსიხშირული სპექტრის ლიცენზიის შეძენა 800 მჰც-იან დიაპაზონში;
  - 900 მჰც-იან დიაპაზონში არსებული 2x5 მჰც სიხშირული ზოლის გამოთავისუფლება 2G-დან და ამ ზოლში 4G/LTE-ს დანერგვა, რაც განხორციელდა 2G ხმოვანი სერვისის გაუარესების გარეშე;
  - მობილური ინტერნეტის კუთხით მაღალი ტრაფიკის მქონე რეგიონებში „სილქნეტმა" დაიწყო 2300 მჰც-იანი სპექტრის გამოყენება, რომელიც ადრე ფიქსირებული უსადენო LTE ინტერნეტისთვის გამოიყენებოდა;
  - დავასრულეთ პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა მთელი ქსელის მასშტაბით 4G ტექნოლოგიის სპექტრული ტევადობის გაზრდას: იგულისხმება 1800 მჰც-იანი სიხშირულ დიაპაზონში 2G ტექნოლოგიის მიერ ადრე დაკავებული 2x10 მჰც სპექტრული ზოლის სრული გამოთავისუფლება და ამ სპექტრული რესურსის დამატება 4G ტექნოლოგიის მიერ 1800 მჰც-იანი დიაპაზონში უკვე გამოყენებული 2x20 მჰც-იანი რესურსისთვის. ამან ჯამში მოგვცა 30 მჰც, უალრესად დადებითად აისახა მობილური ქსელის გამტარობასა და მობილური ინტერნეტის სიჩქარის ზრდაზე.
  - არსებული სიხშირული რესურსის გამოყენებით თბილისის ცენტრალურ უბნებში დაინერგა 5G NSA ტექნოლოგია.
- ქსელის განვითარება:
  - ყველა არსებულ მაკრო საბაზო სადგურს დაემატა 4G/LTE და 3G/HSPA ტექნოლოგია;
  - დაინერგა სიხშირული ზოლების აგრეგაცია (ე.წ. „4.5G"), რამაც კიდევ უფრო გააუმჯობესა მობილური ინტერნეტის სიჩქარე;
  - სადაც საჭიროება მოითხოვდა, დაფარვის გასაუმჯობესებლად ავაშენეთ ახალი მაკრო საბაზო სადგურები;
  - „სილქნეტმა" საქართველოში პირველმა დანერგა ე.წ. Gigabit-LTE ტექნოლოგია, რომელიც 1 გბ/წმ-დე სიჩქარის მიღების საშუალებას იძლევა რამდენიმე უახლესი ფუნქციონალის გამოყენებით,

როგორებიცაა: სამი სიხშირული ზოლის აგრეგაცია (20 მჰც 1800 მჰც-იან დიაპაზონში + 2x20 მჰც 2300-მჰც-იან დიაპაზონში), 4x4 და 8x8 MIMO (multiple-input and multiple-output) და 256 QAM (მაღალი დონის მოდულაცია). Gigabit-LTE ტექნოლოგია დაემატა საერთო ჯამში 539 საიტზე, რის შედეგადაც აღნიშნული ტექნოლოგია დღეისათვის ხელმისაწვდომია საქართველოს ყველა ძირითად ქალაქსა და კურორტზე. 2024 წლის განმავლობაში განხორციელდა განსაკუთრებით დატვირთულ სადგურებზე 2300 მჰც დიაპაზონში არსებული მესამე 10 მჰც-იანი სიხშირული ზოლის დამატება, რამაც ოთხი-ხუთი სიხშირული ზოლის აგრეგაციის ხარჯზე მოგვცა საშუალება, კიდევ უფრო გაგვეუმჯობესებინა ქსელის გამტარუნარიანობა და შეგვენარჩუნებინა მობილური ინტერნეტის კონკურენტული სიჩქარე მუდმივად მზარდი ტრაფიკის პირობებში.

– დავნერგეთ ENDC სიხშირეთა აგრეგაცია და საქართველოში პირველებმა გავუშვით 5G ტექნოლოგია თბილისის ცენტრალურ უბნებში არსებულ 16 სადგურზე.


– ავაშენეთ 481 ახალი მიკრო საბაზო სადგური თბილისში მომხმარებლების კმაყოფილების გასაზრდელად და მჭიდრო ურბანული განაშენიანების მქონე უბნებში მობილური კავშირის უკეთესი ხარისხის შესათავაზებლად. ასევე, თბილისის მეტროს სადგურებში მოვაწყვეთ დაფარვა მიკრო საიტების მეშვეობით.

– 2024 წლის განმავლობაში მოვახდინეთ 900 მჰც დიაპაზონში აუცილებელი სიხშირული ზოლის გამოთავისუფლება თბილისსა და ბათუმში და ამ დაბალსიხშირულ დიაპაზონში 3G ტექნოლოგიის დანერგვა, რამაც შედეგად მობილური ხმოვანი სერვისის დაფარვისა და ხარისხის საგრძნობი გაუმჯობესება მოგვცა, განსაკუთრებით – მჭიდრო განაშენიანების მქონე უბნებსა და შენობების სიღრმეში.


ზემოაღნიშნულმა ინვესტიციებმა განაპირობა ის, რომ 2020-2024 წლების განმავლობაში ჩვენი ქსელი არაერთხელ იქნა აღიარებული საქართველოს კომუნიკაციების კომისიის, © Speed Test by Ookla-ს და სხვა დამოუკიდებელი წყაროების მიერ, როგორც ყველაზე სწრაფი ქსელი არა მხოლოდ თბილისში, არამედ – საქართველოს რეგიონების უმეტესობაში.

4G/LTE დაფარვა გაიზარდა 2017 წლის ბოლოს ტერიტორიის 17%-იდან და მოსახლეობის 57%-დან – ტერიტორიის 81%-მდე და მოსახლეობის 99%-მდე 2024 წლის ბოლოს. ამას გარდა, Gigabit-LTE ტექნოლოგია 2024 წლის ბოლოსთვის ფარავდა საქართველოს ტერიტორიის 17%-ს და მოსახლეობის 63%-ს.

4G/LTE დაფარვის რუკა 2018 წლის ბოლოს



4G/LTE და GIGABIT-LTE დაფარვის რუკა 2024 წლის ბოლოს
(ლურჯი – 4G/LTE; წითელი – GIGABIT-LTE)



მობილური კომუტაციის ძირითადი ქსელი

კომპანიის მობილური კომუტაციის ძირითადი ქსელი „CS Core“-ისა (ხმოვანი კომუტაციის) და „PS Core“-ისგან (პაკეტური კომუტაციის) ქსელისაგან შედგება.

CS Core ემსახურება ხმოვან და SMS მომსახურებას და შედგება ქსელის ელემენტებისგან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ხმოვანი კომუნიკაციისა და კავშირის მართვაზე, როგორც ეს წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ქსელის კვანძი	მოკლე სახელი	ფუნქციონალი
MSC სერვერი	MSC	Mobile switching center-ი („MSC“) პასუხისმგებელია ხმოვანი და SMS სერვისების სასიგნალო ინფორმაციის კონტროლზე, ზარების მარშრუტიზაციაზე და აბონენტების მდებარეობის პერიოდულ განახლებაზე.
მულტიმედიური შლუზი	MGW	Media gateway („MGW“) არის ქსელის ძირითადი ელემენტი, რომელიც პასუხისმგებელია ხმოვანი ზარების მედიანაკადების გადაცემაზე მობილურ ქსელებში. ის ურთიერთქმედებს 2G და 3G ზარის კონტროლის ერთეულებთან, როგორებიცაა MSC სერვერი, რათა კოორდინაცია გაუწიოს მედიასესიების დამყარებას, შენარჩუნებასა და შეწყვეტას.
Home location register	HLR	Home Location Registry („HLR“) არის მონაცემთა ცენტრალური ბაზა, რომელიც შეიცავს დეტალურ ინფორმაციას მობილური ქსელის თითოეული აბონენტის შესახებ, რომელიც უფლებამოსილია გამოიყენოს 2G და 3G ქსელის სერვისები.

მობილური პაკეტური კომუტაციის ძირითადი ქსელი (PS Core) საშუალებას აძლევს 2G/3G/4G ქსელის აბონენტებს, მოახდინონ IP პაკეტების მიმოცვლა გარე ქსელებთან, როგორიცაა, მაგალითად, ინტერნეტი. პაკეტების ამგვარი მიმოცვლა ხორციელდება Enhanced GPRS ([E]GPRS), High Speed Packet Access-ი („HSPA“),LTE (A) და 5G სერვისების საშუალებით. აღნიშნული სერვისების გამოყენებით

აბონენტებს შეუძლიათ ფაილების ჩამოტვირთვა/ატვირთვა ან მობილური აპლიკაციების გამოყენება, როგორებიცაა: WhatsApp-ი, Viber-ი, Skype, Facebook-ი, YouTube და ა.შ.

კომპანიის პაკეტური კომუტაციის ძირითადი ქსელი შედგება ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩამოთვლილი ელემენტებისგან:

ქსელის კვანძი	მოკლე სახელი	ფუნქციონალი
Serving GPRS Support Node / Mobility Management Entity	SGSN/MME	• Serving GPRS Support Node („SGSN“) წარმოადგენს GPRS და 3G/HSPA ქსელის ძირითად კომპონენტს, რომელიც ამუშავებს პაკეტური კომუტაციისა და სასიგნალო მონაცემებს, აგრეთვე, ახორციელებს ისეთ ფუნქციებს, როგორებიცაა, მაგალითად, მობილობის მართვა და მომხმარებლების ავტორიზაცია. SGSN-ი მობილური ინტერნეტისთვის დაახლოებით იმავე ფუნქციებს ასრულებს, რასაც MSC-ი – ხმოვანი ტრაფიკისთვის. • MME არის LTE Evolved Packet Core (EPC)-ის ძირითადი კომპონენტი. ეს არის ე.წ. „საკონტროლო სიბრტყის“ ქსელის ელემენტი, რომელიც პასუხისმგებელია LTE ქსელთან დაკავშირებული სააბონენტო ტერმინალის მობილურობის მართვაზე, ავთენტიფიკაციასა და ინტერნეტსესიის მართვაზე.
Gateway GPRS Support Node / Serving Gateway/Packet Data Network Gateway	GGSN/SGW/PGW	• GGSN -ი ინახავს ჩანაწერს 2G და 3G მობილური ქსელის აქტიური აბონენტებისა და SGSN-ის შესახებ, რომელზეც დარეგისტრირებულნი არიან მობილური აბონენტები. ის ანიჭებს IP მისამართებს მობილურ აბონენტებს და ახდენს კომუნიკაციას საბილინგო სისტემასთან. • SGW ახდენს მარშრუტიზაციას და აგზავნის აბონენტის მონაცემების პაკეტებს, ასევე, მოქმედებს მობილურობის საყრდენის როლში ე.წ. „სააბონენტო სიბრტყისათვის“ eNodeB-ებს შორის მიმდინარე ინტერნეტსესიის გადაცემის დროს, და როგორც წამყვანი კვანძი – LTE და სხვა 3GPP ტექნოლოგიებს შორის მობილურობის უზრუნველსაყოფად. უმოქმედო მდგომარეობაში მყოფი სააბონენტო მოწყობილობის შემთხვევაში SGW წყვეტს აბონენტის მიმართულებით მონაცემთა გადაცემას, ასევე აინიცირებს ე.წ. ფეიჯინგის პროცედურას აბონენტისთვის განკუთვნილი მონაცემთა პაკეტის შემოსვლის შემთხვევაში. იგი ასევე მართავს და ინახავს სააბონენტო მოწყობილობის კონტექსტებს, მაგ. IP მატარებლის სერვისის პარამეტრებს, ქსელის შიდა მარშრუტიზაციის ინფორმაციას.
Home subscriber server	HSS	HSS-ი წარმოადგენს აბონენტების მონაცემთა ბაზას, რომელიც ინახავს ინფორმაციას ყველა LTE მობილური აბონენტის შესახებ. იგი შეიცავს ინფორმაციას აბონენტის ტელეფონის ნომრისა და მასთან დაკავშირებული სერვისების შესახებ. HSS-ის ფუნქციები მოიცავს მობილურობის მართვას, ზარების და სესიების დამყარების მხარდაჭერას, მომხმარებლის ავტორიზაციას და წვდომის ავტორიზაციას.
Mobile Packet Backbone Network	MPBN	გეოგრაფიულად განაწილებული ძირითადი ქსელის ელემენტებისა და RAN კვანძების ურთიერთდაკავშირება, Mobile Network Firewall-ის ფუნქცია.

სიხშირული ლიცენზიები

დიაპაზონი	„სილქნეტი“	„მაგთიკომი“	„სელფი“
	მეგაჰერცი	მეგაჰერცი	მეგაჰერცი
700 MHz	2x5.0	2x10.0	2x5.0
800 MHz	2x5.0	2x10.0	2x10.0
900 MHz	2x11.8	2x13.2	2x5.5
1800 MHz	2x29.9	2x29.9	2x10.0
2100 MHz	2x15.0	2x15.0	2x10.0
2300 MHz	50.0		
2600 MHz		2x30.0	20.0
3500 MHz	50.0	100.0	50.0
სულ 700/800/900/1800/2100/2300/2600/3500	**233.4**	**316.2**	**161.0**

წყარო: კომისია

რისკის მართვა

მმართველი გუნდი (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „მმართველობითი სტრუქტურა“). სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად, აკონტროლებს რისკების მართვას.

შიდა აუდიტის მიმართულება აკონტროლებს ჩვენს ბიზნესპროცესებს. ნებისმიერი პრობლემის შესახებ ხელმძღვანელობას შეტყობინება მიეწოდება. ამასთანავე, „სილქნეტის“ თითოეული განყოფილება, მაგალითად, ხაზინა, აბონენტთა მომსახურება და ა.შ. პასუხისმგებელია საკუთარ სფეროში რისკების მართვაზე.

ძირითადი რისკები

ჩვენ ვდგავართ რამდენიმე ძირითადი რისკისა და გაურკვევლობის წინაშე, რომლებმაც შეიძლება, გავლენა იქონიონ ჩვენს ოპერაციებზე, შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. ჩვენ მუდმივად ვაუმჯობესებთ პროცესებს, რათა თავიდან ავიცილოთ რისკების მატერიალიზაცია ან, თუ მათი თავიდან აცილება შეუძლებელია, ვიღებთ ზომებს მათი გავლენის მინიმუმამდე შესამცირებლად.

სტრატეგიული

მაკროეკონომიკური

აღწერა	როგორ ვმართავთ/ვამცირებთ რისკს
• ჩვენი საქმიანობა, ძირითადად, საქართველოში ხორციელდება და, შედეგად, ჩვენზე არსებითად ზემოქმედებს საქართველოში მიმდინარე ან მასზე გავლენის მქონე პოლიტიკური, ფინანსური და ეკონომიკური მოვლენები. რთულმა გლობალურმა ეკონომიკურმა პირობებმა, რეგიონულმა დაძაბულობამ და მეზობელ ბაზრებზე მომხდარმა მოვლენებმა შეიძლება, უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე.	• უკანასკნელი დეკადის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკამ რამდენიმეჯერ აჩვენა მდგრადობა გარეგანი შოკების მიმართ, მათ შორისაა, COVID-19-ის პანდემია და ომი უკრაინაში. ჩვენ ყურადღებით ვაკვირდებით მაკროეკონომიკურ მოვლენებს საქართველოში და ვაფასებთ მათ ზეგავლენას ჩვენს საოპერაციო საქმიანობაზე. ვიღებთ ზომებს ცვალებადი ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად.
• ისეთმა ფაქტორებმა, როგორებიცაა მშპ, ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთი და ვალუტის გაცვლითი კურსი, უმუშევრობის დონე, პირადი შემოსავალი, ტურისტული აქტივობა და კორპორაციების ფინანსური მდგომარეობა, შეიძლება, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ ჩვენს პროდუქტებსა და მომსახურებაზე არსებულ მოთხოვნაზე. საქართველოს ეკონომიკის ზრდის შენელებამ შეიძლება, უარყოფითი გავლენა იქონიოს ჩვენს შემოსავლებსა და მოგებაზე.	· საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ინფლაციის ფრთხილმა მართვამ, ძირითადად, მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შედეგად, 2021 და 2022 წლებში 9.6% და 11.9% ინფლაციის საშუალო მაჩვენებლის შემდგომ, 2023 წლის დასაწყისიდან ინფლაციის დასტაბილურება გამოიწვია – 2.5% და 1.1% საშუალო ინფლაცია 2023 და 2024 წელს, შესაბამისად. ინფლაციის გავლენის შემცირებას ფასებისა და პაკეტების დაკორექტირებისა და მოხმარების ზრდის საშუალებით ვცდილობთ. მაგალითად, 2022 წელს დავაკორექტირეთ ფასები და პაკეტები როგორც მობილურ, ასევე ფიქსირებულ სეგმენტში. ამას გარდა, მუდმივად ვაკვირდებით საოპერაციო ხარჯებს და ოპტიმიზაციას ვახდენთ. 2021 და 2022 წლებში მაღალი ინფლაციის მიუხედავად, „სილქნეტის“ საოპერაციო ხარჯები 2021, 2022, 2023 და 2024 წლებში მხოლოდ 9%-ით წ/წ, 2%-ით წ/წ, 5%-ით წ/წ და 6%-ით წ/წ გაიზარდა. დამატებითი ანალიზისთვის იხილეთ „ბაზრის მიმოხილვა“ და „ფინანსური შედეგები“;
• ინფლაციის მაღალმა მაჩვენებელმა, შესაძლოა, ხარჯების ზრდა გამოიწვიოს და უარყოფითი გავლენა იქონიოს ჩვენს ფინანსურ შედეგებზე.	

მოთხოვნა

აღწერა	როგორ ვმართავთ/ვამცირებთ რისკს
• ბაზარზე გრძელდება მობილურ ინტერნეტთან დაკავშირებული კომუნიკაციების გამოყენების ზრდის ტენდენცია, რაც გავლენას ახდენს ტრადიციულ სატელეკომუნიკაციო შემოსავლის წყაროებზე, როგორიც არის ფიქსირებული და მობილური ხმოვანი მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი. ჩვენ შეიძლება, მნიშვნელოვან დაბრკოლებებთან გამკლავება მოგვიხდეს, სატელეკომუნიკაციო ბაზრის ფიქსირებული და მობილური ხმოვანი მომსახურებისგან კიდევ უფრო დაშორების პარალელურად.	• ჩვენ მუდმივად ვავითარებთ ჩვენს ტექნოლოგიურ პლატფორმებს, რათა კლიენტებს მივცეთ კონტენტზე წვდომა სახლის მოწყობილობების საშუალებით, ასევე, ინტერნეტისა და მობილური აპლიკაციების მეშვეობით. ჩვენ ორიენტირებული ვართ მობილური ინტერნეტით მომხმარებლის კმაყოფილების მატებასა და ხარისხიანი კონტენტის მიწოდებაზე, რათა ხელი შევუწყოთ ზრდას აღნიშნულ სეგმენტში და მოვერგოთ კონტენტის მოხმარების ქცევაში ცვლილებებს. ჩვენ შევიმუშავეთ ახალი და კონვერგენტული ვებგვერდი და კონვერგენტული თვითმომსახურების აპლიკაცია, რათა ჩვენს B2C აბონენტებს უფრო მოქნილი სერვისი შევთავაზოთ. B2B აბონენტებისთვის განკუთვნილი თვითმომსახურების გადაწყვეტა განვითარების ფაზაშია. ჩვენ პირველები ვიყავით საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე ციფრული კონტენტის მიწოდების მიმართულებით აპლიკაციებისა და ვებგვერდების საშუალებით, როგორებიცაა Silk Go და silktv.ge, myvideo.ge, ლიდერი ქართული ვიდეო სტრიმინგ პლატფორმა, რომელიც 2023 წელს ვიყიდეთ. საქართველოში უნიკალურია დივერსიფიცირებული, მომხმარებლის მიერ შექმნილი კონტენტით, ასევე უფასო და ფასიანი არხებით. ჩვენ ვაპირებთ, შემდგომშიც განვავითაროთ ციფრული აპლიკაციები აბონენტების კმაყოფილების გაზრდისა და კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად. ასეთი აპლიკაციები შეიძლება მოიცავდეს გაუმჯობესებულ ვიდეოკონტენტის მიწოდებას, მუსიკას და სათამაშო პლატფორმებს.
• ბოლო წლების განმავლობაში კონკურენცია გამძაფრდა და ჩვენს შედეგებზე შეიძლება, უარყოფითი გავლენა იქონიოს კონკურენტების ქმედებებმა, სხვადასხვა მიზეზების გამო: მათ შორისაა: (I) უფრო დაბალი ფასები ან უფრო მაღალი ხარისხის მომსახურება, მახასიათებლები ან კონტენტი; (III) ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქტებისა და მომსახურების უფრო სწრაფი განვითარება და განთავსება; (IIII) მათი ქსელების უფრო სწრაფი გაფართოება; (IV) MVNO-ები, რომლებიც წარმატებით აერთიანებენ თავიანთ მომსახურებას არასატელეკომუნიკაციო მომსახურებასთან, რომელიც არ მიეკუთვნება სატელეკომუნიკაციო სექტორს (MVNO-ებთან დაკავშირებით მარეგულირებელი ცვლილებების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „მარეგულირებელი გარემო“); ან (V) დაბალი ფასებისა და უარესი ინფრასტრუქტურის მქონე მობილური ოპერატორის მიერ საქართველოს მობილური სეგმენტის ბაზარზე პოზიციის გაუმჯობესება.	ვცდილობთ, მომხმარებლებთან ინტერაქციის ყველა წერტილში უმაღლესი ხარისხის მომსახურება შევთავაზოთ მათ, მათ შორის: • მიზნად ვისახავთ მომხმარებლებისთვის ღირებული და მიმზიდველი პროდუქტებისა და მომსახურების შეთავაზებას. • ორიენტირებული ვართ ჩვენი ქსელის, შეთავაზებების გაუმჯობესებასა და ტექნოლოგიების განვითარებაზე, პროდუქტის უკეთესი განვითარებისათვის და ბაზარზე მოქნილობის დროის შესამცირებლად. • ვაპირებთ, ყურადღება ციფრული პროდუქტებისა და პლატფორმების განვითარებისკენ მივმართოთ. • ვაპირებთ, ყურადღებით დავაკვირდეთ პოტენციური MVNO-ების აქტივობას. კომპანიის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე მივიღებთ სტრატეგიულ გადაწყვეტილებას საბითუმო ბაზარზე უფრო აქტიურად შესვლასთან დაკავშირებით. • ქვეყნის მასშტაბით, მუდმივად ვაუმჯობესებთ გაყიდვის არხებს, რაც 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მოიცავდა 47 მაღაზიასა და 15 საცალო ჯიხურს. • ჩვენმა ქოლცენტრებმა 2024 წლის განმავლობაში ყოველთვიურად საშუალოდ 330 ათას ზარს უპასუხეს . 37-წამიანი საშუალო დაყოვნების დროით. • 2024 წელს ჩვენს ვებგვერდზე დაახლოებით 1.6 მილიონი სესია დაფიქსირდა. ჩვენ ასევე აქტიურად ვიყავით ჩართულები სოციალურ მედიაში. • იმ შემთხვევაში, თუ დაბალი ფასებისა და უარესი ინფრასტრუქტურის მქონე მობილური ოპერატორი გადაწყვეტს ქსელში დიდი ოდენობით ინვესტიციის განხორციელებას, მათ შორის 5G-ის განვითარებას, რაც დიდ ძალისხმევას მოითხოვს, კონკურენციის სხვაობის აღმოფხვრას დასჭირდება დრო, შესაძლოა, წლები. გვჯერა, რომ ჩვენი პოზიცია, როგორც ძლიერი კონვერგენტული ოპერატორისა, მომავალში საშუალებას მოგვცემს, კვლავ ვიყოთ ლიდერი სატელეკომუნიკაციო ბაზარზე.

რეგულაცია

აღწერა	როგორ ვმართავთ/ვამცირებთ რისკს
• კანონებსა და მარეგულირებელ ნორმებში განხორციელებულმა ცვლილებებმა შესაძლოა, უარყოფითი გავლენა იქონიოს ჩვენს ბიზნესზე. განხორციელებულ ცვლილებებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ჩვენ სისტემატურად ვაახლებთ ჩვენს პოლიტიკებსა და პროცედურებს. ამ პროცესში კომპანიას შესაძლებელია, დამატებითი ხარჯების გაწევა დასჭირდეს, ამან კი უარყოფითი გავლენა იქონიოს ჩვენს მოგებიანობაზე. • 2023-2024 წლებში კომისიამ განახორციელა მობილურ ქსელზე საბითუმო დაშვებისა და ფიქსირებულ ქსელზე ადგილობრივი და ცენტრალური დაშვების ბაზრების კვლევა და ანალიზი. ორივე საბითუმო ბაზარზე კომისიამ „მაგთიკომი" ცნო ერთპიროვნულად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირად. მიუხედავად იმისა, რომ „სილქნეტი" არ არის წინასწარი რეგულირების ობიექტი. ამგვარი რეგულაციები შესაძლოა, უარყოფითად აისახოს კომპანიის შემოსავალზე. დამატებითმა რეგულაციებმა შესაძლოა, შეამციროს ბაზარზე შესვლის ბარიერები და შეაფერხოს ჩვენი ზრდის პოტენციალი.	• ჩვენ აქტიურად ვაკვირდებით საკანონმდებლო აქტებსა და რეგულაციებში დაგეგმილ ცვლილებებს და ვიღებთ შესაბამის ზომებს ჩვენს ბიზნესზე პოტენციური გავლენის სამართავად. კომისიასთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად, მუდმივად აქტიურად ვართ ჩართული ახალი კანონებისა და რეგულაციების განხილვაში. იხილეთ სექცია „მარეგულირებელი გარემო".

ფინანსური

კაპიტალური ინვესტიციებისთვის დაფინანსების ხელმისაწვდომობა

აღწერა	როგორ ვმართავთ/ვამცირებთ რისკს
• ჩვენი ბიზნესი მოითხოვს მნიშვნელოვან კაპიტალურ ინვესტიციებს ჩვენი ქსელის მუდმივი გაუმჯობესებისა და ახალი ტექნოლოგიების დასანერგად. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კაპიტალური პროექტების დასაფინანსებლად კომპანიის შიგნით გენერირებული ფულადი ნაკადების გამოყენებას ვგეგმავთ, მომავალში შესაძლებელია, დამატებითი დაფინანსება დაგვჭირდეს. ამასთანავე, დიდია ალბათობა იმისა, რომ მოსალოდნელია, ჩვენი არსებული სასესხო ინსტრუმენტების რეფინანსირება დაგვჭირდეს, მათი დაფარვის ვადის დადგომისას. • თუმცა კაპიტალის მსგავსი წყაროები შეიძლება, ჩვენთვის ხელმისაწვდომი კომერციულად გონივრული პირობებით არ იყოს. ჩვენი გარე დაფინანსების მოზიდვის უნარი და მსგავსი დაფინანსების ხარჯი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის, ჩვენს მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე, ზოგადი ეკონომიკური და კაპიტალის ბაზრების პირობებზე, საპროცენტო განაკვეთებზე, ბანკებისა და სხვა მსესხებლებისგან საკრედიტო ხელმისაწვდომობაზე, ინვესტორების ნდობაზე, შესაბამის საგადასახადო და ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობაზე, და საქართველოში არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. • კომპანიის საკრედიტო რეიტინგი დაფინანსების ფასის განსასაზღვრად მნიშვნელოვანი ფაქტორია. ჩვენ გვაქვს 'B+/სტაბილური' რეიტინგი Fitch-სგან და 'B1/სტაბილური' რეიტინგი Moody's-სგან. საკრედიტო რეიტინგის ან პროგნოზის პოტენციურმა შემცირებამ შესაძლოა, გაზარდოს დაფინანსების ხარჯები. შეგვიზღუდოს კაპიტალის მოძიების შესაძლებლობა ან მატერიალურად უარყოფითი ეფექტი იქონიოს ჩვენს შესაძლებლობაზე, დავაფინანსოთ კაპიტალური დანახარჯების პროექტები ან საოპერაციო საქმიანობა, რასაც შესაძლოა, უარყოფითი გავლენა ჰქონდეს ჩვენს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, შედეგებსა და სამომავლო პერსპექტივაზე.	• ფინანსური რისკების მართვის ჩვენი წინდახედული პოლიტიკა და დაფინანსების მრავალფეროვან წყაროებზე წვდომის შენარჩუნებაზე ორიენტირებულობა ამ დაბრკოლებების შემსუბუქებაზეა მიმართული. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში კაპიტალურად ინტენსიური პროექტები განვახორციელეთ, მათ შორის, მობილური ქსელის მოდერნიზაციის პროექტი, IT ტრანსფორმაცია და სხვა კაპიტალური დანახარჯები. ყველა აღნიშნული ინვესტიცია კომპანიაში გენერირებული ფულადი სახსრებით განხორციელდა. გვჯერა, რომ სოლიდური ფულადი სახსრების გენერირება საშუალებას მოგვცემს, მომავალში დავაფინანსოთ კაპიტალური პროექტები, მათ შორის, პოტენციური 5G-ის განვითარება, ყოველგვარი დამატებითი დაფინანსების მოპოვების გარეშე. • მნიშვნელოვან მომწოდებლებთან გრძელვადიანი ურთიერთობები საშუალებას გვაძლევს, ხელსაყრელ პირობებზე მოვლაპარაკოთ. • ჩვენ აქტიურად ვურთიერთობთ სასესხო კაპიტალის საერთაშორისო ბაზრებთან და დროდადრო ვაფასებთ ჩვენი დაფინანსების წყაროების გაუმჯობესებისა და შემდგომი დივერსიფიცირებისთვის ხელმისაწვდომი სხვადასხვა შესაძლებლობის გამოყენების ვარიანტებს. 2022 წლის იანვარში წარმატებულად გამოვუშვით 300 მილიონი აშშ დოლარის 8.375%-იანი ევრობლიგაციები და ყველა არსებული სასესხო ინსტრუმენტის რეფინანსირება მოვახდინეთ. • ნაღდი ფულის გენერირების სოლიდური მაჩვენებლის შედეგად, 100 მილიონი აშშ დოლარის ევრობლიგაციები გამოვისყიდეთ და ამჟამად 200 მილიონი აშშ დოლარის ღია პოზიცია გვაქვს. ნაღდი ფულის გენერირების მაჩვენებლის განგრძობითობის შემთხვევაში, შესაძლოა, ფინანსურ (როგორც ლოკალურ, ასევე საერთაშორისო) ბაზრებზე ტრანზაქციის განხორციელების მოქნილობა გაგვეზარდოს.

სავალუტო

აღწერა	როგორ ვმართავთ/ვამცირებთ რისკს
• ჩვენი შემოსავლები, ძირითადად, დენომინირებულია ლარში, მაშინ როდესაც ჩვენი სესხი დენომინირებულია აშშ დოლარში. ამასთანავე, ჩვენ კაპიტალური და საოპერაციო დანახარჯების არსებით ნაწილს გავწევთ აშშ დოლარსა ან ევროში, შესაბამისად. უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებებმა შეიძლება, არსებითი გავლენა იქონიოს ჩვენი საოპერაციო საქმიანობის შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე მომავალ პერიოდებში, რადგან ჰეჯირების ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობა საქართველოში შეზღუდულია.	სავალუტო რისკის შესამცირებლად ვიყენებთ ან ოპორტუნისტულად შესაძლოა გამოვიყენოთ შემდეგი ინსტრუმენტების კომბინაცია: • ფულადი სახსრების უდიდეს ნაწილს უცხოურ ვალუტაში ვინახავთ. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 179 მილიონი ლარის ფულადი სახსრებიდან 143 მილიონი ლარის (80%) ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში, ძირითადად, აშშ დოლარში იყო დენომინირებული.

სოციალური

მომსახურების შეწყვეტა და მიწოდების ჯაჭვი

აღწერა	როგორ ვმართავთ/ვამცირებთ რისკს
• ჩვენი მომსახურება ქსელის, ტექნიკური აღჭურვილობისა და მომწოდებლების გამართულ მუშაობაზეა დამოკიდებული. ამასთანავე, ჩვენი ტექნიკური ინფრასტრუქტურა მგრძნობიარეა სამარი მოქმედებებით, ტერორიზმით, წინასწარგანზრახული დანაშაულით, ადამიანური შეცდომებითა და მსგავსი მოვლენებით გამოწვეული დაზიანებისა და შეფერხების მიმართ. ჩვენს ობიექტებში გაუთვალისწინებელმა პრობლემებმა, სისტემის გაუმართაობამ, აპარატურის ან პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობამ, კომპიუტერულმა ვირუსებმა ან ჰაკერულმა შეტევებმა შეიძლება, ჩვენი მომსახურების ხარისხზე გავლენა მოახდინოს და მომსახურების შეფერხება გამოიწვიოს • ჩვენ დიდწილად დამოკიდებული ვართ შეზღუდული რაოდენობის ტექნიკური აღჭურვილობისა და მომსახურების მომწოდებელთა გამართულ მუშაობაზე. კომერციული პირობების გაუარესებამ ან მომწოდებლების მხრიდან შესაბამისი აღჭურვილობისა ან მომსახურების დროულად მოწოდების შეფერხებამ შეიძლება, ჩვენი მომსახურების შეფერხება გამოიწვიოს. • „სილქნეტს" არ აქვს მონაცემთა აღდგენის დისტანციური ცენტრი. ჩვენი კომპიუტერული ან საინფორმაციო სისტემების შეფერხების ან დაკარგვის შემთხვევამ შეიძლება, ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობის შეფერხება, შემოსავლისა და აბონენტების დაკარგვა გამოიწვიოს, ან ზიანი მიაყენოს ჩვენს ბრენდს.	• მუდმივი ინვესტიციები ჩვენს ქსელსა და IT ინფრასტრუქტურაში მის მდგრადობასაც აძლიერებს • კომერციული და ტექნიკური რისკების შესამცირებლად ჩვენ ვცდილობთ, შევინარჩუნოთ ეფექტური ალტერნატივები ქსელის დაგეგმვასა და აღჭურვილობის შეძენაში. პროცესებზე მორგებითა და მომწოდებლებთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნების გზით ამ დრომდე მოვახერხეთ, რომ გლობალური მოწოდების ჯაჭვის კრიზისის (როდესაც ეს იყო) უარყოფითი გავლენა ჩვენს საოპერაციო საქმიანობაზე მინიმუმამდე შეგვემცირებინა.

პროდუქტის გაუმჯობესება

აღწერა	როგორ ვმართავთ/ვამცირებთ რისკს
• უკანასკნელ წლებში საქართველოში მრავალპროდუქტიანი პაკეტები სულ უფრო პოპულარული ხდება მომხმარებელთა შორის. გაერთიანებული პროდუქტების შეთავაზება შეიძლება, რთული იყოს ტექნოლოგიური, ლოგისტიკური და ფასის პრობლემების გამო. რაც ორი ან მეტი მომსახურების კონკურენტუნარიან ფასად, ერთიან შეთავაზებად გაერთიანებას უკავშირდება. მომავალში მიმზიდველი ახალი გაერთიანებული პროდუქტების შეთავაზების ან მსგავსი შეთავაზებების წარმატებული მარკეტინგის უუნარობამ შესაძლოა, უარყოფითი გავლენა იქონიოს ჩვენს შესაძლებლობაზე, კლიენტების მოზიდვისა და შენარჩუნებისთვის გამოვიყენოთ ჩვენი პლატფორმა „multi-play". • ჩვენ განუწყვეტლივ ვავითარებთ ახალ პროდუქტებსა და მომსახურებას. ჩვენი პროდუქტებისა და მომსახურების უმეტესობა ტექნოლოგიურად ინტენსიურია და, შედეგად, შეიძლება მოითხოვოს ინვესტიციები ახალ ინფრასტრუქტურასა და ტექნოლოგიებში იმისათვის, რომ კონკურენტუნარიანი დარჩეს. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ ახალი პროდუქტებისა და მომსახურების დროულად და მიმზიდველ ფასად განვითარებას, ჩვენ შეიძლება დავკარგოთ არსებული კლიენტები, ვერ მოვიზიდოთ ახალი მომხმარებლები ან მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევა მოგვიწიოს.	• ჩვენ ორიენტირებულები ვართ ახალი და გაუმჯობესებული პროდუქტის შეთავაზებაზე და, ამავდროულად, მუდმივად ვაკვირდებით ჩვენი მომხმარებლების საჭიროებებს. • ჩვენი ინვესტიციები IT ინფრასტრუქტურასა და ინსტრუმენტებში უნდა დაგვეხმაროს, უკეთ გავაანალიზოთ ჩვენი აბონენტები და შევამოკლოთ ბაზარზე გასვლის დრო (იხილეთ მსჯელობა მოთხოვნასთან დაკავშირებულ რისკებზე „ძირითადი რისკების" სექციაში, ზემოთ).

სიხშირული შეზღუდვები

აღწერა	როგორ ვმართავთ/ვამცირებთ რისკს
• აბონენტთა რაოდენობა, რისი განთავსებაც მობილურ ქსელშია შესაძლებელი. ოპერატორზე მინიჭებული სიხშირით არის შეზღუდული და ასევე დამოკიდებულია მომხმარებელთა ქცევასა და ქსელის ინფრასტრუქტურაზე. კომპანიის სააბონენტო ბაზის ზრდასთან ერთად, ხდება ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და შეთავაზებული სერვისების დიაპაზონი იზრდება, რასაც მობილური ინტერნეტისთვის დამატებითი გამტარუნარიანობა შეიძლება დასჭირდეს. თუმცა ამჟამად არსებულ სიხშირეებზე წვდომა, კონკურენტული და მარეგულირებელი გარემოს, აგრეთვე, ფინანსური შეზღუდვების გამო, შესაძლოა, შეზღუდული იყოს და, აქედან გამომდინარე, კომპანია დაბრკოლებას შეეჯახოს: განსაკუთრებით ეხება ეს ქალაქის ტიპის დასახლებებს. ამას გარდა, კომისიამ შესაძლოა გაზარდოს, შეამციროს ან შეცვალოს ოპერატორებზე მინიჭებული სიხშირული დიაპაზონები. ამ ლიცენზიების არქონამ შეიძლება, უარყოფითი მატერიალური გავლენა მოახდინოს ჩვენს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა თუ სამომავლო პერსპექტივაზე.	• „ჯეოსელის“ შეძენიდან მალევე მობილური ქსელის მოდერნიზაციის მიმართულებით დავიწყეთ ინვესტიციების განხორციელება და 2x5 მჰც სიხშირული ლიცენზია ვიყიდეთ 800 მჰც დიაპაზონში, რაც 4G-ის დაფარვის გასაუმჯობესებლად გამოვიყენეთ. აღნიშნული ლიცენზია დანარჩენ ორ მობილურ ოპერატორსაც გაარჩდა. ჩვენი ფართო რადიოსიხშირული რესურსის გამოყენებით მოვახერხეთ, საქართველოში ვყოფილიყავით პირველები, ვინც gigabit-LTE ტექნოლოგია დანერგა, და ამან კონკურენტული უპირატესობა მოგვანიჭა. 2022 წელს დავასრულეთ პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა მთელი ქსელის მასშტაბით 4G ტექნოლოგიის სპექტრული ტევადობის გაზრდას. ეს გულისხმობს 1800 მჰც-იან სიხშირულ დიაპაზონში 2G ტექნოლოგიის მიერ დაკავებული 2x10 მჰც სპექტრული ზოლის სრულ გამოთავისუფლებას და ამ სპექტრული რესურსის დამატებას 4G ტექნოლოგიის მიერ 1800 მჰც-იან დიაპაზონში უკვე დაკავებული 2x20 მჰც-იანი რესურსისთვის. 2023 წლის დეკემბერში, არსებული სიხშირული რესურსის გამოყენებით, პირველებმა დავწერეგით 5G ტექნოლოგია საქართველოში. ივნისის ბოლოს დამატებითი სიხშირული ლიცენზიები ვიყიდეთ, ძირითადად 5G ქსელის სრული მასშტაბით განსავითარებლად – 2x5.0 მეგაჰერცი 700 მეგაჰერც დიაპაზონში და 50.0 მეგაჰერცი 3500 მეგაჰერც დიაპაზონში. (მეტი დეტალისთვის იხილეთ „ქსელი და ინფრასტრუქტურა“).

ინტელექტუალური საკუთრების უფლებები

აღწერა	როგორ ვმართავთ/ვამცირებთ რისკს
• ბიზნესის წარმოებისთვის მესამე პირების ლიცენზიებსა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებებზე ვართ დამოკიდებული, კონკურენტებმა ან სხვა, მესამე პირებმა შესაძლოა, პრეტენზია გამოთქვან კომპანიის ან მისი შვილობილების მფლობელობაში არსებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებებზე. ამას გარდა, შესაბამისი ინტელექტუალური საკუთრების უფლებები შეიძლება იყოს ან გახდეს არავალიდური ან არასაკმარისად ფართო კომპანიის ინტერესის დასაცავად, ან მისთვის კონკურენტული უპირატესობის მისანიჭებლად. მაგალითად, ექსკლუზიური კონტენტის გადაცემის უფლება შესაძლოა დაირღვეს. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაკარგვამ შესაძლოა, მატერიალური უარყოფითი გავლენა იქონიოს ჩვენს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, საოპერაციო შედეგებსა ან სამომავლო პერსპექტივაზე. • ამას გარდა, იმ კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებით, რომლებსაც ვიყენებთ ჩვენი ბიზნესის წარმოების პროცესში ან/და იმ კონტენტთან დაკავშირებით, რასაც ჩვენი ინტერნეტის, მობილური დატას, Pay TV-ისა და სხვა სერვისების საშუალებით გადავცემთ, როგორებიცაა ინტერნეტპორტალი, VOD და ციფრული არქივის სერვისები და სამაუწყებლო სერვისები, შესაძლოა, სასამართლო დავის ობიექტები გავხდეთ საავტორო უფლებების ან სავაჭრო ნიშნის დარღვევის გამო. ნებისმიერი ასეთი დავა ან სასამართლო პროცესი შესაძლოა, დიდი ხნის განმავლობაში გაგრძელდეს, მოითხოვოს ხარჯები და მენეჯმენტის დრო, ასევე საჭირო გახდეს მომავალში ჰონორარისა და ლიცენზიის საფასურის გადახდა. წარსული დარღვევების გამო, შესაძლოა, საჭირო გახდეს უფლებების დარღვევის საწინააღმდეგოდ მეთოდოლოგიის განვითარება, ასევე შესაძლოა მოგვიწიოს გარკვეული კონტენტის გაშუქების შეწყვეტა ან ახალი სალიცენზიო შეთანხმებების გაფორმება. • 2023 წლის დეკემბერში ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია გახდა საავტორო და მომიჯნავე უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ერთადერთი ავტორიზებული ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების გამოყენებისთვის გადახდილი ჰონორარის შეგროვებასა და განაწილებას. ასოციაციის მიერ ავტორიზაციის მიღების შედეგად, „სილქნეტი“ ვალდებული გახდა, ასოციაციასთან შესაბამისი სალიცენზიო ხელშეკრულებები გაეფორმებინა. ნაწარმოების საჯარო გადაცემისთვის სალიცენზიო ხელშეკრულებები ,სილქნეტსა“ და ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციას შორის გაფორმდა 2024 წლის ოქტომბერში. ამასთან, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ფიზიკურ პირთა მიერ პირადი სარგებლობისთვის რეპროდუცირებისას აუდიოვიზუალური ნაწარმოების ან ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს უფლება აქვს, მიიღოს შესაბამისი ჰონორარი. ჰონორარის გადახდა ხდება პირადი სარგებლობისთვის რეპროდუცირებისას გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების მწარმოებლები და იმპორტიორების მიერ, ხოლო ჰონორარის შეგროვებასა და განაწილებას ახორციელებს კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ავტორიზებული ორგანიზაცია.	• დიდ ყურადღებას ვუთმობთ შეთანხმებების ფარგლებში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვას. იმ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სტატუსის ცვლილების შემთხვევაში, რასაც ჩვენ ვიყენებთ, რეგულაციებთან თანხვედრაში ყოფნის მიზნით, მზად ვართ, დროული ქმედებები განვახორციელოთ. • თვითრეგულირების ფარგლებში „სილქნეტში“ ჩამოყალიბდა კომისია, რომელიც არსებობის შემთხვევაში, დავის განხილვასა და გადაჭრას უზრუნველყოფს.

ვინაიდან „სილქნეტი“ წარმოადგენს ისეთი მოწყობილობების იმპორტიორს, რომელიც შესაძლოა, გამოყენებული იქნას ნაწარმოების რეპროდუცირებისთვის, კომპანია ვალდებულია, ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციას შესაბამისი ჰონორარი გადაუხადოს. ჰონორარის დადგენა ხდება ასოციაციის მიერ. კომპანიისთვის რისკის შემცველია ის გარემოება, რომ ჰონორარების ოდენობა დგინდება ცალმხრივად. ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციის მიერ.

ინფორმაციული უსაფრთხოება და პერსონალური მონაცემების დაცვა

აღწერა	როგორ ვმართავთ/ვამცირებთ რისკს
• ჩვენი საქმიანობის ფარგლებში ჩვენ ვამუშავებთ ჩვენი მომხმარებლების, ბიზნეს-კონტაქტებისა და თანამშრომლების პერსონალურ მონაცემებს და ვალდებული ვართ, შესაბამისობაში ვიყოთ პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით მოქმედ რეგულაციებთან. საქართველოს კანონმდებლობა შესაბამის ნორმებს აწესებს პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით, რაც მოიცავს პერსონალური მონაცემების შეგროვებას, გამოყენებას, შეცვლას, გადაცემას, დეპერსონალიზაციას, დაბლოკვას, განადგურებას და შენახვას. დამატებით „სილქნეტმა“ უნდა უზრუნველყოს შესაბამისობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს ახალ კანონთან და შესაბამის საკანონმდებლო მოთხოვნებთან, რომლებიც უმეტესწილად თანხვედრაშია GDPR-თან. ამ მიზნით, „სილქნეტმა“ უნდა გადახედოს, შეამოწმოს და სადაც საჭიროა, შეცვალოს კომპანიაში მოქმედი პოლიტიკები და შიდა პროცედურები, რომლებიც აწესრიგებს კომპანიის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საკითხებს. კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაცემთა დამუშავების, დაცვისა და კონტროლის ეფექტური მექანიზმების დანერგვის შეუსრულებლობამ შეიძლება, რეპუტაციული ზიანი და ადმინისტრაციული ჯარიმები გამოიწვიოს. • კომპანია დასახელდა მეორე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტად „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ კანონის მიხედვით, რაც ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას ეროვნული უსაფრთხოებისა და ეკონომიკისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, „სილქნეტი“ ვალდებულია, თავისი საქმიანობა შესაბამისობაში მოიყვანოს ინფორმაციული უსაფრთხოების კანონმდებლობის მოთხოვნებთან, რაც, მათ შორის, მოიცავს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკების განახლებას, შესაბამისი ტექნიკურ-ორგანიზაციული ზომებისა და კონტროლის მექანიზმების იმპლემენტაციას და შიდა და გარე აუდიტების ჩატარებას. პირველი ეტაპით განსაზღვრული საკანონმდებლო ვალდებულებების შესასრულებლად კომპანიებს განესაზღვრათ ვადა 2025 წლის 30 დეკემბრამდე, ხოლო მეორე ფაზისთვის დამატებით გათვალისწინებულია ერთწლიანი პერიოდი. იმ შემთხვევაში, თუ არ განხორციელდება ინფორმაციული უსაფრთხოების ეფექტური მართვის სისტემისა და შესაბამისი კონტროლის მექანიზმების დანერგვა, აღნიშნულმა შესაძლოა, სერვისების წყვეტა და მონაცემების გამჟღავნება გამოიწვიოს: ამ ფაქტმა, თავის მხრივ, შესაძლოა, ფინანსური და რეპუტაციული ზიანი და ჯარიმები გამოიწვიოს და მნიშვნელოვნად იმოქმედოს კომპანიის წარმატებაზე.	• ინფორმაციული უსაფრთხოების და მონაცემთა დაცვის რისკების ეფექტურად მართვისა და შემცირების მიზნით, ჩვენ შევიმუშავეთ კომპლექსური ჩარჩო, რომელიც მოიცავს საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული ღონისძიებების განხორციელებას. • ჩვენ დავნერგეთ ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა (ISMS), რომელიც შეესაბამება ISO 27001 და ადგილობრივ საკანონმდებლო მოთხოვნებს და მოიცავს რისკების მართვას, აქტივების იდენტიფიცირებასა და კონტროლის მექანიზმების დანერგვას. • ჩვენ განვაახლეთ და დავნერგეთ ახალი პოლიტიკები და ინსტრუქციები, რომლებიც მოიცავს ორგანიზაციულ, ტექნიკურ და ფიზიკური უსაფრთხოების ღონისძიებებს. • ჩვენ დავნიშნეთ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და განვაახლეთ მონაცემთა დამუშავების ჩვენი პოლიტიკები, პროცედურები და განცხადებები, რომლებიც ასახავს კომპანიის საქმიანობასა და პრინციპებს, ასევე უზრუნველყოფს მარეგულირებელ მოთხოვნებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობას. • ჩვენ მომავალშიც ვაპირებთ, გავაგრძელოთ ISMS-ისა და პერსონალური მონაცემთა დაცვის სისტემის მუდმივი მონიტორინგი, რეგულარული შეფასებები, აუდიტებისა და თანამშრომლების ტრენინგები, რათა კიდევ უფრო შევამციროთ მონაცემთა დაცვისა და ინფორმაციული უსაფრთხოების რისკები და, ამავე დროს, უზრუნველვყოთ საკანონმდებლო მოთხოვნებთან ჩვენი საქმიანობის შესაბამისობა.

ტალანტების მოზიდვა და შენარჩუნება

აღწერა	როგორ ვმართავთ/ვამცირებთ რისკს
• სატელეკომუნიკაციო ინდუსტრიაში დიდი მოთხოვნაა გამოცდილ და მცოდნე პერსონალზე და სამუშაო ბაზარზე მზარდია კონკურენცია ნიჭიერი კადრების მოზიდვის მხრივ. კვალიფიციური და გამოცდილი მენეჯერების, ინჟინრების, IT სპეციალისტებისა და სხვა კვალიფიციური პერსონალის შენარჩუნებისა და მოზიდვის შეუძლებლობამ შესაძლოა, არსებითი უარყოფითი გავლენა იქონიოს ჩვენს ბიზნეს საქმიანობაზე.	• ვაგრძელებთ ჩვენი საკადრო პროცესების დახვეწას, მათ შორის, სამუშაოდ აყვანის, პროფესიული განვითარებისა და ტალანტების შენარჩუნების თვალსაზრისით. გვაქვს დაქირავების გამჭვირვალე პროცესი და ვცდილობთ კომპანიის შიგნით თანამშრომლების დაწინაურებას: ჩვენი ვაკანსიები, ჩვეულებრივ, გარეთ გატანამდე, კომპანიის შიგნით ცხადდება ყველა თანამშრომლისთვის. თანამშრომლების უფლებების დაცვას, მათი მოტივაციის ზრდას, მათთვის თანასწორი, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ. კვლევების საშუალებით მუდმივად ვაკვირდებით შრომის ბაზარზე მიმდინარე ტენდენციებს ხელფასების კუთხით და ვცდილობთ, ჩვენი თანამშრომლების ხელფასი კონკურენტული იყოს. 2024 წელს მაღალი შენარჩუნებისა და დაბალი ბრუნვის კოეფიციენტი გვქონდა, 91% და 9%, შესაბამისად. (მეტი ინფორმაციისთვის, იხილეთ „ადამიანური კაპიტალი და რესურსების მართვა“).

მდგრადი განვითარების ანგარიში

ჩვენი მიზანია, საქმიანობის განხორციელებისას ვიზრუნოთ მდგრადი განვითარების ხელშეწყობაზე. ვცდილობთ, მუდმივი ინოვაციების დანერგვის გზით გავაუმჯობესოთ ჩვენი მომხმარებლების ყოველდღიურობა, მათ შორის, გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების გათვალისწინებით.

„მდგრადი განვითარების ანგარიშის“ თავში გამოვყოფთ, ჩვენი საქმიანობიდან გამომდინარე, ზემოქმედების (გავლენის) ძირითად სფეროებსა და მიღწევებს.

გარემოს დაცვა

ჩვენთვის გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება არა მხოლოდ გლობალურ გამოწვევებზე რეაგირებაა, არამედ ჩვენი პასუხისმგებლიანი საქმიანობისა და გრძელვადიანი განვითარების განუყოფელი ნაწილია. სწორედ ამ ხედვიდან გამომდინარე, დავიწყეთ საერთაშორისო გარემოსდაცვითი საუკეთესო პრაქტიკის ეტაპობრივი დანერგვა.

„სილქნეტში“ დანიშნული გვყავს გარემოსდაცვითი ოფიცერი, რომელიც კურირებს აღნიშნული პრაქტიკის დანერგვისა და მონიტორინგის პროცესს. განვაახლეთ გარემოსდაცვითი პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც ასახულია ჩვენი ძირითადი პრინციპები და მიზნები. ამასთან, ვნერგავთ გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემას, რომელიც გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებებს, პასუხისმგებლობების მკაფიო გადანაწილებას და გარემოსდაცვითი საკითხების უწყვეტ მონიტორინგსა და შეფასებას მოიცავს.

ვოპერირებთ მზის ენერგიაზე მომუშავე პანელებით, რომელთა რაოდენობა დღეის მდგომარეობით 120-ია და მოსალოდნელია, რომ მომავალში გაიზარდოს.

აქტიურად ვმუშაობთ გარემოსდაცვითი პრინციპების რეალიზებასა და მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაზე, კერძოდ:

ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებზე ეტაპობრივი გადასვლის ფარგლებში, ჩვენს ქსელში დავნერგეთ FTTH ტექნოლოგია, რომელმაც პრაქტიკულად სრულად ჩაანაცვლა მანამდე გამოყენებული DSL სისტემა. FTTH მაღალი ენერგოეფექტურობითა და გამძლეობით ხასიათდება და მნიშვნელოვნად ამცირებს ელექტრონარჩენების რაოდენობას.

საოპერაციო ნარჩენების წარმოქმნის მინიმიზების მიზნით, ვახორციელებთ ჩვენი ქსელის ელექტროფიკაციას. დღევანდელი მდგომარეობით, ჩვენი საიტების დიდი უმეტესობა, როგორც მობილურ, ასევე ფიქსირებულ ქსელში, ელექტროფიცირებულია. აღნიშნულის შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა ნავთობპროდუქტების (დიზელის) მოხმარება და მათგან გამომდინარე სახიფათო ნარჩენების რაოდენობა.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ელექტროენერგიის ძირითადი ნაწილი გამომუშავებულია განახლებადი ენერგიის წყაროების მეშვეობით, რაც ამცირებს კომპანიის არაპირდაპირ ემისიებს (Scope 2) და კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენს გარემოსდაცვით პოზიციონირებას. 2024 წელს, საქართველოში გამომუშავებული ელექტროენერგიის 79.7% ჰიდროელექტროსადგურებზე მოდიოდა.

გვაქვს ნარჩენების მართვის გეგმა, რომელიც ეროვნული სამოქმედო გეგმის პრინციპებს ეყრდნობა და ჩვენს საოპერაციო საქმიანობაში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის გარანტიასა და სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენს. ეს გეგმა განსაზღვრავს ჩვენი საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების სახეებს, პრევენციისა და აღდგენის ღონისძიებებს, აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესს, ნარჩენების შენახვის მეთოდებსა და პირობებს, მათი გადაცემისა და ტრანსპორტირების წესებს, აგრეთვე, დამუშავებისა და საბოლოო განთავსების ოპერაციებს.

ნარჩენების მართვის გეგმის ეფექტიანი შესრულების მიზნით, ჩვენს კომპანიაში დანერგილი გვაქვს ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მეთოდი, რაც საშუალებას გვაძლევს, არასახიფათო ნარჩენები ხელმეორედ გამოვიყენოთ ან გადავამუშაოთ. ასევე, ვართ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციის“ წევრი, რაც საშუალებას გვაძლევს, ხელი შევუწყოთ ელექტრონული ნარჩენების მდგრად მართვასა და გადამუშავებას. ამ თანამშრომლობის ფარგლებში, „სილქნეტის“ ოფისებში განთავსებულია ბატარეებისა და ელემენტების შესაგროვებელი სპეციალური ყუთები, სადაც როგორც ჩვენს თანამშრომლებს, ისე მომხმარებლებს შეუძლიათ, ნარჩენი ელემენტები და ბატარეები მოათავსონ.

კლიმატის ცვლილების შესახებ გაერო-ს ჩარჩო კონვენციის – „პარიზის შეთანხმების“ – ფარგლებში განსაზღვრული რისკების შემცირებისა და ადაპტაციის მიზნით, ყოველწლიურად ვახორციელებთ ჩვენი კომპანიის მიერ წარმოქმნილი, მათ შორის, პირდაპირი და არაპირდაპირი სათბური გაზების ემისიების აღრიცხვასა და ანგარიშს. ამ პროცესის შედეგად ვაფასებთ „სილქნეტის“ ე.წ. მწვანე ნაკვალევს, რათა მომავალში შევიმუშაოთ შესაბამისი მიზნები და სტრატეგიები კლიმატური მდგრადობის მიმართულებით.

დასასრულს, მნიშვნელოვანია ხაზგასმა, რომ გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს ზემოხსენებული ღონისძიებების წარმატებული განხორციელების ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობას. ამ მიზნით, ჩვენს კომპანიაში რეგულარულად ტარდება ონლაინ ტრენინგები ნარჩენების მართვისა და კლიმატის ცვლილების საკითხებზე. დასაქმებულების ინფორმირების მიზნით, სამუშაო გარემოში ვათავსებთ სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო ეკონიშნებსა და სტიკერებს, რაც ხელს უწყობს გარემოსდაცვითი პრინციპების ყოველდღიურ საქმიანობაში ინტეგრაციას.

ინფორმაციული უსაფრთხოება

ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა (ISMS) შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ და ISO/IEC 27001 საერთაშორისო სტანდარტთან, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოების ზომების მართვის სტრუქტურირებულ და გამჭვირვალე ჩარჩოს. აღნიშნული ჩარჩო გვაძლევს შესაძლებლობას, მიზნობრივად ვმართოთ ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და უზრუნველვყოთ მათი მუდმივი შეფასება.

2024 წელს განვაგრძეთ ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემური გაძლიერება და კიდევ უფრო მყარად დავამკვიდრეთ პრევენციულ მიდგომებზე დაფუძნებული უსაფრთხოების კულტურა. წლის დასაწყისში შევიმუშავეთ სტრატეგიული დოკუმენტი, რომელმაც მკაფიოდ განსაზღვრა ჩვენი ხედვა და მიზნები კიბერუსაფრთხოების მიმართულებით. ამ დოკუმენტის საფუძველზე დავიწყეთ არაერთი ღონისძიების განხორციელება, რაც მიზნად ისახავს კიბერუსაფრთხოების ინციდენტების რისკის შემცირებას, არსებული უსაფრთხოების ზომების გაუმჯობესებასა და შესაბამისობის მაღალ სტანდარტებთან მისადაგებას.

ამავდროულად, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ **თანამშრომლების ცნობიერების ამაღლებას** და შიდა ტრენინგების გაძლიერებას, რათა უსაფრთხოების პრაქტიკა ინტეგრირდეს ორგანიზაციულ პროცესებში.

ვაცნობიერებთ, რომ ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვა უშუალოდ უკავშირდება ჩვენი საქმიანობის სანდოობასა და მომხმარებლის ნდობის შენარჩუნებას. შესაბამისად, ყველა ინიციატივა, რომელსაც ვახორციელებთ, არა მხოლოდ არსებული რისკების შემცირებას, არამედ კომპანიის მდგრადობისა და რეპუტაციის დაცვასაც ემსახურება.

შიდა და გარე აუდიტების მეშვეობით ვაგრძელებთ ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის ეფექტიანობის რეგულარულ შეფასებას, ხოლო ინფორმაციული უსაფრთხოების ოფიცრის მეშვეობით უზრუნველვყოფთ ყოველდღიურ ზედამხედველობას და განხორციელებული ზომების მდგრად მონიტორინგს.

ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის პროცესში ყველა შესაბამისი მხარის ჩართულობის უზრუნველსაყოფად კომპანიაში შექმნილია და აქტიურად მუშაობს **ინფორმაციული უსაფრთხოების საბჭო,** რომელიც ხელს უწყობს უსაფრთხოების საკითხების სისტემურ განხილვას, ინფორმირებულ გადაწყვეტილებებსა და ორგანიზაციის სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, რაც ინფორმაციული უსაფრთხოების კულტურის განმტკიცებას განაპირობებს.

პერსონალური მონაცემების დაცვა და კონფიდენციალურობა

ჩვენთვის, როგორც სატელეკომუნიკაციო კომპანიისთვის, მნიშვნელოვანია, მკაცრად დავიცვათ ჩვენი მომხმარებლების, ჩვენი თანამშრომლების, ბიზნეს-პარტნიორების და სხვა მესამე პირების პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობა. ჩვენ ვამუშავებთ ჩვენი მომხმარებლების, თანამშრომლების ან/და ბიზნესპარტნიორების პერსონალურ მონაცემებს კონკრეტული ბიზნესმიზნებისთვის, კანონიერი, პროპორციული და ლეგიტიმური გზით.

2023 და 2024 წლებში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, კომპანიაში დავიწყეთ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული პოლიტიკებისა და შიდა პროცესების ეტაპობრივი გადახედვა და განახლება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი სრული შესაბამისობა როგორც ეროვნულ რეგულაციებთან, ისე საერთაშორისო სტანდარტებთან.

აღნიშნული პროცესის ფარგლებში, რეგულარულად ვახორციელებთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის განაცხადის განახლებას, რომელიც არეგულირებს სატელეკომუნიკაციო მომსახურების ფარგლებში პერსონალური მონაცემების დამუშავების წესებსა და მონაცემთა სუბიექტების უფლებებს.

საკანონმდებლო მოთხოვნებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან ჰარმონიზაციის ფარგლებში, ვაგრძელებთ შიდა შრომითი რეგულაციების განახლებას. პარალელურად, მიმდინარეობს ვიდეო და აუდიო მეთვალყურეობისა და ბიომეტრიული მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული შიდა პროცედურების დახვეწა, რათა ისინი სრულად შეესაბამებოდეს დაცვის თანამედროვე სტანდარტებს. ცვლილებები ასევე მოიცავს იმ პოლიტიკებისა და დოკუმენტების ეტაპობრივ განახლებასა და დახვეწას, რომლებიც არეგულირებს მონაცემთა კლასიფიკაციას, შენახვას, წვდომასა და გადაცემის წესებს.

2024 წელს პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით სისტემური მუშაობა კიდევ უფრო გავაძლიერეთ. განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებას. ეტაპობრივად ვნერგავთ სავალდებულო ტრენინგებს პერსონალური მონაცემების დაცვისა და კონფიდენციალურობის საკითხებზე კომპანიის ყველა თანამშრომლისთვის. ასევე, ვგეგმავთ სხვადასხვა დეპარტამენტისთვის მათ საქმიანობაზე მორგებული საგანმანათლებლო ტრენინგების განხორციელებას.

აღნიშნული პროცესები წარმოადგენს ჩვენი კომპანიის გრძელვადიანი ხედვის განუყოფელ ნაწილს და მიზნად ისახავს პერსონალური მონაცემების დაცვის ისეთი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც გამორჩეული იქნება მდგრადობითა და მაღალ სტანდარტებთან შესაბამისობით. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი აქტიურად ზედამხედველობს აღნიშნულ პროცესებს და უზრუნველყოფს მათი ეფექტიანობის მუდმივ შეფასებასა და გაუმჯობესებას.

ქრთამის აღების/მიცემის და კორუფციის დაუშვებლობა

ჩვენი საქმიანობის განხორციელებისას ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ვიყოთ შეუწყნარებლები კორუფციის, ქრთამის აღების/მიცემის და ფულის გათეთრების, კორუფციის დაფინანსების ან მისი ხელშეწყობის ნებისმიერი ფორმის მიმართ: ასევე, აუცილებელია, ვიმოქმედოთ პროფესიონალურად, სამართლიანად და კანონიერად ნებისმიერ დროს და არ დავუშვათ თანამდებობის ბოროტად გამოყენება იმისათვის, რომ მოვიპოვოთ არამართლზომიერი შეღავათი ან ვისარგებლოთ ჩვენი ან „სილქნეტის“ მიმართ მიღებული მიკერძოებული გადაწყვეტილებით. ქრთამის აღების/მიცემის, კორუფციის, და სხვა კანონდარღვევების საფრთხეების პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით, ვიმოქმედოთ „სილქნეტის“ შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტებისა და ინსტრუქციების შესაბამისად.

ადამიანური კაპიტალი და რესურსების მართვა


კომპანიის წარმატების საფუძველს ჩვენი გუნდი წარმოადგენს. ჩვენ გვჯერა, რომ თითოეული თანამშრომლის უნიკალური გამოცდილება და ხედვა აძლიერებს ჩვენს საერთო ძალას.

ჩვენ ჩვენს საქმიანობაში ვხელმძღვანელობთ იმ პრინციპებით, რომლებიც მიზნად ისახავს ინკლუზიური, სამართლიანი და განვითარების შესაძლებლობებზე დაფუძნებული სამუშაო გარემოს შექმნას, სადაც თითოეული ადამიანი თავს დაცულად და დაფასებულად გრძნობს.

2024 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, კომპანია აერთიანებს 2,050 თანამშრომელს, რითიც ის ერთერთ უმსხვილესი დამსაქმებელია საქართველოში. მათგან 335 თანამშრომელი კომპანიის დაარსების დღიდან მუშაობს ჩვენთან, რაც მაღალი ერთგულებისა და ადამიანური კაპიტალის შენარჩუნების ტენდენციას უსვამს ხაზს. 2024 წელს თანამშრომელთა შენარჩუნების (Retention Rate) მაჩვენებელი 90.79% იყო, ხოლო თანამშრომელთა ბრუნვის მაჩვენებელი (Turnover Rate) შეადგენს 9.49%-ს, რაც კომპანიის მიერ უზრუნველყოფილ სტაბილურ და გრძელვადიან სამუშაო გარემოს ასახავს.

გრაფიკი 50


თანამშრომელთა რაოდენობა დეპარტამენტების მიხედვით



2024 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ჩვენი თანამშრომლების საშუალო ასაკი შეადგენს 43 წელს. ასაკობრივი სტრუქტურა დაბალანსებულია სხვადასხვა თაობის თანამშრომლებს შორის:

გრაფიკი 51

ასაკობრივი მრავალფეროვნება



ასაკობრივი მრავალფეროვნება ხელს უწყობს გამოცდილებისა და ახალი ხედვის შერწყმას, რაც დადებითად აისახება ცოდნის გაზიარებასა და თანამშრომლობის ხარისხზე.

თანამშრომელთა უფლებები და შრომითი გარემო

ჩვენთვის პრიორიტეტულია თანამშრომელთა უფლებების დაცვა, მათი მოტივაციის წახალისება, თანაბარი და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა. აღნიშნული პრინციპების განსახორციელებლად ჩამოვაყალიბეთ შიდა პოლიტიკები და ინსტრუქციები, რომლებიც მიმართულია სამართლიანი და მდგრადი სამუშაო გარემოს ხელშეწყობაზე. განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ადამიანის უფლებების დაცვას, დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემოს შექმნას, თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, შრომის უსაფრთხოებას, სამართლიან ანაზღაურებასა და დაწინაურების გამჭვირვალე მექანიზმებს. ჩვენი შრომითი ჩარჩო ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, მათ შორის _ შრომის კოდექსს, და შეესაბამება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სტანდარტებსა და რეკომენდაციებს.

ჩვენ სრულად ვაღიარებთ თანამშრომელთა გაერთიანებისა და კოლექტიური წარმომადგენლობის უფლებას. 2024 წელს პროფესიულ კავშირებში გაწევრიანებული თანამშრომლების რაოდენობა, წინა წელთან შედარებით, გაზრდილია 10%-ით და შეადგენს 247-ს. ეს ზრდა ასახავს თანამშრომელთა ჩართულობისა და სოციალური დიალოგის კულტურის განმტკიცების ტენდენციას. ჩვენ პატივს ვცემთ თანამშრომელთა გაერთიანებისა და კოლექტიური მოლაპარაკების უფლებას და, შრომითი პირობების გაუმჯობესების მიზნით, მზად ვართ პროფესიულ გაერთიანებებთან კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის.

დასაქმების პოლიტიკა და შიდა კარიერული განვითარება

ჩვენ ვქმნით დასაქმების შესაძლებლობებს სხვადასხვა სპეციალობისა და პროფესიული გამოცდილების მქონე ადამიანებისთვის და მუდმივად ვცდილობთ ისეთი სამუშაო გარემოს შექმნას, რომელიც თანაბარ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და უზრუნველყოფს თანამშრომელთა დაცულობას, მხარდაჭერასა და განვითარებას. ამ მიზნის მისაღწევად, სისტემატურად ვავითარებთ შესაბამის პროცესებსა და პრაქტიკებს.

დასაქმების პროცესების განვითარებაში განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ შიდა კარიერული განვითარების ხელშეწყობას. ჩვენთვის პრიორიტეტულია დასაქმების სამართლიანი და გამჭვირვალე პოლიტიკა, რაც, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს თანამშრომლების დაწინაურების ხელშეწყობას. ვაკანსიები, როგორც წესი, ჯერ კომპანიის შიდა ქსელში ცხადდება. 2024 წელს 126 თანამშრომელი დაწინაურდა და 122 ვაკანსიიდან 38 (31%) ჩვენი თანამშრომლებით დაკომპლექტდა, რაც გამოხატავს ჩვენს ერთგულებას შიდა კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიმართ.

ანაზღაურება და ბენეფიტები

ჩვენ თანმიმდევრულად ვაუმჯობესებთ ანაზღაურებისა და ბენეფიტების სისტემას. ანაზღაურების პოლიტიკის შემუშავებისას ვეყრდნობით როგორც საბაზრო ანალიზს, ისე სამართლიანობის პრინციპებს. ჩვენთვის პრიორიტეტულია, რომ თანაბარი პასუხისმგებლობისა და კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლები თანაბარ ანაზღაურებას იღებდნენ. ანაზღაურების პოლიტიკა დამტკიცებულია და წარმოადგენს ჩვენს გრძელვადიან მიდგომას, რომელიც ხელს უწყობს მეტად გამჭვირვალე, სამართლიანი და კონკურენტუნარიანი ანაზღაურების სტრუქტურის დანერგვასა და გაუმჯობესებას.

თანამშრომლებს ვთავაზობთ ბენეფიტების ფართო სპექტრს, რაც მოიცავს ჯანმრთელობის დაზღვევას, პროფესიულ კურსებზე წვდომას, მოქნილ სამუშაო გრაფიკს შესაბამის შემთხვევებში, დამატებით შვებულებას, საჭიროების შესაბამისად ტრანსპორტით უზრუნველყოფას, ასევე, სატელეკომუნიკაციო მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობას უსასყიდლოდ ან სპეციალურად თანამშრომლისთვის განსაზღვრული ტარიფებით.

გარდა ამისა, ქალი თანამშრომლებისთვის ხელმისაწვდომია სრულად ანაზღაურებადი 6-თვიანი დეკრეტული შვებულება, რაც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს.

კომპანიის კორპორატიული ეკოსისტემის ფარგლებში, თანამშრომლებს ეძლევათ შესაძლებლობა, ისარგებლონ ჯგუფში შემავალი სერვისებით, მათ შორის, სასტუმროს მომსახურებით, სპორტულ-კულტურული აქტივობებით, მათთვის განსაზღვრული პრეფერენციული _ თანამშრომლებისთვის განკუთვნილი პირობებით. აღნიშნული ინიციატივით ვამყარებთ თანამშრომელთა კეთილდღეობის მხარდაჭერის პრაქტიკას და ვაძლიერებთ შიდა კორპორატიული მხარდაჭერის კულტურას.

თანამშრომელთა მხარდაჭერის მექანიზმები

გარდა საბაზო დაზღვევისა, განსაკუთრებული შემთხვევებისას ვიყენებთ შესაძლებლობას, რომ გამონაკლისის საფუძველზე დაზღვევის გაფართოებული დაფარვა მოვითხოვოთ – ამისათვის შესაბამის გარემოებებში თავად ვამყარებთ კომუნიკაციას სადაზღვევო კომპანიასთან. ასეთი მიმართვა შესაძლებელია მაშინ, როცა საქმე ეხება განსაკუთრებულ სოციალურ ან ფინანსურ საჭიროებას, მაგალითად, ოჯახის წევრის გარდაცვალებას ან შვილის დაბადებას. ამგვარი მიდგომით ვზრდით თანამშრომლისადმი გამოხატული მხარდაჭერის შესაძლებლობებს და ვავითარებთ ზრუნვაზე დაფუძნებულ სამუშაო კულტურას.

თანამშრომელთა კეთილდღეობის მხარდაჭერის ფარგლებში, ჩამოვაყალიბეთ სპეციალური ფონდი, რომელიც ჯანმრთელობის კრიტიკულ საჭიროებებთან დაკავშირებით ფინანსურ დახმარებას სთავაზობს ჩვენს თანამშრომლებს. ფონდი ხელმისაწვდომია ყველა თანამშრომლისთვის, თანამდებობის მიუხედავად, და ფუნქციონირებს თანაბარი და გამჭვირვალე წვდომის პრინციპებზე დაყრდნობით. ამ მექანიზმით გამოვხატავთ მზადყოფნას, რომ რთულ დროს მხარში დავუდგეთ თითოეულ თანამშრომელს და თანამშრომელთა მხარდაჭერა შიდა სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელოვან კომპონენტად ვაქციოთ.

პროფესიული განვითარება და ტრენინგები

თანამშრომელთა პროფესიული განვითარება წარმოადგენს ჩვენი ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას. დარგობრივ-ტექნიკური და ზოგადი უნარების (როგორიცაა გუნდური მუშაობა, კომუნიკაცია და ლიდერობა) ტრენინგების საშუალებით, ხელს ვუწყობთ თანამშრომელთა ცოდნის გაღრმავებას, უნარების განვითარებასა და პროფესიულ წინსვლას.

2024 წლის განმავლობაში სწავლების/ტრენინგების პროცესში ჩაერთო 1917 თანამშრომელი, ხოლო ჩატარებული ტრენინგების ჯამურმა საათმა 2471-ს მიაღწია. პროგრამების შერჩევისა და დაგეგმვისას ვითვალისწინებთ როგორც ჩვენი კომპანიის სტრატეგიულ მიზნებს, ისე თანამშრომელთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და განვითარების პოტენციალს.

განათლების ხელშეწყობა და სტაჟირების შესაძლებლობები

ტალანტების განვითარებისა და განათლების ხელშეწყობის მიზნით, ჩვენ თანამშრომლობის მემორანდუმები გვაქვს გაფორმებული ოთხ წამყვან უნივერსიტეტთან. ამ პარტნიორობების ფარგლებში ხელს ვუწყობთ სტაჟირების პროგრამების განხორციელებას, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება ტელეკომუნიკაციების სფეროში, განივითარონ პროფესიული უნარები და შეძლონ, უკეთ დაგეგმონ კარიერული ზრდა.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

ჩვენთვის თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს. ვაცნობიერებთ, რომ უსაფრთხო სამუშაო გარემო პირდაპირ კავშირშია როგორც ჩვენი თანამშრომლების კეთილდღეობასთან, ისე კომპანიის წარმატებულ და პასუხისმგებლიან საქმიანობასთან. ჩვენი მიზანია, თავიდან ავიცილოთ უბედური შემთხვევები, ინციდენტები, პროფესიული დაავადებები და ჯანმრთელობისთვის საზიანო სხვა ფაქტორები, ხოლო მათი გამოვლენის შემთხვევაში, უზრუნველყოთ დროული და სათანადო რეაგირება.

შრომის უსაფრთხოების მართვის ჩარჩო ჩამოყალიბებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების საფუძველზე და მოიცავს პროცესების პრევენციულად დაგეგმვას, რისკების შეფასებას, ინციდენტების ანალიზსა და თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებას.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამუშაო პროცესთან დაკავშირებული ტრავმების არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა, რაც მოწმობს შრომის უსაფრთხოების მოქმედი სისტემის ეფექტიანობასა და რისკების პრევენციაზე ორიენტირებულ პრაქტიკებს.

დისკრიმინაციის პრევენცია და ინკლუზიურობა

ჩვენი შიდა რეგულაციები კატეგორიულად კრძალავს დისკრიმინაციას ნებისმიერი ფორმით და უზრუნველყოფს თანაბარ მოპყრობას თანამშრომლების მიმართ, მიუხედავად სქესის, ასაკის, სექსუალური ორიენტაციის, ეთნიკური ან რელიგიური კუთვნილების, შეზღუდული შესაძლებლობის, პოლიტიკური შეხედულების ან სოციალური სტატუსისა. კომპანიის მიზანია, უზრუნველყოს კომპეტენციასა და შედეგებზე დაფუძნებული თანაბარი შესაძლებლობები.

დაწესებულია ნულოვანი ტოლერანტობა დისკრიმინაციის, შევიწროებისა და ბულინგის მიმართ. არ არის დაშვებული არასათანადო მოპყრობა, მათ შორის, განმეორებადი უარყოფითი ქმედებები, რომლებიც ზიანს აყენებს თანამშრომლის ღირსებას ან ხელს უშლის უსაფრთხო სამუშაო გარემოს. ინკლუზიურობა ჩვენი კორპორაციული კულტურის ფუნდამენტური ღირებულებაა. ჩვენთვის პრიორიტეტულია ისეთი სამუშაო გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს, ხელს უწყობს თანამშრომელთა ინტეგრაციას და ემყარება მრავალფეროვნების პატივისცემის პრინციპს. 2024 წელს დავიწყეთ მრავალფეროვნების პოლიტიკის ეტაპობრივი შემუშავება და მისი ინტეგრაცია შიდა პოლიტიკებსა და პროცესებში.

პოლიტიკის მიზანია ისეთი ინსტრუმენტებისა და მიდგომების ჩამოყალიბება, რომლებიც ხელს შეუწყობს თანაბარ შესაძლებლობებზე დაფუძნებული გარემოს გაძლიერებას.

გენდერული თანასწორობა და საერთაშორისო ჩართულობა


თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით, ვთანამშრომლობთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის – UN Women-თან. ქალთა გაძლიერების პრინციპების (WEPs) დახმარებით რეგულარულად ვაფასებთ ჩვენს პოლიტიკებსა და პრაქტიკას გენდერული თანასწორობის მიმართულებით და ვმუშაობთ მათ მუდმივ გაუმჯობესებაზე. აღნიშნული ჩართულობა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა დაწინაურების პროცედურების გადახედვა, თანაბარი ანაზღაურების შეფასების მეთოდოლოგია და დისკრიმინაციის პრევენციის მექანიზმები. კომპანიის მზადყოფნამ, ჩართულიყო აღნიშნულ პროცესებში, საფუძველი შექმნა WEP ინიციატივასთან ინტეგრაციისთვის, რაც გვაძლევს შესაძლებლობას, დავნერგოთ „gender lens" არსებული პრაქტიკების, სტანდარტებისა და ანგარიშგების ანალიზში.

გენდერული ბალანსი კარიერულ წინსვლაში

როგორც დასაქმების პოლიტიკისა და შიდა კარიერული განვითარების სექციაშია მოცემული, 2024 წელს დაწინაურდა 126 თანამშრომელი, მათ შორის, 52 ქალი და 74 კაცი. ეს გენდერული განაწილება ნათლად გამოხატავს თანაბარი შესაძლებლობების პრაქტიკულ უზრუნველყოფას დაწინაურების პროცესში. 2024 წლის მონაცემებით, ქალი თანამშრომლები შეადგენენ კომპანიის მთლიანი შტატის 51%-ს, ხოლო გენდერული განაწილება მენეჯმენტის სხვადასხვა იერარქიაზე ბალანსის პოზიტიურ ტენდენციაზე მიუთითებს.

გრაფიკი 52

გენდერული მრავალფეროვნება



ანაზღაურების ანალიზი გენდერულ და თანამდებობრივი იერარქიის მიხედვით

ანაზღაურების სისტემის ანალიზი მოიცავს როგორც ხელფასების (საშუალო და მედიანური), ისე ბონუსების (საშუალო და მედიანური) გენდერულ, მათ შორის, თანამდებობრივი იერარქიის მიხედვით შედარებას. ეს საშუალებას გვაძლევს, დავაკვირდეთ თანაბარი ანაზღაურების უზრუნველყოფის პროგრესს და გამოვავლინოთ ის ასპექტები, რომლებიც დამატებით ანალიზსა და გაუმჯობესებას საჭიროებს. ხელფასის საშუალოს და მედიანის გენდერული სხვაობა 2024 წელს (მამრობითი სქესის სასარგებლოდ) იყო შემდეგი:

	საშუალო	მედიანა
უფროსი მენეჯმენტი	-18%	-17%
საშუალო მენეჯმენტი	-2%	1%
სხვა	24%	3%

მიუხედავად იმისა, რომ ანაზღაურების ზოგიერთი მაჩვენებელი კვლავ ასახავს გენდერულ სხვაობას, თანამდებობრივ იერარქიაზე ბალანსის შენარჩუნება პროგრესზე მიუთითებს. ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენი ანაზღაურების სისტემის დეტალურ ანალიზს და, საჭიროების შემთხვევაში, გადავხედავთ პოლიტიკას, რათა უზრუნველვყოთ თანაბარი ანაზღაურება თანაბარი პასუხისმგებლობისა და კვალიფიკაციის პირობებში.

თანამშრომელთა ჩართულობისა და უკუკავშირის გაძლიერება

ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად მივიჩნევთ თანამშრომელთა ჩართულობისა და უკუკავშირის მექანიზმების გაუმჯობესებას და ამ კუთხით ეტაპობრივად ვმუშაობთ. ამ ეტაპზე ვავითარებთ უფრო სტრუქტურირებულ ჩართულობის პლატფორმებსა და უკუკავშირის ფორმატებს, რათა თანამშრომლების მოსაზრებები და ინიციატივები სისტემურად აისახოს კომპანიის განვითარებაზე. ამასთან ერთად, ვმუშაობთ კორპორატიული კულტურის გაუმჯობესებაზე, რომელიც უფრო მეტად თანამშრომლების აღიარებაზე, დაფასებაზე და მოტივაციის გაძლიერებაზე დაფუძნებული იქნება.

სარედაქციო პასუხისმგებლობა

„სილქნეტის" სამაუწყებლო და გამომძახებითი აუდიო-ვიზუალური საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიაში შემუშავებულია სარედაქციო პოლიტიკა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, სარედაქციო საქმიანობის განხორციელებისას დაცული იყოს კეთილსინდისიერების, არადისკრიმინაციულობის, ეთიკურობის, სამართლიანობის, მიუკერძოებლობის, დამოუკიდებლობის, სიტყვის თავისუფლებისა და სანდოობის პრინციპები.

დამატებით, „სილქნეტში" შექმნილია თვითრეგულირების სისტემა და შემუშავებულია საჩივრების განხილვის დებულება, რომლითაც დადგენილია დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი საჩივრების ეფექტურად და გამჭვირვალედ გადაწყვეტის პროცედურები.

სარეკლამო ეთიკა

2023 წელს მიღებული სარეკლამო ეთიკის პოლიტიკის ფარგლებში, 2024 წელს განვაგრძეთ რეკლამასთან დაკავშირებული შინაარსის შესაბამისობის უზრუნველყოფა ჩვენი ეთიკური პრინციპების, კეთილსინდისიერების და სარწმუნოობის სტანდარტებთან. მიზნად ვისახავთ ისეთი კომუნიკაციის უზრუნველყოფას, რომელიც არ ეწინააღმდეგება სამართლიან კონკურენციას და არ შეიცავს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის რისკს. არსებული პოლიტიკა ეტაპობრივად ინტეგრირდება შიდა პროცესებში და განიხილება, როგორც სარეკლამო საქმიანობის მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვა

2023 წელს მიღებული ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკის საფუძველზე, 2024 წელს გავაგრძელეთ პოლიტიკის პრინციპების გათვალისწინება

ყოველდღიურ საქმიანობაში. მუდმივად ვცდილობთ, უზრუნველვყოთ როგორც კომპანიის, ისე მესამე პირების ინტელექტუალური საკუთრების უფლებების პატივისცემა და დაცვა. აღნიშნული მიდგომა ასახავს ჩვენს მიზანს, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა ჩვენი კორპორატიული კულტურის ორგანული ნაწილად ვაქციოთ.

განათლების, კულტურისა და სოციალური ინიციატივების მხარდაჭერა

2024 წელს ჩვენ კვლავ უმთავრეს პრიორიტეტად მივიჩნიეთ განათლების, კულტურისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ხელშეწყობა. ამ მიზნით, ვაგრძელებთ ისეთი პროგრამებისა და პროექტების მხარდაჭერას, რომლებიც სრულად შეესაბამება ჩვენს ფასეულობებსა და გრძელვადიან ხედვას.



NATIONAL GEOGRAPHIC საქართველო

2012 წელს დავაფუძნეთ არაკომერციული ორგანიზაცია National Geographic Georgia (NGG), რომლის მიზანი საქართველოში ბუნებრივი, ისტორიული, სოციალური და ტექნოლოგიური ცოდნის გავრცელებაა. დაარსებიდან დღემდე ვართ NGG-ის მუდმივი მხარდამჭერი და სტრატეგიული პარტნიორი. ჩვენი ხელშეწყობით, NGG-ის მიერ უწყვეტად გამოიცემა ჟურნალ National Geographic-ის ქართულენოვანი ვერსია და ასევე, საერთაშორისო აუდიტორიისთვის მზადდება მასალები საქართველოს შესახებ.

ჟურნალი უფასოდ ვრცელდება სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ბიბლიოთეკებსა და სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში, რითიც ხელს ვუწყობთ ცოდნის თანაბარ ხელმისაწვდომობას. 2024 წელს აქტიურად ვმონაწილეობდით საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებში, მათ შორის გამოფენებში, პრეზენტაციებში, ლექციებსა და რეგიონულ ინიციატივებში. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ „სილქნეტის“ ინიციატივას _ მკითხველთა შეხვედრებს ავტორებთან, საზოგადოებისთვის საინტერესო სპიკერებთან და ფოტოგრაფებთან, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამეცნიერო და კულტურული თემების პოპულარიზაციაში.

2023 წელს National Geographic Georgia-მ 11 წლის იუბილე სპეციალური, სრულად ქართული სარედაქციო ჯგუფის მიერ მომზადებული ნომრით აღნიშნა. ამავე წელს დავიწყეთ ქართული მასალის აუდიოვერსიების შექმნა ცნობილი ქართველი მსახიობებისა და ავტორების მონაწილეობით. ეს ინიციატივა 2024 წელსაც გაგრძელდა, აუდიოვერსიები კვლავ უფასოდ არის ხელმისაწვდომი ყველასთვის: როგორც სილქ ტვ-ში, ასევე ციფრულ პლატფორმებზე.

წინანდლის ფესტივალი

2024 წელს ჩვენ კვლავ გავაგრძელეთ წინანდლის კლასიკური მუსიკის ფესტივალის მთავარი პარტნიორობა და სპონსორობა. ფესტივალი ყოველწლიურად მასპინძლობს მსოფლიო დონის შემსრულებლებს, დირიჟორებსა და კომპოზიტორებს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს საერთაშორისო კულტურულ ცენტრად პოზიციონირებაში.

ფესტივალის განუყოფელ და მთავარ ნაწილად ჩამოყალიბდა საგანმანათლებლო მიმართულება: პანკავკასიური ახალგაზრდული ორკესტრი, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდა მუსიკოსებს აძლევს შესაძლებლობას, გაიარონ მასტერკლასები მსოფლიოში აღიარებულ ხელოვანებთან, და მათთან ერთად წარდგნენ სცენაზე.





სპორტის მხარდაჭერა

„სილქნეტის" დაარსების დღიდან საქართველოს სათხილამურო ფედერაციის გენერალური სპონსორები ვართ. ჩვენი მხარდაჭერა მხოლოდ ფინანსურ ინვესტიციას არ მოიცავს – წლების განმავლობაში კომპანიის ხელმძღვანელობა და დამფუძნებელი, გიორგი რამიშვილი, აქტიურად თანამშრომლობენ საქართველოს მთავრობასთან ზამთრის სპორტის პოპულარიზაციის მიზნით.

ამ ძალისხმევის შედეგად, საქართველომ წარმატებით უმასპინძლა არაერთ საერთაშორისო ჩემპიონატს, მათ შორის, გამორჩეული იყო 2023 წლის FIS თავისუფალი სტილით თხილამურსა და სნოუბორდში გამართული მსოფლიო ჩემპიონატი ბაკურიანში. აღნიშნული ღონისძიება, რომელიც „სილქნეტის" სპონსორობით გაიმართა, უპრეცედენტო სპორტულ მოვლენად შეფასდა. ჩვენი დახმარებით, საქართველოს ეროვნულ სათხილამურო გუნდს აქვს შესაძლებლობა, მსოფლიოს საუკეთესო ტრასებზე ივარჯიშოს, რის შედეგადაც, ჩვენს სპორტსმენებს უკვე არაერთი წარმატება ჰქონდათ საერთაშორისო ასპარეზზე.

დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი (WWSF)

დაჭრილი ვეტერანების მხარდაჭერა ჩვენი სოციალური პასუხისმგებლობის განსაკუთრებული მიმართულებაა. სწორედ „სილქნეტის" ინიციატივით შეიქმნა დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი (WWSF). ჩვენ გავხდით პირველი კერძო კომპანია საქართველოში, რომელიც ხელს უწყობს ვეტერანების და მათი ოჯახების სოციალურ ინტეგრაციას, ჯანმრთელობის დაცვასა და განათლებას.

ფონდი მიზნად ისახავს იმ სამხედრო მოსამსახურეთა დახმარებას, ვინც მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებსა და საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში. მხარდაჭერა ვრცელდება მათი შვილების განათლებასა და პროფესიულ განვითარებაზეც. 2018 წელს Forbes Georgia-მ „სილქნეტი" დაასახელა „Forbes Social Impact"-ის ჯილდოს გამარჯვებულად WWSF-ის დაარსებისთვის.



სხვა სოციალური და კულტურული ინიციატივები

2024 წელს, ტრადიციულად, გავაგრძელეთ საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პროექტები: „მსახიობები ლიტერატურისთვის", რომელიც წიგნის ფესტივალის ფარგლებში იმართება და ახალგაზრდებში წიგნიერებისა და კითხვის პოპულარიზაციას უწყობს ხელს, ასევე, „დაასკანერე თბილისი/Scan Tbilisi", რომელიც ჩვენს პარტნიორთან ერთად განვახორციელეთ. პროექტი მიზნად ისახავს კულტურული მემკვიდრეობის გაციფრულებასა და მასზე წვდომის მაქსიმალურ გამარტივებას.

მთელი 2024 წლის განმავლობაში ჩვენ აქტიურად ვმონაწილეობდით სხვადასხვა კულტურულ, სპორტულ და საგანმანათლებლო ღონისძიებებში, რადგან მიგვაჩნია, რომ სოციალური ინიციატივებით კერძო სექტორს გადამწყვეტი წვლილის შეტანა შეუძლია ქვეყნის განვითარებაში.

კორპორაციული მართვა

ჩვენი კორპორაციული მართვის სისტემა მიზნად ისახავს კომპანიის საქმიანობის პროცესში სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას, რითიც მხარს ვუჭერთ ეთიკურ და მდგრად კორპორაციულ ქცევას.


უკანასკნელ წლებში კომპანია მნიშვნელოვნად გაიზარდა და განვითარდა, რასაც თან ახლავს ჩვენი კორპორაციული მართვის პრაქტიკების უწყვეტი განვითარება.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში განხორციელებული კორპორაციული მართვის რეფორმები, რომლებიც მიზნად ისახავს ევროკავშირის სამართლებრივ ჩარჩოსთან დაახლოებას, ინტეგრირებულია ჩვენს საქმიანობაში. ამასთან, ჩვენ მივისწრაფვით საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის პრინციპების დანერგვისკენ, რათა გავაუმჯობესოთ ჩვენი კორპორაციული მართვის სისტემა, გავზარდოთ პროცესების ეფექტიანობა და უზრუნველვყოთ კიდევ უფრო მაღალი დონის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.

ჩვენ ყოველდღიურად ვცდილობთ გავაუმჯობესოთ მმართველობითი მიდგომები, დავხვეწოთ პროცესები და ჩამოვაყალიბოთ ისეთი გარემო, რომელიც ეფუძნება მაღალი ეთიკური სტანდარტების დაცვას და უზრუნველყოფს მმართველობითი სტრუქტურების დაბალანსებულ ფუნქციონირებას.

კორპორაციული მართვა ჩვენს კომპანიაში ეფუძნება კომპანიის ღირებულებებს და მისი გრძელვადიანი წარმატებისა და მდგრადი განვითარების საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენი კორპორაციული სტრუქტურა დღევანდელი მდგომარეობით



ძლიერი აქციონერები

ჩვენ „სილქ როუდ ჯგუფის“ (SRG) – ერთ-ერთი წამყვანი კერძო საინვესტიციო ჯგუფის ნაწილს წარმოვადგენთ. ჯგუფი კავკასიის რეგიონში და საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში ოპერირებს, მისი აქტივები კი, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაახლოებით 2.5 მილიარდ ლარს შეადგენს. SRG-ის საქმიანობა ოთხ ძირითად სექტორს მოიცავს:

- ტრანსპორტირება: აკავშირებს საქართველოს ცენტრალურ აზიასთან ინფრასტრუქტურაზე, ტერმინალებზე, სარკინიგზო ცისტერნებსა და კონტეინერებზე წვდომის საშუალებით;
- სატელეკომუნიკაციო მომსახურება: „სილქნეტი“;
- ფინანსური მომსახურება: „სილქ ბანკი“, რომელმაც მომავალში შესაძლოა, „სილქნეტის“ აბონენტებს ერთობლივი ფინანსური მომსახურება შესთავაზოს;
- უძრავი ქონება, მასპინძლობა და გართობა: უძრავი ქონების პორტფელი (რომელიც შედგება განვითარებული და გასავითარებელი საკუთრებისა და მიწებისგან), დაახლოებით 490 მილიონი აშშ დოლარის აქტივებითა და 13-წლიანი გამოცდილებით მასპინძლობისა და გართობის სექტორში (სასტუმროები, რესტორნები, კაზინოები, კლუბები, სპორტული ცენტრები და ა.შ.);
- ენერგეტიკა: 9.8 მეგავატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური.

ეთიკა და შესაბამისობა

კომპანია საქმიანობის განხორციელებისას ითვალისწინებს მაღალი ეთიკური სტანდარტების პრინციპებს და ხელს უწყობს პასუხისმგებლიანი ქცევის კულტურის გაძლიერებას ყველა დონეზე. ეთიკისა და შესაბამისობის მიმართულება ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების განმტკიცებაში.

შესაბამისობის ოფიცერი კურირებს პოლიტიკებისა და ინსტრუქციების შედგენას, რასაც სამეთვალყურეო საბჭოს გარემოს დაცვის, სოციალური, მმართველობის (ESG) და კომპენსაციის კომიტეტი ადასტურებს.

კომპანიის ფარგლებში შემუშავებულია ეთიკის კოდექსი და პასუხისმგებლიანი ქცევის ინსტრუქცია. დღევანდელ გარემოში, სადაც საზოგადოების მოლოდინები ბიზნესის მიმართ მუდმივად იზრდება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ კომპანიის ეთიკური ჩარჩო ეფუძნებოდეს ჩვენს პრინციპს – ვიმოქმედოთ კეთილსინდისიერად, გამჭვირვალედ და მაღალი პასუხისმგებლობით. ჩვენი ეთიკური ჩარჩო აძლიერებს ჩვენს ძირითად ღირებულებებს და ქმნის მკაფიო მოლოდინს ქცევის სტანდარტების მიმართ კომპანიის ყველა დონეზე. ამ მიზნით, ყველა თანამშრომელი დასაქმებისას ეცნობა ეთიკის კოდექსსა და პასუხისმგებლიანი ქცევის ინსტრუქციას, და ადასტურებს, რომ ეთანხმება მათ. კომპანიის ფარგლებში რეგულარულად ტარდება ცნობიერების ამაღლების ტრენინგები და შიდა კომუნიკაციის ინიციატივები, რაც ხელს უწყობს ეთიკური სტანდარტების თანმიმდევრულ აღქმასა და ყოველდღიურ საქმიანობაში ინტეგრაციას.

კომპანია სხვადასხვა შიდა, მათ შორის, ზემოთ აღწერილი მექანიზმების საშუალებით ცდილობს, შეამციროს შესაძლო დარღვევების რისკი და ხელი შეუწყოს პასუხისმგებლიანი ქცევის ფორმირებას.

ეთიკის კოდექსი საჯაროდ ხელმისაწვდომია არა მხოლოდ თანამშრომლებისთვის, არამედ პარტნიორების, მომწოდებლებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეებისთვის. ჩვენი მიზანია, საქმიანი ურთიერთობები ემყარებოდეს სამართლიანობას, ღიაობასა და პასუხისმგებლობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანია აქტიურად მუშაობს მომწოდებელთა ქცევის კოდექსის განახლებაზე, რათა კიდევ უფრო გააუმჯობესოს ეთიკური ღირებულებების გავრცელება მომწოდებლებთან ურთიერთობაში.

ამასთან, ვაცნობიერებთ პოლიტიკებისა და ინსტრუქციების ეფექტიანი მართვის მნიშვნელობას და ყოველწლიურად ვახორციელებთ მათ სრულ გადახედვას. პროცესის მიზანია დავრწმუნდეთ, რომ ყველა პოლიტიკა და ინსტრუქცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და, ასევე, დაახლოებულია საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებთან, რაც უზრუნველყოფს კომპანიის მდგრად განვითარებას და ეთიკური სტანდარტების უწყვეტ გაუმჯობესებას.

ინტერესთა კონფლიქტი

გარდა ქვემოთ მითითებული შემთხვევებისა, არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი სამეთვალყურეო საბჭოს ან აღმასრულებელი ხელმძღვანელობის მოვალეობებსა და მათ შესაბამის პირად ინტერესებსა ან სხვა მოვალეობებს შორის.

გიორგი რამიშვილი – სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ალექსი თოფურია და დევიდ ფრანც ბორგერი, რომლებიც არიან სამეთვალყურეო

საბჭოს წევრები, აგრეთვე, „სილქნეტის“ საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეები – მათ აქვთ შესაძლებლობა, გავლენა მოახდინონ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებებზე.

ინფორმაციის გამჟღავნება და გამჭვირვალობა

ჩვენ გვჯერა, რომ ინფორმაციის დროული და ადეკვატური გამჟღავნება აუმჯობესებს ჩვენს დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის გამჭვირვალობას და კარგი მმართველობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. შედეგად, ჩვენ რეგულარულად გამოვცემთ საკომუნიკაციო დოკუმენტებს ჩვენი ინვესტორებისთვის, ისევე როგორც ყოველკვარტალურ განახლებებსა და პრეზენტაციებს.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მიმდინარე ბიზნესსაქმიანობის ფარგლებში, ჩვენ ვახორციელებდით და ვაგრძელებთ ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. დაკავშირებულ მხარეებად ითვლებიან, მათ შორის, შემდეგი პირები და სუბიექტები: აქციონერები/პარტნიორები, ხელმძღვანელობის წევრები, შვილობილი კომპანიები და ასეთი შვილობილი კომპანიების გარკვეული აქციონერები. გარდა ამისა, მხარეები ჩაითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის კონტროლი ან შეუძლია, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის გადაწყვეტილებებზე, ან თუ ასეთი მხარეები იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ.

ჩვენს წესდებაში მოცემულია გარკვეული შეზღუდვები დაკავშირებულ მხარეებთან დადებული გარიგებების შესახებ. მაგალითად, ნებისმიერი დაკავშირებული მხარის გარიგება, რომლის ღირებულება 2 მილიონ ლარს აჭარბებს, ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს წინასწარ დამტკიცებას, ხოლო თუ დაკავშირებული მხარის გარიგების ღირებულება აღემატება 10 მილიონ ლარს, მაშინ სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მოიპოვოს დამოუკიდებელი შემფასებლის დასკვნა იმის შესახებ, რომ მსგავსი დაკავშირებული მხარის გარიგება, ფინანსური თვალსაზრისით, არ არის კომპანიისთვის საზიანო.


დაკავშირებული მხარის გარიგებების შესახებ, საწესდებო დებულებებთან ერთად, კომპანიაში მოქმედებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული დაკავშირებული მხარის პოლიტიკა, რომელიც გარიგებების საბაზრო პირობებით განხორციელებას ისახავს მიზნად. პოლიტიკა შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების, აგრეთვე, ფასის მოთხოვნებს.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია 2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 24-ე განმარტებით შენიშვნაში.

ჩვენ მიერ 2022 წელს გამოშვებული ევრობლიგაციები, ასევე, ექვემდებარება კოვენანტებს, დაკავშირებულ მხარეებთან დადებულ გარიგებებთან მიმართებაში. კომპანიამ არ უნდა დადოს გარიგება დაკავშირებულ მხარესთან გარიგების სამართლიან საბაზრო ღირებულებაზე მეტად ხელსაყრელ პირობებზე. თუ გარიგება მოიცავს ჯამური აქტივების 5%-ზე მეტ გადახდებს ან ღირებულებას, ჩვენ ვალდებული ვართ, მივიღოთ წერილობითი დასკვნა აუდიტორული კომპანიისგან ან მესამე მხარის ექსპერტისგან იმის შესახებ, რომ მსგავსი გარიგება დადებულია სამართლიანი საბაზრო ღირებულებით და სამართლიანია ფინანსური თვალსაზრისით.

მმართველობითი სტრუქტურა

ჩვენი მმართველობითი და ხელმძღვანელობის სისტემის სტრუქტურა შემდეგნაირია:



სამეთვალყურეო საბჭო

ჩვენი სამეთვალყურეო საბჭო („საბჭო“) პასუხისმგებელია კომპანიის სტრატეგიისა და საქმიანობის პრიორიტეტების წარმართვისა და დადგენისათვის, მათ შორის, წლიური ფინანსური და სტრატეგიული გეგმის მომზადებისთვის, რისკის მართვის განხორციელებისთვის, ზედამხედველობს ხელმძღვანელობის (გენერალური დირექტორისა და მიმართულებების დირექტორები) საქმიანობას. სამეთვალყურეო საბჭო მოქმედებს კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე. შესაბამისად, პასუხისმგებელია აქციონერების უფლებებისა და ინტერესების დაცვაზე. სამეთვალყურეო საბჭოს უფლებები და პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენს წესდებაში, რაც ატვირთულია ჩვენს ვებგვერდზე.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შერჩევა

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შერჩევა ხდება 3 წლის ვადით, აქციონერთა საერთო კრებაზე დამსწრე და ხმის მიმცემი აქციონერების ხმათა უმრავლესობით. აქციონერთა მიერ საბჭოს წევრების შერჩევის დროს განსაკუთრებულად მიიღება მხედველობაში საბჭოს წევრების პროფესიონალიზმი, ეთიკის მაღალი სტანდარტები და დამოუკიდებლობა. ჩვენი საბჭოს წევრების გამოცდილება და პროფესიული მიღწევები ცხადყოფს მათ პროფესიონალიზმს, მაღალი ეთიკური სტანდარტების ფლობას და დამოუკიდებლობის ხარისხს. მიგვაჩნია, რომ კორპორაციული მართვის გაუმჯობესებას საბჭოს წევრების სწორედ ასეთი ნიშან-თვისებები უდევს საფუძვლად.

საბჭოს წევრები არ წარმოადგენენ ხელმძღვანელი ორგანოს წევრებს.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურება

აქციონერთა მიერ საბჭოს წევრების ანაზღაურების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ანაზღაურების გონივრულობა და კონკურენტუნარიანობა, რათა, მათ შორის, საფრთხე არ შეექმნას წევრების დამოუკიდებლობას.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დამოუკიდებლობა

ძირითადი კრიტერიუმის – დამოუკიდებლობის ნიშნით შერჩეული ჩვენი საბჭოს წევრების პროვენული თვისებები და კომპეტენციები აძლიერებს სანდოობას სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებების ობიექტურობასა და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. 2023 წლის მდგომარეობით, საბჭო შედგება რვა წევრისაგან. აღსანიშნავია, რომ მათ შორის სამი – დამოუკიდებელი წევრია, რაც კიდევ უფრო ცხადს ხდის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებების მიუკერძოებლობას.

სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შეფასება

კომპანიაში სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის ხარისხის თვითშეფასება კრიტიკული აზროვნების ნათელი მაგალითია. გარდა თვითშეფასებისა (რომელიც ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ თვითშეფასების კითხვარის ყოველწლიური შევსებით), სამეთვალყურეო საბჭოს წევრების საქმიანობის შეფასების ალტერნატიულ საშუალებად მივიჩნევთ სარეიტინგო სააგენტოს – Sustainalytics ყოველწლიურ შეფასებას ESG რეიტინგის განსაზღვრის მიზნით. ზემოაღნიშნული სარეიტინგო კომპანია აფასებს კომპანიის კორპორაციული მართვის სისტემას, რაც, თავის მხრივ, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების საქმიანობის ხარისხის შეფასებას მოიაზრებს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან:

- **გიორგი რამიშვილი** – თავმჯდომარე
- **ვასილ კენკიშვილი** – თავმჯდომარის მოადგილე
- **ალექსი თოფურია** – წევრი
- **დევიდ ფრანც ბორგერი** – წევრი
- **მამუკა შურღაია** – წევრი
- **სტელა ჰენდლერი** – დამოუკიდებელი წევრი
- **მარტინ რუუსი** – დამოუკიდებელი წევრი
- **იულია ბოილი** – დამოუკიდებელი წევრი

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების
ბიოგრაფიები



გიორგი რამიშვილი
თავმჯდომარე

გიორგი რამიშვილი არის „სილქნეტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და „სილქ როუდ ჯგუფის“ დამფუძნებელი, აქციონერი და თავმჯდომარე. გიორგი რამიშვილი ფლობს თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხარისხს ჰიდროტექნიკურ ინჟინერიაში (1984–1985) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს „ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში“ (1987–1992). გიორგი რამიშვილს აქვს ახალი კომპანიების გახსნისა და წარმატებით მართვის 25 წელზე მეტი გამოცდილება, ფართო სოციალური ქსელისა და კარგი ბიზნესმიდგომის გამოყენებით. მისი ინდუსტრიული უნარ-ჩვევები მოიცავს ტრანსპორტირებას, ვაჭრობას, უძრავ ქონებას, ტურიზმსა და ენერგეტიკას. გიორგი რამიშვილი რამდენიმე წლის განმავლობაში იყო საქართველოს სათხილამურო ფედერაციის პრეზიდენტი და დღემდე მხარს უჭერს საქართველოში ზამთრის სპორტის განვითარებას. იგი არის რამდენიმე სამხატვრო და კულტურული ორგანიზაციის საერთაშორისო საბჭოსა და ლონდონის ფილარმონიული ორკესტრის საერთაშორისო საბჭოს წევრი. იგი ასევე არის National Geographic Georgia-ს და წინანდლის კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის საბჭოს თავმჯდომარე.



ალექსი თოფურია
წევრი

ალექსი თოფურია არის „სილქ როუდ ჯგუფის“ აქციონერი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. ასევე, „სილქნეტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. ალექსი თოფურიას კავკასიის, კასპიის და შუა აზიის რეგიონებში ახალი ბიზნესების განვითარების 20 წელზე მეტი პროფესიული გამოცდილება აქვს. ის არის ექსპერტი ფინანსებისა და საოპერაციო მმართველობის სფეროში. მისი ინდუსტრიული უნარ-ჩვევები მოიცავს ტელეკომუნიკაციებს, ტრანსპორტირებასა და ვაჭრობას. ალექსი თოფურიამ დააფუძნა საფეხბურთო სკოლა თბილისის გარეუბანში, საქართველოში ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხელშესაწყობად. ალექსი ფლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (საქართველო) ხარისხს ეკონომიკასა და გეოგრაფიაში (1984–1989, ორწლიანი წყვეტით სამხედრო სამსახურის გამო), ასევე, გოეთეს ინსტიტუტის ხარისხს გერმანულ ენაში (იზერლონი, გერმანია (1990–1991)), და გავლილი აქვს ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სიღრმისეული შესწავლის კურსები Witten/Herdecke University-ში (გერმანია (1991–1997)). ალექსი თოფურია არის National Geographic Georgia-ს საბჭოს წევრი.



დევიდ ფრანც ბორგერი
წევრი

დევიდ ფრანც ბორგერი შეუერთდა „სილქ როუდ ჯგუფს“, „სილქნეტის“ აქციონერს, როგორც პარტნიორი, 2005 წელს. მას აქვს ლონდონის ეკონომიკის სკოლის დოქტორის ხარისხი ბუღალტერიასა და ფინანსებში და მუშაობდა ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში მსხვილ IT და საკონსულტაციო კომპანიებთან. „სილქ როუდ ჯგუფში“ მუშაობის დაწყებამდე იგი იყო პროექტის ლიდერი ბოსტონის საკონსულტაციო ჯგუფში. ის, ოჯახთან ერთად, მიუნხენში ცხოვრობს.



მამუკა შურღაია
წევრი

მამუკა შურღაია არის „სილქნეტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და შპს SRG Investments-ის (,სილქ როუდ ჯგუფის“ ნაწილი) ფინანსური დირექტორი. მამუკა „სილქ როუდ ჯგუფს“ 2011 წელს შეუერთდა, როგორც ფინანსური დირექტორის მოადგილე, და 1 წლის განმავლობაში ფინანსური დირექტორის თანამდებობაზე დაწინაურდა. მას ასევე უკავია დირექტორის თანამდებობა შპს SRG Real Estate-ში, კომპანიაში, რომელიც „სილქ როუდ ჯგუფის“ უძრავი ქონების საქმიანობას მართავს საქართველოში. „სილქ როუდ ჯგუფში“ მუშაობის დაწყებამდე მამუკა შურღაია იყო უფროსი აუდიტორი შპს ,Ernst & Young Audit – თბილისში“, და მუშაობდა, როგორც მენეჯერი „თიბისი ბანკის“ ანგარიშების გუნდში. მამუკა შურღაია ფლობს კავკასიის ბიზნესსკოლის ხარისხს ფინანსებში (2006) და Grenoble Ecole De Management-ის მაგისტრის ხარისხს ბიზნესადმინისტრირებაში (2016).



ვასილ კენკიშვილი
თავმჯდომარის მოადგილე

ვასილ კენკიშვილი არის „სილქნეტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და შპს SRG Investments-ის გენერალური დირექტორი, რომელიც „სილქ როუდ ჯგუფის“ შემადგენლობაში შედის. ვასილ კენკიშვილი „სილქ როუდ ჯგუფს“ 2006 წელს შეუერთდა, როგორც კონსულტანტი, და 3 წელიწადში გენერალური დირექტორის პოზიცია დაიკავა. „სილქ როუდ ჯგუფში“ მუშაობის დაწყებამდე, 2004–2006 წლებში, იგი იკავებდა შპს „საქართველოს რკინიგზაში“ იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის პოზიციას რესტრუქტურიზების მიმართულებით. ასევე, 2001–2003 წლებში იგი იკავებდა მთავარი იურისტის პოზიციას საქართველოს პარლამენტში (პარლამენტის აპარატში) და 1999 წლიდან 2001 წლამდე მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში. ვასილ კენკიშვილმა მიიღო იურისტის ხარისხი (JD ეკვივალენტური) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2000 წელს, ხოლო LLM ხარისხი მიიღო ამერიკულ უნივერსიტეტში, ვაშინგტონის სამართლის კოლეჯში (ვაშინგტონი, აშშ) 2004 წელს.




სტელა ჰანდლერი
დამოუკიდებელი წევრი

2018 წლიდან სტელა ჰანდლერი არის Italeya-ს – უძრავი ქონების საოჯახო ჰოლდინგური კომპანიის თავმჯდომარე. 2013 წლიდან 2018 წლამდე სტელა იყო Bezeq-ის, ისრაელის საზოგადოებრივი სატელეკომუნიკაციო კომპანიის, გენერალური დირექტორი. 2011–2013 წლებში იგი იყო საზოგადოებრივი საკაბელო ტელევიზიის, HOT-ის, თავმჯდომარე. მანამდე ის იკავებდა Ol2 Smile-ის (კომპანიის, რომლის აქციები Nasdaq-ზე ივაჭრება) გენერალური დირექტორის პოზიციას. სტელა ჰანდლერს აქვს Hebrew University of Jerusalem-ის ბიზნესისა და ეკონომიკის ხარისხი და მაგისტრის ხარისხი ეკონომიკაში.



მარტინ როოსი
დამოუკიდებელი წევრი

მარტინ როოსი არის INSEAD-ის სერტიფიცირებული დირექტორი (IDP) და აქვს სატელეკომუნიკაციო, ტექნოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის სექტორებში სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელ პოზიციებზე მუშაობის გამოცდილება. მარ-ტინი ამჟამად იკავებს Seamless Distribution Systems-ის თავმჯდომარის პოზიციას და არის Nexam Chemicals-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (ორივე კომპანიის აქციები Nasdaq First North-ზე ივაჭრება). ის ასევე არის სხვადასხვა სტარტაპის, მაგალითად, Lignin Industries-ის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. მანამდე მარტინი იყო WOM-ის (ჩილე) სამეთვალყურეო საბჭოს საოპერაციო კომიტეტის წევრი, იკავებდა მმართველობით პოზიციებს Ericsson-ში, იყო Altice-ის (დომინიკის რესპუბლიკა, შექმნილი Orange-ის და Tricom-ის შერწყმის შედეგად) და Cable and Wireless Caribbean-ის გენერალური დირექტორი, რა დროსაც ის ასევე იკავებდა Telecommunications Services of Trinidad and Tobago-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის პოზიციას. მარტინი დაოჯახებულია და ჰყავს ორი შვილი. ის არის Stockholm School of Economics-ის მაგისტრის ხარისხის მფლობელი ეკონომიკაში და სტოკჰოლმის Royal Institute of Technology-ის მაგისტრის ხარისხის მფლობელი ქიმიურ ინჟინერიაში.



იულია ბოილე
დამოუკიდებელი წევრი

იულია ბოილე არის გამორჩეული კარიერის მქონე, მსოფლიო მედიის აღმასრულებელ პოზიციებზე მუშაობის გამოცდილებით, რომელიც მოიცავს რამდენიმე გლობალურ მედია და გასართობ კორპორაციას, მათ შორის, The World Disney Company-ს, 21st Century Fox-ს და National Geographic-ს. მას ინოვაციური და ხანგრძლივი პარტნიორობების შექმნაში მონაწილეობის ფართო გამოცდილება აქვს: მაგალითად, ისეთი კომპანიების მონაწილეობით, როგორებიცაა National Geographic-ი, Nikkei Inc.-ი, Hearst-ი, Editorial Televisa, Bertelsmann-ი, Scholastic-ი, Penguin Random House-ი, Harper Collins-ი, და Macmillan-ი. National Geographic-ში 16-წლიანი ეფექტური კონტრიბუციის შემდეგ, სადაც ის საერთაშორისო მედიის უფროსი ვიცე-პრეზიდენტის პოზიციას იკავებდა, იულიამ National Geographic-ის მიდგომა კონვენციური IP ლიცენზირებიდან გლობალურად და ლოკალურად წარმატებულ ბიზნესად და ედიტორულ ეკოსისტემად გარდაქმნა.

იულია ბოილე ამჟამად FIPP-ის (100 წლის გლობალური მედიაასოციაცია, რომელიც მედიაკომპანიებს მუდმივად ცვალებად ბიზნესგარემოში ნავიგაციასა და ზრდის შესაძლებლობების პოვნაში ეხმარება) თავმჯდომარის პოზიციას იკავებს, როგორც პირველი ქალი თავმჯდომარე, სადაც ის FIPP-ის ინოვაციურ, მრავალფეროვან და ინკლუზიურ მცდელობებს იცავს. იულია ასევე იყო Nikkei National Geographic-ის, Nikkei Inc. Japan-ისა (Nikkei-ს ფინანსური ინდექსის გამომცემელი) და National Geographic-ის ერთობლივი საწარმოს დირექტორთა საბჭოს წევრი.

კომიტეტები

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საბჭოს ფუნქციების ეფექტურად განხორციელების მიზნით შექმნილია აუდიტის და რისკების კომიტეტი და გარემოს დაცვის, სოციალური, მმართველობის და კომპენსაციის კომიტეტი.

აუდიტისა და რისკების კომიტეტის წინაშე ყოველკვარტალურად ანგარიშს წარადგენს კომპანიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.

გარემოს დაცვის, სოციალური, მმართველობის და კომპენსაციის კომიტეტის წინაშე ანგარიშვალდებულია კომპანიის შესაბამისობის ოფიცერი და გარემოსდაცვითი ოფიცერი. საკომიტეტო შეხვედრები ტარდება ყოველკვარტალურად.

საჭიროების შემთხვევაში, საკომიტეტო შეხვედრა, ასევე, შესაძლოა ჩატარდეს ნებისმიერ დროს კომიტეტების წევრ(ებ)ის მოთხოვნის საფუძველზე.

კომიტეტებს ხელმძღვანელობენ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრები.

კომიტეტების ფუნქციები სათანადოდ არის გამიჯნული და დაბალანსებული.

აუდიტის და რისკების კომიტეტი:

აუდიტის და რისკების კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან შედგება, რომელთაგან სამი – დამოუკიდებელი წევრია.

აუდიტისა და რისკების კომიტეტი ეფექტური ხელმძღვანელობითა და ზედამხედველობით უზრუნველყოფს კომპანიაში ანგარიშვადებულების, გამჭვირვალობის, რისკის მართვისა და შიდა კონტროლის პროცესების მუდმივ გაუმჯობესებას, რაც მნიშვნელოვანია კომპანიის სტრატეგიული მიზნების მიღწევისათვის.

აუდიტის და რისკების კომიტეტის წევრები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

– **სტელა ჰანდლერი** – დამოუკიდებელი წევრი/თავმჯდომარე

– **მარტინ როოსი** – დამოუკიდებელი წევრი

– **მამუკა შურღაია** – წევრი

– **დევიდ ფრანც ბორგერი** – წევრი

– **ვასილ კენკიშვილი** – წევრი

– **იულია ბოილე** – დამოუკიდებელი წევრი

საქმიანობა და პასუხისმგებლობები

აუდიტის და რისკების კომიტეტი ადასტურებს საარრიცხვო პოლიტიკებს, მიმოიხილავს და ამტკიცებს ფინანსურ ანგარიშგებებს, ზედამხედველობს ხარისხის კონტროლის, რისკების მართვისა და შიდა და გარე აუდიტის ეფექტურობას.

კომიტეტი, ასევე, პასუხისმგებელია შიდა აუდიტის მიერ სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან დამტკიცებული წესდებით განსაზღვრული ფუნქციებისა და მოვალეობების აღსრულების კონტროლზე.

გარემოს დაცვის, სოციალური, მმართველობის (ESG) და კომპენსაციის კომიტეტი

გარემოს დაცვის, სოციალური, მმართველობის (ESG) და კომპენსაციის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან შედგება, რომელთაგან სამი – დამოუკიდებელი წევრია.

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის და კომპენსაციის კომიტეტი გადამწყვეტ როლს ასრულებს იმის უზრუნველყოფაში, რომ ჩვენ საქმიანობის განხორციელებისას ვმოქმედებდეთ პასუხისმგებლობით როგორც გარემოს, ასევე საზოგადოების მიმართ.

გარემოს დაცვის, სოციალური, მმართველობის (ESG) და კომპენსაციის კომიტეტის წევრები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

– **იულია ბოილე** – დამოუკიდებელი წევრი/თავმჯდომარე

– **ალექს თოფურია** – წევრი

– **დევიდ ფრანც ბორგერი** – წევრი

– **ვასილ კენკიშვილი** – წევრი

– **სტელა ჰანდლერი** – დამოუკიდებელი წევრი

– **მარტინ როოსი** – დამოუკიდებელი წევრი

საქმიანობა და პასუხისმგებლობები

კომიტეტი განსაზღვრავს ESG პოლიტიკას და ახორციელებს ზედამხედველობას. ESG პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით, კომიტეტი, ასევე, უზრუნველყოფს სტრატეგიების შემუშავებას ESG რისკების შესამცირებლად.

კომიტეტი უფლებამოსილია, მოითხოვოს დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა და უკუკავშირი დაინტერესებული მხარეებისგან ESG სტრატეგიების შემუშავების პროცესში და ასევე, ESG ინიციატივების განხორციელების მიზნით.

კომიტეტი ხელს უწყობს პასუხისმგებლიანი ბიზნესკულტურის ჩამოყალიბებას საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების გათვალისწინებით. ამასთან, მიზნად ისახავს ინოვაციებისა და შემოქმედებითობის ხელშეწყობას ESG გამოწვევებთან და შესაძლებლობებთან მიმართებაში.

გარემოს დაცვის, სოციალური, მმართველობისა და კომპენსაციის კომიტეტის ფუნქციების გაფართოებამ, ასევე მისი საქმიანობის სწორად დაბალანსებულმა და ეფექტიანმა განხორციელებამ მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი კომპანიის ESG მაჩვენებლების გაუმჯობესებას. კერძოდ, საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციის, Sustainalytics-ის მიერ ჩატარებული შეფასების შედეგად, კომპანიის ESG რისკის რეიტინგი შემცირდა 26.0-დან 21.1-მდე 2024 წელს, ხოლო 2025 წლის შეუალედური გადახედვის დროს კიდევ შემცირდა 20.8-მდე, რაც ნათლად ადასტურებს როგორც კომიტეტის, ასევე კომპანიის მენეჯმენტის ეფექტურ მუშაობას და კომპანიის ერთგულებას მდგრადი განვითარების პრინციპების მიმართ.

სამომავლოდ არანაკლები ძალისხმევით ვაპირებთ მუშაობის გაგრძელებას, რათა კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ ჩვენი ESG რისკის რეიტინგი მაჩვენებლები და ხელი შევუწყოთ მაღალი ეთიკური, სოციალური და მმართველობითი სტანდარტების განმტკიცებას კომპანიის საქმიანობის ყველა მიმართულებით.

ხელმძღვანელობა

ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს გენერალური დირექტორი კომპანიაში არსებული სხვადასხვა მიმართულებების დირექტორებთან ერთად (ხელმძღვანელობა). ჩვენი ხელმძღვანელობის საქმიანობის წარმატების საწყისად მივიჩნევთ კომპანიაში როგორც სათანადო ფინანსური და ადამიანური რესურსების არსებობას, აგრეთვე, ხელმძღვანელობის მაღალი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და საჭირო უნარ-ჩვევების ფლობას მოვალეობების განსახორციელებლად.

ხელმძღვანელობა საქმიანობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ყოველწლიურად დამტკიცებული ფინანსური და კომერციული გეგმებით.

ხელმძღვანელობის ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული კომპანიის წესდებით, რაც ატვირთულია ჩვენს ვებგვერდზე.

ხელმძღვანელობის დანიშვნა

გენერალურ დირექტორს ნიშნავს და ზედამხედველობს სამეთვალყურეო საბჭო.

გენერალური დირექტორის დანიშვნისას სამეთვალყურეო საბჭო მხედველობაში იღებს იმ საჭირო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომელიც აუცილებელია კომპანიის ეფექტიანად სამართავად.

წესდებით მკაფიოდ არის გამიჯნული გენერალური დირექტორის უფლებამოსილებები.

კომპანიაში მიმართულებების დირექტორებს ნიშნავს გენერალური დირექტორი კონკრეტული მიმართულების მართვის მიზნით, გენერალური დირექტორის მიერ გაცემული ბრძანების შესაბამისად.

„სილქნეტში“ გამიჯნული და გამჭვირვალეა მიმართულებების დირექტორების ამოცანები და აღნიშნულიამოცანებისშესრულებასზედამხედველობს გენერალური დირექტორი.

ხელმძღვანელობას მკაფიოდ ესმის, რომ მათი ქმედებები და გადაწყვეტილებები უნდა გამომდინარეობდეს კომპანიის საუკეთესო ინტერესებიდან. შესაბამისად, ხელმძღვანელობა მიზანმიმართულია, რომ მათი გადაწყვეტილებები ფუნქცია-მოვალეობების განხორციელებისას იყოს კეთილსინდისიერი და გონივრული.

ხელმძღვანელობის ანაზღაურება

სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს გენერალური დირექტორის ანაზღაურებას.

კომპანიაში არსებული მიმართულებების დირექტორების ანაზღაურების წესსა და პოლიტიკას გენერალური დირექტორი განსაზღვრავს, აქციონერთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი, კომპანიის სტრატეგიისა და გეგმის მიხედვით.

კომპანიაში შემუშავებულია ანაზღაურების პოლიტიკა, რომლის მიზანიც არის მაღალი კვალიფიკაციის ხელმძღვანელობის (მიმართულებების დირექტორების) მოზიდვა/შენარჩუნება. ჩვენი კორპორაციული მმართველობითი სტრუქტურის განვითარების ფარგლებში, ვმუშაობთ აღნიშნული პოლიტიკის გაუმჯობესებაზე, რაც ხელმძღვანელობის საქმიანობის მუდმივი მართვისა და გაუმჯობესების სისტემის შექმნას განაპირობებს.

ხელმძღვანელობის შეფასება

ხელმძღვანელობის საქმიანობას აფასებს სამეთვალყურეო საბჭო.

მმართველი გუნდი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

– **დავით მამულაიშვილი** – გენერალური დირექტორი

– **ლილი ფშავლიშვილი** – ფინანსური დირექტორი

– **ლევან ბუჩუკური** – კომერციული მიმართულების დირექტორი

– **ვერა დუდუჩავა** – საოპრაციო მიმართულების დირექტორი

– **ნინო კანკია** – ტექნიკური მიმართულების დირექტორი

– **რუსუდან სვანი** – აბონენტთა მომსახურების მიმართულების დირექტორი

– **თეა ტყეშელაშვილი** – ადმინისტრაციული მიმართულების დირექტორი

– **შეიბან მოჰამედ აჰმედი** – ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულების დირექტორი

ხელმძღვანელობის
ბიოგრაფიები



დავით მამულაიშვილი
გენერალური დირექტორი

დავით მამულაიშვილი გენერალურ დირექტორად 2016 წელს დაინიშნა. 2010 წლიდან იგი იკავებდა შიდა კონტროლისა და სტანდარტიზაციის განყოფილების უფროსის თანამდებობას. „სილქნეტში“ მუშაობის დაწყებამდე ბატონი დავითი ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას და იყო რამდენიმე მსხვილი კომპანიის (მათ შორის, „ლომისი“ და „ინტერპლასტი“) თანადამფუძნებელი. გარკვეული პერიოდის განმავლობაში დავით მამულაიშვილი მუშაობდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე.



ლილი ფშავლიშვილი
ფინანსური დირექტორი

ლილი ფშავლიშვილი ფინანსური დირექტორის თანამდებობაზე 2010 წელს დაინიშნა. „სილქნეტში“ მუშაობის დაწყებამდე, იგი საქართველოს ბანკის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დირექტორის პოზიციას იკავებდა. მანამდე ლილი ფშავლიშვილი „სილქ როუდ ბანკის“ კომერციული დირექტორი იყო. კარიერის დასაწყისში იგი საქართველოს ეროვნული ბანკის სხვადასხვა მმართველ პოზიციაზე მუშაობდა.



ლევან ბუჩუკური
კომერციული მიმართულების დირექტორი

ლევან ბუჩუკური „სილქნეტის“ კომერციული მიმართულების დირექტორის თანამდებობაზე 2022 წელს დაინიშნა. 2021-2022 წლებში ის იყო გაყიდვების მიმართულების დირექტორი. 2020-2021 წლებში იგი – სტრატეგიული განვითარების მიმართულების დირექტორის თანამდებობაზე. 2018-2020 წლებში კი აბონენტთა მომსახურების მიმართულების დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა. 2016-2018 წლებში იყო სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2011-დან 2016 წლამდე – „სილქნეტის“ გენერალური დირექტორი, ხოლო წინა წლებში მუშაობდა „სილქნეტში“ სხვადასხვა პოზიციაზე (გენერალური დირექტორის მოადგილე, კომერციული დირექტორი, ტექნიკური დირექტორი). მას სატელეკომუნიკაციო სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. 2009-2010 წლებში იგი, ასევე, იყო შპს „ნოვუსის“ დირექტორი: 2007-2009 წლებში მას შპს „ტექნოსერვისის“ დირექტორის, ხოლო 2004-2007 წლებში შპს „იბერიატელის“ დირექტორის თანამდებობები ეკავა. ლევან ბუჩუკური 7 წლის განმავლობაში მუშაობდა შპს „მაგთიკომში“, სადაც იყო გაყიდვებისა და მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსი (1997-1999), აბონენტთა მომსახურების დეპარტამენტის უფროსი (1999-2000), გენერალური დირექტორის მოადგილე (2000-2001) და გენერალური დირექტორი (2001-2004).

1995-1997 წლებში ლევან ბუჩუკური მუშაობდა შპს „მეგაკომში“ გაყიდვების მენეჯერის პოზიციაზე. ბატონი ბუჩუკური ფლობს ბაკალავრის ხარისხის ეკვივალენტს ელექტრონიკაში და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში (1988-1994: 1989-1992 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი).



ვერა დუდუჩავა
საოპერაციო მიმართულების დირექტორი

ვერა დუდუჩავა „სილქნეტის“ საოპერაციო მიმართულების დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა 2019 წლის აგვისტოში. აღნიშნული პოზიციის დაკავებამდე, 2018 წელს იგი ხელმძღვანელობდა „სილქნეტის“ IT ტრანსფორმაციის პროექტს. მანამდე იგი „ჯეოსელის“ აღმასრულებელი მენეჯმენტის გუნდის წევრი იყო, სადაც მან 2000 წელს დაიწყო თავისი კარიერა აბონენტთა მომსახურების განყოფილებაში. წლების განმავლობაში ამავე განყოფილებაში სხვადასხვა ხელმძღვანელ პოზიციაზე მუშაობდა. ასევე, იგი მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში, ამავე მიმართულებით. 2013 წლიდან ვერა დუდუჩავა იყო „ჯეოსელის“ აბონენტთა მომსახურების დეპარტამენტის დირექტორი, რის შემდეგაც კარიერა „სილქნეტში“ გააგრძელა. ვერა დუდუჩავა გარკვეული პერიოდით იკავებდა საოპერაციო მიმართულების დირექტორის თანამდებობას კომპანია Nexus Enterprises-ში.

ნინო კანკია
ტექნიკური მიმართულების დირექტორი

ნინო კანკია „სილქნეტს“ 2020 წელს შეუერთდა და ტექნიკური მიმართულების დირექტორად 2021 წელს დაინიშნა. „სილქნეტში“ მოსვლამდე ის Tbilisi Huawei Technologies Co-ში მარკეტინგისა და გადაწყვეტების გაყიდვების დეპარტამენტის ხელმძღვანელად მუშაობდა. 2011 წლიდან 2015 წლამდე ქალბატონი ნინო Veon Georgia-ში მობილური ძირითადი ქსელის საოპერაციო და განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელად მუშაობდა. ქალბატონ კანკიას თბილისის „ტექნიკური უნივერსიტეტის“ მაგისტრის ხარისხი აქვს სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიებში.



რუსუდან სვანი
აბონენტთა მომსახურების მიმართულების დირექტორი

რუსუდან სვანი „სილქნეტის“ აბონენტთა მომსახურების მიმართულების დირექტორის თანამდებობაზე 2020 წელს დაინიშნა. 2010-2020 წლებში იგი „სილქნეტის“ ქოლცენტრის უფროსის თანამდებობას იკავებდა, ხოლო მანამდე რამდენიმე კომპანიაში მმართველ პოზიციაზე მუშაობდა.



თეა ტყეშელაშვილი
ადმინისტრაციული მიმართულების დირექტორი

თეა ტყეშელაშვილი „სილქნეტის“ ადმინისტრაციული მიმართულების დირექტორის თანამდებობაზე 2022 წელს დაინიშნა. 2016 წლიდან მას კომპანიის განვითარების პროექტების სამსახურის უფროსის პოზიცია ეკავა „სილქნეტში“, ხოლო 2011-2015 წლებში იგი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა. 2001-2010 წლებში კი მას სხვადასხვა პოზიცია ეკავა კომისიაში, მსოფლიო ბანკისა და TACIS-ის პროექტებში.



შეიბან მოჰამედ აჰმედი
ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულების დირექტორი

2023 წლის 20 თებერვლიდან შეიბან მოჰამედ აჰმედმა „სილქნეტის“ IT მიმართულება ჩაიბარა. კომპანიას იგი Sofrecom-დან შემოუერთდა და იყო ჩართული ორი კომპანიის ერთობლივ პროექტებში. დირექტორის პოზიციის დაკავებამდე შეიბან მოჰამედ აჰმედი IT მიმართულებით საკონსულტაციო საქმიანობას ეწეოდა.

მას სატელეკომუნიკაციო სფეროში 22-წლიანი სამუშაო გამოცდილება გააჩნია. Sofrecom-ში (Orange) მუშაობის დაწყებამდე ის სხვადასხვა მენეჯერულ პოზიციას იკავებდა ისეთ დიდ კომპანიებში, როგორიცაა: Nokia, Alcatel-Lucent-ი, SFR-ი, Bull Telco, Alcatel CIT-ი, Asiacell-ი და Mauritel-ი.

სს "სილქნეტი"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	12

შპს "KPMG Georgia"
მე-5 სართული, GMT პლაზა
მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი N4 (ნაკვეთი 66/4)
თბილისი, საქართველო 0105
IN 404437695
ტელეფონი +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „სილქნეტის“ აქციონერს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს "სილქნეტის" (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში "ჯგუფი") კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ -ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებული მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვთქვამთ.

შპს „KPMG Georgia“, კომპანია რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited.

შემოსავლის აღიარება	
აუდიტის ძირითადი საკითხი	**შესაბამისი აუდიტორული პროცედურები**
საბილინგო სისტემაში გენერირებული შემოსავალი ("საბილინგო შემოსავალი") (518 მილიონი ლარი, რომელიც შეტანილია მთლიან შემოსავალში, შენიშვნა 7) წარმოადგენს არსებით თანხას, რომელიც შედგება ინდივიდუალურად დაბალი ღირებულების მქონე გარიგებების დიდი მოცულობისგან. ჯგუფი საბილინგო სისტემას შემოსავლის გამოსათვლელად იყენებს; შემოსავლების შესახებ ინფორმაცია მანუალურად არის გადატანილი საბილინგო სისტემიდან ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამაში. შესაბამისად, ჯგუფი საბილინგო სისტემის მიერ დამუშავებულ მონაცემებს ეყრდნობა. ავტომატიზირებული გარიგებების დიდი მოცულობა, ასევე მანუალური დამუშავების გარკვეული დონის მქონე საბილინგო სისტემის სირთულე, ჯგუფის შემოსავლის მიზანმიმართულად გაზრდის თანდაყოლილ რისკთან ერთად (რათა ჯგუფმა უკეთესი ფინანსური შედეგები აჩვენოს), განაპირობებს იმას, რომ შემოსავლის აღიარების მანიპულირება აუდიტის კონცენტრაციის სფეროს და შესაბამისად, აუდიტის ძირითად საკითხს წარმოადგენს.	აუდიტის ძირითადი საკითხის გადასაჭრელად, ჩვენ ჩავატარეთ შემდეგი ძირითადი აუდიტორული პროცედურები: – ჩვენი საკუთარი IT სპეციალისტების დახმარებით, შევაფასეთ კომპიუტერული პროგრამების ძირითადი შიდა ავტომატიზირებული კონტროლის მექანიზმების და დაკავშირებული ზოგადი IT კონტროლის მექანიზმების სტრუქტურა და ჩავატარეთ მათი საოპერაციო ეფექტურობის ტესტირება; – შევაფასეთ საბილინგო სისტემაში შეტანილ მონაცემებზე შიდა მანუალური კონტროლის მექანიზმების სტრუქტურა და ჩავატარეთ მისი საოპერაციო ეფექტურობის ტესტირება; – მოვახდინეთ საბილინგო სისტემის მიხედვით შემოსავლის შეჯერება საბუღალტრო პროგრამასთან და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; – მოვახდინეთ შემოსავლის შეჯერება (დაკავშირებულ, მოთხოვნების და დეპოზიტების ნაშთებში ცვლილებების გავლენის გათვალისწინებით) პირდაპირ ბანკებისგან მიღებულ საბანკო გადახდების რეესტრთან; – ძირითადი ამოსავალი მონაცემების გამოყენებით (როგორიც არის ტარიფები, აბონენტთა რაოდენობა, ტრაფიკის მოცულობა) შერჩევით საფუძველზე გადავიანგარიშეთ შემოსავალი და შედეგები შემოსავლის აღრიცხულ ოდენობებს შევადარეთ. ჩვენ შევამოწმეთ ამოსავალი მონაცემების სანდოობა შესაბამისი ავტომატიზირებული კონტროლის მექანიზმების ტესტირების და შერჩევით საფუძველზე, შიდა და გარე დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან შედარების გზით; – მოვახდინეთ საბილინგო სისტემაში მანუალური კორექტირებების ტესტირება, შერჩევით საფუძველზე, შესაბამისი შიდა დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმების და კორექტირებების ფასს აღრიცხვის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების გზით. – ჩავატარეთ ანალიტიკური პროცედურები შემოსავლის ძირითად წყაროებთან მიმართებაში ძირითად ამოსავალ მონაცემებთან დაკავშირებით მოლოდინების შემუშავების გზით და შევადარეთ ჩვენი მოლოდინები შემოსავლის აღრიცხულ ოდენობებს. ჩვენ შევამოწმეთ ამოსავალი მონაცემების სანდოობა შესაბამისი ავტომატიზირებული კონტროლის მექანიზმების ტესტირების და შერჩევით საფუძველზე, შიდა და გარე დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემოწმების გზით;

შემოსავლის აღიარება	
აუდიტის ძირითადი საკითხი	**შესაბამისი აუდიტორული პროცედურები**
	– ჩვენს აუდიტორულ მიდგომაში არაპროგნოზირებადობის ელემენტის შემოტანის მიზნით, პირდაპირ დავუკავშირდით კლიენტებს, შერჩევით საფუძველზე და მათი სატარიფო გეგმები საბილინგო სისტემას შევადარეთ.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს, ჯგუფის წლიურ ანგარიშს და მმართველობით ანგარიშს, რომელიც მომზადებულია კანონმდებლობით დადგენილი მიზნებისთვის. სხვა ინფორმაცია არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს აუდიტორის დასკვნას აღნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. სხვა ინფორმაცია ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის გაცემის თარიღის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არ გავცემთ მასთან დაკავშირებით არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას.

ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენ მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული სხვა ინფორმაციის გაცნობას, როდესაც ის ხელმისაწვდომი გახდება და განსაზღვრას, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან შეიცავს თუ არა ის არსებით უზუსტობებს.

კანონმდებლობით დადგენილი მიზნებისთვის მომზადებული მმართველობითი ანგარიშის გაცნობის შემდეგ, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმასთან დაკავშირებით, მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება თუ არა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და მოიცავს თუ არა არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს თუ არა ყველა ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებულებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებითი უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვიფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსახღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

- ვგეგმავთ და ვატარებთ ჯგუფის აუდიტს, რათა მივიღოთ საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულება ჯგუფის შიგნით არსებული საწარმოების ან ბიზნეს ერთეულების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოსაზრების გამოხატვის საფუძვლის სახით. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჯგუფის აუდიტის მიზნებისთვის ჩატარებული აუდიტორული სამუშაოს ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და მიმოხილვაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

8 April 2025

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის გამჟღავნება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის გამჟღავნება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადაჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ვახტანგ კეჟერაძე

შპს "KPMG Georgia"
8 აპრილი 2025 წელი

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	348,460	347,604
არამატერიალური აქტივები	13	157,995	179,262
საინვესტიციო ქონება	14	78,871	70,462
აქტივები გამოყენების უფლებით	20	13,667	22,875
სხვა გრძელვადიანი აქტივები	12(b)	35,023	34,794
IRU* ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წინასწარი გადახდები		7,225	8,010
სულ გრძელვადიანი აქტივები		**641,241**	**663,007**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	15	9,843	11,470
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები	22(iii)	2,674	-
IRU ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წინასწარი გადახდები		2,173	2,173
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	38,926	37,565
სადეპოზიტო სერტიფიკატები	17(a)	18,362	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	17	160,784	144,614
სულ მოკლევადიანი აქტივები		**232,762**	**195,822**
სულ აქტივები		**874,003**	**858,829**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი	18		
სააქციო კაპიტალი		84,056	84,056
გაუნაწილებელი მოგება		50,632	27,656
კომპანიის მესაკუთრეზე მიკუთვნებადი კაპიტალი		**134,688**	**111,712**
არამაკონტროლებელი წილები		(69)	(119)
სულ კაპიტალი		**134,619**	**111,593**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	19	553,655	529,658
საიჯარო ვალდებულებები	20	3,464	15,487
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	39,760	40,401
IRU ხელშეკრულებებიდან და აბონენტებისგან მიღებული ავანსები	21	11,480	11,946
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**608,359**	**597,492**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	19	19,566	21,176
საიჯარო ვალდებულებები	20	14,845	13,445
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	69,144	88,724
IRU ხელშეკრულებებიდან და აბონენტებისგან მიღებული ავანსები	21	27,470	26,399
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**131,025**	**149,744**
სულ ვალდებულებები		**739,384**	**747,236**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**874,003**	**858,829**

*ხელშეუვალი სარგებლობის უფლებით

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 12-54 გვერდებზე

'000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი:			
კომერციული შემოსავალი	7	530,073	487,851
ოპერატორებისგან მიღებული შემოსავალი	7	51,897	48,582
		581,970	**536,433**
ხარჯები და გასავლები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		(114,822)	(118,737)
ხელფასები და სარგებელი	9	(88,244)	(92,300)
შეძენილი მომსახურება	8	(48,255)	(54,855)
სხვა ხარჯები	10	(25,547)	(20,999)
ქსელის მართვისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები		(20,271)	(18,480)
ურთიერთჩართვის საფასური და როუმინგის ხარჯი		(16,704)	(16,978)
Pay TV კონტენტის თვითღირებულება		(9,368)	(8,815)
რეკლამა და მარკეტინგი		(6,601)	(7,246)
ინფრასტრუქტურული სიმძლავრის იჯარა, IRU და საიჯარო ხარჯები		(7,702)	(6,736)
სიმ ბარათების, სასაუბრო ბარათებისა და სხვა გაყიდვების ხარჯები		(1,839)	(2,085)
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	14	5,333	6,724
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		**247,950**	**195,926**
ფინანსური შემოსავალი	6	17,172	12,144
ფინანსური ხარჯები	6	(57,890)	(54,072)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა (ზარალი)/შემოსულობა	6	(12,990)	357
წმინდა ფინანსური ხარჯები		**(53,708)**	**(41,571)**
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**194,242**	**154,355**
მოგების გადასახადის ხარჯი		(216)	(258)
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		**194,026**	**154,097**
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც უკავშირდება:			
კომპანიის მესაკუთრეს		193,976	154,044
არამაკონტროლებელ წილებს		50	53
		194,026	**154,097**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 8 აპრილს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

დავით მამულაიშვილი	ლილი ფშავლიშვილი
გენერალური დირექტორი	ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 12-54 გვერდებზე.

'000 ლარი	კომპანიის მესაკუთრეებზე მიკუთვნებადი					
	საქციო კაპიტალი	დამატებით გადახდილი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ (დაგროვილი ზარალები)	სულ	არამაკონტროლებელი წილები	სულ კაპიტალი
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	**84,056**	**-**	**27,656**	**111,712**	**(119)**	**111,593**
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	-	193,976	193,976	50	194,026
დივიდენდები (შენიშვნა 18(c))	-	-	(171,000)	(171,000)	-	(171,000)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	**84,056**	-	**50,632**	**134,688**	**(69)**	**134,619**
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	**84,056**	**8,026**	**(6,214)**	**85,868**	**(172)**	**85,696**
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	-	154,044	154,044	53	154,097
დივიდენდები (შენიშვნა 18(c))	-	-	(128,200)	(128,200)	-	(128,200)
დამატებით გადახდილი კაპიტალის რეკლასიფიკაცია გაუნაწილებელ მოგებაში (შენიშვნა 18(b))	-	(8,026)	8,026	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**84,056**	**-**	**27,656**	**111,712**	**(119)**	**111,593**

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 12-54 გვერდებზე.

'000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
აბონენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		623,217	572,595
სხვა სატელეკომუნიკაციო ოპერატორებისგან და IRU ხელშეკრულებებისთვის მიღებული ფულადი სახსრები		35,375	31,424
დასაქმებულებზე და მათი სახელით გადახდილი ხელფასები და სარგებელი		(83,283)	(72,856)
ურთიერთჩართვის საფასურები და სხვა გადახდილი ხარჯები		(10,363)	(9,845)
მარაგების შეძენა		(11,892)	(11,103)
გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		(83,063)	(73,216)
გადახდილი მოგების გადასახადი		(191)	(244)
გადახდილი, ქსელის მართვისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები		(17,202)	(15,815)
სხვა გადახდილი საოპერაციო ხარჯები		(95,221)	(85,313)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**357,377**	**335,627**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების და სხვა გრძელვადიანი აქტივების შეძენა		(106,489)	(92,141)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა		2,306	503
სადეპოზიტო სერტიფიკატების შეძენა		(17,808)	-
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა		-	(32,052)
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები		-	33,518
მიღებული პროცენტი		15,352	10,543
შვილობილი კომპანიის შეძენა		-	(1,021)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(106,639)**	**(80,650)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან			
გადახდილი დივიდენდები		(171,000)	(130,376)
გადახდილი პროცენტი		(49,975)	(51,112)
ევროობლიგაციის კოვენანტის მოდიფიცირებაზე გაწეული ხარჯები		(3,889)	-
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		(13,344)	(10,766)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	19(c)	**(238,207)**	**(192,254)**
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		3,639	(3,017)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		**16,170**	**59,706**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	17	144,614	84,908
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	17	**160,784**	**144,614**

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 12-54 გვერდებზე.

1. ანგარიშვალდებული საწარმო

(a) საქართველოს ბიზნეს გარემო

ჯგუფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად, ჯგუფზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი განსხვავებულ ინტერპრეტაციებს ექვემდებარებიან და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, ხელს უწყობს გამოწვევებს, რომელიც საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების წინაშეა.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. ბიზნეს გარემო მომავალში შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სს „სილქნეტის“ (შემდგომში „კომპანია“), (რეგისტრაციის ნომერი: 204566978), და მისი შვილობილი კომპანიების (შენიშვნა 25) ფინანსურ ანგარიშგებას (ერთად მოხსენიებული როგორც „ჯგუფი“, ხოლო ცალ-ცალკე „ჯგუფის საწარმოები“). მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, კომპანია და მისი ძირითადი შვილობილი კომპანიები შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს და სააქციო საზოგადოებებს წარმოადგენენ და ისინი რეგისტრირებული და დაფუძნებული არიან საქართველოში. 2018 წელს, ჯგუფმა შეიძინა საქართველოს სიდიდით მეორე მობილური ოპერატორის, შპს "ჯეოსელის" ("ჯეოსელი") 100%-იანი საკუთრების წილი და შემდგომ მასთან გაერთიანდა.

კომპანიის იურიდიული მისამართია წინამძღვრიშვილის ქ. №95, თბილისი, 0112 საქართველო.

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოში კორპორატიული და ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის სატელეკომუნიკაციო მომსახურების გაწევა, რაც მოიცავს ფიქსირებულ და მობილურ სატელეფონო მომსახურებებს, მობილურ ინტერნეტს, ფიქსირებულ ინტერნეტს, pay TV მომსახურებას, SMS მომსახურებას (მოკლე ტექსტური შეტყობინება) და სხვა საბითუმო მომსახურებას. ჯგუფი წარმართავს თავის საქმიანობას ორ საოპერაციო სეგმენტად (იხ. შენიშვნა 5): ფიქსირებული მომსახურება და მობილური მომსახურება.

კომპანია შეფასებულია ორი სარეიტინგო სააგენტოს მიერ გრძელვადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგით ‘B+’ სტაბილური სამომავლო პერსპექტივით და ‘B1’, სტაბილური სამომავლო პერსპექტივით, „Fitch“-ის და „Moody's“-ის მიერ, შესაბამისად.

კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანიაა შპს "სილქნეტ ჰოლდინგი". კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანიაა „სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგ (მალტა) ლიმიტედი" - ფიზიკური პირის, გიორგი რამიშვილის მიერ კონტროლირებული საწარმო.

2. აღრიცხვის საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს აღრიცხვის სტანდარტები“) სრულ შესაბამისობაში.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ჯგუფის საწარმოების სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობებზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისაგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვები აღიარებულია პერსპექტიულად.

ინფორმაცია იმ დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობების შესახებ, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი ცვლილებების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს ატარებენ, განხილულია შენიშვნაში 14 - საინვესტიციო ქონების შეფასება.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 20 - საიჯარო ვადის განსაზღვრა;
- შენიშვნა 21 და 27(g) (h) - ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები;
- შენიშვნა 21 და 27(g) (h) - ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების აღიარება; და
- შენიშვნა 24(b) - უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურების გამოთვლა

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

ჯგუფის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტება მოითხოვს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა განმარტებისა და შეფასების მიზნებისათვის. სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 14 - საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება;
- შენიშვნა 22 (a) - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება.

5. საოპერაციო სეგმენტები

ჯგუფი წარმართავს თავის საქმიანობას ორ საოპერაციო სეგმენტად: ფიქსირებული მომსახურება და მობილური მომსახურება. ჯგუფი ნებაყოფლობით წარადგენს მედია მომსახურებას, რომელსაც შპს "სილქ მედია" მართავს ("Euronews Georgia"-ს მმართველი საწარმო - უფასო ახალი ამბების არხი). შპს "სილქ მედია" არ კვალიფიცირდება, როგორც ცალკეული საოპერაციო სეგმენტი, ფასს 8 "საოპერაციო სეგმენტები"-ს მიხედვით; თუმცა, ის წარმოდგენილია ქვემოთ განცალკევებით, რათა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებმა მედია მომსახურების ფინანსური საქმიანობის შედეგები განცალკევებით აღიქვან. ჯგუფის შემოსავლების ძირითადი ნაწილი გენერირდება საქართველოში, ამიტომ გეოგრაფიულ მდებარეობაზე ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი. ინფორმაცია თითოეულ ანგარიშვალდებულ სეგმენტზე წარმოდგენილია ქვემოთ.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ თითოეული საოპერაციო სეგმენტის შედეგების შესაფასებლად ყველაზე რელევანტური არის შემოსავლების, საოპერაციო მოგების, აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის წარდგენა.

სეგმენტის წლიური საოპერაციო მოგება/(ზარალი) გამოიყენება ეფექტურობის შესაფასებლად, რადგან ხელმძღვანელობა თვლის, რომ ასეთი ინფორმაცია ყველაზე შესაფერისია გარკვეული სეგმენტების შედეგების სხვა, ამავე ინდუსტრიაში მოღვაწე საწარმოებთან მიმართებაში შესაფასებლად. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს კორექტირებულ EBITDA-ს, როგორც თითოეული სეგმენტის საქმიანობის შედეგების ალტერნატიულ მაჩვენებელს.

ფიქსირებული და მობილური მომსახურებისთვის ლიკვიდურობა და ლევერიჯი ცენტრალიზებულ საფუძველზე იმართება. შედეგად, ამ სეგმენტებისთვის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სესხი, ფინანსური ხარჯები და დაკავშირებული საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები/(ზარალები) წარმოდგენილია ერთად "გაუნაწილებელი თანხების" ფარგლებში. განუსაზღვრელი მომავალი მოხმარებისთვის ფლობილი საინვესტიციო ქონება (იხ. შენიშვნა 14) ასევე იმართება ცენტრალიზებულ საფუძველზე და წარმოდგენილია ერთად "გაუნაწილებელი თანხების" ფარგლებში.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2024
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	**მობილური მომსახურება**	**ფიქსირებული მომსახურება**	**შპს "სილქ მედია"**	**გაუნაწილებელი თანხები**	**სულ**
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	126,430	207,182	1,824	13,024	348,460
არამატერიალური აქტივები	107,514	44,061	222	6,198	157,995
სხვა გრძელვადიანი აქტივები	17,861	14,219	41	2,902	35,023
საინვესტიციო ქონება	-	-	-	78,871	78,871
აქტივები გამოყენების უფლებით	9,716	3,886	65	-	13,667
IRU ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წინასწარი გადახდები	7,225	-	-	-	7,225
სულ გრძელვადიანი აქტივები	**268,746**	**269, 348**	**2,152**	**100,995**	**641,241**
მოკლევადიანი აქტივები					
მარაგები	4,488	3,266	340	1,749	9,843
IRU ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წინასწარი გადახდები	2,173	-	-	-	2,173
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	-	-	2,674	2,674
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12,776	24,134	64	1,952	38,926
სადეპოზიტო სერტიფიკატები	-	-	-	18,362	18,362
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	-	114	160,670	**160,784**
სულ მოკლევადიანი აქტივები	**19,437**	**27,400**	**518**	**185,407**	**232,762**
სულ აქტივები	**288,183**	**296,748**	**2,670**	**286,402**	**874,003**
ვალდებულებები					
გრძელვადიანი ვალდებულებები					
სესხები და კრედიტები	-	-	-	(553,655)	(553,655)
საიჯარო ვალდებულებები	-	(3,464)	-	-	(3,464)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(21,116)	(15,091)	-	(3,553)	(39,760)
IRU ხელშეკრულებებიდან და აბონენტებისგან მიღებული ავანსები	-	(11,480)	-	-	(11,480)
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**(21,116)**	**(30,035)**	**-**	**(557,208)**	**(608,359)**
მოკლევადიანი ვალდებულებები					
სესხები და კრედიტები	-	-	-	(19,566)	(19,566)
საიჯარო ვალდებულებები	(13,099)	(1,627)	(119)	-	(14,845)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(32,709)	(33,171)	36	(3,300)	(69,144)
IRU ხელშეკრულებებიდან და აბონენტებისგან მიღებული ავანსები	(21,548)	(5,895)	-	(27)	(27,470)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**(67,356)**	**(40,693)**	**(83)**	**(22,893)**	**(131,025)**
სულ ვალდებულებები	**(88,472)**	**(70,728)**	**(83)**	**(580,101)**	**(739,384)**
წმინდა აქტივები/ (ვალდებულებები)	**199,711**	**226,020**	**2,587**	**(293,699)**	**134,619**

'000 ლარი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2023
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	**მობილური მომსახურება**	**ფიქსირებული მომსახურება**	**შპს "სილქ მედია"**	**გაუნაწილებელი თანხები**	**სულ**
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	132,985	204,567	2,561	7,491	347,604
არამატერიალური აქტივები	121,517	52,817	294	4,634	179,262
საინვესტიციო ქონება	-	-	-	70,462	70,462
სხვა გრძელვადიანი აქტივები	15,360	15,953	-	3,481	34,794
აქტივები გამოყენების უფლებით	17,964	4,460	451	-	22,875
IRU ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წინასწარი გადახდები	8,010	-	-	-	8,010
სულ გრძელვადიანი აქტივები	**295,836**	**277,797**	**3,306**	**86,068**	**663,007**
მოკლევადიანი აქტივები					
მარაგები	4,131	5,372	406	1,561	11,470
IRU ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წინასწარი გადახდები	2,173	-	-	-	2,173
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11,425	23,655	48	2,437	37,565
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	-	63	144,551	144,614
სულ მოკლევადიანი აქტივები	**17,729**	**29,027**	**517**	**148,549**	**195,822**
სულ აქტივები	**313,565**	**306,824**	**3,823**	**234,617**	**858,829**
ვალდებულებები					
გრძელვადიანი ვალდებულებები					
სესხები და კრედიტები	-	-	-	(529,658)	(529,658)
საიჯარო ვალდებულებები	(11,333)	(4,052)	(102)	-	(15,487)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(19,812)	(19,171)	-	(1,418)	(40,401)
IRU ხელშეკრულებებიდან და აბონენტებისგან მიღებული ავანსები	-	(11,946)	-	-	(11,946)
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**(31,145)**	**(35,169)**	**(102)**	**(531,076)**	**(597,492)**
მოკლევადიანი ვალდებულებები					
სესხები და კრედიტები	-	-	-	(21,176)	(21,176)
საიჯარო ვალდებულებები	(11,647)	(1,363)	(435)	-	(13,445)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(39,729)	(39,316)	(131)	(9,548)	(88,724)
IRU ხელშეკრულებებიდან და აბონენტებისგან მიღებული ავანსები	(20,931)	(5,451)	-	(17)	(26,399)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**(72,307)**	**(46,130)**	**(566)**	**(30,741)**	**(149,744)**
სულ ვალდებულებები	**(103,452)**	**(81,299)**	**(668)**	**(561,817)**	**(747,236)**
წმინდა აქტივები/ (ვალდებულებები)	**210,113**	**225,525**	**3,155**	**(327,200)**	**111,593**

ჯგუფის მიერ მობილური მომსახურების სეგმენტზე გაწეული კაპიტალური დანახარჯები, 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, დაახლოებით 29,776 ათას ლარს შეადგენდა (საიდანაც 18,012 ათასი ლარი დამატებულ იქნა ძირითად საშუალებებზე და 11,764 ათასი ლარი - არამატერიალურ აქტივებზე) (2023: სულ მობილური მომსახურება: 24,761 ლარი; საიდანაც: ძირითად საშუალებებზე - 15,203 ათასი ლარი და არამატერიალურ აქტივებზე- 9,558 ათასი ლარი). ფიქსირებული მომსახურების საოპერაციო სეგმენტთან დაკავშირებული კაპიტალური დანახარჯები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის იყო დაახლოებით 33,639 ათასი ლარი და 8,933 ათასი ლარი, ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების კუთხით, შესაბამისად (2023: ფიქსირებული მომსახურება მოიცავდა: ძირითადი საშუალებები - 27,023 ათასი ლარი და არამატერიალური აქტივები - 21,968 ათასი ლარი). შპს "სილქ მედიას" მიერ გაწეული კაპიტალური დანახარჯები იყო 44 ათასი ლარი ძირითადი საშუალებებისთვის და 1,597 ათასი ლარი არამატერიალური აქტივებისთვის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (2023: შპს "სილქ მედიას" კაპიტალური დანახარჯები მოიცავდა 153 ათას ლარს ძირითადი საშუალებებისთვის და 124 ათას ლარს - არამატერიალური აქტივებისთვის).

'000 ლარი	2024	2024	2024	2024	2024	2024	2024
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	მობილური მომსახურება	ფიქსირებული მომსახურება	მობილური მომსახურების გაუქმება	ფიქსირებული მომსახურების გაუქმება	შპს „სილქ მედია"	გაუნაწილებელი თანხები	სულ
სეგმენტის შემოსავალი	**349,192**	**237,890**	**-**	(5,288)	**176**	**-**	**581,970**
საოპერაციო ხარჯები (კონკრეტული ერთეულების გარდა)	(115,271)	(97,093)	5,288	-	(5,022)	-	(212,098)
კორექტირებული EBITDA	**233,921**	**140,797**	**5,288**	(5,288)	**(4,846)**	**-**	**369,872**
კორექტირებული EBITDA-ს მარჟა	**67%**	**59%**					**64%**
ცვეთა და ამორტიზაცია	(59,336)	(49,302)	-	-	(2,830)	(3,354)	(114,822)
კონკრეტული ერთეულები	(733)	(1,467)	-	-	180	(10,413)	(12,433)
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	-	-	-	-	-	5,333	5,333
სეგმენტის საოპერაციო მოგება/(ზარალი)	**173,852**	**90,028**	**5,288**	**(5,288)**	**(7,496)**	**(8,434)**	**247,950**
ფინანსური შემოსავალი	1,839	317	-	-	7	15,009	17,172
ფინანსური ხარჯები	(4,695)	(5,057)	-	-	(36)	(48,102)	(57,890)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი	(500)	(388)	-	-	(38)	(12,064)	(12,990)
სეგმენტის მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	**170,496**	**84,900**	**5,288**	(5,288)	**(7,563)**	**(53,591)**	**194,242**
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	-	-	-	(216)	(216)
წლის მოგება/(ზარალი)	**170,496**	**84,900**	**5,288**	(5,288)	**(7,563)**	**(53,807)**	**194,026**

'000 ლარი	2023	2023	2023	2023	2023	2023	2023
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	მობილური მომსახურება	ფიქსირებული მომსახურება	მობილური მომსახურების გაუქმება	ფიქსირებული მომსახურების გაუქმება	შპს „სილქ მედია"	გაუნაწილებელი თანხები	სულ
სეგმენტის შემოსავალი	**318,216**	**223,231**	**-**	**(5,204)**	**190**	**-**	**536,433**
საოპერაციო ხარჯები (კონკრეტული ერთეულების გარდა)	(107,230)	(91,813)	5,204	-	(4,701)	-	(198,540)
კორექტირებული EBITDA	**210,986**	**131,418**	**5,204**	**(5,204)**	**(4,511)**	**-**	**337,893**
კორექტირებული EBITDA-ს მარჟა	**66%**	**59%**					**63%**
ცვეთა და ამორტიზაცია	(61,337)	(52,314)	-	-	(2,867)	(2,219)	(118,737)
კონკრეტული ერთეულები	(5,793)	(8,395)	-	-	-	(15,766)	(29,954)
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	-	-	-	-	-	6,724	6,724
სეგმენტის საოპერაციო მოგება/(ზარალი)	**143,856**	**70,709**	**5,204**	**(5,204)**	**(7,378)**	**(11,261)**	**195,926**
ფინანსური შემოსავალი	1,481	4	-	-	5	10,654	12,144
ფინანსური ხარჯები	(4,932)	(3,538)	-	-	(115)	(45,487)	(54,072)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა /(ზარალი)	343	210	-	-	194	(390)	357
სეგმენტის მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	**140,748**	**67,385**	**5,204**	**(5,204)**	**(7,294)**	**(46,484)**	**154,355**
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	-	-	-	(258)	(258)
წლის მოგება/(ზარალი)	**140,748**	**67,385**	**5,204**	**(5,204)**	**(7,294)**	**(46,742)**	**154,097**

6. წმინდა ფინანსური ხარჯები

'000 ლარი	2024	2023
აღიარებული მოგებაში ან ზარალში		
მიმდინარე საბანკო ანგარიშებთან და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული საპროცენტო შემოსავალი	15,027	10,663
ფინანსური ინსტრუმენტების მოდიფიცირებით განპირობებული შემოსულობა	757	-
IRU ხელშეკრულებების წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული საპროცენტო შემოსავალი	1,388	1,481
ფინანსური შემოსავალი	**17,172**	**12,144**
საპროცენტო ხარჯი ფინანსურ ვალდებულებებზე	(54,892)	(49,451)
საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(1,582)	(3,162)
IRU ხელშეკრულებებიდან მიღებულ ავანსებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი	(1,416)	(1,459)
ფინანსური ხარჯები	(57,890)	(54,072)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა (ზარალი)/შემოსულობა	(12,990)	357
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური ხარჯები	**(53,708)**	**(41,571)**

7. შემოსავალი

'000 ლარი	2024	2023
კომერციული შემოსავალი	**530,073**	**487,851**
შემოსავალი მობილური მომსახურებიდან	**313,068**	**283,408**
მობილური გამავალი ზარი	117,521	113,441
მობილური ინტერნეტი	173,431	149,265
შემოსავალი SMS-დან	11,686	10,622
შემოსავალი სხვა მომსახურებიდან	8,836	8,290
ტელეფონების და აქსესუარების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	1,594	1,790
ფიქსირებული შემოსავალი	**217,005**	**204,443**
ფიქსირებული ინტერნეტი	142,272	132,624
Pay TV	58,211	55,855
ფიქსირებული ტელეფონი	10,582	11,412
ინფრასტრუქტურის სიმძლავრის იჯარის მომსახურება	3,579	2,944
შემოსავალი სხვა მომსახურებიდან	2,361	1,608
ოპერატორებისგან და სხვა მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	**51,897**	**48,582**
ურთიერთჩართვის მომსახურება*	23,532	25,276
ინფრასტრუქტურის სიმძლავრის იჯარის მომსახურება**	14,188	11,614
შემოსავალი როუმინგიდან	11,215	9,033
საბითუმო ინტერნეტი	2,962	2,659
სულ შემოსავალი	**581,970**	**536,433**

* ურთიერთჩართვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი გამომუშავებულია ორივე სეგმენტის მიერ შემდეგნაირად: 21,632 ათასი ლარი მობილური მომსახურების სეგმენტიდან და 1,900 ათასი ლარი ფიქსირებული მომსახურების სეგმენტიდან 2024 წელს (2023: 23,364 ათასი ლარი მობილური მომსახურების სეგმენტიდან და 1,912 ათასი ლარი ფიქსირებული მომსახურების სეგმენტიდან). შემოსავლის ძირითადი ნაწილი საქართველოში გენერირდება.

** ინფრასტრუქტურის სიმძლავრის იჯარის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი მოიცავს IRU ხელშეკრულებებიდან მიღებულ შემოსავალს. დაკავშირებული ავანსები შეტანილია 21-ე შენიშვნაში. IRU ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული ავანსები უკავშირდება ჯგუფის ინფრასტრუქტურის კონკრეტულ გაუნათებელ ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელებზე წვდომის უზრუნველყოფისათვის მომხმარებლებისგან წინსწრებით მიღებულ თანხებს.

1,815 ათასი ლარის ოდენობით თანხა (2023: 1,815 ათასი ლარი) აღიარებულ იქნა როგორც შემოსავალი 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, მიღებულ ავანსებში აღიარებული IRU ხელშეკრულებებისთვის (შენიშვნა 21). 9,077 ათასი ლარის ოდენობით შემოსავალი (2023: 9,077 ათასი ლარი) იქნება აღიარებული 5 წლის განმავლობაში საანგარიშგებო თარიღის შემდეგ და 11,784 ათასი ლარი (2023: 13,599 ათასი ლარი) ხუთი წლის შემდეგ, IRU ხელშეკრულებების დაფარვის ვადამდე.

8. შეძენილი მომსახურება

'000 ლარი	2024	2023
კომუნალური ხარჯები	15,197	16,217
პროგრამული უზრუნველყოფის ტექნიკური მომსახურება	12,790	11,862
პროფესიული მომსახურების საფასური*	12,006	18,855
ინტერნეტ არხის ხარჯები	4,856	4,670
ინტერნეტ პროტოკოლის (IP) ხარჯი	3,298	3,183
სხვა შეძენილი მომსახურება	108	68
სულ შეძენილი მომსახურება	**48,255**	**54,855**

* პროფესიული მომსახურების საფასური ძირითადად მოიცავს კომპანიის სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებულ საკონსულტაციო მომსახურებას (იხ. შენიშვნა 11(a)) და საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოს მიერ გაწეულ საკონსულტაციო მომსახურებას (იხ. შენიშვნა 24(c)).

პროფესიული მომსახურება მოიცავს აუდიტორული მომსახურების საფასურს 585 ათასი ლარის ოდენობით (2023: 600 ათასი ლარი).

9. ხელფასები და სარგებელი

'000 ლარი	2024	2023
ხელფასები	71,228	62,280
ბონუსები	10,929	10,403
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის გრძელვადიანი სარგებელი (შენიშვნა 24)	3,546	17,318
საპენსიო ფონდი	1,174	1,026
დასაქმებულთა ჯანმრთელობის დაზღვევა	820	868
სხვა სარგებელი	547	405
სულ ხელფასები და სარგებელი	**88,244**	**92,300**

2024 და 2023 წლებში ჯგუფის მიერ დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რაოდენობამ 2,255 და 2,229 შეადგინა, შესაბამისად.

10. სხვა ხარჯები

'000 ლარი	2024	2023
საკომუნიკაციო რეგულაციის საფასური	4,648	4,297
ქონების და სხვა გადასახადები	3,955	3,669
უსაფრთხოების ხარჯები	3,513	2,518
გამოყენებული საწვავი და საპოხი მასალები	3,012	2,971
ტრანსპორტირების მომსახურება	2,962	2,575
საქველმოქმედო ხარჯები	1,650	1,400
საოფისე საკანცელარიო ნივთები და სხვა მარაგები	1,534	1,704
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	1,329	1,519
ბანკის საკომისიო	1,214	920
უმოძრაო მარაგების, ძირითადი საშუალებების და სხვა გრძელვადიანი აქტივების ჩამოწერა	1,159	592
სამივლინებო ხარჯები	967	851
დილერების საკომისიო	109	56
ფულადი სახსრების მიღების საკომისიო	89	95
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული (შემოსულობა)/ზარალი	(920)	1,410
სხვა ზარალები/(შემოსავალი)	326	(3,578)
სულ	**25,547**	**20,999**

11. საქმიანობის შედეგების ალტერნატიული შეფასებები

(a) კორექტირებული EBITDA

კომპანიას სჯერა, რომ კორექტირებული EBITDA-ს და კორექტირებული EBITDA-ს მარჟის წარდგენა ეხმარება მკითხველს უკეთ გაიგოს ჯგუფის ფინანსური საქმიანობის შედეგები. ხელმძღვანელობა, ჯგუფის საოპერაციო საქმიანობის შედეგების შეფასებისთვის კორექტირებულ EBITDA-ს და კორექტირებულ EBITDA-ს მარჟას იყენებს.

ამასთანავე, კორექტირებული EBITDA და კორექტირებული EBITDA-ს მარჟა ხშირად გამოიყენება ფასიანი ქაღალდების ანალიტიკოსების, ინვესტორების და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ, სატელეკომუნიკაციო სექტორში მოღვაწე კომპანიების შესაფასებლად. კორექტირებული EBITDA და კორექტირებული EBITDA-ს მარჟა არ წარმოადგენს ფასს სტანდარტების მიხედვით მომზადებულ წარდგენებს და ჯგუფის მიერ „კორექტირებული EBITDA“ და "კორექტირებული EBITDA-ს მარჟა“ ტერმინების გამოყენება, შეიძლება განსხვავდებოდეს სხვა გამოყენებებისგან სატელეკომუნიკაციო მრეწველობაში, სააღრიცხვო პოლიტიკებს ან გამოთვლის მეთოდოლოგიებს შორის სხვაობების გამო.

ჯგუფი ითვლის კორექტირებულ EBITDA-ს უწყვეტი ოპერაციებიდან მიღებული მოგების კორექტირების გზით, შემდეგი ერთეულების გამორიცხვით:

- ფინანსური ხარჯები და ფინანსური შემოსავალი
- მოგების გადასახადი და ნებისმიერი სხვა გადასახადები, რომლებიც დივიდენდების განაწილებას უკავშირდება
- გრძელვადიანი აქტივების ცვეთა, ამორტიზაცია, გადაფასება, გაუფასურება (ზარალები/აღდგენები)
- საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობები/(ზარალები), მათ შორის შემოსულობები/(ზარალები) ჰეჯირების ინსტრუმენტებზე, სავალუტო ფორვარდულ ხელშეკრულებებზე და ნებისმიერი სხვა შემოსულობები/(ზარალები), რომელიც უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით არის გამოწვეული.
- კონკრეტული ერთეულები, ქვემოთ განმარტებულის შესაბამისად:

კონკრეტული ერთეულების იდენტიფიცირება ხდება მათი ზომის, ხასიათის ან სიხშირის შესაბამისად. კონკრეტული ერთეულები წარმოადგენს ა) შემოსავალს ან ზარალს, რომელიც დაკავშირებულია გრძელვადიანი აქტივებისა და ნებისმიერი სხვა არაფულადი ერთეულების რეალიზაციასთან ან ჩამოწერასთან; ბ) ერთჯერად, არა-ძირითად ან არასაოპერაციო შემოსავალს ან ხარჯებს, რომლებიც არსებითია მათი ხასიათის ან ზომის მიხედვით (როგორიცაა ბიზნესის შეძენის შედეგად მიღებული ამონაგები ვაჭრობიდან, ბიზნესის შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები, ფულადი სახსრების შეგროვებასთან დაკავშირებული ხარჯები და ჯგუფის ფასიანი ქაღალდების ლისტინგი, გაცემული სესხის გაუფასურება, ერთჯერადი პროფესიული მომსახურების საფასური, და ა.შ.).

კორექტირებული EBITDA-ს უწყვეტი ოპერაციებიდან მიღებულ მოგებასთან შეჯერება

'000 ლარი	2024	2023
წლის მოგება	**194,026**	**154,097**
ცვეთა და ამორტიზაცია	114,822	118,737
ფინანსური ხარჯები	57,890	54,072
ფინანსური შემოსავალი	(17,172)	(12,144)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი/(შემოსულობა)	12,990	(357)
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	(5,333)	(6,724)
მოგების გადასახადის ხარჯი	216	258
კონკრეტული ერთეულები (იხილეთ ქვემოთ)	12,433	29,954
კორექტირებული EBITDA	**369,872**	**337,893**

'000 ლარი	2024	2023	შენიშვნა	აღწერა
ა) ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული (შემოსულობა)/ზარალი	(920)	1,410	10	სხვა ხარჯები
ბ) უმოძრაო მარაგების, ძირითადი საშუალებების და სხვა გრძელვადიანი აქტივების ჩამოწერა	1,159	592	10	სხვა ხარჯები
გ) პროფესიული მომსახურების საფასური, ერთჯერადი საკონსულტაციო ხარჯები*	7,244	13,257	8	შემენილი მომსახურება
დ) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ერთჯერადი სარგებელი (შენიშვნა 24)	3,546	17,318		ხელფასები და სარგებელი
ე) ქველმოქმედება	1,650	1,400	10	სხვა ხარჯები
ზ) სხვა შემოსავალი	(246)	(4,023)	10	სხვა ხარჯები
სულ კონკრეტული ერთეულები	**12,433**	**29,954**		

* პროფესიული მომსახურების საფასური, ერთჯერადი საკონსულტაციო ხარჯები ძირითადად შედგება ერთჯერადი საკონსულტაციო მომსახურებისგან, რომელიც კომპანიის გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას უკავშირდება.

(b) კორექტირებული EBITDA-ს მარჟა

კორექტირებული EBITDA-ს მარჟა, კორექტირებული EBITDA-ს მთლიან შემოსავალზე გაყოფით გამოიანგარიშება.

'000 ლარი	2024	2023
კორექტირებული EBITDA	369,872	337,893
შემოსავალი	581,970	536,433
კორექტირებული EBITDA-ს მარჟა %	**64%**	**63%**

12. ძირითადი საშუალებები და სხვა გრძელვადიანი აქტივები

'000 ლარი	მიწა	შენობები და ინფრასტრუქტურები	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და მოწყობილობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	23,111	123,605	551,290	11,045	37,762	4,189	751,002
დაგროვილი ცვეთა	-	(41,694)	(308,917)	(7,464)	(26,273)	-	(384,348)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	**23,111**	**81,911**	**242,373**	**3,581**	**11,489**	**4,189**	**366,654**
შესყიდვები	142	225	20,739	1,086	2,006	21,986	46,184
გასვლები	(136)	(4,516)	(5,430)	(553)	(987)	-	(11,622)
გადაცემები, ბრუტო	-	1,076	14,145	10	125	(23,053)*	(7,697)
გადაცემები, დაგროვილი ცვეთა	-	-	7,697	-	-	-	7,697
ცვეთა გასულ აქტივებზე	-	2,451	4,751	123	756	-	8,081
ცვეთის დარიცხვა	-	(3,010)	(54,451)	(895)	(3,337)	-	(61,693)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	**23,117**	**78,137**	**229,824**	**3,352**	**10,052**	**3,122**	**347,604**
თვითღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	23,117	120,390	580,744	11,588	38,906	3,122	777,867
დაგროვილი ცვეთა	-	(42,253)	(350,920)	(8,236)	(28,854)	-	(430,263)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	**23,117**	**78,137**	**229,824**	**3,352**	**10,052**	**3,122**	**347,604**
შესყიდვები	1,308	598	23,831	1,013	3,275	28,122	58,147
გასვლები	(104)	(247)	(2,239)	(99)	(620)	-	(3,309)
გადაცემები, ბრუტო	-	2,481	11,265	-	84	(21,578)*	(7,748)
გადაცემები, დაგროვილი ცვეთა	-	-	7,748	-	-	-	7,748
ცვეთა გასულ აქტივებზე	-	150	1,974	80	571	-	2,775
ცვეთის დარიცხვა	-	(3,111)	(49,672)	(949)	(3,025)	-	(56,757)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	**24,321**	**78,008**	**222,731**	**3,397**	**10,337**	**9,666**	**348,460**
თვითღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	24,321	123,222	613,601	12,502	41,645	9,666	824,957
დაგროვილი ცვეთა	-	(45,214)	(390,870)	(9,105)	(31,308)	-	(476,497)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	**24,321**	**78,008**	**222,731**	**3,397**	**10,337**	**9,666**	**348,460**

*აღნიშნული ოდენობები შეიცავს ფიქსირებული ქსელის გაფართოებასთან, ძირითადი მობილური ქსელის გაფართოების პროექტებთან და მოდერნიზაციასთან დაკავშირებულ კაპიტალურ დანახარჯებს.

(a) უზრუნველყოფა

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ქონება, საბალანსო ღირებულებით 33,116 ათასი ლარი (2023: 33,651 ათასი ლარი) დაგირავებულია ჯგუფის საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული აკრედიტივის დავალიანების უზრუნველსაყოფად.

(b) სხვა გრძელვადიანი აქტივები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, სხვა გრძელვადიანი აქტივები მოიცავდა დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს 29,487 ათასი ლარის ოდენობით, გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილ ავანსებს 3,167 ათასი ლარის ოდენობით და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულების მოთხოვნას 2,369 ათასი ლარის ოდენობით (2023: დაუმონტაჟებელი მოწყობილობები- 31,138 ათასი ლარი, გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები - 1,487 ათასი ლარი და ფინანსური გარანტიის სახელშეკრულებო მოთხოვნა - 2,169 ათასი ლარი). ფინანსური გარანტიის მოთხოვნაზე დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ შენიშვნა 24(c).

(c) კაპიტალთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის მიერ გაწეული კაპიტალური ვალდებულებები 18,192 ათას ლარს შეადგენდა და ძირითადად, მობილური ქსელის განვითარების პროექტებსა და მომხმარებლებთან დაკავშირებული მოწყობილობების შეძენას უკავშირდებოდა (2023 წლის 31 დეკემბერი: 16,135 ათასი ლარი, რომელიც ძირითადად მობილური ქსელის განვითარების პროექტებსა და კლიენტებთან დაკავშირებული მოწყობილობების შეძენას უკავშირდებოდა).

13. არამატერიალური აქტივები

'000 ლარი	ქსელის ოპერირების და კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიები **	სატელეკომუნიკაციო ლიცენზიები	სამაუწყებლო უფლებები	გუდვილი	სხვა	CSAC*	სულ
თვითღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	136,604	177,751	75,196	6,983	4,703	6,733	407,970
დაგროვილი ამორტიზაცია	(71,432)	(79,728)	(58,760)	-	(1,204)	(5,486)	(216,610)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	**65,172**	**98,023**	**16,436**	**6,983**	**3,499**	**1,247**	**191,360**
შესყიდვები	10,462	1,847	19,192	-	134	1,486	33,121
შეძენა შვილობილი კომპანიის საშუალებით (იხ. შენიშვნა 25)	227	-	123	-	1,590	-	1,940
ამორტიზაციის დარიცხვა	(16,667)	(14,265)	(13,939)	-	(527)	(1,339)	(46,737)
გასვლა და აღიარების შეწყვეტა, ბრუტო	(422)	-	-	-	-	-	(422)
გასვლა და აღიარების შეწყვეტა, ამორტიზაცია	-	-	-	-	-	-	-
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	**58,772**	**85,605**	**21,812**	**6,983**	**4,696**	**1,394**	**179,262**
თვითღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	146,871	179,598	94,511	6,983	6,427	8,219	442,609
დაგროვილი ამორტიზაცია	(88,099)	(93,993)	(72,699)	-	(1,731)	(6,825)	(263,347)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	**58,772**	**85,605**	**21,812**	**6,983**	**4,696**	**1,394**	**179,262**
შესყიდვები	14,865	957	8,417	-	140	1,476	25,855
ამორტიზაციის დარიცხვა	(16,939)	(14,175)	(14,023)	-	(545)	(1,440)	(47,122)
გასვლა და აღიარების შეწყვეტა, ბრუტო**	(55,481)	(8,292)	(65,171)	-	(13)	-	(128,957)
გასვლა და აღიარების შეწყვეტა, ამორტიზაცია	55,481	8,292	65,171	-	13	-	128,957
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	**56,698**	**72,387**	**16,206**	**6,983**	**4,291**	**1,430**	**157,995**
თვითღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	106,255	172,263	37,757	6,983	6,554	9,695	339,507
დაგროვილი ამორტიზაცია	(49,557)	(99,876)	(21,551)	-	(2,263)	(8,265)	(181,512)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	**56,698**	**72,387**	**16,206**	**6,983**	**4,291**	**1,430**	**157,995**

* CSAC –აბონენტების შეძენის კაპიტალიზებული ხარჯი.

** აღნიშნული ნაშთები წარმოადგენს სრულად ამორტიზებულ სამაუწყებლო უფლებებს და სხვა ლიცენზიებს. ჩამოწერილ ოდენობებს არ ჰქონიათ გავლენა ჯგუფის საოპერაციო საქმიანობის შედეგებზე.

14. საინვესტიციო ქონება

2019 წელს, კომპანიამ დაკავშირებული მხარისგან 20,397 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთი 29,582 ათასი ლარის (10 მილიონი აშშ დოლარი) შესასყიდ ფასად შეიძინა. მიწის ნაკვეთი თბილისის ცენტრში, ერთ-ერთ საუკეთესო ადგილას მდებარეობს. ასევე აღნიშნულს ემატებოდა დამატებითი პირობითი ანაზღაურება 10 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც უნდა ყოფილიყო გადახდილი იმ შემთხვევაში თუ მუნიციპალური ხელისუფლება 60,000 კვ. მ. ბრუტო ფართობის მქონე სამშენებლო სივრცის გენერალურ გეგმას (განვითარების რეგულაციის გეგმა) დაადასტურებდა. განვითარების რეგულაციის გეგმა 2020 წელს დამტკიცდა და კომპანიამ გადაიხადა დარჩენილი 10 მილიონი აშშ დოლარი 2020 წლის აპრილში, თავდაპირველი პირობების შესაბამისად. ჯგუფი მიიჩნევს, რომ მიწის ნაკვეთის სამომავლო გამოყენება არ არის განსაზღვრული და შესაბამისად აქტივს საინვესტიციო ქონების სახით აკლასიფიცირებს. 2021 წელს, მთლიანი სამშენებლო ფართობი იქნა გაზრდილი და 69,000 კვ.მ-ს მიაღწია.

საინვესტიციო ქონების მოძრაობა იყო შემდეგი:

'000 ლარი	2024	2023
საბალანსო ღირებულება 1 იანვარს	70,462	64,037
სამართლიანი ღირებულების ცვლილება	5,333	6,724
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა	3,076	(299)
	78,871	**70,462**

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ 28,100 ათასი აშშ დოლარით განისაზღვრა (2023: 26,200 ათასი აშშ დოლარი) და დაფუძნებული იყო გამოცხადებულ მოთხოვნილ ფასებზე და მსგავს ადგილმდებარეობაზე და მსგავს ფიზიკურ მდგომარეობაში მყოფი, მსგავსი ქონების უკანასკნელ საბაზრო გარიგებებზე. მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები უკავშირდება სხვაობებს ქონების მახასიათებლებში, როგორიც არის, ზომა, ადგილმდებარეობა, წვდომა ქონებაზე და გაყიდვის პირობები. 2024 და 2023 წლებში, თითოეულ ზემოაღნიშნულ მნიშვნელოვან არადაკვირვებად არაემპირიულ ამოსავალ მონაცემთან დაკავშირებული კორექტირებები 5%-იდან 25%-მდე დიაპაზონში მერყეობდა. შეფასებაში გამოყენებული კორექტირებული საბაზრო ფასების 5%-იანი ცვლილება სამართლიანი ღირებულების შეფასებას ყოველწლიურად დაახლოებით 4 მილიონი ლარით შეცვლიდა. საინვესტიციო ქონება განეკუთვნება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს.

15. მარაგები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სათადარიგო ნაწილები და საინსტალაციო მასალები	5,485	6,076
საწვავი	1,164	1,280
მობილური ტელეფონები და აქსესუარები	674	651
სხვა	2,520	3,463
სულ	**9,843**	**11,470**

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნები აბონენტების მიმართ	23,103	21,826
მოთხოვნები ტელეკომის ოპერატორების მიმართ	8,914	8,711
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	3,538	4,474
სულ სავაჭრო მოთხოვნები	**35,555**	**35,011**
წინასწარ გადახდილი ხარჯები	3,371	2,554
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**38,926**	**37,565**

ჯგუფის დამოკიდებულება საკრედიტო და სავალუტო რისკებზე, ასევე სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალები განხილულია 22-ე შენიშვნაში.

17. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნამდე ანაბრები	120,299	109,513
საბანკო ნაშთები	39,307	32,283
ფულადი სახსრები გზაში	1,165	2,807
ფულადი სახსრები სალაროში	13	11
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**160,784**	**144,614**

ჯგუფის ევროობლიგაციების ერთ-ერთი კოვენანტის მიხედვით (იხ. შენიშვნა 19), ჯგუფმა უნდა შეინარჩუნოს სულ მცირე 20 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით (ან მისი ეკვივალენტური ოდენობა ლარში, დისკონტირებული "ევროობლიგაციების ვადებისა და პირობების" მიხედვით) "თავისუფალი ფულადი სახსრები" ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებისა და სადეპოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით (როგორც ეს განსაზღვრულია „ევროობლიგაციების ვადებითა და პირობებით") თითოეული ფინანსური კვარტლის ბოლოს ევროობლიგაციების გამოშვების თარიღიდან 2023 წლის 31 იანვრამდე პერიოდის განმავლობაში. 2023 წლის 31 იანვრიდან ჯგუფს შეუძლია აირჩიოს ან შეინარჩუნოს „თავისუფალი ფულადი სახსრები“ ყოველი ფისკალური კვარტლის ბოლოსთვის, ან ალტერნატიულად, შექმნას და შეინარჩუნოს სულ მცირე 20 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით საკრედიტო ხაზი, ობლიგაციებზე პროცენტების გადახდისთვის.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფი ინარჩუნებს სულ მცირე 20 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით (ან მისი ეკვივალენტური ოდენობა ლარში, „ვადებისა და პირობების" მიხედვით) ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების „თავისუფალ ფულად სახსრებს ("ევროობლიგაციების ვადებისა და პირობების" მიხედვით). კოვენანტი არ ზღუდავს "თავისუფალი ფულადი სახსრების" გამოყენებას, შესაბამისად დაკავშირებული ნაშთი კლასიფიცირებულია ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების სახით 2024 წლის 31 დეკემბრისთვის.

მოთხოვნამდე ანაბრები წარმოადგენს ვადიან ანაბრებს ბანკებში, 3 თვეზე ნაკლები დაფარვის ვადით განთავსების თარიღიდან, ან სამთვიანი ან მეტი დაფარვის ვადით განთავსების თარიღიდან და რომლებისთვისაც „ჯგუფს“ აქვს ანაბრის გატანის ცალმხრივი უფლება შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, დაუყოვნებლივ, ჯარიმების გადახდის და არსებითი საპროცენტო ზარალის გარეშე. შედეგად, აღნიშნული ვადიანი ანაბრების კლასიფიკაცია მოხდა მათი ბუნებიდან გამომდინარე, რაც წარმოადგენს მოთხოვნამდე ანაბარს.

ინფორმაცია ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის, საკრედიტო და სავალუტო რისკებზე დაქვემდებარების შესახებ და მგრძნობელობის ანალიზი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, წარმოდგენილია 22-ე შენიშვნაში.

(a) სადეპოზიტო სერტიფიკატები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფი ფლობს კომერციული ბანკისგან 2024 წელს შეძენილ სადეპოზიტო სერტიფიკატს (2023: ნული). სადეპოზიტო სერტიფიკატი დენომინირებულია აშშ დოლარში და მისი ნომინალური საპროცენტო განაკვეთია 5.6%, დაფარვით ვადით 2025 წლის 20 ნოემბერი.

სადეპოზიტო სერტიფიკატი კლასიფიცირებულია ფინანსური აქტივის სახით და ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტების“ შესაბამისად. ჯგუფი აღიარებს სადეპოზიტო სერტიფიკატიდან მიღებულ საპროცენტო შემოსავალს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მის კონსოლიდირებულ მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

სადეპოზიტო სერტიფიკატის საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის ასახავს ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც მის სამართლიან ღირებულებას არის მიახლოებული საანგარიშგებო თარიღისთვის.

ჯგუფის დაქვემდებარება სადეპოზტიო სერტიფიკატთან დაკავშირებულ საკრედიტო და სავალუტო რისკებზე წარმოდგენილია შენიშვნაში 22.

18. კაპიტალი

(a) სააქციო კაპიტალი

აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი აქციები	
	2024	**2023**
გამოშვებული 1 იანვარს	84,056,099	84,056,099
გამოშვებული წლის განმავლობაში	-	-
გამოშვებული 31 დეკემბერს, სრულად გადახდილი	**84,056,099**	**84,056,099**
ავტორიზებული აქციები - ნომინალური ღირებულება (ლარში)	1	1

(b) დამატებით გადახდილი კაპიტალი

2018 წელს, ჯგუფმა სს „თიბისი ბანკის“ სასარგებლოდ, როგორც ჯეოსელის შესყიდვაზე მიღებული დაფინანსების ნაწილი, გამოსცა „ქოლ“ ოფციონი 4,795,000 ჩვეულებრივ აქციაზე, რაც წარმოადგენდა საკუთრების დაახლოებით 6.6%-ს განზავებულ საფუძველზე. ოფციონის აღსრულების ფასი არის 5.214 ლარი ერთ აქციაზე, ჯამური ღირებულებით 25,000 ათასი ლარი. „ქოლ“ ოფციონის სამართლიანი ღირებულება ჯეოსელის შეძენის/თიბისი-სგან დაფინანსების მიღების თარიღში აღირიცხა, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი. სამართლიანი ღირებულება 8,026 ათასი ლარის ოდენობით დაკრედიტებულია დამატებით გადახდილ კაპიტალზე.

კომპანიის მშობელმა კომპანიამ სს „თიბისი ბანკისგან“ შეიძინა ქოლ-ოფციონი, რომელსაც შემდეგ გაუვიდა ვადა, ოფციონის მფლობელის მიერ მისი გამოყენების გარეშე. შედეგად, 8,026 ათასი ლარის ოდენობით დამატებით გადახდილი კაპიტალი იქნა რეკლასიფიცირებული გაუნაწილებელ მოგებაში 2023 წელს.

(c) დივიდენდები

2024 წლის განმავლობაში, კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა 171,000 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები (2023: 128,200 ათასი ლარის ოდენობით გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები). თითო ჩვეულებრივ აქციაზე გამოცხადებული დივიდენდი შეადგენდა 2.0344 ლარს (2023: 1.5252) (იხ. შენიშვნა 19(c)).

(d) კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად და ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, ჯგუფის შემოსავლებისა და მოგების მუდმივი მონიტორინგის გზით, და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც ძირითადად ჯგუფის საოპერაციო ფულადი ნაკადებით და გრძელვადიანი სესხებითა და კრედიტებით ფინანსდება. ამ ღონისძიებების გატარებით, ჯგუფი მისი მოგების მდგრად ზრდას ისახავს მიზნად.

არც კომპანია და არც მისი შვილობილი კომპანიები არ ექვემდებარებიან გარედან დაწესებულ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

19. სესხები და კრედიტები

წინამდებარე შენიშვნაში განსაზღვრულია ინფორმაცია ჯგუფის პროცენტიანი სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. დამატებითი ინფორმაცია ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარების შესახებ განხილულია 22-ე შენიშვნაში.

'000 ლარი	**31 დეკემბერი 2024**	**31 დეკემბერი 2023**
ევრობლიგაციები - გრძელვადიანი	553,655	529,658
	553,655	**529,658**
ევრობლიგაციები - მოკლევადიანი	19,566	21,176
	19,566	**21,176**
სულ	**573,221**	**550,834**

(a) სესხის ვადა და დაფარვის გრაფიკი

დაუფარავი სესხების დაფარვის ვადა და პირობები იყო შემდეგი:

				31 დეკემბერი 2024	
'000 ლარი	**ვალუტა**	**ნომინალური საპროცენტო განაკვეთი**	**დაფარვის წელი**	**ნომინალური ღირებულება***	**საბალანსო ღირებულება**
ევრობლიგაციები	აშშ დოლარი	8.375%	2027	582,749	573,221
სულ სესხები და კრედიტები				**582,749**	**573,221**

				31 დეკემბერი 2023	
'000 ლარი	**ვალუტა**	**ნომინალური საპროცენტო განაკვეთი**	**დაფარვის წელი**	**ნომინალური ღირებულება***	**საბალანსო ღირებულება**
ევრობლიგაციები	აშშ დოლარი	8.375%	2027	558,375	550,834
სულ სესხები და კრედიტები				**558,375**	**550,834**

*ნომინალური ღირებულება დარიცხულ პროცენტს მოიცავს.

(b) ევრობლიგაციები

2022 წლის 31 იანვარს, ჯგუფმა წარმატებით განათავსა 300,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით ევრობლიგაციები დაფარვის ვადით 2027 წელი და 8.375%-იანი საპროცენტო განაკვეთით ("ახალი ევრობლიგაციები") Euronext Dublin Exchange-ზე. პროცენტი გადასახდელია ნახევარ წელიწადში ერთხელ - ყოველი წლის 31 იანვარს და 31 ივლისს, და გადახდა იწყება 2022 წლის 31 ივლისს. ახალი ევრობლიგაციებიდან მიღებული შემოსულობები, ჯგუფმა გამოიყენა 2022 წელს, 200,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით ეფექტური ევრობლიგაციების რეფინანსირებისთვის, დაფარვის ვადით 2024 წელი (197,400 ათასი აშშ დოლარი, აღნიშნული მომენტისთვის არსებული დაუფარავი ოდენობა) და დაფარა 34,981 ათასი ლარის ოდენობით არაუზრუნველყოფილი ადგილობრივი ობლიგაციები (გადახდილი ძირი თანხა - 34,000 ათასი ლარი).

ახალი ევრობლიგაციები აღირიცხა ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ჯგუფმა, ახალი ევრობლიგაციების გამოშვებასთან დაკავშირებით 12,936 ათასი ლარის ოდენობით ხარჯი გასწია, ანდერრაიტინგის საფასურის, იურიდიული კონსულტაციის საფასურის, სარეიტინგო სააგენტოების ხარჯების, ლისტინგის ხარჯების და ა.შ. ჩათვლით. აღნიშნული ხარჯები გარიგების ხარჯების სახით აღირიცხა. ისინი შეტანილია ახალი ევრობლიგაციების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლებში.

2022 წელს, გამოშვების შემდეგ, ჯგუფმა შეიძინა 100,235 ათასი აშშ დოლარის ოდენობით ახალი ევროობლიგაციები. 2022 წლის განმავლობაში, მოხდა შეძენილი ობლიგაციების აღიარების შეწყვეტა მათი ამორტიზებული ღირებულებით და სხვაობა შეძენილ ოდენობასა და ამორტიზებულ ღირებულებას შორის აღიარდა საპროცენტო ხარჯის სახით მოგებასა ან ზარალში (2024: ნული). ახალი ევროობლიგაციების პირობების მიხედვით, 2022 წელს გამოსყიდული ევროობლიგაციები კვლავ აქტიურია და არ ყოფილა გაუქმებული.

2024 წელს, ჯგუფმა მოითხოვა თანხმობა ახალი ევროობლიგაციების „ვადებისა და პირობების" ცვლილებაზე, რაც მოიცავს მისი განაწილებების მოქნილობის გაზრდას „შეზღუდული გადახდების" ტესტირებაში „ლევერიჯზე-დაფუძნებული" კალათის შემოღებით, რაც კომპანიას საშუალებას მისცემს განაგრძოს „შეზღუდული გადახდები", მანამ სანამ მისი კონსოლიდირებული ლევერიჯ კოეფიციენტი 1.75x-ს არ მიაღწევს. თანხმობის მოთხოვნის პროცესთან დაკავშირებით, ჯგუფმა 3,947 ათასი ლარის ოდენობით ხარჯი გასწია. აღნიშნული ხარჯები აღიარდა, როგორც ახალი ევროობლიგაციების ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირება და ამორტიზებულია მოდიფიცირებული ინსტრუმენტის დარჩენილ ვადაზე გადახედილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ევროობლიგაციებთან დაკავშირებული კოვენანტის გარდა, დივიდენდების განაწილება საქართველოს კანონმდებლობას ექვემდებარება.

საანგარიშგებო თარიღთან მიახლოებული თარიღისთვის, საშუალო კოტირება ბაზარზე Bloomberg -ის მიხედვით იყო 100.73% ობლიგაციაზე. საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, 2025 წლის 31 მარტისთვის, საშუალო კოტირება ბაზარზე Bloomberg-ის მიხედვით იყო 101.47% ობლიგაციაზე.

ჯგუფის ახალი ევროობლიგაციები ექვემდებარება სხვადასხვა კოვენანტებს, რომელთა შესახებაც დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ლისტინგის დეტალებში, რომელიც საჯაროდ არის ხელმისაწვდომი სს „სილქნეტის" ვებგვერდზე. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა შეასრულა ყველა კოვენანტი და მოელის, რომ დააკმაყოფილებს მათ ახალი ევროობლიგაციების მთლიანი ვადის განმავლობაში. შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრისთვის ახალი ევროობლიგაციები (გარდა ხელშეკრულების მიხედვით, საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში დასაფარი ნაშთებისა) კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი.

(c) საფინანსო საქმიანობების შედეგად წარმოშობილი ცვლილებები ვალდებულებებში*

'000 ლარი	გადასახდელი დივიდენდები	საიჯარო ვალდებულებები	სესხები და კრედიტები	სულ
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	-	**28,932**	**550,834**	**579,766**
გადახდილი პროცენტი	-	(1,582)	(45,049)	(46,631)
გადახდილი დივიდენდები	(171,000)	-	-	(171,000)
საიჯარო გადახდები	-	(13,344)	-	(13,344)
სულ ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან	(171,000)	**(14,926)**	(45,049)	**(230,975)**
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	**-**	**261**	**23,290**	**23,551**
სხვა ცვლილებები				
საპროცენტო ხარჯი	-	1,582	48,093	49,675
მოდიფიცირებაზე გაწეული ხარჯები	-	-	(3,947)	(3,947)
პერიოდის განმავლობაში ამოქმედებული საიჯარო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი საიჯარო ვალდებულებების აღიარება	-	3,969	-	3,969
ROU-ს და შესაბამისი საიჯარო ვალდებულების ჩამოწერა შეწყვეტილი ხელშეკრულებებისთვის	-	(1,509)	-	(1,509)
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	**-**	**4,042**	**44,146**	**48,188**
სულ კაპიტალთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	**171,000**			**171,000**
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	**-**	**18,309**	**573,221**	**591,530**

'000 ლარი	გადასახდელი დივიდენდები	საიჯარო ვალდებულებები	სესხები და კრედიტები	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	2,176	34,446	552,064	588,686
გადახდილი პროცენტი	-	(3,162)	(44,257)	(47,419)
გადახდილი დივიდენდები	(130,376)	-	-	(130,376)
საიჯარო გადახდები	-	(10,766)	-	(10,766)
სულ ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან	**(130,376)**	**(13,928)**	**(44,257)**	**(188,561)**
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	**-**	**(30)**	**(2,355)**	**(2,385)**
სხვა ცვლილებები				
საპროცენტო ხარჯი	-	3,162	45,382	48,544
პერიოდის განმავლობაში ამოქმედებული საიჯარო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი საიჯარო ვალდებულებების აღიარება	-	6,652	-	6,652
ROU-ს და შესაბამისი საიჯარო ვალდებულების ჩამოწერა შეწყვეტილი ხელშეკრულებებისთვის	-	(1,370)	-	(1,370)
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	**-**	**8,444**	**45,382**	**53,826**
სულ კაპიტალთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	**128,200**			**128,200**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**-**	**28,932**	**550,834**	**579,766**

* კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგენილი "საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები" ასევე მოიცავს გრძელვადიანი აქტივებისა და ლიცენზიების და სამაუწყებლო უფლებების შესაძენად განხორციელებული გადახდების საფინანსო კომპონენტს (იხ. შენიშვნა 21).

20. იჯარები

ჯგუფის საიჯარო ხელშეკრულებები დიდწილად უკავშირდება სხვადასხვა ტერიტორიების იჯარებს (მიწა, სახურავების ზედაპირი, სივრცე ფიჭური ანძებისთვის და სივრცე ბოჭკოვანი კაბელებისთვის, და ა.შ.) რაც ჯგუფის სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობის განთავსებას უკავშირდება. ჯგუფი აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც არის გრძელვადიანი ხელშეკრულებით ან არსით. რადგან ეფექტური საიჯარო ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა საკუთარ მსჯელობას იყენებს, ფასს 16-ის მიზნებისთვის გამოყენებული საიჯარო ვადები შეიძლება განსხვავდებოდეს მინიმალური სახელშეკრულებო საიჯარო პერიოდებისგან. სხვაობების შეჯამება არის შემდეგი:

	მინიმალური საწყისი სახელშეკრულებო საიჯარო პერიოდი	საიჯარო ვადის შეფასება გამოყენებული ფასს 16-ის მიზნებისთვის გადასვლიდან
ტერიტორიის იჯარა ფიქსირებული მომსახურებისთვის	4-10	იგივე რაც სახელშეკრულებო
ტერიტორიის იჯარა მობილური მომსახურებისთვის	1-6*	7

*მინიმალური სახელშეკრულებო საიჯარო პერიოდები >70% მობილური ტერიტორიებისთვის, ხელშეკრულების დაწყების თარიღისთვის, 1-6 წლამდე დიაპაზონში მერყეობს.

იჯარებისთვის საიჯარო ვალდებულებების შეფასებისას, ჯგუფი ადისკონტირებს მის საიჯარო გადახდებს მისი ზღვრული სასესხო განაკვეთის გამოყენებით იჯარის აღიარების თარიღისთვის. 2024 და 2023 წლებში გამოყენებული საშუალო შეწონილი განაკვეთი (ლარში) იყო დაახლოებით 12%.

'000 ლარი	ტერიტორიის იჯარა მობილური მომსახურებისთვის	ტერიტორიის იჯარა ფიქსირებული მომსახურებისთვის	ფართის იჯარა შპს "სილქ მედიასთვის"	სულ
RoU-ს საბალანსო ღირებულება				
2024 წლის 1 იანვარს	**17,963**	**4,459**	**453**	**22,875**
შესყიდვები	3,372	597	-	3,969
გასვლები	(4,946)	-	-	(4,946)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	2,712	-	-	2,712
ცვეთის დარიცხვა	(9,386)	(1,171)	(386)	(10,943)
RoU-ს მთლიანი ნაშთი				
2024 წლის 31 დეკემბერს	**50,823**	**9,860**	**1,934**	**62,617**
დაგროვილი ცვეთა				
2024 წლის 31 დეკემბერს	**(41,108)**	**(5,975)**	**(1,867)**	**(48,950)**
RoU -ს საბალანსო ღირებულება				
2024 წლის 31 დეკემბერს	**9,715**	**3,885**	**67**	**13,667**
საიჯარო ვალდებულება				
2024 წლის 1 იანვარს	**(22,980)**	**(5,415)**	**(537)**	**(28,932)**
შესყიდვები	(3,372)	(597)	-	(3,969)
გასვლები	1,509	-	-	1,509
პროცენტის დარიცხვა	(1,026)	(520)	(36)	(1,582)
გადახდები	12,810	1,652	464	14,926
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	(41)	(210)	(10)	(261)
საიჯარო ვალდებულება				
2024 წლის 31 დეკემბერს	**(13,100)**	**(5,090)**	**(119)**	**(18,309)**

'000 ლარი	ტერიტორიის იჯარა მობილური მომსახურებისთვის	ტერიტორიის იჯარა ფიქსირებული მომსახურებისთვის	ფართის იჯარა შპს "სილქ მედიასთვის"	სულ
RoU-ს საბალანსო ღირებულება				
2023 წლის 1 იანვარს	**25,194**	**2,181**	**838**	**28,213**
შესყიდვები	3,248	3,404	-	6,652
გასვლები	(3,061)	-	-	(3,061)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	1,378	-	-	1,378
ცვეთის დარიცხვა	(8,796)	(1,126)	(385)	(10,307)
RoU-ს მთლიანი ნაშთი				
2023 წლის 31 დეკემბერს	**52,397**	**9,263**	**1,934**	**63,594**
დაგროვილი ცვეთა				
2023 წლის 31 დეკემბერს	**(34,434)**	**(4,804)**	**(1,481)**	**(40,719)**
RoU-ს საბალანსო ღირებულება				
2023 წლის 31 დეკემბერს	**17,963**	**4,459**	**453**	**22,875**
საიჯარო ვალდებულება				
2023 წლის 1 იანვარს	**(30,470)**	**(3,055)**	**(921)**	**(34,446)**
შესყიდვები	(3,248)	(3,404)	-	(6,652)
გასვლები	1,370	-	-	1,370
პროცენტის დარიცხვა	(2,571)	(513)	(78)	(3,162)
გადახდები	11,916	1,563	449	13,928
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილების გავლენა	23	(6)	13	30
საიჯარო ვალდებულება				
2023 წლის 31 დეკემბერს	**(22,980)**	**(5,415)**	**(537)**	**(28,932)**

21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები და IRU ხელშეკრულებებიდან და აბონენტებისგან მიღებული ავანსები

	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
'000 ლარი	გრძელვადიანი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	მოკლევადიანი
ვალდებულებები გრძელვადიანი აქტივებისთვის	13,044	19,482	12,460	30,643
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	-	14,078	-	24,815
ვალდებულებები ლიცენზიებისთვის და მაუწყებლობის უფლებებისთვის	5,896	10,725	8,937	12,147
ვალდებულებები სხვა ოპერატორების მიმართ	-	3,774	-	5,135
ვალდებულებები დასაქმებულების მიმართ (შენიშვნა 24)	19,498	13,010	17,604	7,018
სხვა ვალდებულებები	-	993	-	1,921
დღგ და სხვა საგადასახადო ვალდებულებები	-	7,082	-	7,045
ფინანსური გარანტიის სახელშეკრულებო ვალდებულება	1,322	-	1,400	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**39,760**	**69,144**	**40,401**	**88,724**
IRU ხელშეკრულებებიდან მიღებული ავანსები	10,891	1,888	11,418	1,888
აბონენტებისგან მიღებული ავანსები	589	25,582	528	24,511
სულ სახელშეკრულებო ვალდებულებები გადახდილი ავანსებიდან	**11,480**	**27,470**	**11,946**	**26,399**
სულ	**51,240**	**96,614**	**52,347**	**115,123**

ვალდებულებები გრძელვადიანი აქტივებისთვის და ვალდებულება ლიცენზიებისა და მაუწყებლობის უფლებებისთვის წარმოადგენს გადავადებული გადახდების დისკონტირებულ ღირებულებას, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან, რომლებიც ქსელის განახლებისა და გაფართოების პროექტებს, ასევე არამატერიალურ აქტივებს მაუწყებლობის უფლებებისთვის და IT ტრანსფორმაციას უკავშირდება.

ვალდებულებები გრძელვადიანი აქტივებისთვის და ვალდებულება ლიცენზიებისა და მაუწყებლობის უფლებებისთვის ძირითადი ნაწილი დენომინირებულია აშშ დოლარში ან ევროში და შესაბამისად, ექვემდებარება უცხოური გაცვლითი კურსის რყევებს (იხ. ასევე შენიშვნა 22).

22. სამართლიანი ღირებულებები და ფინანსური რისკის მართვა

(a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა განუსაზღვრელობის გათვალისწინებით და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნას ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში.

ჯგუფმა განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს შეფასების თარიღისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებულ ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილ ფასს.

გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება მომავალი ძირი თანხისა და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, ობლიგაციების გარდა (იხ. შენიშვნა 19(b)), მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით ჯგუფი შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

რისკის მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას, სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად, აქვს სრული პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და ზედამხედველობაზე; ის პასუხს აგებს ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე და ამ საქმიანობასთან დაკავშირებით რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს აქციონერს.

ჯგუფის რისკების მართვის მიმართ მიდგომა განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის მიდგომები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და ჯგუფის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით ჯგუფის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

სამეთვალყურეო საბჭო ჯგუფის მიერ მიღებულ რისკების მართვის მიდგომების ადეკვატურობას აკონტროლებს.

(i) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური ზარალის რისკს, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაჰენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშვება ჯგუფის სასესხო მოთხოვნებთან, სავაჭრო მოთხოვნებთან და საბანკო ნაშთებთან მიმართებაში.

მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე, აღიარებული ფინანსური აქტივებისთვის და აუღიარებელი ვალდებულებებისთვის, საანგარიშგებო თარიღისთვის, იყო შემდეგი:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	35,555	35,011
სადეპოზიტო სერტიფიკატები	18,362	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	160,771	144,603
აღიარებული ფინანსური აქტივები	**214,688**	**179,614**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელშეკრულებო ხარჯები

საკრედიტო რისკი იმართება კლიენტების კრედიტუნარიანობის შეფასების გზით, მანამ სანამ ჯგუფის სტანდარტული გადახდის და მომსახურების პირობები იქნება შეთავაზებული. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით ზოგადად არ მოითხოვება რაიმე სახის უზრუნველყოფა.

კლიენტის საკრედიტო რისკის მონიტორინგის პროცესში, კლიენტები ჯგუფდებიან მათი საკრედიტო მახასიათებლების მიხედვით, მათ შორის იმის გათვალისწინებით, ისინი ფიზიკური პირები არიან, თუ - იურიდიული, ისინი საბითუმო, საცალო თუ საბოლოო მომხმარებლებს წარმოადგენენ, გათვალისწინებულია მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, მრეწველობა, ასაკობრივი პროფილი, დაფარვის ვადა და ადრე არსებული ფინანსური სირთულეები.

ჯგუფი განსაზღვრავს გაუფასურების რეზერვს, რომელიც წარმოადგენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში მოსალოდნელი ზარალების მისეულ შეფასებას. აღნიშნული რეზერვის ძირითადი შემადგენელი ნაწილია ჯგუფური ზარალის კომპონენტი. ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შიდა საცალო კლიენტებს უკავშირდება. ჯგუფს არ აქვს კლიენტების არსებითი კონცენტრაცია.

გაუფასურების ზარალები

გაუფასურების ზარალის რეზერვები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის რისკ-ჯგუფების მიხედვით არის შემდეგი:

'000 ლარი	ჯგუფურად შეფასებული			ინდივიდუალურად შეფასებული		
31 დეკემბერი 2024	**მთლიანი საბალანსო ღირებულება**	**გაუფასურების ზარალის რეზერვი**	**საკრედიტო რისკით გაუფასურებული**	**მთლიანი საბალანსო ღირებულება**	**გაუფასურების ზარალის რეზერვი**	**საკრედიტო რისკით გაუფასურებული**
მოკლევადიანი	21,835	209	არ	13,362	-	არა
1-30 დღემდე ვადაგადაცილება	528	118	არ	-	-	არა
31-90 დღემდე ვადაგადაცილება	395	252	არ	-	-	არა
91-150 დღემდე ვადაგადაცილება	255	241	კ	-	-	კი
150 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	23,557	23,557	კ	2,752	2,752	კი
სულ	**46,570**	**24,377**		**16,114**	**2,752**	

'000 ლარი	ჯგუფურად შეფასებული			ინდივიდუალურად შეფასებული		
31 დეკემბერი 2023	**მთლიანი საბალანსო ღირებულება**	**გაუფასურების ზარალის რეზერვი**	**საკრედიტო რისკით გაუფასურებული**	**მთლიანი საბალანსო ღირებულება**	**გაუფასურების ზარალის რეზერვი**	**საკრედიტო რისკით გაუფასურებული**
მოკლევადიანი	20,581	332	არ	14,241	-	არა
1-30 დღემდე ვადაგადაცილება	484	114	არ	-	-	არა
31-90 დღემდე ვადაგადაცილება	411	275	არ	-	-	არა
91-150 დღემდე ვადაგადაცილება	315	300	კ	-	-	კი
150 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	22,199	22,199	კი	2,580	2,580	კი
სულ	**43,990**	**23,220**		**16,821**	**2,580**	

მოძრაობა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში იყო შემდეგი:

'000 ლარი	2024	2023
1 იანვარს	(25,800)	(24,281)
დარიცხვა წლის განმავლობაში	(1,329)	(1,519)
წლის განმავლობაში უიმედოდ ჩამოწერილი ოდენობების აღდგენა	-	-
31 დეკემბერს	**(27,129)**	**(25,800)**

100%-იანი გაუფასურების განაკვეთი გამოყენებულ იქნა 150 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე საცალო მომხმარებლების მიმართ არსებულ მთლიან სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში. უფრო დაბალი გაუფასურების განაკვეთები, გამოიყენება იმ სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რისკის კატეგორიებისთვის, რომლებიც ვადაგადაცილებულია უფრო მოკლე პერიოდით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში გაუფასურების ზარალის აღრიცხვისთვის გამოიყენება სარეზერვო ანგარიში, ვიდრე ჯგუფი არ დარწმუნდება რომ ვერ მიიღებს მისდამი მართებულ თანხებს; ამ დროს თანხა მიიჩნევა უიმედოდ და ჩამოიწერება პირდაპირ ფინანსურ აქტივთან მიმართებაში.

საბანკო ნაშთები, ვადიანი ანაბრები და სადეპოზიტო სერტიფიკატები

საბანკო ნაშთები, ვადიანი ანაბრები და სადეპოზიტო სერტიფიკატები ძირითადად განთავსებულია ქართულ ბანკებში, მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგით B, Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით. ნაშთები განთავსებულია 1-ელ დონეზე და არ არის ვადაგადაცილებული. ჯგუფი არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაჰენტი ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

(ii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი სირთულეებს შეხვდება იმ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაკმაყოფილებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების გზით. ჯგუფის პოლიტიკა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, მდგომარეობს იმის უზრუნველყოფაში, რომ ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ გარემოებებში მიუღებელი ზარალის გაწევის ან ჯგუფის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ამ მიზნით, ჯგუფი აკეთებს მოკლევადიან პროგნოზებს ფულადი ნაკადებისთვის, სავარაუდო ფინანსური საჭიროებების საფუძველზე, რომელიც განისაზღვრება საოპერაციო საქმიანობების ხასიათით. როგორც წესი, ეს საჭიროებები განიხილება ყოველწლიურ და ყოველთვიურ საფუძველზე. ფინანსური საჭიროებების მართვის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებისგან ყოველდღიურად იღებს ფულად ნაკადებს. ეს უზრუნველყოფს ჯგუფს საკმარისი ფულადი სახსრებით მისი ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად. ჩვეულებრივ, ჯგუფი უზრუნველყოფს, რომ მას ჰქონდეს სათანადო მოთხოვნამდე ფულადი სახსრები მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯების დასაკმაყოფილებლად 30-დღიანი პერიოდისთვის, მათ შორის ფინანსური ვალდებულებების მომსახურების ჩათვლით; ეს გამორიცხავს ისეთი ექსტრემალური ვითარებების პოტენციურ გავლენას, რომელთა გონივრულ ფარგლებში წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, მაგალითად ბუნებრივი კატასტროფები.

ქვემოთ მოცემულია საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სახელშეკრულებო ვადიანობა. თანხები წარმოდგენილია ბრუტო და არადისკონტირებული ფორმით და მოიცავს პროცენტის მოსალოდნელ გადახდებს და გამორიცხავს ურთიერთგადაფარვის ხელშეკრულებების გავლენას.

31 დეკემბერი 2024

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სულ	მოთხოვნამდე	3 თვეზე ნაკლები	3-12 თვემდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
სესხები და კრედიტები	573,221	678,097	-	23,480	23,479	631,138	-
საიჯარო ვალდებულება	18,309	18,988	-	3,786	10,999	4,135	68
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	108,904	112,881	20,805	23,627	25,472	42,836	141
	700,434	**809,966**	**20,805**	**50,893**	**59,950**	**678,109**	**209**

31 დეკემბერი 2023

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სულ	მოთხოვნამდე	3 თვეზე ნაკლები	3-12 თვემდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
სესხები და კრედიტები	550,834	694,728	-	22,497	22,497	649,734	-
საიჯარო ვალდებულება	28,932	32,019	-	3,587	10,706	17,607	119
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	129,125	135,482	25,277	28,203	37,093	44,909	-
	708,891	**862,229**	**25,277**	**54,287**	**70,296**	**712,250**	**119**

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ამჟამად და უახლოეს მომავალში, ჯგუფს აქვს საკმარისი ფულადი სახსრები მისი ვალდებულებების დასაფარად, მათი დაფარვის ვადის დადგომისთანავე. ხელმძღვანელობის შეფასება დაფუძნებულია რამდენიმე ფაქტორზე, მათ შორის არსებითი ფულადი სახსრების ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის (შენიშვნა 17), დადებითი და მზარდი კორექტირებული EBITDA (შენიშვნა 11) და მზარდი კლიენტთა ბაზა ძირითადი ბიზნეს სეგმენტებისთვის და ახალი ქსელის გაფართოება (შენიშვნა 12).

(iii) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ საბაზრო ფასების ისეთი ცვლილება, როგორიც არის ვალუტის გაცვლითი კურსები, საპროცენტო განაკვეთები და აქციის ფასები იმოქმედებს ჯგუფის შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის პროცესში.

ჯგუფი არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას მოგებასა თუ ზარალში მერყეობის მართვის მიზნით.

სავალუტო რისკი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის დამოკიდებულება სავალუტო რისკზე ძირითადად აშშ დოლარში დენომინირებულ ევროობლოგაციებს უკავშირდება. ღია სავალუტო პოზიციის ნაწილობრივ ჰეჯირებისთვის, კომპანია მის ლიკვიდურ ფულად სახსრებს აშშ დოლარში დენომინირებულ ინსტრუმენტებში აინვესტირებს, როგორიცაა დეპოზიტები და სვოპები. ამასთანავე, კომპანიის საოპერაციო საქმიანობის ნაწილი ასევე მყარ ვალუტებში არის დენომინირებული. საოპერაციო საქმიანობაზე სავალუტო კურსის რყევების გავლენის შესამსუბუქებლად კომპანია ფორვარდულ ხელშეკრულებებს იყენებს.

აღნიშნული ინსტრუმენტები აკმაყოფილებს წარმოებული ინსტრუმენტის განმარტებას ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტების“ მიხედვით და თავდაპირველად, სამართლიანი ღირებულებით ფასდება. ფასს 9-ის მიხედვით, წარმოებული ინსტრუმენტები წარმოადგენს ინსტრუმენტებს, რომებიც შემდგომ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფმა აღიარა 2,674 ათასი ლარის ოდენობით საბალანსო ღირებულების მქონე წარმოებული აქტივი (2023 წლის 31 დეკემბერი: 925 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების მქონე წარმოებული ვალდებულება (შეტანილი „სხვა ვალდებულებებში“, შენიშვნაში 18). დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელები გამოიყენება წარმოებული ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, რომელიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მესამე დონეზე კლასიფიცირდება. უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობასთან დაკავშირებულ შეფასების განუსაზღვრელობებს არ აქვთ არსებითი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის.

ჯგუფის დამოკიდებულება სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

’000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2024	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2023
საბანკო ნაშთები	3,911	9,734
მოთხოვნამდე ანაბრები	120,299	-
სადეპოზიტო სერტიფიკატები	18,362	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,814	6,272
ფინანსური გარანტიის სახელშეკრულებო მოთხოვნა	2,369	2,169
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(36,982)	(63,212)
სესხები და კრედიტები	(573,221)	(550,834)
წმინდა დაქვემდებარება წარმოებული ინსტრუმენტების გავლენამდე	**(458,448)**	**(595,871)**
წარმოებული ინსტრუმენტების გავლენა *	-	107,576
წმინდა დაქვემდებარება საინვესტიციო ქონების გათვალისწინებამდე	**(458,448)**	**(488,295)**
საინვესტიციო ქონება	78,871	70,462
წმინდა დაქვემდებარება	**(379,577)**	**(417,833)**

*ზემოაღნიშნულ ცხრილში წარმოდგენილია სვოპ ხელშეკრულებების ნომინალური ოდენობები (2024 წლის 31 დეკემბერი: ნული; 2023 წლის 31 დეკემბერი: „აშშ დოლარის ყიდვა, ლარის გაყიდვა“ - 107,576 ათასი ლარი). ნომინალური ოდენობა, რომელიც აღრიცხულია ბრუტო ოდენობით, წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტის შესაბამისი აქტივის ან ვალდებულების ოდენობას, საორიენტაციო განაკვეთს და ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების შეფასების საფუძველს. ნომინალური ოდენობები ასახავს 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის დაუფარავი გარიგებების მოცულობას და არ ასახავს საკრედიტო რისკს.

2024 წელს, რისკის მართვის პოლიტიკის ნაწილის სახით, კომპანიამ გააფორმა ფორვარდული ხელშეკრულებები ჯამში 70,500 ათას აშშ დოლარზე, საიდანაც 10,000 ათასი აშშ დოლარი იქნა რეალიზებული წლის განმავლობაში. წლის ბოლოსთვის, დაუფარავი ნაშთის ოდენობაა 60,500 ათასი აშშ დოლარი (2024 წლის 31 დეკემბერი: 60,500 ათასი აშშ დოლარის ყიდვა, 169,581 ათასი ლარის გაყიდვა; (2023 წლის 31 დეკემბერი: ნული)).

უცხოური ვალუტის კურსის რყევების შედეგად მომავალი მოგების ცვალებადობის შესამცირებლად, მომავალი ფულადი ნაკადების გადინების ჰეჯირებისთვის გამოიყენება უცხოური ვალუტის წარმოებული ხელშეკრულებები, კერძოდ ისინი, რომლებიც მყარ ვალუტებში დენომინირებულ აუღიარებელ საოპერაციო და კაპიტალურ დანახარჯებს უკავშირდება, ისევე როგორც ევროობლიგაციების კუპონის გადახდებს. აღნიშნული ფულადი სახსრების გადინებები სრულად არის ჰეჯირებული 2025 წლის იანვრიდან 2025 წლის ბოლომდე, საშუალო ფორვარდული გაცვლითი კურსით: 2.8.

’000 ლარი	ევროში დენომინირებული 31 დეკემბერი 2024	ევროში დენომინირებული 31 დეკემბერი 2023
საბანკო ნაშთები	772	3,906
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,355	1,894
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(22,687)	(24,324)
წმინდა დაქვემდებარება	**(20,560)**	**(18,524)**

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

	საშუალო კურსი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ-კურსი	
ლარში	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 აშშ დოლარი	2.7208	2.6279	2.8068	2.6894
1 ევრო	2.9440	2.8416	2.9306	2.9753

მგრძნობელობის ანალიზი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის კურსის გონივრული შესაძლო გამყარება/(შესუსტება), ქვემოთ მოცემულის შესაბამისად, აშშ დოლართან მიმართებაში იმოქმედებდა აშშ დოლარში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგებაზე ან ზარალზე (დაბეგვრამდე) ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ვალუტის მოძრაობას არ ექნებოდა პირდაპირი გავლენა სხვა სრულ შემოსავალზე ან კაპიტალზე. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩებოდა და გამორიცხავს საპროგნოზო გაყიდვების და შესყიდვების ნებისმიერ გავლენას.

	გამყარება		შესუსტება	
’000 ლარი	პირდაპირ კაპიტალში	მოგება ან (ზარალი)	პირდაპირ კაპიტალში	მოგება ან (ზარალი)
31 დეკემბერი 2024				
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	-	45,845	-	(45,845)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	-	2,056	-	(2,056)
31 დეკემბერი 2023				
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	-	48,830	-	(48,830)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	-	1,852	-	(1,852)

საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიას არ ჰქონდა ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები (31 დეკემბერი 2023: ნული).

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

ჯგუფი არ აღრიცხავს არსებით ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. შესაბამისად, საანგარიშგებო თარიღისთვის, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება არსებით გავლენას ვერ მოახდენდა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

23. პირობითი ვალდებულებები

(a) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ცვლილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსახილველად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს ჯგუფისეული ინტერპრეტაციისაგან და მათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ საგადასახადო ორგანო შესძლებს საკუთარი ინტერპრეტაციის არგუმენტირებას.

(b) სასამართლო დავა

ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, ჯგუფი დაქვემდებარებულია სარჩელებსა და საჩივრებს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოცემული სარჩელებიდან და საჩივრებიდან წარმოშობილ საბოლოო ვალდებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ჯგუფის მომავალი ოპერაციების შედეგებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე.

24. დაკავშირებული მხარეები

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანიაა შპს "სილქნეტ ჰოლდინგი". კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანიაა „სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგ (მალტა) ლიმიტედი" - ფიზიკური პირის, გიორგი რამიშვილის მიერ კონტროლირებული საწარმო. შპს „სილქნეტ ჰოლდინგის“ და შპს "სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგის" წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საჯაროდ არის ხელმისაწვდომი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებგვერდის საშუალებით.

(b) ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება მოიცავს კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს ხელფასებს და ბონუსებს და შეტანილია "ხელფასები და სარგებლის" მუხლში (იხ. შენიშვნა 9):

'000 ლარი	2024	2023
ხელფასები	6,861	6,237
სხვა ბონუსები*	6,635	20,421
	13,496	**26,658**

* 2023 წლის 30 სექტემბერს და 2023 წლის 14 დეკემბერს („გრანტის თარიღი“) კომპანიამ გააფორმა ორი ხელშეკრულება მისი უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ორ წევრთან, რაც უფლებას აძლევს დასაქმებულებს მიიღონ სხვადასხვა ტიპის ჯილდოები, რაც ძირითადად დამოკიდებულია დასაქმებულის არჩევანზე, მაგრამ ასევე გარკვეულ გარემოებებსა და პირობებს ექვემდებარება.

ჯილდო N1: გულისხმობს კომპანიის კაპიტალის ინსტრუმენტს ფულადი სახსრების ანგარიშსწორებით, რომელიც გადაეცემა დასაქმებულს, მომსახურების პირობის გარეშე და მისი სამართლიანი ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ნულს არის მიახლოებული, რადგან ხელშეკრულების მიხედვით „უფლების გადაცემის პირობის“ დაკმაყოფილების ალბათობა არის დაბალი. ჯილდო N2, რომელიც დასაქმებულს ეკუთვნის 2025 წლის 1 იანვრიდან, გამოითვლება როგორც დასაქმებულის ცხოვრების მანძილზე კომპანიის მიერ მომავალი დივიდენდის განაწილებების გარკვეული პროცენტი და არ ექვემდებარება მომსახურების პირობებს. ჯილდო N3 გულისხმობს დასაქმებულისთვის 2027 წლის შემდეგ კომპანიის მომავალი ღირებულების გარკვეული პროცენტის ოდენობით ფულადი სახსრებით გადაცემას, (რომელიც გამოითვლება სახელშეკრულებო პირობების მიხედვით) და ექვემდებარება მომსახურების პირობას 2027 წლის ბოლომდე. ორივე ჯილდო აკმაყოფილებს დასაქმებულის სხვა გრძელვადიანი გასამრჯელოს განმარტებას ბასს 19-ის მიხედვით „დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები“ და თავდაპირველად ფასდება დასაქმებულის მიერ მომავალში მისაღები გასამრჯელოების მიმდინარე ღირებულებით. ჯილდო N2 ხარჯად აღიარდება მისი გაწევისთანავე, რადგან არ აქვს მომსახურების პირობა, ხოლო ჯილდო N3 -ის ღირებულება ნაწილდება მომსახურების პერიოდზე.

თუ ჯილდო #3-ის ფარგლებში გამოთვლილი გასამრჯელოს ოდენობა ჯამში აღემატება ჯილდო #2-ს, საწარმო აღიარებს დამატებით ხარჯს მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდში, როდესაც ჯილდო #3-ის მიხედვით გამოთვლილი დასაქმებულის გასამრჯელო აღემატება ჯილდო #2-ის მიხედვით დათვლილ გასამრჯელოს. 2023 წელს, გაცემის თარიღისთვის, კომპანიამ აღიარა 17,318 ათასი ლარის ოდენობით დასაქმებულთა გასამრჯელოს ხარჯი მოგებაში ან ზარალში, რომელიც გამოითვლება ჯილდო N2-ის პირობების მიხედვით, რადგან იგი წარმოადგენს უპირობო ვალდებულებას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის და მისი მოსალოდნელი მიმდინარე ღირებულება იყო ყველაზე დიდი სამ ხელმისაწვდომ ჯილდოს შორის.

2024 წელს, ევროობლოგაციის კოვენანტთან დაკავშირებით თანხმობის მოთხოვნის პროცესთან დაკავშირებული გარემოებების ცვლილებამ გავლენა იქონია ჯილდო N2-ით გათვალისწინებულ გასამრჯელოს ოდენობაზე, გადახდების კორექტირებული კოეფიციენტის გამო. აღნიშნული ცვლილებები კვლავ შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან, კერძოდ, მეწარმეთა შესახებ საქართველოს ახალი კანონის მოთხოვნებთან და ევროობლიგაციების შეცვლილ პირობებთან, რის შედეგადაც 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის დამატებითი ხარჯი შეადგენდა 3,546 ათას ლარს. ჯილდო #2-ის მიხედვით გასამრჯელოს ოდენობის გამოსათვლელად გამოყენებულ სხვა დაშვებებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა.

(c) სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

'000 ლარი	გარიგების ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბერს	
	2024	2023	2024	2023
სხვა საოპერაციო ხარჯები:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები*	8,458	7,720	(700)	(1,032)
სხვა შემოსავალი:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	201	-	84	-
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	188	-	-
გამოყენებული საწვავი და საპოხი მასალები:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	2,975	2,917	(182)	(260)
ძირითადი საშუალებების შეძენა:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	-	15	-	-
მშობელი კომპანია და ბენეფიციარები	-	918	-	-
სხვა:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	(20)	281	10	8
გარანტიის სახელშეკრულებო მოთხოვნა:**				
მშობელი კომპანია	161	144	2,369	2,169

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფს ჰქონდა 744 ათასი ლარის ოდენობით საბანკო ნაშთი დაკავშირებული მხარის საფინანსო დაწესებულებასთან (2023: 4,571 ათასი ლარი), რომელზეც 278 ათასი ლარის ოდენობით საპროცენტო შემოსავალი იქნა აღიარებული 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში (2023: 375 ათასი ლარი).

* 2024 წელს, სხვა საოპერაციო ხარჯები საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოებთან ძირითადად მოიცავს: "SRG Investments"-ის მიერ ჯგუფისთვის გაწეული 3,136 ათასი ლარის ღირებულების საკონსულტაციო მომსახურება (2023: 3,136 ათასი ლარი) სტრატეგიის განვითარებასთან, დაფინანსებასთან, საინვესტიციო გადაწყვეტილებებთან და კონკრეტულ მარეგულირებელ საკითხებთან დაკავშირებით და უსაფრთხოების ხარჯები 3,102 ათასი ლარის ოდენობით (2023: 2,147 ათასი ლარი). დარჩენილი ოდენობა ძირითადად დაკავშირებული მხარის საწარმოსთვის წლიური ფესტივალის ორგანიზებისთვის გადახდილ სპონსორობის საფასურს უკავშირდება.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, 119 ათასი ლარის ოდენობით დაუფარავი ნაშთი წარმოადგენს საოჯარო ვალდებულებას შპს "სილქ მედიას" მიერ დაკავშირებული მხარისგან საოფისე ფართის ოჯარისთვის (2023: 537 ათასი ლარი). 2024 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლის განმავლობაში, საოჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გადინება შეადგენდა 465 ათას ლარს (2023: 449 ათასი ლარი) (იხ. შენიშვნა 20). საოჯარო ხელშეკრულებას ვადა 2025 წელს გასდის. ყველა დაუფარავი ნაშთი დაკავშირებული მხარეების მიმართ, საოჯარო ვალდებულების გარდა, უნდა იქნეს დაკმაყოფილებული ფულადი სახსრებით საანგარიშგებო თარიღიდან 6 თვის განმავლობაში. არცერთი ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი.

** 2021 წლის 30 ივნისს, ჯგუფმა გააფორმა საგარანტიო ხელშეკრულება მის მშობელ კომპანიასთან, შპს „სილქნეტ ჰოლდინგთან“ მისი დავალიანების გარანტირების მიზნით: მაქსიმუმ 18,000 ათასი აშშ დოლარი 2024 წლის 1 მაისიდან 2032 წლის 1 მაისამდე. გარანტიის სამართლიანი ღირებულება დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ შეფასდა და 647 ათასი აშშ დოლარით განისაზღვრა. 2024 წლის 31 დეკემბერს, 1,322 ათასი ლარის ოდენობით ფინანსური გარანტიის სახელშეკრულებო ვალდებულება (2023 წლის 31 დეკემბერი: 1,400 ათასი ლარი) აღირიცხა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში (იხ. შენიშვნა 21) და 2,369 ათასი ლარის ოდენობით დაკავშირებული მოთხოვნა მშობელი კომპანიის მიმართ (2023: 2,169 ათასი ლარი) აღირიცხა სხვა გრძელვადიან აქტივებში (იხ. შენიშვნა 12(b)). კომპანია მიიღებს გაწეული მომსახურების საფასურს.

25. შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანია	რეგისტრაციის ქვეყანა	31 დეკემბერი 2024 საკუთრება/ ხმის უფლება	31 დეკემბერი 2023 საკუთრება/ ხმის უფლება
შპს „ქარვა“	საქართველო	51%	51%
შპს "სილქ მედია"*	საქართველო	100%	100%
შპს „ნოვუსი“**	საქართველო	0%	100%
ა(ა)იპ „ენჯი საქართველო“	საქართველო	100%	100%
დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი (რეგისტრირებული როგორც ორი იურიდიული პირი)	საქართველო	100%	100%
შპს „პრემიუმ ვებ სოლუშენს“	საქართველო	100%	100%

*2019 წელს, სილქნეტმა და Euronews-მა „Euronews Georgia“-სთან დაკავშირებით (უფასო ახალი ამბების არხი, რომელიც გადის ქართულ ენაზე) ურთიერთგაგების მემორანდუმი დადეს. ამ მიზნისთვის, სილქნეტმა შპს „სილქ მედია“ დაარსა (100%-იან საკუთრებაში არსებული შვილობილი კომპანია).

Euronews-ი პასუხისმგებელია „Euronews Georgia“-ს საგამომცემლო პოლიტიკაზე და არხის ახალი ამბების დირექტორის დანიშვნაზე. Euronews-ი მის მასალებს „Euronews Georgia“-ს უზრუნველებს, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი გარკვეულ ადგილობრივ მასალას ამზადებს, რომელსაც ის Euronews-ს უზიარებს.

** 2024 წელს, შპს „ნოვუსი“-ს უმნიშვნელო შვილობილი კომპანიის ლიკვიდაცია მოხდა, რამაც არ იქონია არსებითი გავლენა ჯგუფის ფინანსური და საოპერაციო საქმიანობის შედეგებზე.

26. შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე, გარდა:

- შვილობილი კომპანიების წმინდა იდენტიფიცირებადი აქტივებისა, რომლებიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღებისთვის;
- საინვესტიციო ქონებისა, რომელიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით; და
- წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომელიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით.

27. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში, და თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ჯგუფის საწარმოების მიერ.

(a) კონსოლიდაციის საფუძველი

(i) საწარმოთა გაერთიანება

ჯგუფი "საწარმოთა გაერთიანებას" აღრიცხავს შესყიდვის მეთოდის გამოყენებით, მაშინ როდესაც შეძენილი საქმიანობების და აქტივების ნაკრები აკმაყოფილებს ბიზნესის განმარტებას და კონტროლი გადაცემულია ჯგუფისთვის (იხილეთ შენიშვნა 27(a)(ii)). იმის განსაზღვრისას წარმოადგენს თუ არა კონკრეტული საქმიანობების და აქტივების ნაკრები ბიზნესს, ჯგუფი აფასებს მოიცავს თუ არა შეძენილი აქტივების და საქმიანობების ნაკრები, სულ მცირე, ამოსავალ მონაცემებს და ძირითად პროცესს და აქვს თუ არა შეძენილ ნაკრებს შედეგების გენერირების უნარი.

ჯგუფს აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს "კონცენტრაციის ტესტი", რომელიც იძლევა გამარტივებული შეფასების ჩატარების საშუალებას, იმისა არის თუ არა შეძენილი საქმიანობების და აქტივების ნაკრები ბიზნესი. კონცენტრაციის არასავალდებულო ტესტირება ითვლება შესრულებულად თუ მთლიანი შეძენილი აქტივების არსებითად მთლიანი სამართლიანი ღირებულება ერთ იდენტიფიცირებად აქტივში ან ანალოგიური იდენტიფიცირებადი აქტივების ჯგუფში არის კონცენტრირებული.

ჯგუფი აფასებს გუდვილს შესყიდვის თარიღისთვის შემდეგნაირად:

- გადაცემული ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება; დამატებული
- შეძენილ საწარმოში ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილების აღიარებული ოდენობა; დამატებული
- თუ საწარმოთა გაერთიანება მიიღწევა ეტაპობრივად, შეძენილ საწარმოში ადრე არსებული კაპიტალის წილის სამართლიანი ღირებულება; გამოკლებული
- შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული ოდენობა (როგორც წესი, სამართლიანი ღირებულება).

როდესაც ნამეტი უარყოფითია, შესყიდვის ამონაგები ვაჭრობიდან დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გადაცემული ანაზღაურება არ მოიცავს ადრე არსებული ურთიერთობების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ ოდენობებს. მსგავსი ოდენობები როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გარიგების ხარჯები, სესხის გამოშვებასთან და კაპიტალის ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ხარჯების გარდა, რომელსაც ჯგუფი გასწევს საწარმოთა შერწყმასთან დაკავშირებით - აღიარდება ხარჯად მათი გაწევისთანავე.

ნებისმიერი პირობითი ანაზღაურება ფასდება სამართლიანი ღირებულებით შესყიდვის თარიღისთვის. თუ პირობითი ვალდებულების გადახდის ვალდებულება, რომელიც აკმაყოფილებს ფინანსური ინსტრუმენტის განმარტებას კლასიფიცირდება კაპიტალის სახით, მაშინ არ ხდება მისი გადაფასება და ანგარიშსწორება აღირიცხება კაპიტალის ფარგლებში. სხვა შემთხვევაში, სხვა პირობითი ანაზღაურება გადაფასებულია სამართლიანი ღირებულებით თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის და პირობითი ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(ii) არამაკონტროლებელი წილები

არამაკონტროლებელი წილები ფასდება შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების წილის პროპორციულად, შესყიდვის თარიღისთვის. შვილობილ კომპანიაში ჯგუფის წილის ცვლილება, რომელიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება კაპიტალის ოპერაციების სახით.

(iii) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენს ჯგუფის მიერ კონტროლირებულ საწარმოებს. ჯგუფი აკონტროლებს საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება ან როდესაც მას აქვს უფლება ცვლად ამონაგებზე საწარმოში მისი ჩართულობიდან და როდესაც მას შესწევს უნარი იმოქმედოს ამგვარ ამონაგებზე საწარმოში მისი უფლებამოსილების გამოყენებით. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება შესულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების თარიღიდან, მისი დასრულების თარიღამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკები შეიცვალა, როდესაც საჭირო გახდა მათი ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკებზე მორგება. შვილობილ კომპანიაში არამაკონტროლებელ წილზე მიკუთვნებადი ზარალი, მიკუთვნებულია არამაკონტროლებელ წილებზე მიუხედავად იმისა, იწვევს ეს თუ არა არამაკონტროლებელი წილის უარყოფით (დეფიციტურ) ნაშთს.

(iv) კონსოლიდაციისას ელიმინირებული ოპერაციები

ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი ჯგუფის შიდა ნაშთები და ოპერაციები, ასევე ნებისმიერი ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯები, ელიმინირდება.

(b) შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხდება მას შემდეგ, რაც ჯგუფი დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული მომსახურების კლიენტისთვის გადაცემის შედეგად. როდესაც შესასრულებელი ვალდებულება დაკმაყოფილებულია, ჯგუფი აღიარებს შემოსავლად გარიგების ღირებულების თანხას, რომელიც გამორიცხავს მესამე მხარეების სახელზე შეგროვებულ თანხებს და ცვალებადი ხასიათის მქონე თანხების შეზღუდულ შეფასებებს, რომელიც განაწილებულია შესაბამის შესასრულებელ ვალდებულებაზე.

ჯგუფის შემოსავლის ძირითად წყაროებს წარმოადგენს: მობილური ზარის განხორციელების მომსახურება, ინტერნეტი და „pay TV“ მომსახურებები, მობილური ინტერნეტის მომსახურება, ფიქსირებული და უკაბელო სატელეფონო მომსახურებები, რომელიც ძირითადად მოიცავს ურთიერთკავშირს, წუთობრივ დარიცხვას და ყოველთვიურ სააბონენტო გადასახადებს, ურთიერთჩართვის მომსახურებები და ხაზების იჯარა, როუმინგიდან მიღებული შემოსავალი, ტელეფონის და მისი აქსესუარების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი და სხვა. შემოსავლის აღიარება ხდება ფასდაკლებების, დამატებითი ღირებულებისა და აქციზის გადასახადის გამოკლების შემდეგ.

მობილური ზარის განხორციელების მომსახურება: შემოსავალი აღიარდება აბონენტების მიერ მობილურ სატელეფონო ზარებზე ფაქტობრივად გამოყენებული წუთების მიხედვით. წინასწარგადახდით აბონენტებისგან განსხვავებით, გამოუყენებელი წუთები არ არის აღიარებული შემოსავალში, სანამ შესაბამისი მომსახურება არ იქნება გაწეული აბონენტზე, ან წინასწარგადახდილ აბონიმენტს ვადა არ გაუვა.

ფიქსირებული ქსელი და pay TV: შემოსავალი ფიქსირებული ქსელისა და pay TV მომსახურებიდან ძირითადად შედგება ყოველთვიური ფიქსირებული დარიცხვისგან ინტერნეტ კავშირის და pay TV მომსახურების გამოყენებისთვის და აღიარდება მომსახურების გაწევასთან ერთად.

მობილური ინტერნეტის მომსახურება: შემოსავალი თითოეული მონაცემთა მომსახურების აბონენტისგან. ამგვარი შემოსავლის აღიარება ხდება მომსახურების გაწევისას.

ფიქსირებული ხაზი და უკაბელო სატელეფონო მომსახურებები: წუთობრივი მომსახურების და დაკავშირების ღირებულება შემოსავლად აღიარდება მომსახურების გაწევის დროს, გამოყენებული წუთებისა და ხელშეკრულებაში განსაზღვრული საფასურების საფუძველზე. ყოველი თვის ბოლოს აბონენტთათვის დაურიცხავი, მაგრამ უკვე გაწეული მომსახურება აღიარდება შემოსავლად, ხოლო დარიცხული მაგრამ გაუწეველი მომსახურების შემოსავალი დროში გადავადდება. ყოველთვიური სააბონენტო საფასური შემოსავლად აღიარდება მომსახურების გაწევის თვეში.

ურთიერთჩართვის მომსახურებები: ქსელთან დაშვებით მიღებული ურთიერთჩართვის შემოსავლები, რომლებიც, თავის მხრივ, სხვა ოპერატორების მიერ ჯგუფის ქსელში დასრულებული ტრაფიკიდან მიიღება და რეგულირდება ხელშეკრულებებით, რომლებიც ასევე არეგულირებს ჯგუფის მიერ სხვა ოპერატორების ქსელით სარგებლობას. ურთიერთჩართვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია მომსახურების გაწევის დროს.

ინფრასტრუქტურის იჯარა IRU ხელშეკრულებებიდან: ინფრასტრუქტურის იჯარიდან შემოსავლები მოიცავს ჯგუფის საკაბელო ქსელის გამოყენებისთვის დარიცხულ ყოველთვიურ ფიქსირებულ საფასურს. ამგვარი შემოსავლის აღიარება ხდება მომსახურების გაწევისას.

როუმინგიდან მიღებული შემოსავალი: შემოსავალი სხვა ოპერატორებისგან, არა-სილქნეტის აბონენტებისთვის, რომლებიც იყენებენ სილქნეტის ხმოვან, SMS და ინტერნეტ მომსახურებას. კომპანია აღიარებს ესეთ შემოსავლებს მომსახურების გაწევისთანავე.

ტელეფონის და აქსესუარების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი: შემოსავალი აღიარდება როდესაც ტექნიკა გადაეცემა საბოლოო მომხმარებელს.

სხვა შემოსავლები: შემოსავლის აღიარების პოლიტიკა სხვა შემოსავლებისთვის (SMS, MMS და სხვა დამატებითი ღირებულების მომსახურებები) მდგომარეობს შემოსავლის მომსახურების გაწევისთანავე აღიარებაში.

მნიშვნელოვანი გადახდის პირობები: ყველა, მომსახურების გაწევის შემდგომ გადახდებისათვის, აბონენტები ყოველთვიურად იხდიან თანხებს.

(c) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ჯგუფის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი;
- საპროცენტო ხარჯი;
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებზე, ფინანსურ ვალდებულებებსა და საინვესტიციო ქონებაზე;
- ფინანსური ინსტრუმენტების მოდიფიცირებით განპირობებული შემოსულობა

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება განსაკუთრებული აქტივების შესყიდვას, მშენებლობას ან წარმოებას, აღიარებულია მოგებასა ან ზარალში ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რაც დამოკიდებულია იმ ფაქტზე, წარმოდგენილია თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის პოზიციაში.

(d) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია ჯგუფის საწარმოების შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას (კორექტირებული ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტირებით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(e) დასაქმებულთა გასამრჯელოები

(i) დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია თუ ჯგუფს ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დასაქმებულის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

(ii) დასაქმებულთა სხვა გრძელვადიანი გასამრჯელოები

ინფორმაცია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკებზე, რომლებიც დასაქმებულთა სხვა გრძელვადიან გასამრჯელოებს უკავშირდება წარმოდგენილია შენიშვნაში 24(b).

(f) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში გარდა შემთხვევისა, როდესაც ის უკავშირდება საწარმოთა შერწყმას ან პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის, აგრეთვე, წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირება. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და მოქმედებს საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები. საგადასახადო ვალდებულების თანხა დივიდენდების განაწილებაზე გამოითვლება როგორც წმინდა განაწილების თანხის 15/85-ი.

გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე საგადასახადო ვალდებულების ურთიერთგადაფარვა ხელმისაწვდომია 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მოგების გადასახადზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები. ჯგუფი ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და გადასახადს ამგვარ ერთეულებზე აღრიცხავს როგორც გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა.

(g) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება გამოიანგარიშება საშუალო შეწონილის პრინციპის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებაზე ან დამუშავებაზე და მათი ადგილზე მიწოდებასა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა ხარჯებს. საქმიანობის ჩვეულებრივად მიმდინარეობის პირობებში, წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული სავარაუდო დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

(h) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები, გარდა მიწისა, ფასდება თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთის და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. მიწა ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილის სახით. შეძენილი ძირითადი საშუალებების თვითღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადინებების მიმდინარე ღირებულებას თუ გადახდები 12-თვიან პერიოდზე მეტი ვადით არის გადავადებული.

თუ ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აისახება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდოა რომ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოედინება ჯგუფში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან კომპანიის შიდა ძალებით დამზადებულ აქტივთან მიმართებაში, მათი დასრულების და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის თარიღიდან. ცვეთა დაფუძნებულია აქტივის თვითღირებულებაზე, მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთა, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ნიმუშს. იჯარით აღებულ აქტივებს ცვეთა ერიცხებათ საიჯარო ვადასა და მათ სასარგებლო მომსახურების ვადებს შორის უმცირესის მიხედვით, გარდა შემთხვევებისა, როდესაც გონივრულად მოსალოდნელია რომ იჯარის ვადის ბოლოს ჯგუფი აქტივზე საკუთრების უფლებას მოიპოვებს. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე და შესადარის პერიოდებში, შემდეგია:

- შენობები და ინფრასტრუქტურები 25-50 წელი;
- მანქანა-დანადგარები 3-20 წელი;
- სატრანსპორტო საშუალებები, ავეჯი და მოწყობილობები 3-10 წელი;

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები კაპიტალური დანახარჯებისთვის ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ზღვრული სასესხო განაკვეთის გამოყენებით.

(i) არამატერიალური აქტივები

(i) გუდვილი

შვილობილი კომპანიების შეძენიდან წარმოქმნილი გუდვილი ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

(ii) სხვა არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი სხვა არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასრული სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ფასდებიან თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. სხვა არამატერიალური აქტივები ძირითადად მოიცავს სატელეკომუნიკაციო საოპერაციო ლიცენზიებს, კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიებს და კაპიტალიზებულ სამაუწყებლო უფლებებს. სამაუწყებლო უფლებების ხელშეკრულება კაპიტალიზებულია თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- სავარაუდოა, რომ მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებელი, რომელიც აქტივზე არის მიკუთვნებადი საწარმოში შემოედინება;
- აქტივის თვითღირებულება სანდოდ შეიძლება შეფასდეს.

კომპანია ითვალისწინებს ხელშეკრულების სხვა პირობებსაც როგორიც არის შეწყვეტის პირობები. კაპიტალიზებული სამაუწყებლო უფლებების ხელშეკრულებები დისკონტირებულია ზღვრული სასესხო განაკვეთის საფუძველზე.

(iii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯის კაპიტალიზაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ზრდის მასთან დაკავშირებულ კონკრეტულ აქტივში განივთებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ყველა სხვა დანახარჯი, მათ შორის კომპანიის შიგნით გენერირებულ გუდვილსა და ბრენდებზე გაწეული ხარჯები, აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

(iv) ამორტიზაცია

ამორტიზაცია გამოითვლება აქტივის თვითღირებულების მიხედვით, მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. ამორტიზაცია, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივების (გარდა გუდვილისა) მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, იმ თარიღიდან, როდესაც ისინი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი გახდება, რადგან ამგვარად შესაძლოა ყველაზე მიახლოებულად აისახოს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელი ფორმა. მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის, არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადა 3-დან 15 წლამდე მერყეობს.

ამორტიზაციის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და, შესაბამის შემთხვევაში კორექტირდება.

გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები კაპიტალური დანახარჯებისთვის ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ზღვრული სასესხო განაკვეთის გამოყენებით.

(j) საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით და შემდგომ სამართლიანი ღირებულებით, ხოლო ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, ფასს 13-ის მიხედვით, საწარმო უზრუნველყოფს, რომ სამართლიანი ღირებულება ასახავდეს დაშვებებს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები საინვესტიციო ქონების ფასის მიმდინარე საბაზრო პირობებში შეფასებისას გამოიყენებდნენ.

საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი (გამოთვლილი როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ წმინდა შემოსულობასა და ერთეულის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(k) ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში აკლასიფიცირებს.

ფასს 9 ადგენს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებებისა და სხვა არაფინანსური ერთეულების ყიდვა - გაყიდვის ხელშეკრულებების აღრიცხვისა და შეფასების მოთხოვნებს.

(i) ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9 უმეტესწილად ინარჩუნებს ბასს 39-ის, ფინანსური ვალდებულებების შეფასებისა და კლასიფიკაციის მოთხოვნებს. თუმცა, ის აუქმებს ბასს 39-ის, დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივების, სესხებისა და მოთხოვნების და გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიებს.

ფასს 9-ის ფარგლებში, პირველადი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე, როგორც ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფასს 9-ის ფარგლებში ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ზოგადად ეფუძნება ბიზნეს მოდელს, რომლის ფარგლებშიც იმართება ფინანსური აქტივი და ასევე მის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები გამოიყენება ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასებისას.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები	ეს აქტივები შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით (იხილეთ (ii) ქვემოთ). საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარებდა მოგებაში ან ზარალში.

ფასს 9-ის მიღების გავლენა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებზე 2018 წლის 1 იანვრისთვის უკავშირდება მხოლოდ ახალი გაუფასურების მოთხოვნებს, როგორც აღწერილია ქვემოთ.

(ii) ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9 ანაცვლებს ბასს 39-ის „გაწეული ზარალის“ მოდელს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ მოდელით. ახალი გაუფასურების მოდელი გამოიყენება ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებზე, სახელშეკრულებო აქტივებზე. ფასს 9-ის მიხედვით, საკრედიტო ზარალები აღიარდება უფრო ადრე ვიდრე ბასს 39-ის მიხედვით.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები შედგება სავაჭრო მოთხოვნებისაგან და ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისაგან.

ფასს 9-ს მიხედვით, ზარალის რეზერვები აღირიცხება შემდეგიდან ერთ-ერთის მიხედვით:

- 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი: ეს არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც დგება ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისაგან საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის ვადაში; და
- არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი: ეს არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც დგება ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისაგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების პერიოდის მანძილზე.

კომპანიამ გადაწყვიტა სავაჭრო მოთხოვნებისთვის ზარალის რეზერვები შეეფასებინა არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისათვის, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს, როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ, როდესაც:

- არ არის სავარაუდო რომ კლიენტი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტია ვადაგადაცილებული.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალების ალბათობით შეწონილი შეფასება. საკრედიტო ზარალები ანგარიშდება, როგორც ყველა ფულადი დანაკლისის (სხვაობა ხელშეკრულების მიხედვით კომპანიის მიერ მისაღებ ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია) მიმდინარე ღირებულება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირდება ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გაუფასურების წარდგენა

ზარალის რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას.

(iii) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი თავდაპირველად სესხებს და მოთხოვნებს აღიარებს მათი წარმოშობის თარიღში. ყველა სხვა ფინანსური აქტივის და ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება ვაჭრობის თარიღში, როდესაც ჯგუფი ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივებში, რომელიც შექმნილი ან შენარჩუნებულია ჯგუფის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც ჯგუფს აქვს იურიდიული უფლება, რომ ურთიერთგადაფაროს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

(iv) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები და ჰეჯირების აღრიცხვა

უცხოურ სავალუტო რისკზე დაქვემდებარებების ჰეჯირებისთვის ჯგუფი წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს ფლობს. ხელშეკრულებაში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები განცალკევდება ძირითადი ხელშეკრულებიდან და აღირიცხება ცალკე თუ ძირითადი ხელშეკრულება არ წარმოადგენს ფინანსურ აქტივს და კონკრეტული კრიტერიუმები არის დაკმაყოფილებული.

წარმოებული ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, წარმოებული ინსტრუმენტები ფასდება სამართლიანი ღირებულებით, და მასში მომხდარი ცვლილებები როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(v) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება კაპიტალის სახით. დამატებითი ხარჯები პირდაპირ უკავშირდება ჩვეულებრივი აქციების და აქციის ოფციონების გამოშვებას და აღიარდება როგორც გამოქვითვა კაპიტალიდან, ნებისმიერი საგადასახადო გავლენის გამოკლებით.

(l) გაუფასურება

არაფინანსური აქტივები

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების და გადავადებული საგადასახადო აქტივების გარდა) გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულება ფასდება ყოველ წელს ერთსა და იმავე დროს.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოდინებებისგან.

ჯგუფის კორპორატიული აქტივები არ ქმნიან ცალკეულ ფულადი ნაკადების შემოდინებებს და გამოიყენებიან ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები განაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე დასაბუთებულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემოწმების ნაწილის სახით რომელსაც კორპორატიული აქტივი მიეკუთვნება. ბიზნეს შერწყმის შედეგად შეძენილი გუდვილი ნაწილდება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფებზე რომლებიც მოსალოდნელია რომ მიიღებენ სარგებელს შერწყმის სინერგიებიდან.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის და მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება თავდაპირველად ნებისმიერი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულზე განაწილებული გუდვილის საბალანსო ღირებულებაზე და ამცირებს მას, და შემდეგ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე წილობრივ საფუძველზე, და ამცირებს მას.

გუდვილის გაუფასურების ზარალი არ არის აღდგენადი. წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, ნებისმიერ მინიშნებაზე იმისა, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრებაში გამოყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგენას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით), რაც იქნებოდა განსაზღვრული გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(m) საკრედიტო ვალდებულებები

ჯგუფი მიიჩნევს, რომ ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები, რომლის მხარეც გახდა ჯგუფი სხვა მხარეების დავალიანების გარანტირების მიზნით, წარმოადგენენ სადაზღვევო გარიგებებს და შესაბამისად აღრიცხავს მათ. ამასთან დაკავშირებით, ჯგუფი საგარანტიო ხელშეკრულებას აღრიცხავს, როგორც პირობით ვალდებულებას იმ დრომდე, სანამ ჯგუფიდან საგარანტიო თანხების გადინება სავარაუდო გახდება.

(n) იჯარები

ჯგუფმა ფასს 16 "იჯარების" გამოყენება 2019 წლის 1 იანვრიდან დაიწყო. ჯგუფი ირჩევს გამოიყენოს ერთიანი, საბალანსო იჯარების აღრიცხვის მოდელი მოიჯარეებისთვის. შედეგად, ჯგუფი როგორც მოიჯარე, აღიარებს აქტივებს გამოყენების უფლებით, რაც წარმოადგენს საიჯარო აქტივების და საიჯარო ვალდებულებების გამოყენების უფლებას, რაც ჯგუფის მიერ საიჯარო გადახდების განხორციელების ვალდებულებას ასახავს. მეიჯარეს აღრიცხვა რჩება მსგავსი ადრე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკებისა.

ჯგუფი აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივი გამოყენების უფლებით თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით და შემდგომ, თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით, და კორექტირებული საიჯარო ვალდებულებების კონკრეტული გადაფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი დაწყების თარიღისათვის, დისკონტირებული იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა დროულად ვერ ხერხდება, ჯგუფის ზღვრული სასესხო განაკვეთით. როგორც წესი, ჯგუფი დისკონტირების განაკვეთად მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს იყენებს.

საიჯარო ვალდებულება შემდგომ გაზრდილია საპროცენტო ხარჯით საიჯარო ვალდებულებაზე და შემცირებულია განხორციელებული საიჯარო გადახდებით. ის გადაფასებულია როდესაც არსებობს ცვლილება სამომავლო საიჯარო გადახდებში, რომელიც წარმოიშვა შემდეგის ცვლილების შედეგად: ინდექსის ან განაკვეთის ცვლილება, ცვლილება შეფასებაში იმ ოდენობისა, რომელიც მოსალოდნელია, რომ იქნება გადასახდელი ნარჩენი ღირებულების გარანტიის ფარგლებში, ან შესაბამისობის შემთხვევაში, ცვლილებები შეფასებაში იმისა გონივრულად მოსალოდნელია თუ არა, რომ შესყიდვის ან გახანგრძლივების შესაძლებლობა იქნება გამოყენებული, ან გონივრულად მოსალოდნელია რომ შეწყვეტის შესაძლებლობა არ იქნება გამოყენებული.

საიჯარო ვადა ასახავს ჯგუფის გონივრულ შეფასებას იმ პერიოდისა, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის განსაზღვრისას ჯგუფი აფუძნებს მის მსჯელობას კონტრაქტის და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე, რაც იძლევა საშუალებას, რომ ფაქტორები როგორებიცაა ეკონომიკური ჯარიმები, საკანონმდებლო მიდგომა იჯარის განახლებაზე, მოსალოდნელი ცვლილებები რეგულაციაში და ჯგუფის სამომავლო ბიზნეს გეგმები ეფექტურად იყოს ასახული საიჯარო ვადის შეფასებაში.

(o) სეგმენტის ანგარიშგება

საოპერაციო სეგმენტი არის ჯგუფის შემადგენელი ნაწილი, რომელსაც უკავია ბიზნესის ისეთი ნაწილი, სადაც ეწევა ხარჯებს და შესაძლებელია ამონაგების მიღება (იმ ამონაგებისა და ხარჯების ჩათვლით, რომელიც დაკავშირებულია ჯგუფის სხვა კომპონენტებთან); რომლის საოპერაციო შედეგებს რეგულარულად იხილავს საწარმოში საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი, ამ სეგმენტზე რესურსების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად და მისი საქმიანობის შედეგების შესაფასებლად და რომლისთვისაც ცალკე ფინანსური ინფორმაცია არის ხელმისაწვდომი.

სეგმენტის ყველა კაპიტალური დანახარჯი წარმოადგენს წლის განმავლობაში ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესაძენად გაწეული ხარჯების ჯამს.

28. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც 2024 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა ჯგუფს ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შესწორებული აღრიცხვის სტანდარტები მიღებული წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

(a) ფასს 18 წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში

ფასს 18 ჩაანაცვლებს ბასს 1-ს „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ და გამოყენებული იქნება 2027 წლის 1 იანვრიდან და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ახალ სტანდარტს შემოაქვს შემდეგი ძირითადი ახალი მოთხოვნები.

- საწარმოებს მოეთხოვებათ მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში ყველა შემოსავალი და ხარჯი ხუთ კატეგორიაში გაანაწილონ, კერძოდ, საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, შეწყვეტილი ოპერაციები და მოგების გადასახადის კატეგორიები. საწარმოებმა ასევე უნდა წარმოადგინონ ახლადგანსაზღვრული საოპერაციო მოგების ჯამი. საწარმოების წმინდა მოგება არ შეიცვლება.
- ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული ეფექტურობის მაჩვენებლები (MPM) წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში ერთ შენიშვნაში.
- მოწოდებულია დეტალური ინსტრუქცია ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის დაჯგუფების შესახებ.

ამასთანავე, ყველა საწარმოს მოეთხოვება ფულადი ნაკადების ანგარიშგების საწყის წერტილად საოპერაციო მოგების ჯამის გამოყენება, საოპერაციო ფულადი ნაკადების არაპირდაპირი მეთოდით წარდგენისას.

ჯგუფი ჯერ კიდევ ახალი სტანდარტის გავლენის შეფასების პროცესშია, კერძოდ ჯგუფის მოგების ან ზარალის და ფულადი ნაკადების ანგარიშგების და ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული ეფექტურობის მაჩვენებლების მიზნებისთვის მოთხოვნილი დამატებითი განმარტებითი შენიშვნების სტრუქტურასთან დაკავშირებით. ჯგუფი ასევე აფასებს გავლენას იმაზე, თუ როგორ ხდება ინფორმაციის დაჯგუფება ფინანსურ ანგარიშგებაში, მათ შორის ამჟამად „სხვა“ კატეგორიაში შეტანილი მუხლებისთვის.

(b) აღრიცხვის სხვა სტანდარტები

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და შესწორებული სტანდარტები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- *გაცვლის საშუალების არარსებობა (ბასს 21-ის შესწორებები).*
- *ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება (ფასს 9-ის და ფასს 7 -ის კორექტირებები).*

29. შემდგომი მოვლენები

2025 წლის 21 იანვარს, კომპანიამ დაარსა ახალი შვილობილი კომპანია სს “სილქ ქლაუდი”, 100%-იანი საკუთრების წილით, შვილობილ კომპანიას აქვს 200,000 გამოშვებული აქცია, თითოეული ნომინალური ღირებულებით 1 ლარი.

განმარტებები

ქვემოთ მოცემულია ანგარიშში გამოყენებული ტერმინებისა და აბრევიატურების მნიშვნელობების განმარტება:

აბონენტები	აბონენტების ჯამური რაოდენობა, რომლებმაც შესაბამის თვეში კომპანიის მომსახურებით ერთხელ მიანც ისარგებლეს ან თანხა გადაიხადეს
დღგ	დამატებითი ღირებულების გადასახადი
თანამშრომლების ბრუნვა	წასული თანამშრომლების რაოდენობა/თანამშრომლების საშუალო რაოდენობა პერიოდში
თანამშრომლების შენარჩუნების კოეფიციენტი	თანამშრომლების რაოდენობა სრულ პერიოდში/თანამშრომლების რაოდენობა პერიოდის დასაწყისში
კომისია	კომუნიკაციების კომისია
კომპანია	სს „სილქნეტი“
მშპ	მთლიანი შიდა პროდუქტი
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
სებ-ი	საქართველოს ეროვნული ბანკი
„სილქნეტი“	სს „სილქნეტი“ შვილობილებთან ერთად
ჯგუფი	სს „სილქნეტი“ შვილობილებთან ერთად
ADSL	asymmetric digital subscriber line
ARPU	average revenue per user, per month, excluding VAT (საშუალო შემოსავალი თითო მომხმარებელზე, თვეში, დღგ-ს გარეშე)
Bpmn	business process model and notation
B2B	business to business
B2C	business to consumer
BSS	business support system
CAGR	compounded annual growth rate
CPE	customer premises equipment
CRM	customer relations management
CS	circuit switched
DCFTA	Deep and Comprehensive Free Trade Area
DSL	digital subscriber line
DWDM	dense wavelength division multiplexing
E1	a type of carrier system developed for digital transmission of many simultaneous telephone calls by time-division multiplexing
(E)GPRS	enhanced GRPS
ERP	enterprise resource planning
ESG	environmental, social and governance
FBB	ფიქსირებული ფართოზოლოვანი კავშირი
FTTH	Fibre-to-the-home
GGSN	gateway GPRS support node
GPON	gigabit passive optical network
GPRS	general packet radio service
HLR	home location register
HoReCa	სასტუმროების, რესტორნებისა და კვების სექტორი
HSPA	high speed packet access
HSS	home subscriber server
IP	internet protocol
IPTV	internet protocol television
IRU	indefeasible right to use
ISDN	integrated services digital network
LIBOR	the London Inter-bank offered rate
LTE / LTE(A)	Long-term evolution / long-term evolution advanced
MGW	media gateway
MME	mobility management entity
MNO	mobile network operator
MPLS	multiprotocol label switching
MPBN	mobile packet backbone network
MSC	mobile switching centre
MVNO	mobile virtual network operator
MW	microwave
NBG	the National Bank of Georgia
NGG	National Geographic Georgia
NPVR	network personal video recorder
OSS	operations support system
OTT	over-the-top
P2P	point-to-point
PE	provider edge
PGW	packet data network gateway
PRI	primary rate interface
PSTN	public switched telephone network
PS	packet switched
RAN	Radio access network
SGSN	Serving GPRS Support Node
SIM	subscriber identity module
SMS	short message service
SRG	Silk Road Group
VOD	Video on demand
VOIP	Voice-over-internet-protocol
WWSF	Wounded Warriors Support Foundation

გაფრთხილება

წინამდებარე წლიური ანგარიში მომზადებულია სააქციო საზოგადოება „სილქნეტის“ („კომპანია“) მიერ. მასში ასახული ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე და წარსული საქმიანობა არ მიუთითებს სამომავლო შედეგებზე. წლიურ ანგარიშში არსებული ინფორმაციის სიზუსტესა ან სისრულესთან დაკავშირებით არცერთ პირს არ შეიძლება ჰქონდეს რაიმეს მოთხოვნის უფლება (გარდა თაღლითობის შემთხვევისა) კომპანიის ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. წლიური ანგარიში შეიცავს პროგნოზებსა და მომავალზე ორიენტირებულ განცხადებებს. სიტყვები „გვჯერა“, „იმედი გვაქვს“, „ველით“, „გვსურს“, „ვგეგმავთ“ და სხვა მსგავსი გამონათქვამები წარმოადგენს მომავალზე ორიენტირებულ განცხადებებს. წლიურ ანგარიშში ასახული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს ისტორიულ ფაქტს, მათ შორის, განცხადებები, რომლებიც ეხება კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას, ბიზნესსტრატეგიას, გეგმებსა და ამოცანებს, წარმოადგენს მომავალზე ორიენტირებულ განცხადებებს. ამგვარი, მომავალზე ორიენტირებული განცხადებები მოიცავს ცნობილ და უცნობ რისკებს, გაურკვევლობებსა და სხვა ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ კომპანიის რეალური შედეგები, საქმიანობა ან მიღწევები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ნებისმიერი იმ სამომავლო შედეგისგან, საქმიანობისა ან მიღწევისგან, რომელიც ასახულია ან ნაგულისხმევია მომავალზე ორიენტირებულ განცხადებებში. ამგვარი, მომავალზე ორიენტირებული განცხადებები ეფუძნება არაერთ დაშვებას, რომელიც შეეხება კომპანიის ამჟამინდელ და სამომავლო ბიზნესსტრატეგიებსა და იმ გარემოს, რომელშიც კომპანია მომავალში განაგრძობს საქმიანობას. ამასთანავე, ზოგიერთი, მომავალზე ორიენტირებული განცხადება ეფუძნება დაშვებებს სამომავლო მოვლენების შესახებ, რომლებიც შეიძლება არ აღმოჩნდეს ზუსტი. წინამდებარე დოკუმენტში მომავალზე ორიენტირებული განცხადებები ასახულია მხოლოდ წლიური ანგარიშის მომზადების თარიღისთვისდაკომპანიაარილებსპასუხისმგებლობას, განაახლოს ან ხელმისაწვდომი გახადოს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია მომავალზე ორიენტირებულ განცხადებებთან დაკავშირებით. წლიური ანგარიშის შინაარსი დამოუკიდებლად არ შემოწმებულა კომპანიის მიერ, ან მისი დაკვეთით, ან ნებისმიერი სხვა დამოუკიდებელი მესამე პირის მიერ. კომპანია, ნებისმიერი მასთან დაკავშირებული პირი, ან მისი, ან მასთან დაკავშირებული პირის ნებისმიერი აქციონერი, დირექტორი, თანამდებობის პირი ან დასაქმებული არ აკეთებს რაიმე სახის განცხადებას, გასცემს გარანტიას ან იღებს ვალდებულებას, პირდაპირ ან არაპირდაპირ და არ უნდა მოხდეს წლიურ ანგარიშში მოცემული ინფორმაციის ან მოსაზრებების სამართლიანობაზე, სიზუსტეზე, სისრულესა ან სისწორეზე დაყრდნობა. კომპანია, მისი ნებისმიერი აქციონერი, დირექტორი, თანამდებობის პირი, დასაქმებული, მასთან დაკავშირებული პირი, მრჩეველი ან წარმომადგენელი არ არის რაიმე სახით პასუხისმგებელი (გაუფრთხილებლობით ან სხვაგვარად) ნებისმიერი ზიანისთვის, რომელიც რაიმე სახით გამომდინარეობს წინამდებარე წლიური ანგარიშის გამოყენებიდან ან მისი შინაარსიდან, ან სხვაგვარადაა დაკავშირებული წლიურ ანგარიშთან. წინამდებარე წლიური ანგარიში არ ისახავს მიზნად, შეიცავდეს ყველა ინფორმაციას, რომელიც შეიძლება საჭირო იყოს მიმღებისათვის რაიმე შეფასების განსახორციელებლად. წლიურ ანგარიშში ინფორმაცია ასახულია მისი მომზადების თარიღისათვის და წლიური ანგარიშის ყოველ შემდგომ ვერსიას ექნება უპირატესობა წინამდებარე ვერსიასთან შედარებით.

2025 წლის 29 სექტემბერს გამოცემული მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად და თანხვედრაშია 2025 წლის 08 აპრილს გამოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

დავით მამულაიშვილი

გენერალური დირექტორი

29 სექტემბერი 2025

2025 წლის 29 სექტემბერს გამოცემული მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად და თანხვედრაშია 2025 წლის 08 აპრილს გამოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

დავით მამულაიშვილი

გენერალური დირექტორი

29 სექტემბერი 2025

სს "სილქნეტი"

2024 წლის
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	12

შპს "KPMG Georgia"
მე-5 სართული, GMT პლაზა
მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი N4 (ნაკვეთი 66/4)
თბილისი, საქართველო 0105
IN 404437695
ტელეფონი +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „სილქნეტის“ აქციონერს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს "სილქნეტის" (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში "ჯგუფი") კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ -ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებული მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვთქვამთ.

შპს „KPMG Georgia“, კომპანია რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited.

შემოსავლის აღიარება

აუდიტის ძირითადი საკითხი	შესაბამისი აუდიტორული პროცედურები
საბილინგო სისტემაში გენერირებული შემოსავალი ("საბილინგო შემოსავალი") (518 მილიონი ლარი, რომელიც შეტანილია მთლიან შემოსავალში, შენიშვნა 7) წარმოადგენს არსებით თანხას, რომელიც შედგება ინდივიდუალურად დაბალი ღირებულების მქონე გარიგებების დიდი მოცულობისგან. ჯგუფი საბილინგო სისტემას შემოსავლის გამოსათვლელად იყენებს; შემოსავლების შესახებ ინფორმაცია მანუალურად არის გადატანილი საბილინგო სისტემიდან ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამაში. შესაბამისად, ჯგუფი საბილინგო სისტემის მიერ დამუშავებულ მონაცემებს ეყრდნობა. ავტომატიზირებული გარიგებების დიდი მოცულობა, ასევე მანუალური დამუშავების გარკვეული დონის მქონე საბილინგო სისტემის სირთულე, ჯგუფის შემოსავლის მიზანმიმართულად გაზრდის თანდაყოლილ რისკთან ერთად (რათა ჯგუფმა უკეთესი ფინანსური შედეგები აჩვენოს), განაპირობებს იმას, რომ შემოსავლის აღიარების მანიპულირება აუდიტის კონცენტრაციის სფეროს და შესაბამისად, აუდიტის ძირითად საკითხს წარმოადგენს.	აუდიტის ძირითადი საკითხის გადასაჭრელად, ჩვენ ჩავატარეთ შემდეგი ძირითადი აუდიტორული პროცედურები: – ჩვენი საკუთარი IT სპეციალისტების დახმარებით, შევაფასეთ კომპიუტერული პროგრამების ძირითადი შიდა ავტომატიზირებული კონტროლის მექანიზმების და დაკავშირებული ზოგადი IT კონტროლის მექანიზმების სტრუქტურა და ჩავატარეთ მათი საოპერაციო ეფექტურობის ტესტირება; – შევაფასეთ საბილინგო სისტემაში შეტანილ მონაცემებზე შიდა მანუალური კონტროლის მექანიზმების სტრუქტურა და ჩავატარეთ მისი საოპერაციო ეფექტურობის ტესტირება; – მოვახდინეთ საბილინგო სისტემის მიხედვით შემოსავლის შეჯერება საბუღალტრო პროგრამასთან და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; – მოვახდინეთ შემოსავლის შეჯერება (დაკავშირებულ, მოთხოვნების და დეპოზიტების ნაშთებში ცვლილებების გავლენის გათვალისწინებით) პირდაპირ ბანკებისგან მიღებულ საბანკო გადახდების რეესტრთან; – ძირითადი ამოსავალი მონაცემების გამოყენებით (როგორიც არის ტარიფები, აბონენტთა რაოდენობა, ტრაფიკის მოცულობა) შერჩევით საფუძველზე გადავიანგარიშეთ შემოსავალი და შედეგები შემოსავლის აღრიცხულ ოდენობებს შევადარეთ. ჩვენ შევამოწმეთ ამოსავალი მონაცემების სანდოობა შესაბამისი ავტომატიზირებული კონტროლის მექანიზმების ტესტირების და შერჩევით საფუძველზე, შიდა და გარე დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან შედარების გზით; – მოვახდინეთ საბილინგო სისტემაში მანუალური კორექტირებების ტესტირება, შერჩევით საფუძველზე, შესაბამისი შიდა დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმების და კორექტირებების ფასს აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების გზით. – ჩავატარეთ ანალიტიკური პროცედურები შემოსავლის ძირითად წყაროებთან მიმართებაში ძირითად ამოსავალ მონაცემებთან დაკავშირებით მოლოდინების შემუშავების გზით და შევადარეთ ჩვენი მოლოდინები შემოსავლის აღრიცხულ ოდენობებს. ჩვენ შევამოწმეთ ამოსავალი მონაცემების სანდოობა შესაბამისი ავტომატიზირებული კონტროლის მექანიზმების ტესტირების და შერჩევით საფუძველზე, შიდა და გარე დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემოწმების გზით;

შემოსავლის აღიარება	
აუდიტის ძირითადი საკითხი	შესაბამისი აუდიტორული პროცედურები
	– ჩვენს აუდიტორულ მიდგომაში არაპროგნოზირებადობის ელემენტის შემოტანის მიზნით, პირდაპირ დავუკავშირდით კლიენტებს, შერჩევით საფუძველზე და მათი სატარიფო გეგმები საბილინგო სისტემას შევადარეთ.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს, ჯგუფის წლიურ ანგარიშს და მმართველობით ანგარიშს, რომელიც მომზადებულია კანონმდებლობით დადგენილი მიზნებისთვის. სხვა ინფორმაცია არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს აუდიტორის დასკვნას აღნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. სხვა ინფორმაცია ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის გაცემის თარიღის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არ გავცემთ მასთან დაკავშირებით არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას.

ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენ მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული სხვა ინფორმაციის გაცნობას, როდესაც ის ხელმისაწვდომი გახდება და განსაზღვრას, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან შეიცავს თუ არა ის არსებით უზუსტობებს.

კანონმდებლობით დადგენილი მიზნებისთვის მომზადებული მმართველობითი ანგარიშის გაცნობის შემდეგ, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმასთან დაკავშირებით, მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება თუ არა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და მოიცავს თუ არა არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს თუ არა ყველა ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებულებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ სსს-ების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებითი უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

სსს-ს შესაბამისად, აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

- ვგეგმავთ და ვატარებთ ჯგუფის აუდიტს, რათა მივიღოთ საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულება ჯგუფის შიგნით არსებული საწარმოების ან ბიზნეს ერთეულების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოსაზრების გამოხატვის საფუძვლის სახით. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჯგუფის აუდიტის მიზნებისთვის ჩატარებული აუდიტორული სამუშაოს ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და მიმოხილვაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის გამჟღავნება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის გამჟღავნება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ვახტანგ კეჟერაძე

შპს "KPMG Georgia"
8 აპრილი 2025 წელი

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის გამჟღავნება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის გამჟღავნება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით გაწპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ვახტანგ კეჟერაძე

შპს "KPMG Georgia"
8 აპრილი 2025 წელი

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	348,460	347,604
არამატერიალური აქტივები	13	157,995	179,262
საინვესტიციო ქონება	14	78,871	70,462
აქტივები გამოყენების უფლებით	20	13,667	22,875
სხვა გრძელვადიანი აქტივები	12(b)	35,023	34,794
IRU* ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წინასწარი გადახდები		7,225	8,010
სულ გრძელვადიანი აქტივები		**641,241**	**663,007**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	15	9,843	11,470
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები	22(iii)	2,674	-
IRU ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წინასწარი გადახდები		2,173	2,173
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	38,926	37,565
სადეპოზიტო სერტიფიკატები	17(a)	18,362	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	17	160,784	144,614
სულ მოკლევადიანი აქტივები		**232,762**	**195,822**
სულ აქტივები		**874,003**	**858,829**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი	18		
სააქციო კაპიტალი		84,056	84,056
გაუნაწილებელი მოგება		50,632	27,656
კომპანიის მესაკუთრეზე მიკუთვნებადი კაპიტალი		**134,688**	**111,712**
არამაკონტროლებელი წილები		(69)	(119)
სულ კაპიტალი		**134,619**	**111,593**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	19	553,655	529,658
საიჯარო ვალდებულებები	20	3,464	15,487
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	39,760	40,401
IRU ხელშეკრულებებიდან და აბონენტებისგან მიღებული ავანსები	21	11,480	11,946
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**608,359**	**597,492**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	19	19,566	21,176
საიჯარო ვალდებულებები	20	14,845	13,445
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	69,144	88,724
IRU ხელშეკრულებებიდან და აბონენტებისგან მიღებული ავანსები	21	27,470	26,399
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**131,025**	**149,744**
სულ ვალდებულებები		**739,384**	**747,236**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**874,003**	**858,829**

*ხელშეუვალი სარგებლობის უფლებით

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 12-54 გვერდებზე

'000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი:			
კომერციული შემოსავალი	7	530,073	487,851
ოპერატორებისგან მიღებული შემოსავალი	7	51,897	48,582
		581,970	**536,433**
ხარჯები და გასავლები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		(114,822)	(118,737)
ხელფასები და სარგებელი	9	(88,244)	(92,300)
შეძენილი მომსახურება	8	(48,255)	(54,855)
სხვა ხარჯები	10	(25,547)	(20,999)
ქსელის მართვისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები		(20,271)	(18,480)
ურთიერთჩართვის საფასური და როუმინგის ხარჯი		(16,704)	(16,978)
Pay TV კონტენტის თვითღირებულება		(9,368)	(8,815)
რეკლამა და მარკეტინგი		(6,601)	(7,246)
ინფრასტრუქტურული სიმძლავრის იჯარა, IRU და საიჯარო ხარჯები		(7,702)	(6,736)
სიმ ბარათების, სასაუბრო ბარათებისა და სხვა გაყიდვების ხარჯები		(1,839)	(2,085)
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	14	5,333	6,724
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		**247,950**	**195,926**
ფინანსური შემოსავალი	6	17,172	12,144
ფინანსური ხარჯები	6	(57,890)	(54,072)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა (ზარალი)/შემოსულობა	6	(12,990)	357
წმინდა ფინანსური ხარჯები		**(53,708)**	**(41,571)**
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**194,242**	**154,355**
მოგების გადასახადის ხარჯი		(216)	(258)
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		**194,026**	**154,097**
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც უკავშირდება:			
კომპანიის მესაკუთრეს		193,976	154,044
არამაკონტროლებელ წილებს		50	53
		194,026	**154,097**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 8 აპრილს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

დავით მამულაიშვილი	ლილი ფშავლიშვილი
გენერალური დირექტორი	ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 12-54 გვერდებზე.

'000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი:			
კომერციული შემოსავალი	7	530,073	487,851
ოპერატორებისგან მიღებული შემოსავალი	7	51,897	48,582
		581,970	**536,433**
ხარჯები და გასავლები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		(114,822)	(118,737)
ხელფასები და სარგებელი	9	(88,244)	(92,300)
შეძენილი მომსახურება	8	(48,255)	(54,855)
სხვა ხარჯები	10	(25,547)	(20,999)
ქსელის მართვისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები		(20,271)	(18,480)
ურთიერთჩართვის საფასური და როუმინგის ხარჯი		(16,704)	(16,978)
Pay TV კონტენტის თვითღირებულება		(9,368)	(8,815)
რეკლამა და მარკეტინგი		(6,601)	(7,246)
ინფრასტრუქტურული სიმძლავრის იჯარა, IRU და საიჯარო ხარჯები		(7,702)	(6,736)
სიმ ბარათების, სასაუბრო ბარათებისა და სხვა გაყიდვების ხარჯები		(1,839)	(2,085)
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	14	5,333	6,724
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		**247,950**	**195,926**
ფინანსური შემოსავალი	6	17,172	12,144
ფინანსური ხარჯები	6	(57,890)	(54,072)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა (ზარალი)/შემოსულობა	6	(12,990)	357
წმინდა ფინანსური ხარჯები		**(53,708)**	**(41,571)**
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**194,242**	**154,355**
მოგების გადასახადის ხარჯი		(216)	(258)
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		**194,026**	**154,097**
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი, რომელიც უკავშირდება:			
კომპანიის მესაკუთრეს		193,976	154,044
არამაკონტროლებელ წილებს		50	53
		194,026	**154,097**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 8 აპრილს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

დავით მამულაიშვილი	ლილი ფშავლიშვილი
გენერალური დირექტორი	ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 12-54 გვერდებზე.

'000 ლარი	კომპანიის მესაკუთრეებზე მიკუთვნებადი					
	საქციო კაპიტალი	დამატებით გადახდილი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ (დაგროვილი ზარალები)	სულ	არამაკონტროლებელი წილები	სულ კაპიტალი
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	**84,056**	**-**	**27,656**	**111,712**	**(119)**	**111,593**
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	-	193,976	193,976	50	194,026
დივიდენდები (შენიშვნა 18(c))	-	-	(171,000)	(171,000)	-	(171,000)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	**84,056**	**-**	**50,632**	**134,688**	**(69)**	**134,619**
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	**84,056**	**8,026**	**(6,214)**	**85,868**	**(172)**	**85,696**
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	-	154,044	154,044	53	154,097
დივიდენდები (შენიშვნა 18(c))	-	-	(128,200)	(128,200)	-	(128,200)
დამატებით გადახდილი კაპიტალის რეკლასიფიკაცია გაუნაწილებელ მოგებაში (შენიშვნა 18(b))	-	(8,026)	8,026	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**84,056**	**-**	**27,656**	**111,712**	**(119)**	**111,593**

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 12-54 გვერდებზე.

'000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
აბონენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		623,217	572,595
სხვა სატელეკომუნიკაციო ოპერატორებისგან და IRU ხელშეკრულებებისთვის მიღებული ფულადი სახსრები		35,375	31,424
დასაქმებულებზე და მათი სახელით გადახდილი ხელფასები და სარგებელი		(83,283)	(72,856)
ურთიერთჩართვის საფასურები და სხვა გადახდილი ხარჯები		(10,363)	(9,845)
მარაგების შეძენა		(11,892)	(11,103)
გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		(83,063)	(73,216)
გადახდილი მოგების გადასახადი		(191)	(244)
გადახდილი, ქსელის მართვისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები		(17,202)	(15,815)
სხვა გადახდილი საოპერაციო ხარჯები		(95,221)	(85,313)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**357,377**	**335,627**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების და სხვა გრძელვადიანი აქტივების შეძენა		(106,489)	(92,141)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა		2,306	503
სადეპოზიტო სერტიფიკატების შეძენა		(17,808)	-
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა		-	(32,052)
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები		-	33,518
მიღებული პროცენტი		15,352	10,543
შვილობილი კომპანიის შეძენა		-	(1,021)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(106,639)**	**(80,650)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან			
გადახდილი დივიდენდები		(171,000)	(130,376)
გადახდილი პროცენტი		(49,975)	(51,112)
ევროობლიგაციის კოვენანტის მოდიფიცირებაზე გაწეული ხარჯები		(3,889)	-
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		(13,344)	(10,766)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	19(c)	**(238,207)**	**(192,254)**
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		3,639	(3,017)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		**16,170**	**59,706**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	17	144,614	84,908
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	17	**160,784**	**144,614**

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 12-54 გვერდებზე.

1. ანგარიშვალდებული საწარმო

(a) საქართველოს ბიზნეს გარემო

ჯგუფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად, ჯგუფზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი განსხვავებულ ინტერპრეტაციებს ექვემდებარებიან და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, ხელს უწყობს გამოწვევებს, რომელიც საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების წინაშეა.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. ბიზნეს გარემო მომავალში შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სს „სილქნეტის“ (შემდგომში „კომპანია“), (რეგისტრაციის ნომერი: 204566978), და მისი შვილობილი კომპანიების (შენიშვნა 25) ფინანსურ ანგარიშგებას (ერთად მოხსენიებული როგორც „ჯგუფი“, ხოლო ცალ-ცალკე „ჯგუფის საწარმოები“). მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, კომპანია და მისი ძირითადი შვილობილი კომპანიები შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს და სააქციო საზოგადოებებს წარმოადგენენ და ისინი რეგისტრირებული და დაფუძნებული არიან საქართველოში. 2018 წელს, ჯგუფმა შეიძინა საქართველოს სიდიდით მეორე მობილური ოპერატორის, შპს "ჯეოსელის" ("ჯეოსელი") 100%-იანი საკუთრების წილი და შემდგომ მასთან გაერთიანდა.

კომპანიის იურიდიული მისამართია წინამძღვრიშვილის ქ. №95, თბილისი, 0112 საქართველო.

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოში კორპორატიული და ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის სატელეკომუნიკაციო მომსახურების გაწევა, რაც მოიცავს ფიქსირებულ და მობილურ სატელეფონო მომსახურებებს, მობილურ ინტერნეტს, ფიქსირებულ ინტერნეტს, pay TV მომსახურებას, SMS მომსახურებას (მოკლე ტექსტური შეტყობინება) და სხვა საბითუმო მომსახურებას. ჯგუფი წარმართავს თავის საქმიანობას ორ საოპერაციო სეგმენტად (იხ. შენიშვნა 5): ფიქსირებული მომსახურება და მობილური მომსახურება.

კომპანია შეფასებულია ორი სარეიტინგო სააგენტოს მიერ გრძელვადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგით ‘B+’ სტაბილური სამომავლო პერსპექტივით და ‘B1’, სტაბილური სამომავლო პერსპექტივით, „Fitch“-ის და „Moody's“-ის მიერ, შესაბამისად.

კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანიაა შპს "სილქნეტ ჰოლდინგი". კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანიაა „სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგ (მალტა) ლიმიტედი" - ფიზიკური პირის, გიორგი რამიშვილის მიერ კონტროლირებული საწარმო.

2. აღრიცხვის საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს აღრიცხვის სტანდარტები“) სრულ შესაბამისობაში.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ჯგუფის საწარმოების სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობებზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისაგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვები აღიარებულია პერსპექტიულად.

ინფორმაცია იმ დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობების შესახებ, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი ცვლილებების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს ატარებენ, განხილულია შენიშვნაში 14 - საინვესტიციო ქონების შეფასება.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 20 - საიჯარო ვადის განსაზღვრა;
- შენიშვნა 21 და 27(g) (h) - ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები;
- შენიშვნა 21 და 27(g) (h) - ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების აღიარება; და
- შენიშვნა 24(b) - უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურების გამოთვლა

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

ჯგუფის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტება მოითხოვს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა განმარტებისა და შეფასების მიზნებისათვის. სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 14 - საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება;
- შენიშვნა 22 (a) - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება.

5. საოპერაციო სეგმენტები

ჯგუფი წარმართავს თავის საქმიანობას ორ საოპერაციო სეგმენტად: ფიქსირებული მომსახურება და მობილური მომსახურება. ჯგუფი ნებაყოფლობით წარადგენს მედია მომსახურებას, რომელსაც შპს "სილქ მედია" მართავს ("Euronews Georgia"-ს მმართველი საწარმო - უფასო ახალი ამბების არხი). შპს "სილქ მედია" არ კვალიფიცირდება, როგორც ცალკეული საოპერაციო სეგმენტი, ფასს 8 "საოპერაციო სეგმენტები"-ს მიხედვით; თუმცა, ის წარმოდგენილია ქვემოთ განცალკევებით, რათა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებმა მედია მომსახურების ფინანსური საქმიანობის შედეგები განცალკევებით აღიქვან. ჯგუფის შემოსავლების ძირითადი ნაწილი გენერირდება საქართველოში, ამიტომ გეოგრაფიულ მდებარეობაზე ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი. ინფორმაცია თითოეულ ანგარიშვალდებულ სეგმენტზე წარმოდგენილია ქვემოთ.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ თითოეული საოპერაციო სეგმენტის შედეგების შესაფასებლად ყველაზე რელევანტური არის შემოსავლების, საოპერაციო მოგების, აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის წარდგენა.

სეგმენტის წლიური საოპერაციო მოგება/(ზარალი) გამოიყენება ეფექტურობის შესაფასებლად, რადგან ხელმძღვანელობა თვლის, რომ ასეთი ინფორმაცია ყველაზე შესაფერისია გარკვეული სეგმენტების შედეგების სხვა, ამავე ინდუსტრიაში მოღვაწე საწარმოებთან მიმართებაში შესაფასებლად. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს კორექტირებულ EBITDA-ს, როგორც თითოეული სეგმენტის საქმიანობის შედეგების ალტერნატიულ მაჩვენებელს.

ფიქსირებული და მობილური მომსახურებისთვის ლიკვიდურობა და ლევერიჯი ცენტრალიზებულ საფუძველზე იმართება. შედეგად, ამ სეგმენტებისთვის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სესხი, ფინანსური ხარჯები და დაკავშირებული საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები/(ზარალები) წარმოდგენილია ერთად "გაუნაწილებელი თანხების" ფარგლებში. განუსაზღვრელი მომავალი მოხმარებისთვის ფლობილი საინვესტიციო ქონება (იხ. შენიშვნა 14) ასევე იმართება ცენტრალიზებულ საფუძველზე და წარმოდგენილია ერთად "გაუნაწილებელი თანხების" ფარგლებში.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2024
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	**მობილური მომსახურება**	**ფიქსირებული მომსახურება**	**შპს "სილქ მედია"**	**გაუნაწილებელი თანხები**	**სულ**
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	126,430	207,182	1,824	13,024	348,460
არამატერიალური აქტივები	107,514	44,061	222	6,198	157,995
სხვა გრძელვადიანი აქტივები	17,861	14,219	41	2,902	35,023
საინვესტიციო ქონება	-	-	-	78,871	78,871
აქტივები გამოყენების უფლებით	9,716	3,886	65	-	13,667
IRU ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წინასწარი გადახდები	7,225	-	-	-	7,225
სულ გრძელვადიანი აქტივები	**268,746**	**269, 348**	**2,152**	**100,995**	**641,241**
მოკლევადიანი აქტივები					
მარაგები	4,488	3,266	340	1,749	9,843
IRU ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წინასწარი გადახდები	2,173	-	-	-	2,173
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	-	-	2,674	2,674
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12,776	24,134	64	1,952	38,926
სადეპოზიტო სერტიფიკატები	-	-	-	18,362	18,362
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	-	114	160,670	**160,784**
სულ მოკლევადიანი აქტივები	**19,437**	**27,400**	**518**	**185,407**	**232,762**
სულ აქტივები	**288,183**	**296,748**	**2,670**	**286,402**	**874,003**
ვალდებულებები					
გრძელვადიანი ვალდებულებები					
სესხები და კრედიტები	-	-	-	(553,655)	(553,655)
საიჯარო ვალდებულებები	-	(3,464)	-	-	(3,464)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(21,116)	(15,091)	-	(3,553)	(39,760)
IRU ხელშეკრულებებიდან და აბონენტებისგან მიღებული ავანსები	-	(11,480)	-	-	(11,480)
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**(21,116)**	**(30,035)**	-	**(557,208)**	**(608,359)**
მოკლევადიანი ვალდებულებები					
სესხები და კრედიტები	-	-	-	(19,566)	(19,566)
საიჯარო ვალდებულებები	(13,099)	(1,627)	(119)	-	(14,845)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(32,709)	(33,171)	36	(3,300)	(69,144)
IRU ხელშეკრულებებიდან და აბონენტებისგან მიღებული ავანსები	(21,548)	(5,895)	-	(27)	(27,470)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**(67,356)**	**(40,693)**	**(83)**	**(22,893)**	**(131,025)**
სულ ვალდებულებები	**(88,472)**	**(70,728)**	**(83)**	**(580,101)**	**(739,384)**
წმინდა აქტივები/ (ვალდებულებები)	**199,711**	**226,020**	**2,587**	**(293,699)**	**134,619**

'000 ლარი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2023
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	**მობილური მომსახურება**	**ფიქსირებული მომსახურება**	**შპს "სილქ მედია"**	**გაუნაწილებელი თანხები**	**სულ**
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	132,985	204,567	2,561	7,491	347,604
არამატერიალური აქტივები	121,517	52,817	294	4,634	179,262
საინვესტიციო ქონება	-	-	-	70,462	70,462
სხვა გრძელვადიანი აქტივები	15,360	15,953	-	3,481	34,794
აქტივები გამოყენების უფლებით	17,964	4,460	451	-	22,875
IRU ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წინასწარი გადახდები	8,010	-	-	-	8,010
სულ გრძელვადიანი აქტივები	**295,836**	**277,797**	**3,306**	**86,068**	**663,007**
მოკლევადიანი აქტივები					
მარაგები	4,131	5,372	406	1,561	11,470
IRU ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წინასწარი გადახდები	2,173	-	-	-	2,173
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11,425	23,655	48	2,437	37,565
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	-	63	144,551	144,614
სულ მოკლევადიანი აქტივები	**17,729**	**29,027**	**517**	**148,549**	**195,822**
სულ აქტივები	**313,565**	**306,824**	**3,823**	**234,617**	**858,829**
ვალდებულებები					
გრძელვადიანი ვალდებულებები					
სესხები და კრედიტები	-	-	-	(529,658)	(529,658)
საიჯარო ვალდებულებები	(11,333)	(4,052)	(102)	-	(15,487)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(19,812)	(19,171)	-	(1,418)	(40,401)
IRU ხელშეკრულებებიდან და აბონენტებისგან მიღებული ავანსები	-	(11,946)	-	-	(11,946)
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**(31,145)**	**(35,169)**	**(102)**	**(531,076)**	**(597,492)**
მოკლევადიანი ვალდებულებები					
სესხები და კრედიტები	-	-	-	(21,176)	(21,176)
საიჯარო ვალდებულებები	(11,647)	(1,363)	(435)	-	(13,445)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(39,729)	(39,316)	(131)	(9,548)	(88,724)
IRU ხელშეკრულებებიდან და აბონენტებისგან მიღებული ავანსები	(20,931)	(5,451)	-	(17)	(26,399)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	**(72,307)**	**(46,130)**	**(566)**	**(30,741)**	**(149,744)**
სულ ვალდებულებები	**(103,452)**	**(81,299)**	**(668)**	**(561,817)**	**(747,236)**
წმინდა აქტივები/ (ვალდებულებები)	**210,113**	**225,525**	**3,155**	**(327,200)**	**111,593**

ჯგუფის მიერ მობილური მომსახურების სეგმენტზე გაწეული კაპიტალური დანახარჯები, 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, დაახლოებით 29,776 ათას ლარს შეადგენდა (საიდანაც 18,012 ათასი ლარი დამატებულ იქნა ძირითად საშუალებებზე და 11,764 ათასი ლარი - არამატერიალურ აქტივებზე) (2023: სულ მობილური მომსახურება: 24,761 ლარი; საიდანაც: ძირითად საშუალებებზე - 15,203 ათასი ლარი და არამატერიალურ აქტივებზე- 9,558 ათასი ლარი). ფიქსირებული მომსახურების საოპერაციო სეგმენტთან დაკავშირებული კაპიტალური დანახარჯები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის იყო დაახლოებით 33,639 ათასი ლარი და 8,933 ათასი ლარი, ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების კუთხით, შესაბამისად (2023: ფიქსირებული მომსახურება მოიცავდა: ძირითადი საშუალებები - 27,023 ათასი ლარი და არამატერიალური აქტივები - 21,968 ათასი ლარი). შპს "სილქ მედიას" მიერ გაწეული კაპიტალური დანახარჯები იყო 44 ათასი ლარი ძირითადი საშუალებებისთვის და 1,597 ათასი ლარი არამატერიალური აქტივებისთვის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (2023: შპს "სილქ მედიას" კაპიტალური დანახარჯები მოიცავდა 153 ათას ლარს ძირითადი საშუალებებისთვის და 124 ათას ლარს - არამატერიალური აქტივებისთვის).

'000 ლარი	2024	2024	2024	2024	2024	2024	2024
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	მობილური მომსახურება	ფიქსირებული მომსახურება	მობილური მომსახურების გაუქმება	ფიქსირებული მომსახურების გაუქმება	შპს „სილქ მედია"	გაუნაწილებელი თანხები	სულ
სეგმენტის შემოსავალი	**349,192**	**237,890**	**-**	(5,288)	**176**	**-**	**581,970**
საოპერაციო ხარჯები (კონკრეტული ერთეულების გარდა)	(115,271)	(97,093)	5,288	-	(5,022)	-	(212,098)
კორექტირებული EBITDA	**233,921**	**140,797**	**5,288**	(5,288)	**(4,846)**	**-**	**369,872**
კორექტირებული EBITDA-ს მარჟა	**67%**	**59%**					**64%**
ცვეთა და ამორტიზაცია	(59,336)	(49,302)	-	-	(2,830)	(3,354)	(114,822)
კონკრეტული ერთეულები	(733)	(1,467)	-	-	180	(10,413)	(12,433)
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	-	-	-	-	-	5,333	5,333
სეგმენტის საოპერაციო მოგება/(ზარალი)	**173,852**	**90,028**	**5,288**	**(5,288)**	**(7,496)**	**(8,434)**	**247,950**
ფინანსური შემოსავალი	1,839	317	-	-	7	15,009	17,172
ფინანსური ხარჯები	(4,695)	(5,057)	-	-	(36)	(48,102)	(57,890)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი	(500)	(388)	-	-	(38)	(12,064)	(12,990)
სეგმენტის მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	**170,496**	**84,900**	**5,288**	(5,288)	**(7,563)**	**(53,591)**	**194,242**
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	-	-	-	(216)	(216)
წლის მოგება/(ზარალი)	**170,496**	**84,900**	**5,288**	(5,288)	**(7,563)**	**(53,807)**	**194,026**

'000 ლარი	2023	2023	2023	2023	2023	2023	2023
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	მობილური მომსახურება	ფიქსირებული მომსახურება	მობილური მომსახურების გაუქმება	ფიქსირებული მომსახურების გაუქმება	შპს „სილქ მედია"	გაუნაწილებელი თანხები	სულ
სეგმენტის შემოსავალი	**318,216**	**223,231**	**-**	**(5,204)**	**190**	**-**	**536,433**
საოპერაციო ხარჯები (კონკრეტული ერთეულების გარდა)	(107,230)	(91,813)	5,204	-	(4,701)	-	(198,540)
კორექტირებული EBITDA	**210,986**	**131,418**	**5,204**	**(5,204)**	**(4,511)**	**-**	**337,893**
კორექტირებული EBITDA-ს მარჟა	**66%**	**59%**					**63%**
ცვეთა და ამორტიზაცია	(61,337)	(52,314)	-	-	(2,867)	(2,219)	(118,737)
კონკრეტული ერთეულები	(5,793)	(8,395)	-	-	-	(15,766)	(29,954)
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	-	-	-	-	-	6,724	6,724
სეგმენტის საოპერაციო მოგება/(ზარალი)	**143,856**	**70,709**	**5,204**	**(5,204)**	**(7,378)**	**(11,261)**	**195,926**
ფინანსური შემოსავალი	1,481	4	-	-	5	10,654	12,144
ფინანსური ხარჯები	(4,932)	(3,538)	-	-	(115)	(45,487)	(54,072)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა /(ზარალი)	343	210	-	-	194	(390)	357
სეგმენტის მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	**140,748**	**67,385**	**5,204**	**(5,204)**	**(7,294)**	**(46,484)**	**154,355**
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	-	-	-	(258)	(258)
წლის მოგება/(ზარალი)	**140,748**	**67,385**	**5,204**	**(5,204)**	**(7,294)**	**(46,742)**	**154,097**

6. წმინდა ფინანსური ხარჯები

'000 ლარი	2024	2023
აღიარებული მოგებაში ან ზარალში		
მიმდინარე საბანკო ანგარიშებთან და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული საპროცენტო შემოსავალი	15,027	10,663
ფინანსური ინსტრუმენტების მოდიფიცირებით განპირობებული შემოსულობა	757	-
IRU ხელშეკრულებების წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული საპროცენტო შემოსავალი	1,388	1,481
ფინანსური შემოსავალი	**17,172**	**12,144**
საპროცენტო ხარჯი ფინანსურ ვალდებულებებზე	(54,892)	(49,451)
საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(1,582)	(3,162)
IRU ხელშეკრულებებიდან მიღებულ ავანსებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი	(1,416)	(1,459)
ფინანსური ხარჯები	(57,890)	(54,072)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა (ზარალი)/შემოსულობა	(12,990)	357
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური ხარჯები	**(53,708)**	**(41,571)**

7. შემოსავალი

'000 ლარი	2024	2023
კომერციული შემოსავალი	**530,073**	**487,851**
შემოსავალი მობილური მომსახურებიდან	**313,068**	**283,408**
მობილური გამავალი ზარი	117,521	113,441
მობილური ინტერნეტი	173,431	149,265
შემოსავალი SMS-დან	11,686	10,622
შემოსავალი სხვა მომსახურებიდან	8,836	8,290
ტელეფონების და აქსესუარების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	1,594	1,790
ფიქსირებული შემოსავალი	**217,005**	**204,443**
ფიქსირებული ინტერნეტი	142,272	132,624
Pay TV	58,211	55,855
ფიქსირებული ტელეფონი	10,582	11,412
ინფრასტრუქტურის სიმძლავრის იჯარის მომსახურება	3,579	2,944
შემოსავალი სხვა მომსახურებიდან	2,361	1,608
ოპერატორებისგან და სხვა მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	**51,897**	**48,582**
ურთიერთჩართვის მომსახურება*	23,532	25,276
ინფრასტრუქტურის სიმძლავრის იჯარის მომსახურება**	14,188	11,614
შემოსავალი როუმინგიდან	11,215	9,033
საბითუმო ინტერნეტი	2,962	2,659
სულ შემოსავალი	**581,970**	**536,433**

* ურთიერთჩართვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი გამომუშავებულია ორივე სეგმენტის მიერ შემდეგნაირად: 21,632 ათასი ლარი მობილური მომსახურების სეგმენტიდან და 1,900 ათასი ლარი ფიქსირებული მომსახურების სეგმენტიდან 2024 წელს (2023: 23,364 ათასი ლარი მობილური მომსახურების სეგმენტიდან და 1,912 ათასი ლარი ფიქსირებული მომსახურების სეგმენტიდან). შემოსავლის ძირითადი ნაწილი საქართველოში გენერირდება.

** ინფრასტრუქტურის სიმძლავრის იჯარის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი მოიცავს IRU ხელშეკრულებებიდან მიღებულ შემოსავალს. დაკავშირებული ავანსები შეტანილია 21-ე შენიშვნაში. IRU ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული ავანსები უკავშირდება ჯგუფის ინფრასტრუქტურის კონკრეტულ გაუნათებელ ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელებზე წვდომის უზრუნველყოფისათვის მომხმარებლებისგან წინსწრებით მიღებულ თანხებს.

1,815 ათასი ლარის ოდენობით თანხა (2023: 1,815 ათასი ლარი) აღიარებულ იქნა როგორც შემოსავალი 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, მიღებულ ავანსებში აღიარებული IRU ხელშეკრულებებისთვის (შენიშვნა 21). 9,077 ათასი ლარის ოდენობით შემოსავალი (2023: 9,077 ათასი ლარი) იქნება აღიარებული 5 წლის განმავლობაში საანგარიშგებო თარიღის შემდეგ და 11,784 ათასი ლარი (2023: 13,599 ათასი ლარი) ხუთი წლის შემდეგ, IRU ხელშეკრულებების დაფარვის ვადამდე.

8. შეძენილი მომსახურება

'000 ლარი	2024	2023
კომუნალური ხარჯები	15,197	16,217
პროგრამული უზრუნველყოფის ტექნიკური მომსახურება	12,790	11,862
პროფესიული მომსახურების საფასური*	12,006	18,855
ინტერნეტ არხის ხარჯები	4,856	4,670
ინტერნეტ პროტოკოლის (IP) ხარჯი	3,298	3,183
სხვა შეძენილი მომსახურება	108	68
სულ შეძენილი მომსახურება	**48,255**	**54,855**

* პროფესიული მომსახურების საფასური ძირითადად მოიცავს კომპანიის სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებულ საკონსულტაციო მომსახურებას (იხ. შენიშვნა 11(a)) და საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოს მიერ გაწეულ საკონსულტაციო მომსახურებას (იხ. შენიშვნა 24(c)).

პროფესიული მომსახურება მოიცავს აუდიტორული მომსახურების საფასურს 585 ათასი ლარის ოდენობით (2023: 600 ათასი ლარი).

9. ხელფასები და სარგებელი

'000 ლარი	2024	2023
ხელფასები	71,228	62,280
ბონუსები	10,929	10,403
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის გრძელვადიანი სარგებელი (შენიშვნა 24)	3,546	17,318
საპენსიო ფონდი	1,174	1,026
დასაქმებულთა ჯანმრთელობის დაზღვევა	820	868
სხვა სარგებელი	547	405
სულ ხელფასები და სარგებელი	**88,244**	**92,300**

2024 და 2023 წლებში ჯგუფის მიერ დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რაოდენობამ 2,255 და 2,229 შეადგინა, შესაბამისად.

10. სხვა ხარჯები

'000 ლარი	2024	2023
საკომუნიკაციო რეგულაციის საფასური	4,648	4,297
ქონების და სხვა გადასახადები	3,955	3,669
უსაფრთხოების ხარჯები	3,513	2,518
გამოყენებული საწვავი და საპოხი მასალები	3,012	2,971
ტრანსპორტირების მომსახურება	2,962	2,575
საქველმოქმედო ხარჯები	1,650	1,400
საოფისე საკანცელარიო ნივთები და სხვა მარაგები	1,534	1,704
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	1,329	1,519
ბანკის საკომისიო	1,214	920
უმოძრაო მარაგების, ძირითადი საშუალებების და სხვა გრძელვადიანი აქტივების ჩამოწერა	1,159	592
სამივლინებო ხარჯები	967	851
დილერების საკომისიო	109	56
ფულადი სახსრების მიღების საკომისიო	89	95
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული (შემოსულობა)/ზარალი	(920)	1,410
სხვა ზარალები/(შემოსავალი)	326	(3,578)
სულ	**25,547**	**20,999**

11. საქმიანობის შედეგების ალტერნატიული შეფასებები

(a) კორექტირებული EBITDA

კომპანიას სჯერა, რომ კორექტირებული EBITDA-ს და კორექტირებული EBITDA-ს მარჟის წარდგენა ეხმარება მკითხველს უკეთ გაიგოს ჯგუფის ფინანსური საქმიანობის შედეგები. ხელმძღვანელობა, ჯგუფის საოპერაციო საქმიანობის შედეგების შეფასებისთვის კორექტირებულ EBITDA-ს და კორექტირებულ EBITDA-ს მარჟას იყენებს.

ამასთანავე, კორექტირებული EBITDA და კორექტირებული EBITDA-ს მარჟა ხშირად გამოიყენება ფასიანი ქაღალდების ანალიტიკოსების, ინვესტორების და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ, სატელეკომუნიკაციო სექტორში მოღვაწე კომპანიების შესაფასებლად. კორექტირებული EBITDA და კორექტირებული EBITDA-ს მარჟა არ წარმოადგენს ფასს სტანდარტების მიხედვით მომზადებულ წარდგენებს და ჯგუფის მიერ „კორექტირებული EBITDA“ და "კორექტირებული EBITDA-ს მარჟა“ ტერმინების გამოყენება, შეიძლება განსხვავდებოდეს სხვა გამოყენებებისგან სატელეკომუნიკაციო მრეწველობაში, სააღრიცხვო პოლიტიკებს ან გამოთვლის მეთოდოლოგიებს შორის სხვაობების გამო.

ჯგუფი ითვლის კორექტირებულ EBITDA-ს უწყვეტი ოპერაციებიდან მიღებული მოგების კორექტირების გზით, შემდეგი ერთეულების გამორიცხვით:

- ფინანსური ხარჯები და ფინანსური შემოსავალი
- მოგების გადასახადი და ნებისმიერი სხვა გადასახადები, რომლებიც დივიდენდების განაწილებას უკავშირდება
- გრძელვადიანი აქტივების ცვეთა, ამორტიზაცია, გადაფასება, გაუფასურება (ზარალები/აღდგენები)
- საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობები/(ზარალები), მათ შორის შემოსულობები/(ზარალები) ჰეჯირების ინსტრუმენტებზე, სავალუტო ფორვარდულ ხელშეკრულებებზე და ნებისმიერი სხვა შემოსულობები/(ზარალები), რომელიც უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით არის გამოწვეული.
- კონკრეტული ერთეულები, ქვემოთ განმარტებულის შესაბამისად:

კონკრეტული ერთეულების იდენტიფიცირება ხდება მათი ზომის, ხასიათის ან სიხშირის შესაბამისად. კონკრეტული ერთეულები წარმოადგენს ა) შემოსავალს ან ზარალს, რომელიც დაკავშირებულია გრძელვადიანი აქტივებისა და ნებისმიერი სხვა არაფულადი ერთეულების რეალიზაციასთან ან ჩამოწერასთან; ბ) ერთჯერად, არა-ძირითად ან არასაოპერაციო შემოსავალს ან ხარჯებს, რომლებიც არსებითია მათი ხასიათის ან ზომის მიხედვით (როგორიცაა ბიზნესის შეძენის შედეგად მიღებული ამონაგები ვაჭრობიდან, ბიზნესის შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები, ფულადი სახსრების შეგროვებასთან დაკავშირებული ხარჯები და ჯგუფის ფასიანი ქაღალდების ლისტინგი, გაცემული სესხის გაუფასურება, ერთჯერადი პროფესიული მომსახურების საფასური, და ა.შ.).

კორექტირებული EBITDA-ს უწყვეტი ოპერაციებიდან მიღებულ მოგებასთან შეჯერება

'000 ლარი	2024	2023
წლის მოგება	**194,026**	**154,097**
ცვეთა და ამორტიზაცია	114,822	118,737
ფინანსური ხარჯები	57,890	54,072
ფინანსური შემოსავალი	(17,172)	(12,144)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი/(შემოსულობა)	12,990	(357)
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	(5,333)	(6,724)
მოგების გადასახადის ხარჯი	216	258
კონკრეტული ერთეულები (იხილეთ ქვემოთ)	12,433	29,954
კორექტირებული EBITDA	**369,872**	**337,893**

'000 ლარი	2024	2023	შენიშვნა	აღწერა
ა) ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული (შემოსულობა)/ზარალი	(920)	1,410	10	სხვა ხარჯები
ბ) უმოძრაო მარაგების, ძირითადი საშუალებების და სხვა გრძელვადიანი აქტივების ჩამოწერა	1,159	592	10	სხვა ხარჯები
გ) პროფესიული მომსახურების საფასური, ერთჯერადი საკონსულტაციო ხარჯები*	7,244	13,257	8	შეძენილი მომსახურება
დ) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ერთჯერადი სარგებელი (შენიშვნა 24)	3,546	17,318		ხელფასები და სარგებელი
ე) ქველმოქმედება	1,650	1,400	10	სხვა ხარჯები
ზ) სხვა შემოსავალი	(246)	(4,023)	10	სხვა ხარჯები
სულ კონკრეტული ერთეულები	**12,433**	**29,954**		

* პროფესიული მომსახურების საფასური, ერთჯერადი საკონსულტაციო ხარჯები ძირითადად შედგება ერთჯერადი საკონსულტაციო მომსახურებისგან, რომელიც კომპანიის გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას უკავშირდება.

(b) კორექტირებული EBITDA-ს მარჟა

კორექტირებული EBITDA-ს მარჟა, კორექტირებული EBITDA-ს მთლიან შემოსავალზე გაყოფით გამოიანგარიშება.

'000 ლარი	2024	2023
კორექტირებული EBITDA	369,872	337,893
შემოსავალი	581,970	536,433
კორექტირებული EBITDA-ს მარჟა %	**64%**	**63%**

12. ძირითადი საშუალებები და სხვა გრძელვადიანი აქტივები

'000 ლარი	მიწა	შენობები და ინფრასტრუქტურები	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და მოწყობილობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	23,111	123,605	551,290	11,045	37,762	4,189	751,002
დაგროვილი ცვეთა	-	(41,694)	(308,917)	(7,464)	(26,273)	-	(384,348)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	**23,111**	**81,911**	**242,373**	**3,581**	**11,489**	**4,189**	**366,654**
შესყიდვები	142	225	20,739	1,086	2,006	21,986	46,184
გასვლები	(136)	(4,516)	(5,430)	(553)	(987)	-	(11,622)
გადაცემები, ბრუტო	-	1,076	14,145	10	125	(23,053)*	(7,697)
გადაცემები, დაგროვილი ცვეთა	-	-	7,697	-	-	-	7,697
ცვეთა გასულ აქტივებზე	-	2,451	4,751	123	756	-	8,081
ცვეთის დარიცხვა	-	(3,010)	(54,451)	(895)	(3,337)	-	(61,693)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	**23,117**	**78,137**	**229,824**	**3,352**	**10,052**	**3,122**	**347,604**
თვითღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	23,117	120,390	580,744	11,588	38,906	3,122	777,867
დაგროვილი ცვეთა	-	(42,253)	(350,920)	(8,236)	(28,854)	-	(430,263)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	**23,117**	**78,137**	**229,824**	**3,352**	**10,052**	**3,122**	**347,604**
შესყიდვები	1,308	598	23,831	1,013	3,275	28,122	58,147
გასვლები	(104)	(247)	(2,239)	(99)	(620)	-	(3,309)
გადაცემები, ბრუტო	-	2,481	11,265	-	84	(21,578)*	(7,748)
გადაცემები, დაგროვილი ცვეთა	-	-	7,748	-	-	-	7,748
ცვეთა გასულ აქტივებზე	-	150	1,974	80	571	-	2,775
ცვეთის დარიცხვა	-	(3,111)	(49,672)	(949)	(3,025)	-	(56,757)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	**24,321**	**78,008**	**222,731**	**3,397**	**10,337**	**9,666**	**348,460**
თვითღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	24,321	123,222	613,601	12,502	41,645	9,666	824,957
დაგროვილი ცვეთა	-	(45,214)	(390,870)	(9,105)	(31,308)	-	(476,497)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	**24,321**	**78,008**	**222,731**	**3,397**	**10,337**	**9,666**	**348,460**

*აღნიშნული ოდენობები შეიცავს ფიქსირებული ქსელის გაფართოებასთან, ძირითადი მობილური ქსელის გაფართოების პროექტებთან და მოდერნიზაციასთან დაკავშირებულ კაპიტალურ დანახარჯებს.

(a) უზრუნველყოფა

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ქონება, საბალანსო ღირებულებით 33,116 ათასი ლარი (2023: 33,651 ათასი ლარი) დაგირავებულია ჯგუფის საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული აკრედიტივის დავალიანების უზრუნველსაყოფად.

(b) სხვა გრძელვადიანი აქტივები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, სხვა გრძელვადიანი აქტივები მოიცავდა დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს 29,487 ათასი ლარის ოდენობით, გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილ ავანსებს 3,167 ათასი ლარის ოდენობით და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულების მოთხოვნას 2,369 ათასი ლარის ოდენობით (2023: დაუმონტაჟებელი მოწყობილობები- 31,138 ათასი ლარი, გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები - 1,487 ათასი ლარი და ფინანსური გარანტიის სახელშეკრულებო მოთხოვნა - 2,169 ათასი ლარი). ფინანსური გარანტიის მოთხოვნაზე დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ შენიშვნა 24(c).

(c) კაპიტალთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის მიერ გაწეული კაპიტალური ვალდებულებები 18,192 ათას ლარს შეადგენდა და ძირითადად, მობილური ქსელის განვითარების პროექტებსა და მომხმარებლებთან დაკავშირებული მოწყობილობების შეძენას უკავშირდებოდა (2023 წლის 31 დეკემბერი: 16,135 ათასი ლარი, რომელიც ძირითადად მობილური ქსელის განვითარების პროექტებსა და კლიენტებთან დაკავშირებული მოწყობილობების შეძენას უკავშირდებოდა).

13. არამატერიალური აქტივები

'000 ლარი	ქსელის ოპერირების და კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიები **	სატელეკომუნიკაციო ლიცენზიები	სამაუწყებლო უფლებები	გუდვილი	სხვა	CSAC*	სულ
თვითღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	136,604	177,751	75,196	6,983	4,703	6,733	407,970
დაგროვილი ამორტიზაცია	(71,432)	(79,728)	(58,760)	-	(1,204)	(5,486)	(216,610)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	**65,172**	**98,023**	**16,436**	**6,983**	**3,499**	**1,247**	**191,360**
შესყიდვები	10,462	1,847	19,192	-	134	1,486	33,121
შეძენა შვილობილი კომპანიის საშუალებით (იხ. შენიშვნა 25)	227	-	123	-	1,590	-	1,940
ამორტიზაციის დარიცხვა	(16,667)	(14,265)	(13,939)	-	(527)	(1,339)	(46,737)
გასვლა და აღიარების შეწყვეტა, ბრუტო	(422)	-	-	-	-	-	(422)
გასვლა და აღიარების შეწყვეტა, ამორტიზაცია	-	-	-	-	-	-	-
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	**58,772**	**85,605**	**21,812**	**6,983**	**4,696**	**1,394**	**179,262**
თვითღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	146,871	179,598	94,511	6,983	6,427	8,219	442,609
დაგროვილი ამორტიზაცია	(88,099)	(93,993)	(72,699)	-	(1,731)	(6,825)	(263,347)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	**58,772**	**85,605**	**21,812**	**6,983**	**4,696**	**1,394**	**179,262**
შესყიდვები	14,865	957	8,417	-	140	1,476	25,855
ამორტიზაციის დარიცხვა	(16,939)	(14,175)	(14,023)	-	(545)	(1,440)	(47,122)
გასვლა და აღიარების შეწყვეტა, ბრუტო**	(55,481)	(8,292)	(65,171)	-	(13)	-	(128,957)
გასვლა და აღიარების შეწყვეტა, ამორტიზაცია	55,481	8,292	65,171	-	13	-	128,957
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	**56,698**	**72,387**	**16,206**	**6,983**	**4,291**	**1,430**	**157,995**
თვითღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	106,255	172,263	37,757	6,983	6,554	9,695	339,507
დაგროვილი ამორტიზაცია	(49,557)	(99,876)	(21,551)	-	(2,263)	(8,265)	(181,512)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	**56,698**	**72,387**	**16,206**	**6,983**	**4,291**	**1,430**	**157,995**

* CSAC –აბონენტების შეძენის კაპიტალიზებული ხარჯი.

** აღნიშნული ნაშთები წარმოადგენს სრულად ამორტიზებულ სამაუწყებლო უფლებებს და სხვა ლიცენზიებს. ჩამოწერილ ოდენობებს არ ჰქონიათ გავლენა ჯგუფის საოპერაციო საქმიანობის შედეგებზე.

14. საინვესტიციო ქონება

2019 წელს, კომპანიამ დაკავშირებული მხარისგან 20,397 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთი 29,582 ათასი ლარის (10 მილიონი აშშ დოლარი) შესასყიდ ფასად შეიძინა. მიწის ნაკვეთი თბილისის ცენტრში, ერთ-ერთ საუკეთესო ადგილას მდებარეობს. ასევე აღნიშნულს ემატებოდა დამატებითი პირობითი ანაზღაურება 10 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც უნდა ყოფილიყო გადახდილი იმ შემთხვევაში თუ მუნიციპალური ხელისუფლება 60,000 კვ. მ. ბრუტო ფართობის მქონე სამშენებლო სივრცის გენერალურ გეგმას (განვითარების რეგულაციის გეგმა) დაადასტურებდა. განვითარების რეგულაციის გეგმა 2020 წელს დამტკიცდა და კომპანიამ გადაიხადა დარჩენილი 10 მილიონი აშშ დოლარი 2020 წლის აპრილში, თავდაპირველი პირობების შესაბამისად. ჯგუფი მიიჩნევს, რომ მიწის ნაკვეთის სამომავლო გამოყენება არ არის განსაზღვრული და შესაბამისად აქტივს საინვესტიციო ქონების სახით აკლასიფიცირებს. 2021 წელს, მთლიანი სამშენებლო ფართობი იქნა გაზრდილი და 69,000 კვ.მ-ს მიაღწია.

საინვესტიციო ქონების მოძრაობა იყო შემდეგი:

'000 ლარი	2024	2023
საბალანსო ღირებულება 1 იანვარს	70,462	64,037
სამართლიანი ღირებულების ცვლილება	5,333	6,724
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა	3,076	(299)
	78,871	**70,462**

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ 28,100 ათასი აშშ დოლარით განისაზღვრა (2023: 26,200 ათასი აშშ დოლარი) და დაფუძნებული იყო გამოცხადებულ მოთხოვნილ ფასებზე და მსგავს ადგილმდებარეობაზე და მსგავს ფიზიკურ მდგომარეობაში მყოფი, მსგავსი ქონების უკანასკნელ საბაზრო გარიგებებზე. მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები უკავშირდება სხვაობებს ქონების მახასიათებლებში, როგორიც არის, ზომა, ადგილმდებარეობა, წვდომა ქონებაზე და გაყიდვის პირობები. 2024 და 2023 წლებში, თითოეულ ზემოაღნიშნულ მნიშვნელოვან არადაკვირვებად არაემპირიულ ამოსავალ მონაცემთან დაკავშირებული კორექტირებები 5%-იდან 25%-მდე დიაპაზონში მერყეობდა. შეფასებაში გამოყენებული კორექტირებული საბაზრო ფასების 5%-იანი ცვლილება სამართლიანი ღირებულების შეფასებას ყოველწლიურად დაახლოებით 4 მილიონი ლარით შეცვლიდა. საინვესტიციო ქონება განეკუთვნება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს.

15. მარაგები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სათადარიგო ნაწილები და საინსტალაციო მასალები	5,485	6,076
საწვავი	1,164	1,280
მობილური ტელეფონები და აქსესუარები	674	651
სხვა	2,520	3,463
სულ	**9,843**	**11,470**

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნები აბონენტების მიმართ	23,103	21,826
მოთხოვნები ტელეკომის ოპერატორების მიმართ	8,914	8,711
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	3,538	4,474
სულ სავაჭრო მოთხოვნები	**35,555**	**35,011**
წინასწარ გადახდილი ხარჯები	3,371	2,554
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**38,926**	**37,565**

ჯგუფის დამოკიდებულება საკრედიტო და სავალუტო რისკებზე, ასევე სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალები განხილულია 22-ე შენიშვნაში.

17. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნამდე ანაბრები	120,299	109,513
საბანკო ნაშთები	39,307	32,283
ფულადი სახსრები გზაში	1,165	2,807
ფულადი სახსრები სალაროში	13	11
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**160,784**	**144,614**

ჯგუფის ევროობლიგაციების ერთ-ერთი კოვენანტის მიხედვით (იხ. შენიშვნა 19), ჯგუფმა უნდა შეინარჩუნოს სულ მცირე 20 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით (ან მისი ეკვივალენტური ოდენობა ლარში, დისკონტირებული "ევროობლიგაციების ვადებისა და პირობების" მიხედვით) "თავისუფალი ფულადი სახსრები" ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებისა და სადეპოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით (როგორც ეს განსაზღვრულია „ევროობლიგაციების ვადებითა და პირობებით") თითოეული ფინანსური კვარტლის ბოლოს ევროობლიგაციების გამოშვების თარიღიდან 2023 წლის 31 იანვრამდე პერიოდის განმავლობაში. 2023 წლის 31 იანვრიდან ჯგუფს შეუძლია აირჩიოს ან შეინარჩუნოს „თავისუფალი ფულადი სახსრები“ ყოველი ფისკალური კვარტლის ბოლოსთვის, ან ალტერნატიულად, შექმნას და შეინარჩუნოს სულ მცირე 20 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით საკრედიტო ხაზი, ობლიგაციებზე პროცენტების გადახდისთვის.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფი ინარჩუნებს სულ მცირე 20 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით (ან მისი ეკვივალენტური ოდენობა ლარში, „ვადებისა და პირობების" მიხედვით) ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების „თავისუფალ ფულად სახსრებს ("ევროობლიგაციების ვადებისა და პირობების" მიხედვით). კოვენანტი არ ზღუდავს "თავისუფალი ფულადი სახსრების" გამოყენებას, შესაბამისად დაკავშირებული ნაშთი კლასიფიცირებულია ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების სახით 2024 წლის 31 დეკემბრისთვის.

მოთხოვნამდე ანაბრები წარმოადგენს ვადიან ანაბრებს ბანკებში, 3 თვეზე ნაკლები დაფარვის ვადით განთავსების თარიღიდან, ან სამთვიანი ან მეტი დაფარვის ვადით განთავსების თარიღიდან და რომლებისთვისაც „ჯგუფს“ აქვს ანაბრის გატანის ცალმხრივი უფლება შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, დაუყოვნებლივ, ჯარიმების გადახდის და არსებითი საპროცენტო ზარალის გარეშე. შედეგად, აღნიშნული ვადიანი ანაბრების კლასიფიკაცია მოხდა მათი ბუნებიდან გამომდინარე, რაც წარმოადგენს მოთხოვნამდე ანაბარს.

ინფორმაცია ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის, საკრედიტო და სავალუტო რისკებზე დაქვემდებარების შესახებ და მგრძნობელობის ანალიზი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, წარმოდგენილია 22-ე შენიშვნაში.

(a) სადეპოზიტო სერტიფიკატები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფი ფლობს კომერციული ბანკისგან 2024 წელს შეძენილ სადეპოზიტო სერტიფიკატს (2023: ნული). სადეპოზიტო სერტიფიკატი დენომინირებულია აშშ დოლარში და მისი ნომინალური საპროცენტო განაკვეთია 5.6%, დაფარვით ვადით 2025 წლის 20 ნოემბერი.

სადეპოზიტო სერტიფიკატი კლასიფიცირებულია ფინანსური აქტივის სახით და ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტების“ შესაბამისად. ჯგუფი აღიარებს სადეპოზიტო სერტიფიკატიდან მიღებულ საპროცენტო შემოსავალს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მის კონსოლიდირებულ მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

სადეპოზიტო სერტიფიკატის საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის ასახავს ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც მის სამართლიან ღირებულებას არის მიახლოებული საანგარიშგებო თარიღისთვის.

ჯგუფის დაქვემდებარება სადეპოზტიო სერტიფიკატთან დაკავშირებულ საკრედიტო და სავალუტო რისკებზე წარმოდგენილია შენიშვნაში 22.

18. კაპიტალი

(a) სააქციო კაპიტალი

აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი აქციები	
	2024	**2023**
გამოშვებული 1 იანვარს	84,056,099	84,056,099
გამოშვებული წლის განმავლობაში	-	-
გამოშვებული 31 დეკემბერს, სრულად გადახდილი	**84,056,099**	**84,056,099**
ავტორიზებული აქციები - ნომინალური ღირებულება (ლარში)	1	1

(b) დამატებით გადახდილი კაპიტალი

2018 წელს, ჯგუფმა სს „თიბისი ბანკის“ სასარგებლოდ, როგორც ჯეოსელის შესყიდვაზე მიღებული დაფინანსების ნაწილი, გამოსცა „ქოლ“ ოფციონი 4,795,000 ჩვეულებრივ აქციაზე, რაც წარმოადგენდა საკუთრების დაახლოებით 6.6%-ს განზავებულ საფუძველზე. ოფციონის აღსრულების ფასი არის 5.214 ლარი ერთ აქციაზე, ჯამური ღირებულებით 25,000 ათასი ლარი. „ქოლ“ ოფციონის სამართლიანი ღირებულება ჯეოსელის შეძენის/თიბისი-სგან დაფინანსების მიღების თარიღში აღირიცხა, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი. სამართლიანი ღირებულება 8,026 ათასი ლარის ოდენობით დაკრედიტებულია დამატებით გადახდილ კაპიტალზე.

კომპანიის მშობელმა კომპანიამ სს „თიბისი ბანკისგან“ შეიძინა ქოლ-ოფციონი, რომელსაც შემდეგ გაუვიდა ვადა, ოფციონის მფლობელის მიერ მისი გამოყენების გარეშე. შედეგად, 8,026 ათასი ლარის ოდენობით დამატებით გადახდილი კაპიტალი იქნა რეკლასიფიცირებული გაუნაწილებელ მოგებაში 2023 წელს.

(c) დივიდენდები

2024 წლის განმავლობაში, კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა 171,000 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები (2023: 128,200 ათასი ლარის ოდენობით გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები). თითო ჩვეულებრივ აქციაზე გამოცხადებული დივიდენდი შეადგენდა 2.0344 ლარს (2023: 1.5252) (იხ. შენიშვნა 19(c)).

(d) კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად და ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, ჯგუფის შემოსავლებისა და მოგების მუდმივი მონიტორინგის გზით, და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც ძირითადად ჯგუფის საოპერაციო ფულადი ნაკადებით და გრძელვადიანი სესხებითა და კრედიტებით ფინანსდება. ამ ღონისძიებების გატარებით, ჯგუფი მისი მოგების მდგრად ზრდას ისახავს მიზნად.

არც კომპანია და არც მისი შვილობილი კომპანიები არ ექვემდებარებიან გარედან დაწესებულ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

19. სესხები და კრედიტები

წინამდებარე შენიშვნაში განსაზღვრულია ინფორმაცია ჯგუფის პროცენტიანი სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. დამატებითი ინფორმაცია ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარების შესახებ განხილულია 22-ე შენიშვნაში.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ევრობლიგაციები - გრძელვადიანი	553,655	529,658
	553,655	**529,658**
ევრობლიგაციები - მოკლევადიანი	19,566	21,176
	19,566	**21,176**
სულ	**573,221**	**550,834**

(a) სესხის ვადა და დაფარვის გრაფიკი

დაუფარავი სესხების დაფარვის ვადა და პირობები იყო შემდეგი:

				31 დეკემბერი 2024	
'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება*	საბალანსო ღირებულება
ევრობლიგაციები	აშშ დოლარი	8.375%	2027	582,749	573,221
სულ სესხები და კრედიტები				**582,749**	**573,221**

				31 დეკემბერი 2023	
'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება*	საბალანსო ღირებულება
ევრობლიგაციები	აშშ დოლარი	8.375%	2027	558,375	550,834
სულ სესხები და კრედიტები				**558,375**	**550,834**

*ნომინალური ღირებულება დარიცხულ პროცენტს მოიცავს.

(b) ევრობლიგაციები

2022 წლის 31 იანვარს, ჯგუფმა წარმატებით განათავსა 300,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით ევრობლიგაციები დაფარვის ვადით 2027 წელი და 8.375%-იანი საპროცენტო განაკვეთით ("ახალი ევრობლიგაციები") Euronext Dublin Exchange-ზე. პროცენტი გადასახდელია ნახევარ წელიწადში ერთხელ - ყოველი წლის 31 იანვარს და 31 ივლისს, და გადახდა იწყება 2022 წლის 31 ივლისს. ახალი ევრობლიგაციებიდან მიღებული შემოსულობები, ჯგუფმა გამოიყენა 2022 წელს, 200,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით ეფექტური ევრობლიგაციების რეფინანსირებისთვის, დაფარვის ვადით 2024 წელი (197,400 ათასი აშშ დოლარი, აღნიშნული მომენტისთვის არსებული დაუფარავი ოდენობა) და დაფარა 34,981 ათასი ლარის ოდენობით არაუზრუნველყოფილი ადგილობრივი ობლიგაციები (გადახდილი ძირი თანხა - 34,000 ათასი ლარი).

ახალი ევრობლიგაციები აღირიცხა ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ჯგუფმა, ახალი ევრობლიგაციების გამოშვებასთან დაკავშირებით 12,936 ათასი ლარის ოდენობით ხარჯი გასწია, ანდერრაიტინგის საფასურის, იურიდიული კონსულტაციის საფასურის, სარეიტინგო სააგენტოების ხარჯების, ლისტინგის ხარჯების და ა.შ. ჩათვლით. აღნიშნული ხარჯები გარიგების ხარჯების სახით აღირიცხა. ისინი შეტანილია ახალი ევრობლიგაციების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლებში.

2022 წელს, გამოშვების შემდეგ, ჯგუფმა შეიძინა 100,235 ათასი აშშ დოლარის ოდენობით ახალი ევროობლიგაციები. 2022 წლის განმავლობაში, მოხდა შეძენილი ობლიგაციების აღიარების შეწყვეტა მათი ამორტიზებული ღირებულებით და სხვაობა შეძენილ ოდენობასა და ამორტიზებულ ღირებულებას შორის აღიარდა საპროცენტო ხარჯის სახით მოგებასა ან ზარალში (2024: ნული). ახალი ევროობლიგაციების პირობების მიხედვით, 2022 წელს გამოსყიდული ევროობლიგაციები კვლავ აქტიურია და არ ყოფილა გაუქმებული.

2024 წელს, ჯგუფმა მოითხოვა თანხმობა ახალი ევროობლიგაციების „ვადებისა და პირობების" ცვლილებაზე, რაც მოიცავს მისი განაწილებების მოქნილობის გაზრდას „შეზღუდული გადახდების" ტესტირებაში „ლევერიჯზე-დაფუძნებული" კალათის შემოღებით, რაც კომპანიას საშუალებას მისცემს განაგრძოს „შეზღუდული გადახდები", მანამ სანამ მისი კონსოლიდირებული ლევერიჯ კოეფიციენტი 1.75x-ს არ მიაღწევს. თანხმობის მოთხოვნის პროცესთან დაკავშირებით, ჯგუფმა 3,947 ათასი ლარის ოდენობით ხარჯი გასწია. აღნიშნული ხარჯები აღიარდა, როგორც ახალი ევროობლიგაციების ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირება და ამორტიზებულია მოდიფიცირებული ინსტრუმენტის დარჩენილ ვადაზე გადახედილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ევროობლიგაციებთან დაკავშირებული კოვენანტის გარდა, დივიდენდების განაწილება საქართველოს კანონმდებლობას ექვემდებარება.

საანგარიშგებო თარიღთან მიახლოებული თარიღისთვის, საშუალო კოტირება ბაზარზე Bloomberg -ის მიხედვით იყო 100.73% ობლიგაციაზე. საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, 2025 წლის 31 მარტისთვის, საშუალო კოტირება ბაზარზე Bloomberg-ის მიხედვით იყო 101.47% ობლიგაციაზე.

ჯგუფის ახალი ევროობლიგაციები ექვემდებარება სხვადასხვა კოვენანტებს, რომელთა შესახებაც დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ლისტინგის დეტალებში, რომელიც საჯაროდ არის ხელმისაწვდომი სს „სილქნეტის" ვებგვერდზე. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა შეასრულა ყველა კოვენანტი და მოელის, რომ დააკმაყოფილებს მათ ახალი ევროობლიგაციების მთლიანი ვადის განმავლობაში. შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრისთვის ახალი ევროობლიგაციები (გარდა ხელშეკრულების მიხედვით, საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში დასაფარი ნაშთებისა) კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი.

(c) საფინანსო საქმიანობების შედეგად წარმოშობილი ცვლილებები ვალდებულებებში*

'000 ლარი	გადასახდელი დივიდენდები	საიჯარო ვალდებულებები	სესხები და კრედიტები	სულ
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	-	**28,932**	**550,834**	**579,766**
გადახდილი პროცენტი	-	(1,582)	(45,049)	(46,631)
გადახდილი დივიდენდები	(171,000)	-	-	(171,000)
საიჯარო გადახდები	-	(13,344)	-	(13,344)
სულ ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან	(171,000)	**(14,926)**	(45,049)	**(230,975)**
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	**-**	**261**	**23,290**	**23,551**
სხვა ცვლილებები				
საპროცენტო ხარჯი	-	1,582	48,093	49,675
მოდიფიცირებაზე გაწეული ხარჯები	-	-	(3,947)	(3,947)
პერიოდის განმავლობაში ამოქმედებული საიჯარო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი საიჯარო ვალდებულებების აღიარება	-	3,969	-	3,969
ROU-ს და შესაბამისი საიჯარო ვალდებულების ჩამოწერა შეწყვეტილი ხელშეკრულებებისთვის	-	(1,509)	-	(1,509)
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	**-**	**4,042**	**44,146**	**48,188**
სულ კაპიტალთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	**171,000**			**171,000**
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	**-**	**18,309**	**573,221**	**591,530**

'000 ლარი	გადასახდელი დივიდენდები	საიჯარო ვალდებულებები	სესხები და კრედიტები	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	2,176	34,446	552,064	588,686
გადახდილი პროცენტი	-	(3,162)	(44,257)	(47,419)
გადახდილი დივიდენდები	(130,376)	-	-	(130,376)
საიჯარო გადახდები	-	(10,766)	-	(10,766)
სულ ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან	**(130,376)**	**(13,928)**	**(44,257)**	**(188,561)**
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	**-**	**(30)**	**(2,355)**	**(2,385)**
სხვა ცვლილებები				
საპროცენტო ხარჯი	-	3,162	45,382	48,544
პერიოდის განმავლობაში ამოქმედებული საიჯარო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი საიჯარო ვალდებულებების აღიარება	-	6,652	-	6,652
ROU-ს და შესაბამისი საიჯარო ვალდებულების ჩამოწერა შეწყვეტილი ხელშეკრულებებისთვის	-	(1,370)	-	(1,370)
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	**-**	**8,444**	**45,382**	**53,826**
სულ კაპიტალთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	**128,200**			**128,200**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**-**	**28,932**	**550,834**	**579,766**

* კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგენილი "საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები" ასევე მოიცავს გრძელვადიანი აქტივებისა და ლიცენზიების და სამაუწყებლო უფლებების შესაძენად განხორციელებული გადახდების საფინანსო კომპონენტს (იხ. შენიშვნა 21).

20. იჯარები

ჯგუფის საიჯარო ხელშეკრულებები დიდწილად უკავშირდება სხვადასხვა ტერიტორიების იჯარებს (მიწა, სახურავების ზედაპირი, სივრცე ფიჭური ანძებისთვის და სივრცე ბოჭკოვანი კაბელებისთვის, და ა.შ.) რაც ჯგუფის სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობის განთავსებას უკავშირდება. ჯგუფი აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც არის გრძელვადიანი ხელშეკრულებით ან არსით. რადგან ეფექტური საიჯარო ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა საკუთარ მსჯელობას იყენებს, ფასს 16-ის მიზნებისთვის გამოყენებული საიჯარო ვადები შეიძლება განსხვავდებოდეს მინიმალური სახელშეკრულებო საიჯარო პერიოდებისგან. სხვაობების შეჯამება არის შემდეგი:

	მინიმალური საწყისი სახელშეკრულებო საიჯარო პერიოდი	საიჯარო ვადის შეფასება გამოყენებული ფასს 16-ის მიზნებისთვის გადასვლიდან
ტერიტორიის იჯარა ფიქსირებული მომსახურებისთვის	4-10	იგივე რაც სახელშეკრულებო
ტერიტორიის იჯარა მობილური მომსახურებისთვის	1-6*	7

*მინიმალური სახელშეკრულებო საიჯარო პერიოდები >70% მობილური ტერიტორიებისთვის, ხელშეკრულების დაწყების თარიღისთვის, 1-6 წლამდე დიაპაზონში მერყეობს.

იჯარებისთვის საიჯარო ვალდებულებების შეფასებისას, ჯგუფი ადისკონტირებს მის საიჯარო გადახდებს მისი ზღვრული სასესხო განაკვეთის გამოყენებით იჯარის აღიარების თარიღისთვის. 2024 და 2023 წლებში გამოყენებული საშუალო შეწონილი განაკვეთი (ლარში) იყო დაახლოებით 12%.

'000 ლარი	ტერიტორიის იჯარა მობილური მომსახურებისთვის	ტერიტორიის იჯარა ფიქსირებული მომსახურებისთვის	ფართის იჯარა შპს "სილქ მედიასთვის"	სულ
RoU-ს საბალანსო ღირებულება				
2024 წლის 1 იანვარს	**17,963**	**4,459**	**453**	**22,875**
შესყიდვები	3,372	597	-	3,969
გასვლები	(4,946)	-	-	(4,946)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	2,712	-	-	2,712
ცვეთის დარიცხვა	(9,386)	(1,171)	(386)	(10,943)
RoU-ს მთლიანი ნაშთი				
2024 წლის 31 დეკემბერს	**50,823**	**9,860**	**1,934**	**62,617**
დაგროვილი ცვეთა				
2024 წლის 31 დეკემბერს	**(41,108)**	**(5,975)**	**(1,867)**	**(48,950)**
RoU -ს საბალანსო ღირებულება				
2024 წლის 31 დეკემბერს	**9,715**	**3,885**	**67**	**13,667**
საიჯარო ვალდებულება				
2024 წლის 1 იანვარს	**(22,980)**	**(5,415)**	**(537)**	**(28,932)**
შესყიდვები	(3,372)	(597)	-	(3,969)
გასვლები	1,509	-	-	1,509
პროცენტის დარიცხვა	(1,026)	(520)	(36)	(1,582)
გადახდები	12,810	1,652	464	14,926
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	(41)	(210)	(10)	(261)
საიჯარო ვალდებულება				
2024 წლის 31 დეკემბერს	**(13,100)**	**(5,090)**	**(119)**	**(18,309)**

'000 ლარი	ტერიტორიის იჯარა მობილური მომსახურებისთვის	ტერიტორიის იჯარა ფიქსირებული მომსახურებისთვის	ფართის იჯარა შპს "სილქ მედიასთვის"	სულ
RoU-ს საბალანსო ღირებულება				
2023 წლის 1 იანვარს	**25,194**	**2,181**	**838**	**28,213**
შესყიდვები	3,248	3,404	-	6,652
გასვლები	(3,061)	-	-	(3,061)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	1,378	-	-	1,378
ცვეთის დარიცხვა	(8,796)	(1,126)	(385)	(10,307)
RoU-ს მთლიანი ნაშთი				
2023 წლის 31 დეკემბერს	**52,397**	**9,263**	**1,934**	**63,594**
დაგროვილი ცვეთა				
2023 წლის 31 დეკემბერს	**(34,434)**	**(4,804)**	**(1,481)**	**(40,719)**
RoU-ს საბალანსო ღირებულება				
2023 წლის 31 დეკემბერს	**17,963**	**4,459**	**453**	**22,875**
საიჯარო ვალდებულება				
2023 წლის 1 იანვარს	**(30,470)**	**(3,055)**	**(921)**	**(34,446)**
შესყიდვები	(3,248)	(3,404)	-	(6,652)
გასვლები	1,370	-	-	1,370
პროცენტის დარიცხვა	(2,571)	(513)	(78)	(3,162)
გადახდები	11,916	1,563	449	13,928
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილების გავლენა	23	(6)	13	30
საიჯარო ვალდებულება				
2023 წლის 31 დეკემბერს	**(22,980)**	**(5,415)**	**(537)**	**(28,932)**

21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები და IRU ხელშეკრულებებიდან და აბონენტებისგან მიღებული ავანსები

	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
'000 ლარი	გრძელვადიანი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	მოკლევადიანი
ვალდებულებები გრძელვადიანი აქტივებისთვის	13,044	19,482	12,460	30,643
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	-	14,078	-	24,815
ვალდებულებები ლიცენზიებისთვის და მაუწყებლობის უფლებებისთვის	5,896	10,725	8,937	12,147
ვალდებულებები სხვა ოპერატორების მიმართ	-	3,774	-	5,135
ვალდებულებები დასაქმებულების მიმართ (შენიშვნა 24)	19,498	13,010	17,604	7,018
სხვა ვალდებულებები	-	993	-	1,921
დღგ და სხვა საგადასახადო ვალდებულებები	-	7,082	-	7,045
ფინანსური გარანტიის სახელშეკრულებო ვალდებულება	1,322	-	1,400	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**39,760**	**69,144**	**40,401**	**88,724**
IRU ხელშეკრულებებიდან მიღებული ავანსები	10,891	1,888	11,418	1,888
აბონენტებისგან მიღებული ავანსები	589	25,582	528	24,511
სულ სახელშეკრულებო ვალდებულებები გადახდილი ავანსებიდან	**11,480**	**27,470**	**11,946**	**26,399**
სულ	**51,240**	**96,614**	**52,347**	**115,123**

ვალდებულებები გრძელვადიანი აქტივებისთვის და ვალდებულება ლიცენზიებისა და მაუწყებლობის უფლებებისთვის წარმოადგენს გადავადებული გადახდების დისკონტირებულ ღირებულებას, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან, რომლებიც ქსელის განახლებისა და გაფართოების პროექტებს, ასევე არამატერიალურ აქტივებს მაუწყებლობის უფლებებისთვის და IT ტრანსფორმაციას უკავშირდება.

ვალდებულებები გრძელვადიანი აქტივებისთვის და ვალდებულება ლიცენზიებისა და მაუწყებლობის უფლებებისთვის ძირითადი ნაწილი დენომინირებულია აშშ დოლარში ან ევროში და შესაბამისად, ექვემდებარება უცხოური გაცვლითი კურსის რყევებს (იხ. ასევე შენიშვნა 22).

22. სამართლიანი ღირებულებები და ფინანსური რისკის მართვა

(a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა განუსაზღვრელობის გათვალისწინებით და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნას ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში.

ჯგუფმა განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს შეფასების თარიღისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებულ ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილ ფასს.

გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება მომავალი ძირი თანხისა და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, ობლიგაციების გარდა (იხ. შენიშვნა 19(b)), მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით ჯგუფი შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

რისკის მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას, სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად, აქვს სრული პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და ზედამხედველობაზე; ის პასუხს აგებს ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე და ამ საქმიანობასთან დაკავშირებით რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს აქციონერს.

ჯგუფის რისკების მართვის მიმართ მიდგომა განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის მიდგომები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და ჯგუფის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით ჯგუფის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

სამეთვალყურეო საბჭო ჯგუფის მიერ მიღებულ რისკების მართვის მიდგომების ადეკვატურობას აკონტროლებს.

(i) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური ზარალის რისკს, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაჰენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშვება ჯგუფის სასესხო მოთხოვნებთან, სავაჭრო მოთხოვნებთან და საბანკო ნაშთებთან მიმართებაში.

მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე, აღიარებული ფინანსური აქტივებისთვის და აუღიარებელი ვალდებულებებისთვის, საანგარიშგებო თარიღისთვის, იყო შემდეგი:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	35,555	35,011
სადეპოზიტო სერტიფიკატები	18,362	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	160,771	144,603
აღიარებული ფინანსური აქტივები	**214,688**	**179,614**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელშეკრულებო ხარჯები

საკრედიტო რისკი იმართება კლიენტების კრედიტუნარიანობის შეფასების გზით, მანამ სანამ ჯგუფის სტანდარტული გადახდის და მომსახურების პირობები იქნება შეთავაზებული. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით ზოგადად არ მოითხოვება რაიმე სახის უზრუნველყოფა.

კლიენტის საკრედიტო რისკის მონიტორინგის პროცესში, კლიენტები ჯგუფდებიან მათი საკრედიტო მახასიათებლების მიხედვით, მათ შორის იმის გათვალისწინებით, ისინი ფიზიკური პირები არიან, თუ - იურიდიული, ისინი საბითუმო, საცალო თუ საბოლოო მომხმარებლებს წარმოადგენენ, გათვალისწინებულია მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, მრეწველობა, ასაკობრივი პროფილი, დაფარვის ვადა და ადრე არსებული ფინანსური სირთულეები.

ჯგუფი განსაზღვრავს გაუფასურების რეზერვს, რომელიც წარმოადგენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში მოსალოდნელი ზარალების მისეულ შეფასებას. აღნიშნული რეზერვის ძირითადი შემადგენელი ნაწილია ჯგუფური ზარალის კომპონენტი. ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შიდა საცალო კლიენტებს უკავშირდება. ჯგუფს არ აქვს კლიენტების არსებითი კონცენტრაცია.

გაუფასურების ზარალები

გაუფასურების ზარალის რეზერვები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის რისკ-ჯგუფების მიხედვით არის შემდეგი:

'000 ლარი	ჯგუფურად შეფასებული			ინდივიდუალურად შეფასებული		
31 დეკემბერი 2024	მთლიანი საბალანსო ღირებულება	გაუფასურების ზარალის რეზერვი	საკრედიტო რისკით გაუფასურებული	მთლიანი საბალანსო ღირებულება	გაუფასურების ზარალის რეზერვი	საკრედიტო რისკით გაუფასურებული
მოკლევადიანი	21,835	209	არა	13,362	-	არა
1-30 დღემდე ვადაგადაცილება	528	118	არა	-	-	არა
31-90 დღემდე ვადაგადაცილება	395	252	არა	-	-	არა
91-150 დღემდე ვადაგადაცილება	255	241	კი	-	-	კი
150 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	23,557	23,557	კი	2,752	2,752	კი
სულ	**46,570**	**24,377**		**16,114**	**2,752**	

'000 ლარი	ჯგუფურად შეფასებული			ინდივიდუალურად შეფასებული		
31 დეკემბერი 2023	მთლიანი საბალანსო ღირებულება	გაუფასურების ზარალის რეზერვი	საკრედიტო რისკით გაუფასურებული	მთლიანი საბალანსო ღირებულება	გაუფასურების ზარალის რეზერვი	საკრედიტო რისკით გაუფასურებული
მოკლევადიანი	20,581	332	არა	14,241	-	არა
1-30 დღემდე ვადაგადაცილება	484	114	არა	-	-	არა
31-90 დღემდე ვადაგადაცილება	411	275	არა	-	-	არა
91-150 დღემდე ვადაგადაცილება	315	300	კი	-	-	კი
150 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	22,199	22,199	კი	2,580	2,580	კი
სულ	**43,990**	**23,220**		**16,821**	**2,580**	

მოძრაობა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში იყო შემდეგი:

'000 ლარი	2024	2023
1 იანვარს	(25,800)	(24,281)
დარიცხვა წლის განმავლობაში	(1,329)	(1,519)
წლის განმავლობაში უიმედოდ ჩამოწერილი ოდენობების აღდგენა	-	-
31 დეკემბერს	**(27,129)**	**(25,800)**

100%-იანი გაუფასურების განაკვეთი გამოყენებულ იქნა 150 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე საცალო მომხმარებლების მიმართ არსებულ მთლიან სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში. უფრო დაბალი გაუფასურების განაკვეთები, გამოიყენება იმ სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რისკის კატეგორიებისთვის, რომლებიც ვადაგადაცილებულია უფრო მოკლე პერიოდით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში გაუფასურების ზარალის აღრიცხვისთვის გამოიყენება სარეზერვო ანგარიში, ვიდრე ჯგუფი არ დარწმუნდება რომ ვერ მიიღებს მისდამი მართებულ თანხებს; ამ დროს თანხა მიიჩნევა უიმედოდ და ჩამოიწერება პირდაპირ ფინანსურ აქტივთან მიმართებაში.

საბანკო ნაშთები, ვადიანი ანაბრები და სადეპოზიტო სერტიფიკატები

საბანკო ნაშთები, ვადიანი ანაბრები და სადეპოზიტო სერტიფიკატები ძირითადად განთავსებულია ქართულ ბანკებში, მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგით B, Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით. ნაშთები განთავსებულია 1-ელ დონეზე და არ არის ვადაგადაცილებული. ჯგუფი არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაჰენტი ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

(ii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი სირთულეებს შეხვდება იმ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაკმაყოფილებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების გზით. ჯგუფის პოლიტიკა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, მდგომარეობს იმის უზრუნველყოფაში, რომ ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ გარემოებებში მიუღებელი ზარალის გაწევის ან ჯგუფის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ამ მიზნით, ჯგუფი აკეთებს მოკლევადიან პროგნოზებს ფულადი ნაკადებისთვის, სავარაუდო ფინანსური საჭიროებების საფუძველზე, რომელიც განისაზღვრება საოპერაციო საქმიანობების ხასიათით. როგორც წესი, ეს საჭიროებები განიხილება ყოველწლიურ და ყოველთვიურ საფუძველზე. ფინანსური საჭიროებების მართვის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებისგან ყოველდღიურად იღებს ფულად ნაკადებს. ეს უზრუნველყოფს ჯგუფს საკმარისი ფულადი სახსრებით მისი ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად. ჩვეულებრივ, ჯგუფი უზრუნველყოფს, რომ მას ჰქონდეს სათანადო მოთხოვნამდე ფულადი სახსრები მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯების დასაკმაყოფილებლად 30-დღიანი პერიოდისთვის, მათ შორის ფინანსური ვალდებულებების მომსახურების ჩათვლით; ეს გამორიცხავს ისეთი ექსტრემალური ვითარებების პოტენციურ გავლენას, რომელთა გონივრულ ფარგლებში წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, მაგალითად ბუნებრივი კატასტროფები.

ქვემოთ მოცემულია საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სახელშეკრულებო ვადიანობა. თანხები წარმოდგენილია ბრუტო და არადისკონტირებული ფორმით და მოიცავს პროცენტის მოსალოდნელ გადახდებს და გამორიცხავს ურთიერთგადაფარვის ხელშეკრულებების გავლენას.

31 დეკემბერი 2024

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სულ	მოთხოვნამდე	3 თვეზე ნაკლები	3-12 თვემდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
სესხები და კრედიტები	573,221	678,097	-	23,480	23,479	631,138	-
საიჯარო ვალდებულება	18,309	18,988	-	3,786	10,999	4,135	68
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	108,904	112,881	20,805	23,627	25,472	42,836	141
	700,434	**809,966**	**20,805**	**50,893**	**59,950**	**678,109**	**209**

31 დეკემბერი 2023

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სულ	მოთხოვნამდე	3 თვეზე ნაკლები	3-12 თვემდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
სესხები და კრედიტები	550,834	694,728	-	22,497	22,497	649,734	-
საიჯარო ვალდებულება	28,932	32,019	-	3,587	10,706	17,607	119
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	129,125	135,482	25,277	28,203	37,093	44,909	-
	708,891	**862,229**	**25,277**	**54,287**	**70,296**	**712,250**	**119**

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ამჟამად და უახლოეს მომავალში, ჯგუფს აქვს საკმარისი ფულადი სახსრები მისი ვალდებულებების დასაფარად, მათი დაფარვის ვადის დადგომისთანავე. ხელმძღვანელობის შეფასება დაფუძნებულია რამდენიმე ფაქტორზე, მათ შორის არსებითი ფულადი სახსრების ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის (შენიშვნა 17), დადებითი და მზარდი კორექტირებული EBITDA (შენიშვნა 11) და მზარდი კლიენტთა ბაზა ძირითადი ბიზნეს სეგმენტებისთვის და ახალი ქსელის გაფართოება (შენიშვნა 12).

(iii) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ საბაზრო ფასების ისეთი ცვლილება, როგორიც არის ვალუტის გაცვლითი კურსები, საპროცენტო განაკვეთები და აქციის ფასები იმოქმედებს ჯგუფის შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის პროცესში.

ჯგუფი არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას მოგებასა თუ ზარალში მერყეობის მართვის მიზნით.

სავალუტო რისკი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის დამოკიდებულება სავალუტო რისკზე ძირითადად აშშ დოლარში დენომინირებულ ევროობლოგაციებს უკავშირდება. ღია სავალუტო პოზიციის ნაწილობრივ ჰეჯირებისთვის, კომპანია მის ლიკვიდურ ფულად სახსრებს აშშ დოლარში დენომინირებულ ინსტრუმენტებში აინვესტირებს, როგორიცაა დეპოზიტები და სვოპები. ამასთანავე, კომპანიის საოპერაციო საქმიანობის ნაწილი ასევე მყარ ვალუტებში არის დენომინირებული. საოპერაციო საქმიანობაზე სავალუტო კურსის რყევების გავლენის შესამსუბუქებლად კომპანია ფორვარდულ ხელშეკრულებებს იყენებს.

აღნიშნული ინსტრუმენტები აკმაყოფილებს წარმოებული ინსტრუმენტის განმარტებას ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტების“ მიხედვით და თავდაპირველად, სამართლიანი ღირებულებით ფასდება. ფასს 9-ის მიხედვით, წარმოებული ინსტრუმენტები წარმოადგენს ინსტრუმენტებს, რომებიც შემდგომ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფმა აღიარა 2,674 ათასი ლარის ოდენობით საბალანსო ღირებულების მქონე წარმოებული აქტივი (2023 წლის 31 დეკემბერი: 925 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების მქონე წარმოებული ვალდებულება (შეტანილი „სხვა ვალდებულებებში“, შენიშვნაში 18). დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელები გამოიყენება წარმოებული ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, რომელიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მესამე დონეზე კლასიფიცირდება. უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობასთან დაკავშირებულ შეფასების განუსაზღვრელობებს არ აქვთ არსებითი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის.

ჯგუფის დამოკიდებულება სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

’000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2024	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2023
საბანკო ნაშთები	3,911	9,734
მოთხოვნამდე ანაბრები	120,299	-
სადეპოზიტო სერტიფიკატები	18,362	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,814	6,272
ფინანსური გარანტიის სახელშეკრულებო მოთხოვნა	2,369	2,169
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(36,982)	(63,212)
სესხები და კრედიტები	(573,221)	(550,834)
წმინდა დაქვემდებარება წარმოებული ინსტრუმენტების გავლენამდე	**(458,448)**	**(595,871)**
წარმოებული ინსტრუმენტების გავლენა *	-	107,576
წმინდა დაქვემდებარება საინვესტიციო ქონების გათვალისწინებამდე	**(458,448)**	**(488,295)**
საინვესტიციო ქონება	78,871	70,462
წმინდა დაქვემდებარება	**(379,577)**	**(417,833)**

*ზემოაღნიშნულ ცხრილში წარმოდგენილია სვოპ ხელშეკრულებების ნომინალური ოდენობები (2024 წლის 31 დეკემბერი: ნული; 2023 წლის 31 დეკემბერი: „აშშ დოლარის ყიდვა, ლარის გაყიდვა“ - 107,576 ათასი ლარი). ნომინალური ოდენობა, რომელიც აღრიცხულია ბრუტო ოდენობით, წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტის შესაბამისი აქტივის ან ვალდებულების ოდენობას, საორიენტაციო განაკვეთს და ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების შეფასების საფუძველს. ნომინალური ოდენობები ასახავს 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის დაუფარავი გარიგებების მოცულობას და არ ასახავს საკრედიტო რისკს.

2024 წელს, რისკის მართვის პოლიტიკის ნაწილის სახით, კომპანიამ გააფორმა ფორვარდული ხელშეკრულებები ჯამში 70,500 ათას აშშ დოლარზე, საიდანაც 10,000 ათასი აშშ დოლარი იქნა რეალიზებული წლის განმავლობაში. წლის ბოლოსთვის, დაუფარავი ნაშთის ოდენობაა 60,500 ათასი აშშ დოლარი (2024 წლის 31 დეკემბერი: 60,500 ათასი აშშ დოლარის ყიდვა, 169,581 ათასი ლარის გაყიდვა; (2023 წლის 31 დეკემბერი: ნული)).

უცხოური ვალუტის კურსის რყევების შედეგად მომავალი მოგების ცვალებადობის შესამცირებლად, მომავალი ფულადი ნაკადების გადინების ჰეჯირებისთვის გამოიყენება უცხოური ვალუტის წარმოებული ხელშეკრულებები, კერძოდ ისინი, რომლებიც მყარ ვალუტებში დენომინირებულ აუღიარებელ საოპერაციო და კაპიტალურ დანახარჯებს უკავშირდება, ისევე როგორც ევროობლიგაციების კუპონის გადახდებს. აღნიშნული ფულადი სახსრების გადინებები სრულად არის ჰეჯირებული 2025 წლის იანვრიდან 2025 წლის ბოლომდე, საშუალო ფორვარდული გაცვლითი კურსით: 2.8.

'000 ლარი	ევროში დენომინირებული 31 დეკემბერი 2024	ევროში დენომინირებული 31 დეკემბერი 2023
საბანკო ნაშთები	772	3,906
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,355	1,894
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(22,687)	(24,324)
წმინდა დაქვემდებარება	**(20,560)**	**(18,524)**

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

	საშუალო კურსი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ-კურსი	
ლარში	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 აშშ დოლარი	2.7208	2.6279	2.8068	2.6894
1 ევრო	2.9440	2.8416	2.9306	2.9753

მგრძნობელობის ანალიზი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის კურსის გონივრული შესაძლო გამყარება/(შესუსტება), ქვემოთ მოცემულის შესაბამისად, აშშ დოლართან მიმართებაში იმოქმედებდა აშშ დოლარში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგებაზე ან ზარალზე (დაბეგვრამდე) ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ვალუტის მოძრაობას არ ექნებოდა პირდაპირი გავლენა სხვა სრულ შემოსავალზე ან კაპიტალზე. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩებოდა და გამორიცხავს საპროგნოზო გაყიდვების და შესყიდვების ნებისმიერ გავლენას.

	გამყარება		შესუსტება	
'000 ლარი	პირდაპირ კაპიტალში	მოგება ან (ზარალი)	პირდაპირ კაპიტალში	მოგება ან (ზარალი)
31 დეკემბერი 2024				
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	-	45,845	-	(45,845)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	-	2,056	-	(2,056)
31 დეკემბერი 2023				
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	-	48,830	-	(48,830)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	-	1,852	-	(1,852)

საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიას არ ჰქონდა ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები (31 დეკემბერი 2023: ნული).

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

ჯგუფი არ აღრიცხავს არსებით ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. შესაბამისად, საანგარიშგებო თარიღისთვის, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება არსებით გავლენას ვერ მოახდენდა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

23. პირობითი ვალდებულებები

(a) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ცვლილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსახილველად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს ჯგუფისეული ინტერპრეტაციისაგან და მათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ საგადასახადო ორგანო შესძლებს საკუთარი ინტერპრეტაციის არგუმენტირებას.

(b) სასამართლო დავა

ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, ჯგუფი დაქვემდებარებულია სარჩელებსა და საჩივრებს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოცემული სარჩელებიდან და საჩივრებიდან წარმოშობილ საბოლოო ვალდებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ჯგუფის მომავალი ოპერაციების შედეგებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე.

24. დაკავშირებული მხარეები

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანიაა შპს "სილქნეტ ჰოლდინგი". კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანიაა „სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგ (მალტა) ლიმიტედი" - ფიზიკური პირის, გიორგი რამიშვილის მიერ კონტროლირებული საწარმო. შპს „სილქნეტ ჰოლდინგის“ და შპს "სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგის" წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საჯაროდ არის ხელმისაწვდომი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებგვერდის საშუალებით.

(b) ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება მოიცავს კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს ხელფასებს და ბონუსებს და შეტანილია "ხელფასები და სარგებლის" მუხლში (იხ. შენიშვნა 9):

'000 ლარი	2024	2023
ხელფასები	6,861	6,237
სხვა ბონუსები*	6,635	20,421
	13,496	**26,658**

* 2023 წლის 30 სექტემბერს და 2023 წლის 14 დეკემბერს („გრანტის თარიღი“) კომპანიამ გააფორმა ორი ხელშეკრულება მისი უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ორ წევრთან, რაც უფლებას აძლევს დასაქმებულებს მიიღონ სხვადასხვა ტიპის ჯილდოები, რაც ძირითადად დამოკიდებულია დასაქმებულის არჩევანზე, მაგრამ ასევე გარკვეულ გარემოებებსა და პირობებს ექვემდებარება.

ჯილდო N1: გულისხმობს კომპანიის კაპიტალის ინსტრუმენტს ფულადი სახსრების ანგარიშსწორებით, რომელიც გადაეცემა დასაქმებულს, მომსახურების პირობის გარეშე და მისი სამართლიანი ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ნულს არის მიახლოებული, რადგან ხელშეკრულების მიხედვით „უფლების გადაცემის პირობის“ დაკმაყოფილების ალბათობა არის დაბალი. ჯილდო N2, რომელიც დასაქმებულს ეკუთვნის 2025 წლის 1 იანვრიდან, გამოითვლება როგორც დასაქმებულის ცხოვრების მანძილზე კომპანიის მიერ მომავალი დივიდენდის განაწილებების გარკვეული პროცენტი და არ ექვემდებარება მომსახურების პირობებს. ჯილდო N3 გულისხმობს დასაქმებულისთვის 2027 წლის შემდეგ კომპანიის მომავალი ღირებულების გარკვეული პროცენტის ოდენობით ფულადი სახსრებით გადაცემას, (რომელიც გამოითვლება სახელშეკრულებო პირობების მიხედვით) და ექვემდებარება მომსახურების პირობას 2027 წლის ბოლომდე. ორივე ჯილდო აკმაყოფილებს დასაქმებულის სხვა გრძელვადიანი გასამრჯელოს განმარტებას ბასს 19-ის მიხედვით „დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები“ და თავდაპირველად ფასდება დასაქმებულის მიერ მომავალში მისაღები გასამრჯელოების მიმდინარე ღირებულებით. ჯილდო N2 ხარჯად აღიარდება მისი გაწევისთანავე, რადგან არ აქვს მომსახურების პირობა, ხოლო ჯილდო N3 -ის ღირებულება ნაწილდება მომსახურების პერიოდზე.

თუ ჯილდო #3-ის ფარგლებში გამოთვლილი გასამრჯელოს ოდენობა ჯამში აღემატება ჯილდო #2-ს, საწარმო აღიარებს დამატებით ხარჯს მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდში, როდესაც ჯილდო #3-ის მიხედვით გამოთვლილი დასაქმებულის გასამრჯელო აღემატება ჯილდო #2-ის მიხედვით დათვლილ გასამრჯელოს. 2023 წელს, გაცემის თარიღისთვის, კომპანიამ აღიარა 17,318 ათასი ლარის ოდენობით დასაქმებულთა გასამრჯელოს ხარჯი მოგებაში ან ზარალში, რომელიც გამოითვლება ჯილდო N2-ის პირობების მიხედვით, რადგან იგი წარმოადგენს უპირობო ვალდებულებას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის და მისი მოსალოდნელი მიმდინარე ღირებულება იყო ყველაზე დიდი სამ ხელმისაწვდომ ჯილდოს შორის.

2024 წელს, ევროობლოგაციის კოვენანტთან დაკავშირებით თანხმობის მოთხოვნის პროცესთან დაკავშირებული გარემოებების ცვლილებამ გავლენა იქონია ჯილდო N2-ით გათვალისწინებულ გასამრჯელოს ოდენობაზე, გადახდების კორექტირებული კოეფიციენტის გამო. აღნიშნული ცვლილებები კვლავ შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან, კერძოდ, მეწარმეთა შესახებ საქართველოს ახალი კანონის მოთხოვნებთან და ევროობლიგაციების შეცვლილ პირობებთან, რის შედეგადაც 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის დამატებითი ხარჯი შეადგენდა 3,546 ათას ლარს. ჯილდო #2-ის მიხედვით გასამრჯელოს ოდენობის გამოსათვლელად გამოყენებულ სხვა დაშვებებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა.

(c) სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

'000 ლარი	გარიგების ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბერს	
	2024	2023	2024	2023
სხვა საოპერაციო ხარჯები:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები*	8,458	7,720	(700)	(1,032)
სხვა შემოსავალი:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	201	-	84	-
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	188	-	-
გამოყენებული საწვავი და საპოხი მასალები:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	2,975	2,917	(182)	(260)
ძირითადი საშუალებების შეძენა:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	-	15	-	-
მშობელი კომპანია და ბენეფიციარები	-	918	-	-
სხვა:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	(20)	281	10	8
გარანტიის სახელშეკრულებო მოთხოვნა:**				
მშობელი კომპანია	161	144	2,369	2,169

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფს ჰქონდა 744 ათასი ლარის ოდენობით საბანკო ნაშთი დაკავშირებული მხარის საფინანსო დაწესებულებასთან (2023: 4,571 ათასი ლარი), რომელზეც 278 ათასი ლარის ოდენობით საპროცენტო შემოსავალი იქნა აღიარებული 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში (2023: 375 ათასი ლარი).

* 2024 წელს, სხვა საოპერაციო ხარჯები საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოებთან ძირითადად მოიცავს: "SRG Investments"-ის მიერ ჯგუფისთვის გაწეული 3,136 ათასი ლარის ღირებულების საკონსულტაციო მომსახურება (2023: 3,136 ათასი ლარი) სტრატეგიის განვითარებასთან, დაფინანსებასთან, საინვესტიციო გადაწყვეტილებებთან და კონკრეტულ მარეგულირებელ საკითხებთან დაკავშირებით და უსაფრთხოების ხარჯები 3,102 ათასი ლარის ოდენობით (2023: 2,147 ათასი ლარი). დარჩენილი ოდენობა ძირითადად დაკავშირებული მხარის საწარმოსთვის წლიური ფესტივალის ორგანიზებისთვის გადახდილ სპონსორობის საფასურს უკავშირდება.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, 119 ათასი ლარის ოდენობით დაუფარავი ნაშთი წარმოადგენს საიჯარო ვალდებულებას შპს "სილქ მედიას" მიერ დაკავშირებული მხარისგან საოფისე ფართის იჯარისთვის (2023: 537 ათასი ლარი). 2024 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლის განმავლობაში, საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გადინება შეადგენდა 465 ათას ლარს (2023: 449 ათასი ლარი) (იხ. შენიშვნა 20). საიჯარო ხელშეკრულებას ვადა 2025 წელს გასდის. ყველა დაუფარავი ნაშთი დაკავშირებული მხარეების მიმართ, საიჯარო ვალდებულების გარდა, უნდა იქნეს დაკმაყოფილებული ფულადი სახსრებით საანგარიშგებო თარიღიდან 6 თვის განმავლობაში. არცერთი ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი.

** 2021 წლის 30 ივნისს, ჯგუფმა გააფორმა საგარანტიო ხელშეკრულება მის მშობელ კომპანიასთან, შპს „სილქნეტ ჰოლდინგთან“ მისი დავალიანების გარანტირების მიზნით: მაქსიმუმ 18,000 ათასი აშშ დოლარი 2024 წლის 1 მაისიდან 2032 წლის 1 მაისამდე. გარანტიის სამართლიანი ღირებულება დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ შეფასდა და 647 ათასი აშშ დოლარით განისაზღვრა. 2024 წლის 31 დეკემბერს, 1,322 ათასი ლარის ოდენობით ფინანსური გარანტიის სახელშეკრულებო ვალდებულება (2023 წლის 31 დეკემბერი: 1,400 ათასი ლარი) აღირიცხა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში (იხ. შენიშვნა 21) და 2,369 ათასი ლარის ოდენობით დაკავშირებული მოთხოვნა მშობელი კომპანიის მიმართ (2023: 2,169 ათასი ლარი) აღირიცხა სხვა გრძელვადიან აქტივებში (იხ. შენიშვნა 12(b)). კომპანია მიიღებს გაწეული მომსახურების საფასურს.

25. შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანია	რეგისტრაციის ქვეყანა	31 დეკემბერი 2024 საკუთრება/ ხმის უფლება	31 დეკემბერი 2023 საკუთრება/ ხმის უფლება
შპს „ქარვა“	საქართველო	51%	51%
შპს "სილქ მედია"*	საქართველო	100%	100%
შპს „ნოვუსი“**	საქართველო	0%	100%
ა(ა)იპ „ენჯი საქართველო“	საქართველო	100%	100%
დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი (რეგისტრირებული როგორც ორი იურიდიული პირი)	საქართველო	100%	100%
შპს „პრემიუმ ვებ სოლუშენს“	საქართველო	100%	100%

*2019 წელს, სილქნეტმა და Euronews-მა „Euronews Georgia“-სთან დაკავშირებით (უფასო ახალი ამბების არხი, რომელიც გადის ქართულ ენაზე) ურთიერთგაგების მემორანდუმი დადეს. ამ მიზნისთვის, სილქნეტმა შპს „სილქ მედია“ დაარსა (100%-იან საკუთრებაში არსებული შვილობილი კომპანია).

Euronews-ი პასუხისმგებელია „Euronews Georgia“-ს საგამომცემლო პოლიტიკაზე და არხის ახალი ამბების დირექტორის დანიშვნაზე. Euronews-ი მის მასალებს „Euronews Georgia“-ს უზიარებს, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი გარკვეულ ადგილობრივ მასალას ამზადებს, რომელსაც ის Euronews-ს უზიარებს.

** 2024 წელს, შპს „ნოვუსი“-ს უმნიშვნელო შვილობილი კომპანიის ლიკვიდაცია მოხდა, რამაც არ იქონია არსებითი გავლენა ჯგუფის ფინანსური და საოპერაციო საქმიანობის შედეგებზე.

26. შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე, გარდა:

- შვილობილი კომპანიების წმინდა იდენტიფიცირებადი აქტივებისა, რომლებიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღებისთვის;
- საინვესტიციო ქონებისა, რომელიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით; და
- წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომელიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით.

27. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში, და თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ჯგუფის საწარმოების მიერ.

(a) კონსოლიდაციის საფუძველი

(i) საწარმოთა გაერთიანება

ჯგუფი "საწარმოთა გაერთიანებას" აღრიცხავს შესყიდვის მეთოდის გამოყენებით, მაშინ როდესაც შეძენილი საქმიანობების და აქტივების ნაკრები აკმაყოფილებს ბიზნესის განმარტებას და კონტროლი გადაცემულია ჯგუფისთვის (იხილეთ შენიშვნა 27(a)(ii)). იმის განსაზღვრისას წარმოადგენს თუ არა კონკრეტული საქმიანობების და აქტივების ნაკრები ბიზნესს, ჯგუფი აფასებს მოიცავს თუ არა შეძენილი აქტივების და საქმიანობების ნაკრები, სულ მცირე, ამოსავალ მონაცემებს და ძირითად პროცესს და აქვს თუ არა შეძენილ ნაკრებს შედეგების გენერირების უნარი.

ჯგუფს აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს "კონცენტრაციის ტესტი", რომელიც იძლევა გამარტივებული შეფასების ჩატარების საშუალებას, იმისა არის თუ არა შეძენილი საქმიანობების და აქტივების ნაკრები ბიზნესი. კონცენტრაციის არასავალდებულო ტესტირება ითვლება შესრულებულად თუ მთლიანი შეძენილი აქტივების არსებითად მთლიანი სამართლიანი ღირებულება ერთ იდენტიფიცირებად აქტივში ან ანალოგიური იდენტიფიცირებადი აქტივების ჯგუფში არის კონცენტრირებული.

ჯგუფი აფასებს გუდვილს შესყიდვის თარიღისთვის შემდეგნაირად:

- გადაცემული ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება; დამატებული
- შეძენილ საწარმოში ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილების აღიარებული ოდენობა; დამატებული
- თუ საწარმოთა გაერთიანება მიიღწევა ეტაპობრივად, შეძენილ საწარმოში ადრე არსებული კაპიტალის წილის სამართლიანი ღირებულება; გამოკლებული
- შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული ოდენობა (როგორც წესი, სამართლიანი ღირებულება).

როდესაც ნამეტი უარყოფითია, შესყიდვის ამონაგები ვაჭრობიდან დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გადაცემული ანაზღაურება არ მოიცავს ადრე არსებული ურთიერთობების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ ოდენობებს. მსგავსი ოდენობები როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გარიგების ხარჯები, სესხის გამოშვებასთან და კაპიტალის ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ხარჯების გარდა, რომელსაც ჯგუფი გასწევს საწარმოთა შერწყმასთან დაკავშირებით - აღიარდება ხარჯად მათი გაწევისთანავე.

ნებისმიერი პირობითი ანაზღაურება ფასდება სამართლიანი ღირებულებით შესყიდვის თარიღისთვის. თუ პირობითი ვალდებულების გადახდის ვალდებულება, რომელიც აკმაყოფილებს ფინანსური ინსტრუმენტის განმარტებას კლასიფიცირდება კაპიტალის სახით, მაშინ არ ხდება მისი გადაფასება და ანგარიშსწორება აღირიცხება კაპიტალის ფარგლებში. სხვა შემთხვევაში, სხვა პირობითი ანაზღაურება გადაფასებულია სამართლიანი ღირებულებით თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის და პირობითი ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(ii) არამაკონტროლებელი წილები

არამაკონტროლებელი წილები ფასდება შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების წილის პროპორციულად, შესყიდვის თარიღისთვის. შვილობილ კომპანიაში ჯგუფის წილის ცვლილება, რომელიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება კაპიტალის ოპერაციების სახით.

(iii) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენს ჯგუფის მიერ კონტროლირებულ საწარმოებს. ჯგუფი აკონტროლებს საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება ან როდესაც მას აქვს უფლება ცვლად ამონაგებზე საწარმოში მისი ჩართულობიდან და როდესაც მას შესწევს უნარი იმოქმედოს ამგვარ ამონაგებზე საწარმოში მისი უფლებამოსილების გამოყენებით. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება შესულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების თარიღიდან, მისი დასრულების თარიღამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკები შეიცვალა, როდესაც საჭირო გახდა მათი ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკებზე მორგება. შვილობილ კომპანიაში არამაკონტროლებელ წილზე მიკუთვნებადი ზარალი, მიკუთვნებულია არამაკონტროლებელ წილებზე მიუხედავად იმისა, იწვევს ეს თუ არა არამაკონტროლებელი წილის უარყოფით (დეფიციტურ) ნაშთს.

(iv) კონსოლიდაციისას ელიმინირებული ოპერაციები

ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი ჯგუფის შიდა ნაშთები და ოპერაციები, ასევე ნებისმიერი ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯები, ელიმინირდება.

(b) შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხდება მას შემდეგ, რაც ჯგუფი დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული მომსახურების კლიენტისთვის გადაცემის შედეგად. როდესაც შესასრულებელი ვალდებულება დაკმაყოფილებულია, ჯგუფი აღიარებს შემოსავლად გარიგების ღირებულების თანხას, რომელიც გამორიცხავს მესამე მხარეების სახელზე შეგროვებულ თანხებს და ცვალებადი ხასიათის მქონე თანხების შეზღუდულ შეფასებებს, რომელიც განაწილებულია შესაბამის შესასრულებელ ვალდებულებაზე.

ჯგუფის შემოსავლის ძირითად წყაროებს წარმოადგენს: მობილური ზარის განხორციელების მომსახურება, ინტერნეტი და „pay TV“ მომსახურებები, მობილური ინტერნეტის მომსახურება, ფიქსირებული და უკაბელო სატელეფონო მომსახურებები, რომელიც ძირითადად მოიცავს ურთიერთკავშირს, წუთობრივ დარიცხვას და ყოველთვიურ სააბონენტო გადასახადებს, ურთიერთჩართვის მომსახურებები და ხაზების იჯარა, როუმინგიდან მიღებული შემოსავალი, ტელეფონის და მისი აქსესუარების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი და სხვა. შემოსავლის აღიარება ხდება ფასდაკლებების, დამატებითი ღირებულებისა და აქციზის გადასახადის გამოკლების შემდეგ.

მობილური ზარის განხორციელების მომსახურება: შემოსავალი აღიარდება აბონენტების მიერ მობილურ სატელეფონო ზარებზე ფაქტობრივად გამოყენებული წუთების მიხედვით. წინასწარგადახდით აბონენტებისგან განსხვავებით, გამოუყენებელი წუთები არ არის აღიარებული შემოსავალში, სანამ შესაბამისი მომსახურება არ იქნება გაწეული აბონენტზე, ან წინასწარგადახდილ აბონიმენტს ვადა არ გაუვა.

ფიქსირებული ქსელი და pay TV: შემოსავალი ფიქსირებული ქსელისა და pay TV მომსახურებიდან ძირითადად შედგება ყოველთვიური ფიქსირებული დარიცხვისგან ინტერნეტ კავშირის და pay TV მომსახურების გამოყენებისთვის და აღიარდება მომსახურების გაწევასთან ერთად.

მობილური ინტერნეტის მომსახურება: შემოსავალი თითოეული მონაცემთა მომსახურების აბონენტისგან. ამგვარი შემოსავლის აღიარება ხდება მომსახურების გაწევისას.

ფიქსირებული ხაზი და უკაბელო სატელეფონო მომსახურებები: წუთობრივი მომსახურების და დაკავშირების ღირებულება შემოსავლად აღიარდება მომსახურების გაწევის დროს, გამოყენებული წუთებისა და ხელშეკრულებაში განსაზღვრული საფასურების საფუძველზე. ყოველი თვის ბოლოს აბონენტთათვის დაურიცხავი, მაგრამ უკვე გაწეული მომსახურება აღიარდება შემოსავლად, ხოლო დარიცხული მაგრამ გაუწეველი მომსახურების შემოსავალი დროში გადავადდება. ყოველთვიური სააბონენტო საფასური შემოსავლად აღიარდება მომსახურების გაწევის თვეში.

ურთიერთჩართვის მომსახურებები: ქსელთან დაშვებით მიღებული ურთიერთჩართვის შემოსავლები, რომლებიც, თავის მხრივ, სხვა ოპერატორების მიერ ჯგუფის ქსელში დასრულებული ტრაფიკიდან მიიღება და რეგულირდება ხელშეკრულებებით, რომლებიც ასევე არეგულირებს ჯგუფის მიერ სხვა ოპერატორების ქსელით სარგებლობას. ურთიერთჩართვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია მომსახურების გაწევის დროს.

ინფრასტრუქტურის იჯარა IRU ხელშეკრულებებიდან: ინფრასტრუქტურის იჯარიდან შემოსავლები მოიცავს ჯგუფის საკაბელო ქსელის გამოყენებისთვის დარიცხულ ყოველთვიურ ფიქსირებულ საფასურს. ამგვარი შემოსავლის აღიარება ხდება მომსახურების გაწევისას.

როუმინგიდან მიღებული შემოსავალი: შემოსავალი სხვა ოპერატორებისგან, არა-სილქნეტის აბონენტებისთვის, რომლებიც იყენებენ სილქნეტის ხმოვან, SMS და ინტერნეტ მომსახურებას. კომპანია აღიარებს ესეთ შემოსავლებს მომსახურების გაწევისთანავე.

ტელეფონის და აქსესუარების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი: შემოსავალი აღიარდება როდესაც ტექნიკა გადაეცემა საბოლოო მომხმარებელს.

სხვა შემოსავლები: შემოსავლის აღიარების პოლიტიკა სხვა შემოსავლებისთვის (SMS, MMS და სხვა დამატებითი ღირებულების მომსახურებები) მდგომარეობს შემოსავლის მომსახურების გაწევისთანავე აღიარებაში.

მნიშვნელოვანი გადახდის პირობები: ყველა, მომსახურების გაწევის შემდგომ გადახდებისათვის, აბონენტები ყოველთვიურად იხდიან თანხებს.

(c) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ჯგუფის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი;
- საპროცენტო ხარჯი;
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებზე, ფინანსურ ვალდებულებებსა და საინვესტიციო ქონებაზე;
- ფინანსური ინსტრუმენტების მოდიფიცირებით განპირობებული შემოსულობა

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება განსაკუთრებული აქტივების შესყიდვას, მშენებლობას ან წარმოებას, აღიარებულია მოგებასა ან ზარალში ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რაც დამოკიდებულია იმ ფაქტზე, წარმოდგენილია თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის პოზიციაში.

(d) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია ჯგუფის საწარმოების შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას (კორექტირებული ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტირებით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(e) დასაქმებულთა გასამრჯელოები

(i) დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია თუ ჯგუფს ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დასაქმებულის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

(ii) დასაქმებულთა სხვა გრძელვადიანი გასამრჯელოები

ინფორმაცია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკებზე, რომლებიც დასაქმებულთა სხვა გრძელვადიან გასამრჯელოებს უკავშირდება წარმოდგენილია შენიშვნაში 24(b).

(f) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში გარდა შემთხვევისა, როდესაც ის უკავშირდება საწარმოთა შერწყმას ან პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის, აგრეთვე, წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირება. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და მოქმედებს საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები. საგადასახადო ვალდებულების თანხა დივიდენდების განაწილებაზე გამოითვლება როგორც წმინდა განაწილების თანხის 15/85-ი.

გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე საგადასახადო ვალდებულების ურთიერთგადაფარვა ხელმისაწვდომია 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მოგების გადასახადზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები. ჯგუფი ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და გადასახადს ამგვარ ერთეულებზე აღრიცხავს როგორც გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა.

(g) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება გამოიანგარიშება საშუალო შეწონილის პრინციპის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებაზე ან დამუშავებაზე და მათი ადგილზე მიწოდებასა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა ხარჯებს. საქმიანობის ჩვეულებრივად მიმდინარეობის პირობებში, წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული სავარაუდო დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

(h) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები, გარდა მიწისა, ფასდება თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთის და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. მიწა ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილის სახით. შეძენილი ძირითადი საშუალებების თვითღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადინებების მიმდინარე ღირებულებას თუ გადახდები 12-თვიან პერიოდზე მეტი ვადით არის გადავადებული.

თუ ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აისახება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდოა რომ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოედინება ჯგუფში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან კომპანიის შიდა ძალებით დამზადებულ აქტივთან მიმართებაში, მათი დასრულების და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის თარიღიდან. ცვეთა დაფუძნებულია აქტივის თვითღირებულებაზე, მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთა, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ნიმუშს. იჯარით აღებულ აქტივებს ცვეთა ერიცხებათ საიჯარო ვადასა და მათ სასარგებლო მომსახურების ვადებს შორის უმცირესის მიხედვით, გარდა შემთხვევებისა, როდესაც გონივრულად მოსალოდნელია რომ იჯარის ვადის ბოლოს ჯგუფი აქტივზე საკუთრების უფლებას მოიპოვებს. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე და შესადარის პერიოდებში, შემდეგია:

- შენობები და ინფრასტრუქტურები 25-50 წელი;
- მანქანა-დანადგარები 3-20 წელი;
- სატრანსპორტო საშუალებები, ავეჯი და მოწყობილობები 3-10 წელი;

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები კაპიტალური დანახარჯებისთვის ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ზღვრული სასესხო განაკვეთის გამოყენებით.

(i) არამატერიალური აქტივები

(i) გუდვილი

შვილობილი კომპანიების შეძენიდან წარმოქმნილი გუდვილი ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

(ii) სხვა არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი სხვა არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასრული სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ფასდებიან თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. სხვა არამატერიალური აქტივები ძირითადად მოიცავს სატელეკომუნიკაციო საოპერაციო ლიცენზიებს, კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიებს და კაპიტალიზებულ სამაუწყებლო უფლებებს. სამაუწყებლო უფლებების ხელშეკრულება კაპიტალიზებულია თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- სავარაუდოა, რომ მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებელი, რომელიც აქტივზე არის მიკუთვნებადი საწარმოში შემოედინება;
- აქტივის თვითღირებულება სანდოდ შეიძლება შეფასდეს.

კომპანია ითვალისწინებს ხელშეკრულების სხვა პირობებსაც როგორიც არის შეწყვეტის პირობები. კაპიტალიზებული სამაუწყებლო უფლებების ხელშეკრულებები დისკონტირებულია ზღვრული სასესხო განაკვეთის საფუძველზე.

(iii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯის კაპიტალიზაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ზრდის მასთან დაკავშირებულ კონკრეტულ აქტივში განივთებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ყველა სხვა დანახარჯი, მათ შორის კომპანიის შიგნით გენერირებულ გუდვილსა და ბრენდებზე გაწეული ხარჯები, აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

(iv) ამორტიზაცია

ამორტიზაცია გამოითვლება აქტივის თვითღირებულების მიხედვით, მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. ამორტიზაცია, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივების (გარდა გუდვილისა) მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, იმ თარიღიდან, როდესაც ისინი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი გახდება, რადგან ამგვარად შესაძლოა ყველაზე მიახლოებულად აისახოს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელი ფორმა. მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის, არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადა 3-დან 15 წლამდე მერყეობს.

ამორტიზაციის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და, შესაბამის შემთხვევაში კორექტირდება.

გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები კაპიტალური დანახარჯებისთვის ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ზღვრული სასესხო განაკვეთის გამოყენებით.

(j) საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით და შემდგომ სამართლიანი ღირებულებით, ხოლო ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, ფასს 13-ის მიხედვით, საწარმო უზრუნველყოფს, რომ სამართლიანი ღირებულება ასახავდეს დაშვებებს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები საინვესტიციო ქონების ფასის მიმდინარე საბაზრო პირობებში შეფასებისას გამოიყენებდნენ.

საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი (გამოთვლილი როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ წმინდა შემოსულობასა და ერთეულის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(k) ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში აკლასიფიცირებს.

ფასს 9 ადგენს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებებისა და სხვა არაფინანსური ერთეულების ყიდვა - გაყიდვის ხელშეკრულებების აღრიცხვისა და შეფასების მოთხოვნებს.

(i) ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9 უმეტესწილად ინარჩუნებს ბასს 39-ის, ფინანსური ვალდებულებების შეფასებისა და კლასიფიკაციის მოთხოვნებს. თუმცა, ის აუქმებს ბასს 39-ის, დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივების, სესხებისა და მოთხოვნების და გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიებს.

ფასს 9-ის ფარგლებში, პირველადი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე, როგორც ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფასს 9-ის ფარგლებში ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ზოგადად ეფუძნება ბიზნეს მოდელს, რომლის ფარგლებშიც იმართება ფინანსური აქტივი და ასევე მის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები გამოიყენება ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასებისას.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები	ეს აქტივები შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით (იხილეთ (ii) ქვემოთ). საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარებდა მოგებაში ან ზარალში.

ფასს 9-ის მიღების გავლენა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებზე 2018 წლის 1 იანვრისთვის უკავშირდება მხოლოდ ახალი გაუფასურების მოთხოვნებს, როგორც აღწერილია ქვემოთ.

(ii) ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9 ანაცვლებს ბასს 39-ის „გაწეული ზარალის“ მოდელს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ მოდელით. ახალი გაუფასურების მოდელი გამოიყენება ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებზე, სახელშეკრულებო აქტივებზე. ფასს 9-ის მიხედვით, საკრედიტო ზარალები აღიარდება უფრო ადრე ვიდრე ბასს 39-ის მიხედვით.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები შედგება სავაჭრო მოთხოვნებისაგან და ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისაგან.

ფასს 9-ს მიხედვით, ზარალის რეზერვები აღირიცხება შემდეგიდან ერთ-ერთის მიხედვით:

- 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი: ეს არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც დგება ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისაგან საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის ვადაში; და
- არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი: ეს არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც დგება ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისაგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების პერიოდის მანძილზე.

კომპანიამ გადაწყვიტა სავაჭრო მოთხოვნებისთვის ზარალის რეზერვები შეეფასებინა არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისათვის, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს, როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ, როდესაც:

- არ არის სავარაუდო რომ კლიენტი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტია ვადაგადაცილებული.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალების ალბათობით შეწონილი შეფასება. საკრედიტო ზარალები ანგარიშდება, როგორც ყველა ფულადი დანაკლისის (სხვაობა ხელშეკრულების მიხედვით კომპანიის მიერ მისაღებ ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია) მიმდინარე ღირებულება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირდება ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გაუფასურების წარდგენა

ზარალის რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას.

(iii) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი თავდაპირველად სესხებს და მოთხოვნებს აღიარებს მათი წარმოშობის თარიღში. ყველა სხვა ფინანსური აქტივის და ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება ვაჭრობის თარიღში, როდესაც ჯგუფი ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივებში, რომელიც შექმნილი ან შენარჩუნებულია ჯგუფის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც ჯგუფს აქვს იურიდიული უფლება, რომ ურთიერთგადაფაროს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

(iv) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები და ჰეჯირების აღრიცხვა

უცხოურ სავალუტო რისკზე დაქვემდებარებების ჰეჯირებისთვის ჯგუფი წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს ფლობს. ხელშეკრულებაში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები განცალკევდება ძირითადი ხელშეკრულებიდან და აღირიცხება ცალკე თუ ძირითადი ხელშეკრულება არ წარმოადგენს ფინანსურ აქტივს და კონკრეტული კრიტერიუმები არის დაკმაყოფილებული.

წარმოებული ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, წარმოებული ინსტრუმენტები ფასდება სამართლიანი ღირებულებით, და მასში მომხდარი ცვლილებები როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(v) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება კაპიტალის სახით. დამატებითი ხარჯები პირდაპირ უკავშირდება ჩვეულებრივი აქციების და აქციის ოფციონების გამოშვებას და აღიარდება როგორც გამოქვითვა კაპიტალიდან, ნებისმიერი საგადასახადო გავლენის გამოკლებით.

(l) გაუფასურება

არაფინანსური აქტივები

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების და გადავადებული საგადასახადო აქტივების გარდა) გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულება ფასდება ყოველ წელს ერთსა და იმავე დროს.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოდინებებისგან.

ჯგუფის კორპორატიული აქტივები არ ქმნიან ცალკეულ ფულადი ნაკადების შემოდინებებს და გამოიყენებიან ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები განაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე დასაბუთებულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემოწმების ნაწილის სახით რომელსაც კორპორატიული აქტივი მიეკუთვნება. ბიზნეს შერწყმის შედეგად შეძენილი გუდვილი ნაწილდება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფებზე რომლებიც მოსალოდნელია რომ მიიღებენ სარგებელს შერწყმის სინერგიებიდან.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის და მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება თავდაპირველად ნებისმიერი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულზე განაწილებული გუდვილის საბალანსო ღირებულებაზე და ამცირებს მას, და შემდეგ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე წილობრივ საფუძველზე, და ამცირებს მას.

გუდვილის გაუფასურების ზარალი არ არის აღდგენადი. წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, ნებისმიერ მინიშნებაზე იმისა, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი ღირებულებას განსაზღვრებაში გამოყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგენას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით), რაც იქნებოდა განსაზღვრული გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(m) საკრედიტო ვალდებულებები

ჯგუფი მიიჩნევს, რომ ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები, რომლის მხარეც გახდა ჯგუფი სხვა მხარეების დავალიანების გარანტირების მიზნით, წარმოადგენენ სადაზღვევო გარიგებებს და შესაბამისად აღრიცხავს მათ. ამასთან დაკავშირებით, ჯგუფი საგარანტიო ხელშეკრულებას აღრიცხავს, როგორც პირობით ვალდებულებას იმ დრომდე, სანამ ჯგუფიდან საგარანტიო თანხების გადინება სავარაუდო გახდება.

(n) იჯარები

ჯგუფმა ფასს 16 "იჯარების" გამოყენება 2019 წლის 1 იანვრიდან დაიწყო. ჯგუფი ირჩევს გამოიყენოს ერთიანი, საბალანსო იჯარების აღრიცხვის მოდელი მოიჯარეებისთვის. შედეგად, ჯგუფი როგორც მოიჯარე, აღიარებს აქტივებს გამოყენების უფლებით, რაც წარმოადგენს საიჯარო აქტივების და საიჯარო ვალდებულებების გამოყენების უფლებას, რაც ჯგუფის მიერ საიჯარო გადახდების განხორციელების ვალდებულებას ასახავს. მეიჯარეს აღრიცხვა რჩება მსგავსი ადრე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკებისა.

ჯგუფი აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივი გამოყენების უფლებით თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით და შემდგომ, თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით, და კორექტირებული საიჯარო ვალდებულებების კონკრეტული გადაფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი დაწყების თარიღისათვის, დისკონტირებული იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა დროულად ვერ ხერხდება, ჯგუფის ზღვრული სასესხო განაკვეთით. როგორც წესი, ჯგუფი დისკონტირების განაკვეთად მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს იყენებს.

საიჯარო ვალდებულება შემდგომ გაზრდილია საპროცენტო ხარჯით საიჯარო ვალდებულებაზე და შემცირებულია განხორციელებული საიჯარო გადახდებით. ის გადაფასებულია როდესაც არსებობს ცვლილება სამომავლო საიჯარო გადახდებში, რომელიც წარმოიშვა შემდეგის ცვლილების შედეგად: ინდექსის ან განაკვეთის ცვლილება, ცვლილება შეფასებაში იმ ოდენობისა, რომელიც მოსალოდნელია, რომ იქნება გადასახდელი ნარჩენი ღირებულების გარანტიის ფარგლებში, ან შესაბამისობის შემთხვევაში, ცვლილებები შეფასებაში იმისა გონივრულად მოსალოდნელია თუ არა, რომ შესყიდვის ან გახანგრძლივების შესაძლებლობა იქნება გამოყენებული, ან გონივრულად მოსალოდნელია რომ შეწყვეტის შესაძლებლობა არ იქნება გამოყენებული.

საიჯარო ვადა ასახავს ჯგუფის გონივრულ შეფასებას იმ პერიოდისა, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის განსაზღვრისას ჯგუფი აფუძნებს მის მსჯელობას კონტრაქტის და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე, რაც იძლევა საშუალებას, რომ ფაქტორები როგორებიცაა ეკონომიკური ჯარიმები, საკანონმდებლო მიდგომა იჯარის განახლებაზე, მოსალოდნელი ცვლილებები რეგულაციაში და ჯგუფის სამომავლო ბიზნეს გეგმები ეფექტურად იყოს ასახული საიჯარო ვადის შეფასებაში.

(o) სეგმენტის ანგარიშგება

საოპერაციო სეგმენტი არის ჯგუფის შემადგენელი ნაწილი, რომელსაც უკავია ბიზნესის ისეთი ნაწილი, სადაც ეწევა ხარჯებს და შესაძლებელია ამონაგების მიღება (იმ ამონაგებისა და ხარჯების ჩათვლით, რომელიც დაკავშირებულია ჯგუფის სხვა კომპონენტებთან); რომლის საოპერაციო შედეგებს რეგულარულად იხილავს საწარმოში საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი, ამ სეგმენტზე რესურსების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად და მისი საქმიანობის შედეგების შესაფასებლად და რომლისთვისაც ცალკე ფინანსური ინფორმაცია არის ხელმისაწვდომი.

სეგმენტის ყველა კაპიტალური დანახარჯი წარმოადგენს წლის განმავლობაში ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესაძენად გაწეული ხარჯების ჯამს.

28. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც 2024 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა ჯგუფს ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შესწორებული აღრიცხვის სტანდარტები მიღებული წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

(a) ფასს 18 წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში

ფასს 18 ჩაანაცვლებს ბასს 1-ს „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ და გამოყენებული იქნება 2027 წლის 1 იანვრიდან და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ახალ სტანდარტს შემოაქვს შემდეგი ძირითადი ახალი მოთხოვნები.

- საწარმოებს მოეთხოვებათ მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში ყველა შემოსავალი და ხარჯი ხუთ კატეგორიაში გაანაწილონ, კერძოდ, საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, შეწყვეტილი ოპერაციები და მოგების გადასახადის კატეგორიები. საწარმოებმა ასევე უნდა წარმოადგინონ ახლადგანსაზღვრული საოპერაციო მოგების ჯამი. საწარმოების წმინდა მოგება არ შეიცვლება.
- ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული ეფექტურობის მაჩვენებლები (MPM) წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში ერთ შენიშვნაში.
- მოწოდებულია დეტალური ინსტრუქცია ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის დაჯგუფების შესახებ.

ამასთანავე, ყველა საწარმოს მოეთხოვება ფულადი ნაკადების ანგარიშგების საწყის წერტილად საოპერაციო მოგების ჯამის გამოყენება, საოპერაციო ფულადი ნაკადების არაპირდაპირი მეთოდით წარდგენისას.

ჯგუფი ჯერ კიდევ ახალი სტანდარტის გავლენის შეფასების პროცესშია, კერძოდ ჯგუფის მოგების ან ზარალის და ფულადი ნაკადების ანგარიშგების და ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული ეფექტურობის მაჩვენებლების მიზნებისთვის მოთხოვნილი დამატებითი განმარტებითი შენიშვნების სტრუქტურასთან დაკავშირებით. ჯგუფი ასევე აფასებს გავლენას იმაზე, თუ როგორ ხდება ინფორმაციის დაჯგუფება ფინანსურ ანგარიშგებაში, მათ შორის ამჟამად „სხვა“ კატეგორიაში შეტანილი მუხლებისთვის.

(b) აღრიცხვის სხვა სტანდარტები

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და შესწორებული სტანდარტები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- *გაცვლის საშუალების არარსებობა (ბასს 21-ის შესწორებები).*
- *ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება (ფასს 9-ის და ფასს 7 -ის კორექტირებები).*

29. შემდგომი მოვლენები

2025 წლის 21 იანვარს, კომპანიამ დაარსა ახალი შვილობილი კომპანია სს “სილქ ქლაუდი”, 100%-იანი საკუთრების წილით, შვილობილ კომპანიას აქვს 200,000 გამოშვებული აქცია, თითოეული ნომინალური ღირებულებით 1 ლარი.

შპს "KPMG Georgia"
მე-5 სართული, GMT პლაზა
მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი N4 (ნაკვეთი 66/4)
თბილისი, საქართველო 0105
IN 404437695
ტელეფონი +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

სს “სილქნეტი”
თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, მ.
წინამძღვრიშვილის ქ. 95

29 სექტემბერი 2025

ჩვენი საცნობარო ნომერი:ge/I/078/25

წლიური ანგარიშგების უწყისი

ძვირფასო ბატონებო,

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს 2025 წლის 29 სექტემბერს გამოცემულ „წლიურ ანგარიშგებაზე“. ჩვენ გამოვეცით ეს უწყისი, რადგან წლიური ანგარიშგება დათარიღებული 2025 წლის 29 სექტემბრით, გამოცემულია ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის შემდეგ. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომელიც გამოთქმულია ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში, 2025 წლის 8 აპრილს, არ ეხება წლიურ ანგარიშგებას.

აუდიტორთა დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს იმ მოვლენების ეფექტს, რომელიც წარმოიშვა 2025 წლის 8 აპრილის შემდეგ. წლიურ ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენათა ეფექტი, რომელიც კონსოლიდირებული ფინანსური აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ განხორციელდა, არ შემოწმებულა ჩვენს მიერ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს წლიური ანგარიშგების გაცნობას მას შემდეგ, რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განსაზღვრავს, შეესაბამება თუ არა წლიური ანგარიშგება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.

ჩვენ არ გამოვცემთ რაიმე სახის რწმუნებას წლიური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ წლიური ანგარიშგება და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვენით, რომ წლიური ანგარიშგება:

- შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ის არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

პატივისცემით,

ვახტანგ კეჟერაძე
აუდიტის პარტნიორი
შპს „KPMG Georgia“

შპს “KPMG Georgia”, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited.

შპს "KPMG Georgia"
მე-5 სართული, GMT პლაზა
მთაწმიწდის რაიონი, თავისუფლების მოედანი N4 (წაკვეთი 66/4)
თბილისი, საქართველო 0105
IN 404437695
ტელეფონი +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

სს "სილქნეტი"
თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, მ.
წინამძღვრიშვილის ქ. 95

29 სექტემბერი 2025

ჩვენი საცნობარო ნომერი:ge/I/078/25

წლიური ანგარიშგების უწყისი

ძვირფასო ბატონებო,

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს 2025 წლის 29 სექტემბერს გამოცემულ „წლიურ ანგარიშგებაზე". ჩვენ გამოვეცით ეს უწყისი, რადგან წლიური ანგარიშგება დათარიღებული 2025 წლის 29 სექტემბრით, გამოცემულია ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის შემდეგ. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომელიც გამოთქმულია ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში, 2025 წლის 8 აპრილს, არ ეხება წლიურ ანგარიშგებას.

აუდიტორთა დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს იმ მოვლენების ეფექტს, რომელიც წარმოიშვა 2025 წლის 8 აპრილის შემდეგ. წლიურ ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენათა ეფექტი, რომელიც კონსოლიდირებული ფინანსური აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ განხორციელდა, არ შემოწმებულა ჩვენს მიერ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს წლიური ანგარიშგების გაცნობას მას შემდეგ, რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განსაზღვრავს, შეესაბამება თუ არა წლიური ანგარიშგება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.

ჩვენ არ გამოვცემთ რაიმე სახის რწმუნებას წლიური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ წლიური ანგარიშგება და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვენით, რომ წლიური ანგარიშგება:

- შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ის არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ".

პატივისცემით,

ვახტანგ კეკელაძე
აუდიტის პარტნიორი
შპს „KPMG Georgia"

შპს "KPMG Georgia", საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited.